საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ
მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორი

დ. ქებურია

მსჯელობის თეორიის საკითხები

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი — 1979

შრომის ძირითადი მიზანია მსჯელობის არსების განსაზღვრა, მისი სტრუქტურისა და შინაგანი დიალექტიკის გამორკვევა. შრომა აღიარებს მსჯელობის სუბიექტ-პრედიკატულ აგებულებას, მაგრამ თვით ამ სტრუქტურის ტრადიციულ გაგებას ისევე უარყოფს, როგორც უარყოფს «არსებისა» და «საგნის» ძველ გაგებას. მსჯელობის ელემენტების ურთიერთობა შრომაში განხილულია, როგორც «ერთიანის გაორება», რითაც თავისებურად აისახება საგნისა და გარკვეულობის ობიექტური დიალექტიკა. ეს თავისებურება მსჯელობის მომენტთა უშუალო ერთიანობაა, მაგრამ აღნიშნული ერთიანობა მაინც წინააღმდეგობათა ერთიანობის ფორმაა, რის გამოც ცოდნის ეს «უჯრედი» წარმოგვიდგება არა როგორც «სტატიკური სისტემა», არამედ როგორც «დინამიკური სტრუქტურა».

Ე $\frac{10508}{М\ 607(06)-79}$ 270—79

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1979

შესავალი

მსჯელობის პრობლემა ლოგიკის მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. შორეული დროიდან, როცა პირველად შეეცადა თავისი საკუთარი აზროვნების შესწავლას, ადამიანმა, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მიაქცია მსჯელობას, რომელიც უშუალოდ ეძლეოდა მას (უკვე მეტყველების ფაქტში), როგორც აზრის გამოხატვის აუცილებელი და საყოველთაო ერთეული. მეტყველება ნიშნავს აზროვნებას, აზროვნება ნიშნავს მსჯელობას — ასეთი იყო, არსებითად, არა მარტო პირველყოფილი ცნობიერების ჩვეულებრივი წარმოდგენა, არამედ პირველი ფილოსოფოსების თვალსაზრისიც აზროვნების შესახებ. ამაში თავისი გამოხატულება პოვა აზროვნებისა და მსჯელობის განუყრელმა შინაგანმა კავშირმა და ერთიანობამ. რასაკვირველია, აზროვნება და მსჯელობა არ არის ერთი და იგივე, აზროვნება არ დაიყვანება მსჯელობაზე, აზროვნების მსჯელობაზე დაყვანის იდეა პრობლემის ისტორიის ტიპიური შეცდომაა, მაგრამ აზროვნება არ არსებობს მსჯელობის გარეშე, იგი აზროვნების ზოგადი და აუცილებელი ელემენტია, ცოდნის „უჯრედია“: მათგან შენდება მეცნიერული შემეცნების ორგანული სისტემა. რა მნიშვნელობაც აქვს უჯრედის შესწავლას ორგანიზმის გასაგებად, ის მნიშვნელობა აქვს მსჯელობის შესწავლას აზროვნების თეორიისათვის.

დღეს უკვე საკმაოდ გამორკვეულია უჯრედის სასიცოცხლო ფუნქციები, მისი ადგილი და როლი ორგანიზმის ცხოვრებაში. მის წიაღში მიმდინარე მიკროპროცესები საფუძვლად ედება ორგანიზმის „ტრილიონწევრიან მეურნეობას“. ასევე დიდია და მნიშვნელოვანი მსჯელობის როლი, მისი ფუნქცია ლოგიკური აზროვნების პროცესში. ბევრი არსებითი მომენტი იქიდან, რასაც ჩვენ აზროვნების ლოგიკას ვეძახით, თავის ჭეშმარიტ ახსნას მისი ამ „მიკროერთეულის“ თავისებურებებში პოულობს.

მაგრამ ერთია პრობლემის აქტუალობა. ლოგიკის მეცნიერებაში, ამ დარგის თანამედროვე განვითარების დონეზე, არანაკ-

ლებ მნიშვნელოვანია პოზიცია, რომლიდანაც განიხილება, გაიხსნება და შუქდება აქტუალური თემა. უდავო წარმატებების ფონზე, რაც მიღწეულია, განსაკუთრებით უკანასკნელი 15—20 წლის მანძილზე, აზროვნების და შემეცნების დიალექტიკის ზოგადი პრობლემების სფეროში, აზრის მოძრაობის ცალკეული ლოგიკური ფორმების კონკრეტული შესწავლა და დამუშავება აშკარად ჩაშორჩება. სწორედ ამ წარმატებათა ბაზაზე თანამედროვე პერიოდში დღის წესრიგში გარდუვალად დგება უფრო კონკრეტული, სისტემატური, მონოგრაფიული გამოკვლევები ისეთი თემებისა, როგორიცაა ცნების დიალექტიკა, მსჯელობის დიალექტიკა და დასკვნის დიალექტიკა.

ადვილი შესამჩნევია დამახასიათებელი უთანაბრობა ხვევით ამ პრობლემათა კვლევის სფეროში. შედარებით ბევრია გაკეთებული და მრავალი სპეციალური შრომა გამოქვეყნდა ცნების დიალექტიკის დარგში, მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება მსჯელობისა და დასკვნის დიალექტიკის პრობლემებზე.

წინამდებარე ნაშრომში მსჯელობის პრობლემა განიხილება დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისით. მასში ნაცადია მეცნიერული დიალექტიკის ძირეული პრინციპების სისტემატური და თანმიმდევრული გავრცელება მსჯელობის ლოგიკური თეორიის პრობლემატიკაზე, მათი გამოყენება და გატარება ამ თეორიის საკვანძო კითხვების გასახსნელად. შრომის შიდ თავში სხვადასხვა მხრიდან გაანალიზებული და გაშუქებულია აზრის მოძრაობის ერთი, შედარებით მარტივი ლოგიკური ფორმა, მისი გარკვეული კონკრეტული დახასიათების მიზნით.

მსჯელობის თეორია აზროვნების თეორიის ნაწილია. ნაწილისა და მთელის დიალექტიკა გვასწავლის, რომ ნაწილი არ შეიძლება მოვწყვიტოთ მთელს, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს. მსჯელობის თეორიის პრობლემები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ აზროვნების ზოგადი თეორიის ბაზაზე, მის ფონზე, მის საფუძველზე. მაგრამ, მეორე მხრით, მთელისა და ნაწილის არც გაიგივება ან აღრევა შეიძლება. მსჯელობის თეორიას თავისი სპეციფიკური თავისებურებანი, სპეციფიკური პრობლემები გააჩნია, თავისი differentia specifica აქვს და აზროვნების ზოგად თეორიაში ამ პრობლემის თავისებური ადგილის გათვალისწინების გარეშე ირღვევა და იკარგება ის, რაც საგნის დიალექტიკური განხილვის «სულს» შეადგენს: «კონკრეტული სიტუაციის კონკრეტული ანალიზი».

წინამდებარე შრომაში, ბუნებრივია, ხშირად იჩენს თავს, ხშირად წამოიჭრება აზროვნების ბევრი ზოგადი პრობლემა. მაგრამ შრომის ყველა დებულებას ვერ მოვთხოვთ თანაბრად იყოს დასაბუთებული და დაფუძნებული. ეს უბრალოდ შეუძლებელია, რადგან მეცნიერების ნებისმიერი კერძო პრობლემა უსასრულოდ გადახლართულია ამ მეცნიერების (და არა მხოლოდ ამ მეცნიერების) ყველა სხვა პრობლემასთან. სწორედ ამაში მდგომარეობს ცალკეული პრობლემის დიალექტიკა და, თუ გნებავთ, მისი განხილვისა და გადაწყვეტის ფაქტიური, რეალური, ნამდვილი სიძნელე. ერთი პრობლემის გამოყოფა და დალაგება მოსაზღვრე პრობლემებს გადაწყვეტილად გულისხმობს, ამბობს კ. მარქსი: „მხოლოდ ამ გზით შეიძლება ავიცილოთ თავიდან თითოეული ურთიერთობის გამოკვლევისას ყველაფერზე ლაპარაკის საჭიროება"[1].

მსჯელობის პრობლემას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ორი ძირითადი მიმართულება გამომუშავდა, ჩამოყალიბდა და დაუპირისპირდა ერთმანეთს ამ ისტორიის შანძილზე — ფორმალური ლოგიკის და დიალექტიკური ლოგიკისა. პირველი მათგანი კლასიკური ფორმით ჩამოყალიბდა არისტოტელეს შრომებში, რომლის მოძღვრება მსჯელობის არსების, მისი სტრუქტურისა და სახეების შესახებ არა თუ საუკუნეებს შემორჩა, საბაბიც გახდა მტკიცებისათვის, რომლის კლასიკური ფორმულა ი. კანტის ეკუთვნის და თავისებურად აისახა თვით საბჭოთა კავშირში 50-იან წლებში გამოქვეყნებულ ფორმალური ლოგიკის სახელმძღვანელოებში: ლოგიკას არისტოტელეს დროიდან ნაბიჯი არ გადაუდგამს არც წინ, არც უკან, და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან იგი სრული, სრულყოფილი და დამთავრებულიაო!

რაც შეეხება დიალექტიკურ ლოგიკას, კლასიკური ფორმით იგი ჩამოყალიბდა ჰეგელის შრომებში, რომლის მოძღვრების ძირეულ პათოსს სრულყოფილად გამოხატავს დასკვნა, რომლის კლასიკური ფორმულა, აგრეთვე, ჰეგელს ეკუთვნის: თუ ლოგიკას არისტოტელეს დროიდან ცვლილება არ განუცდია, აქედან ის კი არ გამომდინარეობს, რომ ეს საჭირო არაა, პირიქით, ის გამომდინარეობს, რომ ეს მით უფრო საჭიროა!

ჰეგელის შემდეგ უკანასკნელი საუკუნენახევარი ლოგიკის

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 29, стр. 254 (изд-ие 2-ое).

ისტორიაში აღინიშნა არა მხოლოდ ბრძოლით ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის მიმართულებათა შორის, არამედ ძირეული გარდაქმნებით თითოეული ამ მიმართულების შიგნით.

ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკური ლოგიკა მარქსიზმის ბაზაზე მატერიალისტური დიალექტიკის ლოგიკად გადამუშავდა, ბრძოლა ამ ორ ხაზს შორის დღემდე გრძელდება და დიალექტიკური ლოგიკის უახლოესი ისტორიის ძირითად შინაარსს შეადგენს. რაც შეეხება ფორმალურ ლოგიკას, მე-19 საუკუნის შუახანებიდან მის წიაღში ჩაისახა თავისებური ნაკადი, რომლის განვითარება ამ ლოგიკის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიციების სრული უარყოფით დაგვირგვინდა. მხედველობაში გვაქვს ისეთ ცნებათა განსხვავება, გამოყოფა და დაპირისპირება, როგორიცაა „ტრადიციული ფორმალური“ და „თანამედროვე ფორმალური“ ანუ მათემატიკური ლოგიკა. უკანასკნელი ძლიერ გავრცელდა, დასავლური აზროვნების მოდად იქცა და ერთ ხანს გაბატონებული მდგომარეობაც მოიპოვა, თუმცა უკანასკნელ დროს აშკარად გაისმის მისი უზომო პრეტენზიების საწინააღმდეგო ხმები.

ლოგიკის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ზოგადი ხაზი და ტენდენციები თავისებურად აისახა საბჭოთა ლოგიკის ისტორიაში. საბჭოთა ლოგიკაშიც უკვე 20-იანი წლებიდან კამათი და ბრძოლა გაიშალა ორ ძირითად მიმართულებას, დიალექტიკური ლოგიკისა და ფორმალური ლოგიკის მიმართულებათა შორის. ეს კამათი და ბრძოლა, რომელიც დღემდე გრძელდება, საბჭოთა ლოგიკის ისტორიის ძირითად შინაარსს შეადგენს.

თითოეული ამ მიმართულების შიგნით, აგრეთვე, მნიშვნელოვანი პროცესები, ცვლილებები და გარდაქმნები აღინიშნა. თუ ომამდელ პერიოდში ტრადიციული ფორმალურ-ლოგიკური მიმართულება სხვადასხვა არხებით შევიწროებული აღმოჩნდა, ომის შემდგომი პერიოდი, პირიქით, ფართო და ნაყოფიერი კვლევა-ძიების წლები აღმოჩნდა ამ დარგში ჩვენში. მაგრამ ეს იყო 60-იან წლებამდე, როცა მოულოდნელად ამ მიმართულების თავგამოდებულ დამცველთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთბაშად შებრუნდა „მათემატიკური ლოგიკის“ პოზიციებზე.

რაც შეეხება დიალექტიკურ ლოგიკას, თუ ომამდელ პერიოდში ამ მიმართულების დამცველები ზოგჯერ კმაყოფილდებოდნენ ზოგადი მტკიცებებითა და „მოთხოვნებით“, უკანასკნელი 15-20 წელი აღინიშნა სერიოზული ძვრებით შემეცნებისა და აზროვნე-

ბის დიალექტიკის უფრო კონკრეტული. სისტემატური კვლევის შიმართულებით, რის შედეგად 60-70-იან წლებში გამოჩნდნენ ფუნდამენტური გამოკვლევები ჯ. აბდილდინის, მ. ალექსეევის, ე. ილიენკოვის. ბ. კედროვის, პ. კოპნინის, ვ. მალცევის, მ. როზენტალის, ს. წერეთლის, ვ. ჩერკესოვის და სხვ. ამ მხრივ გაწეული ნაყოფიერი, პროდუქტიული მუშაობის ერთგვარი დათვალიერებაა ორი საკავშირო სიმპოზიუმი დიალექტიკური ლოგიკის დარგში ქ. ალმა-ათაში 1968[2] წ. და 1977 წ.

ჩვენი მონოგრაფია ემყარება, მიჰყვება და იცავს დიალექტიკური ლოგიკის მიმართულებას აზრის მოძრაობის ისეთი ფორმის გაგებაში, როგორიცაა მსჯელობა. მისი მთავარი მიზანია მსჯელობის არსების განსაზღვრა, მისი სტრუქტურისა და შინაგანი დიალექტიკის გამორკვევა. შრომა აღიარებს მსჯელობის სუბიექტ-პრედიკატულ აგებულებას, მაგრამ თვით ამ სტრუქტურის ტრადიციულ გაგებას ისევე უარყოფს, როგორც უარყოფს „არსებისა" და „საგნის" ძველ გაგებას. მსჯელობის ელემენტების ურთიერთობა შრომაში განხილულია, როგორც „ერთიანის გაორება", რითაც თავისებურად აისახება საგნისა და გარკვეულობის ობიექტური დიალექტიკა. ეს თავისებურება მსჯელობის მომენტთა უშუალო ერთიანობაა, მაგრამ აღნიშნული ერთიანობა მაინც წინააღმდეგობათა ერთიანობის ფორმაა, რის გამოც ცოდნის ეს „უჯრედი" წარმოგვიდგება არა როგორც „სტატიკური სისტემა", არამედ როგორც „დინამიკური სტრუქტურა".

* * *

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი ნაწილი დაიწერა და შემზადდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში 1959 — 1965 წ. წ., მისი ცალკეული ნაწილები 1960 წლიდან სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა (შესაბამისი მითითებები იხ. ტექსტში). 1965 წ. ბოლოს შრომა წარდგენილ იქნა დასაცავად, როგორც სადოქტორო დისერტაცია. დაცვა გაჭიანურდა. დისერტაცია დაცულ იქნა 1975 წ ივნისში ქ. ალმა-ათაში.

---

[2] პირველი სიმპოზიუმის შედეგები აისახა კაპიტალურ გამოცემაში «Актуальные проблемы диалектической логики» (Материалы всесоюзного симпозиума по диалектической логике 1968 г.). Алма-Ата, «Наука», 1971 г.

თავი I

მსჯელობა როგორც აზროვნების ლოგიკური ფორმა

მსჯელობა არის აზროვნების ლოგიკური ფორმა, — ასეთია ზოგადი და გამოსავალი დებულება, რომელსაც ეთანხმება თითქმის ყველა, ვინც კი მსჯელობის ფაქტს ასე თუ ისე ეხება და აღიარებს. მაგრამ უთანხმოება და კამათი იწყება მაშინვე, როგორც კი დაისმის კითხვები: რა არის აზროვნება? რა არის ლოგიკური აზროვნება? რა არის ლოგიკური აზროვნების ფორმა?

თანამედროვე მეცნიერული წარმოდგენებით ადამიანის აზროვნება უმაღლესად ორგანიზებული მატერიის, ტვინის ფუნქციაა, რომლის არსება გარემომცველი სინამდვილის ასახვაში, მის შემეცნებაში მდგომარეობს. აზროვნების ზოგადი არსებითი ბუნების ანალიზი ჩვენი ხელმის ფარგლებს სცილდება. მთავარი ჩვენთვის ზოგად პლანში იმის ხაზგასმაა, რომ ადამიანის აზროვნება საგნობრივ სამყაროს კი არ „ეთიშება", როგორც მისთვის აბსოლუტურად უცხო და იზოლირებული სფერო, არამედ შინაგან ერთიანობას ჰქმნის მასთან.

ლოგიკის საგანია აზროვნება, როგორც სინამდვილის შემმეცნებელი აზროვნება, აზროვნება, როგორც ობიექტური სინამდვილის სუბიექტური სახე. დიალექტიკური ლოგიკა აზროვნებას განიხილავს მის მიმართებაში მატერიალურ სამყაროსთან, ობიექტურ საგანთან, რომელსაც ის ასახავს. ამ აზრით იგი საგნობრივი ლოგიკაა. დიალექტიკური ლოგიკის „საგნობრივი" ხასიათი სრულიადაც არ მოითხოვს საგნისა და აზროვნების აღრევას ერთმანეთში, ან მათს გაიგივებას. მაგრამ ის მოითხოვს აზროვნების თეორიის დაფუძნებას საგნის თეორიაზე. თუ აზროვნება დამოკიდებულია საგანზე და მის ასახვას წარმოადგენს, ცხადია, აზროვნების თეორიაც დამოკიდებულია საგნის თეორიაზე, საგნის თეორია აზროვნების თეორიის საფუძველია.

საგნობრივი ლოგიკის ზოგადი პრინციპი ახალი არ არის. როგორც ცნობილია, საგნობრივი ლოგიკის ზოგად პრინციპს იცავდა ჯერ კიდევ არისტოტელე. რამდენადაც ის აღიარებდა ლოგიკურისა და „ონტოლოგიურის“ ერთიანობას და ცდილობდა არსების შესახებ თავისი მოძღვრება („მეტაფიზიკა“) საფუძვლად დაედო აზროვნების თეორიისათვის. არისტოტელეს ლოგიკის საგნობრივი ხასიათი იმას კი არ ნიშნავს, რომ ის არ ასხვავებს ერთმანეთისაგან ონტოლოგიურსა და ლოგიკურს, ან უშუალოდ აიგივებს მათ. არისტოტელემ კარგად იცის განსხვავება „მეტაფიზიკასა“ და „ორგანონს“ შორის, რომელთა შემოქმედი თვითონ არის. წართალია, არისტოტელე ხშირად ურევს ერთმანეთში ლოგიკურსა და საგნობრივს, ისევე როგორც ლოგიკურსა და გრამატიკულს და ა. შ. მაგრამ ეს კი არ გამოხატავს მისი ლოგიკის საგნობრივ ხასიათს. არისტოტელეს ლოგიკის საგნობრივი ხასიათი მისი ლოგიკური მოძღვრების იმ სწორ. მართებულ ტენდენციაში გამოიხატება, რომლის თანახმად აზროვნება განიხილება, როგორც ობიექტური სამყაროს შემეცნების „იარაღი“.

საგნობრივ ლოგიკას ისტორიულად დაუპირისპირდა „ფორმალური“ ლოგიკა. თვით ტერმინი „ფორმალური ლოგიკა“ გაჩნდა, როგორც რეაქცია საგნობრივი ლოგიკის წინააღმდეგ. ვინ არის მისი ავტორი? ფორმალური ლოგიკის მამამთავარია ი. კანტი, — ფილოსოფოსი, რომელიც უარყოფს ობიექტური საგნის ასახვის პრინციპს და, მაშასადამე, აზროვნების თეორიის დაფუძნებას საგნის თეორიაზე. კანტის ლოგიკა ფორმალური ლოგიკაა არა იმ აზრით, რომ ის წარმოადგენს მოძღვრებას აზროვნების ფორმების შესახებ. ასე რომ იყოს, აზრი არ ექნებოდა მის დაპირისპირებას არისტოტელეს „საგნობრივი ლოგიკისადმი“: არისტოტელეს ლოგიკაც აზროვნების ფორმების თეორიაა და არა „მეტაფიზიკა“.

ადამიანის აზროვნების შინაგანი ერთიანობა საგანთა სამყაროსთან პირველ რიგში გამოიხატება მათი არსებობისა და განვითარების ზოგად კანონთა ერთიანობაში. კანონთა ამ ერთიანობის გარეშე ვერ დასაბუთდებოდა ადამიანის აზროვნების შინაგანი ერთიანობა საგანთა სამყაროსთან, ერთი მოწყდებოდა მეორეს, მათ შორის ხიდის გადება შეუძლებელი იქნებოდა. თუ ვაღიარებთ, რომ ადამიანის აზროვნება არის ობიექტური საგნის „განმეორება“. მისი სურათი, მისი ცნობიერი „რეპროდუქცია“, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ აზროვნების კანონზომიერებაც ობიექტური სამყა-

როს არსებით კანონზომირებათა „განმეორებაა“. „ესაა კანონების ორი რიგი, ამბობს ფ. ენგელსი, რომლებიც არსებითად იდენტურნი არიან, გამოხატულებით კი განსხვავდებიან მაოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანის გონებას მათი შეგნებული გამოყენება შეუძლია, მაშინ, როცა ბუნებასა და დღემდე უმეტესად თვით კაცობრიობის ისტორიაშიც ისინი შეუგნებლად, გარეგანი აუცილებლობის სახით, უსასრულო რიგის მოჩვენებით შემთხვევითობათა გარემოცვაში მოქმედებენ“[1].

კანონთა აღნიშნული ერთიანობის უტყუარი საბუთია ისიც, რომ ადამიანის აზროვნება საგანთა სამყაროსაგან აბსოლუტურად განსხვავებული კანონებით ვერასოდეს ვერ შესძლებდა გაეგო გარემომცველი სამყარო, მისი კანონზომიერება.

„მთელს ჩვენს თეორიულ აზროვნებაზე აბსოლუტურად ბატონობს ის ფაქტი, რომ ჩვენი სუბიექტური აზროვნება და ობიექტური სამყარო ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარებიან“[2], ამბობს ფ. ენგელსი. ავიღოთ დასკვნის მარტივი მაგალითი: „თუ ყველა ადამიანი მოკვდავია და სოკრატე ადამიანია, მაშასადამე, სოკრატე მოკვდავია“. რით არის გამართლებული ამგვარი გამომდინარეობა, ე. ი. ლოგიკური დასკვნის პროცესი? საგნობრივი ლოგიკის მოწინააღმდეგე ამბობს: ლოგიკური გამომდინარეობის პროცესი გაპირობებულია ჩვენი გონების გარკვეული აგებულებით, სხვა საფუძველი მას არ გააჩნია. საგნობრივი ლოგიკის მიმდევარი კი ამტკიცებს, რომ დასკვნის ეს პროცესი ლ ო გ ი კ უ რ ა დ გამართლებულია იმდენად, რამდენადაც მასში ა ს ა ხ უ ლ ი ა საგანთა გარკვეული ობიექტური კავშირი.

ლოგიკური უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრით, საგნობრივისაგან, მეორე მხრით, ფსიქოლოგიურისაგან.

ადამიანის აზროვნებისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებობს საგანთა სამყარო თავისი კანონზომიერებით. საგანი და მისი კანონზომიერება ობიექტურად არსებობს, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა ეს ვინმემ. საგნობრივისა და ლოგიკურის გაიგივების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ჰეგელის კონცეფცია. საგნობრივისა და ლოგიკურის გაიგივება ნიშნავს აზროვნების „ონტოლოგიზაციას“. მათი განსხვავება კი საფუძვლად ედება ფილო-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., გვ. 465.

[2] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 275 (1950).

სოფიის შიგნით ე. წ. ონტოლოგიურისა და ლოგიკურის განსხვავებას; ონტოლოგიას უწოდებენ საგნის ზოგად თეორიას. საგნის ზოგადი თეორია არ არის იგივე, რაც აზროვნების ლოგიკური თეორია. საგნის ზოგადი თეორია ლოგიკურისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ საგყაროს შეეხება და არა იმას, თუ რას წარმოადგენს ადამიანის აზროვნება, მისი ლოგიკური ბუნება. ეს უკანასკნელი ლოგიკის მეცნიერების საქმეა.

ლოგიკური არ არის იგივე საგნობრივი, მაგრამ ამ დებულებით აღნიშნულია მათი ურთიერთობის მხოლოდ ერთი მომენტი. მართალია, საგნობრივი არსებობს ლოგიკურის გარეშე, მაგრამ ლოგიკური განუყრელად არის დაკავშირებული საგნობრივთან და არ არსებობს მისგან დამოუკიდებლად. ლოგიკური არის საგნობრივის ასახვა. ლ ო გ ი კ უ რ ი ა ს ა ხ უ ლ ი ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი ა. ამით განსხვავდება ის ფსიქოლოგიურისგან.

ფსიქოლოგია ადამიანის ფსიქიკას, მთელს მის ფსიქიკურ ცხოვრებას სწავლობს და, ამდენად, ეხება აგრეთვე აზროვნებასაც. მაგრამ აზროვნებას, ისევე როგორც სხვა ფსიქიკურ მოვლენებს (გრძნობა, ნებისყოფა, ყურადღება და ა. შ.), ფსიქოლოგია განიხილავს, როგორც პიროვნების „საშენ მასალას", რამდენადაც პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ცნება ძირითადია, რომელსაც ექვემდებარება მთელი ფსიქოლოგიური პრობლემატიკა. ლოგიკურისაგან განსხვავებით ფსიქოლოგიას აზროვნება აინტერესებს იმ მხრივ, თუ რას წარმოადგენს იგი პიროვნებისათვის, როგორ განიცდება იგი პიროვნების მიერ. ლოგიკა სწავლობს აზროვნებას მის დამოკიდებულებაში სინამდვილესთან, რომელსაც ის იმეცნებს, ლოგიკის საგანია აზროვნება, როგორც „ასახული ყოფიერება", აზროვნება, როგორც ჭეშმარიტების შემეცნების იარაღი, როგორც ობიექტური სინამდვილის სუბიექტური სახე. თუ ლოგიკურ აზროვნებას წავართმევთ ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანს, მაშინ გაუგებარია, თ უ რ ა ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე შეიძლება განვასხვავოთ აზროვნება როგორც ფსიქოლოგიის ობიექტი და აზროვნება როგორც ლოგიკის ობიექტი. რა არის „ლოგიკური გამომდინარეობა" თავისი წესებითა და კანონებით, თუ არ საგანთა ურთიერთობის გამოხატულება, თუ არ შემეცნების განვითარების ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში გამომუშავებული და განმტკიცებული ზოგადი ფორმა, რომელშიც აისახება საგანთა ურთიერთკავშირი და „ურთიერთგამომდინარეობა"? ეს კი ნიშნავს, რომ „ლოგიკური" აზროვნების კანო-

ნები სინამდვილესთან შემეცნებით მიმართებაში მყოფი აზროვ-ნების კანონებია და, მაშასადამე, — ეს ტავტოლოგიაცაა, — იმ აზ-როვნების კანონებია, რომლის ძირითად ნიშანს ჭეშმარიტება-მცდარობა წარმოადგენს. „არა ფსიქოლოგია, არა სულის ფენო-მენოლოგია, არამედ ლოგიკა=საკითხი ჭეშმარიტების შესახებ“,[3] ამბობს ვ. ი. ლენინი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ცნებები „ფსიქოლოგიური“ და „სუბიექტური“ არ არის ერთიდაიგივე. მათი გაიგივება ფსიქო-ლოგიზმის თავისებურ გამოვლინებას წარმოადგენს. თუ „ფსიქო-ლოგიური“ იგივეა, რაც „სუბიექტური“ და „სუბიექტური“ იგივე, რაც „ფსიქოლოგიური“, მაშინ ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის განსხვავება აუცილებლად მოიხოვს ლოგიკურის „ონტოლოგი-ზაციას“.

* * *

რა კუთხითაც ლოგიკა იღებს და განიხილავს აზროვნებას მთლიანად, იმავე კუთხით იღებს და განიხილავს ის, აგრეთვე, აზროვნების ერთ-ერთ ფორმას, მსჯელობას.

მსჯელობა გარკვეული ფაქტია. მსჯელობა რომ ფაქტი არ იყოს, უაზრობა იქნებოდა მის შესახებ თეორიის შექმნა ლოგიკა-ში. მსჯელობის ლოგიკური თეორია, ისევე როგორც ყოველი თე-ორია, ყოველი მეცნიერება. ყოველი შემეცნება, გულისხმობს მი-სი საგნის ფაქტიურ არსებობას. მსჯელობის მეცნიერული თეო-რია იმიტომ არის შესაძლებელი, რომ არსებობს მსჯელობა, რო-გორც სინამდვილის გარკვეული ფაქტი, რომელიც შესწავლილ უნდა იქნეს.

რამდენად გამართლებულია ლაპარაკი „ლოგიკური ფაქტის“ შესახებ? ფილოსოფიის ისტორიიდან ცნობილია თვალსაზრისი, რომელიც უარყოფს ლოგიკური აზროვნების მიმართ „ფაქტის“ ცნების გამოყენებას. ფაქტი შეიძლება იყოს ფიზიკური ან ფსი-ქიკური (მაგ., მსჯელობის აქტი, როგორც განცდა), მაგრამ არა ლოგიკური. ლოგიკური კი არ არსებობს, არამედ „მნიშვნელობს“. მართლაც, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ შემდეგი სა-ბუთი: თუ ვილაპარაკებთ ლოგიკურის არსებობის შესახებ, მაშინ აზრი ეკარგება აზრისა და არსის განსხვავებას, ეს განსხვავება კი

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 172.

აუცილებელია გნოსეოლოგიურ-ლოგიკურ ასპექტში. ამ განსხვავების გარეშე გნოსეოლოგია და ლოგიკა გააუქმებდა თავის თავს, რადგან დაკარგავდა თავის სპეციფიკურ საგანს. აზრი ლოგიკურად არსის შეგნებაა და მხოლოდ ამდენად გამოიყოფა, როგორც კვლევის სპეციფიკური ობიექტი გნოსეოლოგიისა და ლოგიკისათვის. აზრის გარეშე გაუქმებული აღმოჩნდება არსისა და აზრის ურთიერთობის თვით ფილოსოფიური პრობლემა: აზრი იქცევა კერძო მეცნიერების ფსიქოლოგიის კვლევის ობიექტად. ლოგიკისათვის კი აზრი სწორედ ისაა, რაც არაა არსი, რაც არაა ფაქტი, არამედ ასახავს მას, თვითონ მას კი არ მიეწერება „არსებობა".

ეს რთული საკითხია; მაგრამ ზემოთ მოყვანილ საბუთს შეიძლება დაუპირისპიროთ შემდეგი მოსაზრება: 1) „ფაქტი" შედარებითი ცნებაა, სავალდებულო არ არის ვიგულისხმოთ მის ქვეშ მხოლოდ გრძნობადი ან დროსა და სივრცეში არსებობა. „ლოგიკური ფაქტი", ცხადია, ამ ნიშნებით არ ხასიათდება. 2) ლოგიკური აზრი ფაქტის ასახვაა, მაგრამ ეს ასახვაც ფაქტია. ჩვეულებრივ კანონიერად ითვლება ლაპარაკი იმის შესახებ, არის თუ არა ფაქტი რაიმეს ასახვა. მეტიც: კანონიერი და მიღებულია ლაპარაკი მეცნიერების ფაქტის შესახებ. მაგ., ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, დღეს ფაქტია, ე. ი. არსებობს, მაგრამ იყო დრო, როცა იგი არ არსებობდა. 3) როგორ არის შესაძლებელი მეცნიერება, რომლის საგანი „არ არსებობს"? ლოგიკის მეცნიერება იმიტომ არის შესაძლებელი, რომ არსებობს ლოგიკური აზროვნება, მსჯელობის თეორია იმიტომ არის შესაძლებელი, რომ არსებობს მისი საგანი, ე. ი. მსჯელობა, როგორც ლოგიკური ფაქტი. 4) თუ ლოგიკა, როგორც მეცნიერება, კანონიერია, მაშინ უნდა განვასხვავოთ მისი საგანი და ამ საგნის ლოგიკური თეორია. ლოგიკური აზროვნება ლოგიკის მეცნიერების პროდუქტი კი არ არის, არამედ არსებობს მიუხედავად იმისა, შემეცნებულია თუ არა იგი ვინმეს მიერ. მსჯელობა ფაქტის ასახვაა, მაგრამ თვითონ მსჯელობის თეორია ხომ ამ ასახვას იხდის კვლევის საგნად. თვითონ მსჯელობის თეორია არის თუ არა ასახვა? ვინც მსჯელობის ლოგიკურ თეორიას აღიარებს, ის უკვე ანსხვავებს ერთმანეთისაგან მსჯელობას, როგორც ფაქტს და ლოგიკის თეორიას ამ ფაქტის შესახებ, მის „შეგნებას". მაშასადამე, ის უკვე იყენებს „ლოგიკური ფაქტის" ცნებას. 5) თუ იმას ვიტყვით, რომ ლოგიკური მსჯელობა არის არა ფაქტი, არამედ ფაქტის შ ე გ ნ ე ბ ა, განუსაზღვრელი რჩება სპეციფიკურ-ლოგი-

კური ობიექტი, რადგან მსჯელობა როგორც შეგნება (ე. ი. როგორც სუბიექტის გარკვეული მდგომარეობა), ფსიქოლოგიის საგანია.

მსჯელობის ლოგიკური თეორიის ამოცანაა გაარკვიოს მსჯელობა როგორც ობიექტური საგნის სუბიექტური სახე. ამით განსხვავდება მსჯელობის ლოგიკური თეორია ფსიქოლოგიურისაგან. ფსიქოლოგიას მსჯელობა აინტერესებს, როგორც სუბიექტის განცდა, იმ ფსიქიკური პროცესების მიხედვით, რომლებიც თან ახლავს მსჯელობის აქტს.

ტრადიციულად ცნობილია, რომ მსჯელობას თავისებური კუთხით გახიხილავს ფსიქოლოგიაც. ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ასახელებენ მთელ რიგ ნიშნებს მსჯელობის ლოგიკური და ფსიქოლოგიური თეორიების განსხვავების მიზნით[4].

ა) ფსიქოლოგია მსჯელობას (და საერთოდ აზროვნებას) განიხილავს მისი ბუნებრივი სახით, როგორც არსებულ ფაქტს, მის „ბუნებრივ მიმდინარეობაში", ლოგიკა კი არკვევს, თუ როგორი უნდა იყოს იგი, რათა გამოგვადგეს ჭეშმარიტების შემეცნების საშუალებად. „მსჯელობა, როგორც ის არის" და „მსჯელობა, როგორც ის უნდა იყოს", — ასეთია თითქოს ორი ასპექტი, რომელსაც ემყარება ფსიქოლოგიისა და ლოგიკის განსხვავება მსჯელობის თეორიაში. ეს თვალსაზრისი მიუღებელია. მეცნიერება არ შეიძლება ნორმატიულ ხასიათს ატარებდეს. ლოგიკა თეორიული მეცნიერებაა. აზროვნების ე. წ. ლოგიკური ნორმები გამომდინარეობს მისი ფაქტიური ბუნებიდან. ლოგიკის მეცნერება კი არ ჰქმნის, არამედ ასახავს თავისი საგნის, ე. ი. აზროვნების, კანონზომიერებას. ხოლო თუ „უნდა" მსჯელობის აუცილებელ ბუნებას გამოხატავს, მაშინ ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერებას, რა რჩება შესასწავლი თვით მსჯელობაში? თავისთავად სწორია დებულება, რომ ლოგიკა მსჯელობას (და საერთოდ აზროვნებას) განიხილავს ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით, ხოლო ფსიქოლოგიისათვის, გარკვეული აზრით, მნიშვნელობა არა აქვს ჭეშმარიტისა და მცდარის განსხვავებას, აზრი მას არ აინტერესებს ამ მიმართებაში; მაგრამ, ჯერ ერთი, თეორიულისა და ნორმატიულის დაპირისპი-

[4] ჩვენს მიზანს არ შეადგენს გავარკვიოთ არსებითი შინაარსი ისეთი ურთულესი ცნებებისა, როგორიცაა «ფსიქოლოგიური» ან «ლოგიკური». ჩვენი მიზანია გარკვეული ინტერპრეტაცია მივცეთ ცნობილ დებულებას: «მსჯელობა არის აზროვნების ლოგიკური ფორმა». რას ნიშნავს ეს? როგორ ისმება მსჯელობის პრობლემა ლოგიკაში?

რების თვალსაზრისი ამ დებულებაზე არ დაიყვანება, მეორეც. არსებითია თვით ჭეშმარიტება-მცდარობის გარჩევის კრიტერიუმი, ასეთი კრიტერიუმი იკარგება, თუ ლოგიკური „უნდა“ („ნორმა“) აზროვნების ფაქტიურ ბუნებას არ ემყარება.

ბ) ფსიქოლოგიამ მსჯელობა (და საერთოდ აზროვნება) უნდა შეისწავლოს როგორც პ რ ო ც ე ს ი, ლოგიკა კი იღებს მას პროცესის გარეშე[5]. უფრო ზუსტად: ფსიქოლოგია იკვლევს მსჯელობის გენეზისს, მისი წარმოშობის პროცესს, ლოგიკა კი აბსტრაქციას აღენს მსჯელობის ამ მხარეებისაგან და ახასიათებს მას, აღებულს „მზა სახით“, ასე ვთქვათ, როგორც „პროცესის“ შედეგს. ეს თვალსაზრისი წინასწარ აიგივებს „პროცესს“ ფსიქოლოგიურ პროცესთან[6]. მაგრამ რატომ არ შეიძლება ლაპარაკი ლ ო გ ი კ უ რ ი პ რ ო ც ე ს ი ს შესახებ? მსჯელობაში ადგილი აქვს პიროვნების განცდის გარკვეულ პროცესს, მაგრამ მსჯელობა პროცესია ლოგიკური თვალსაზრისითაც, იგი გულისხმობს, მაგ., გარკვეულ აზროვნებით მოძრაობას სუბიექტიდან პრედიკატისაკენ. გარდა ამისა, „აზროვნებითი ოპერაციისა“ და „ფსიქოლოგიური აქტის“ გაიგივება არაფრით არ არის გამართლებული. ასე რომ იყოს ლოგიკური პრობლემატიკიდან უნდა ამოგვეღო განზოგადების, ანალიზის, სინთეზის და ა. შ., ოპერაციები ანუ პროცესები.

---

[5] უკანასკნელ პერიოდში ამ თვალსაზრისს იცავდა ცნობილი საბჭოთა ფსიქოლოგი ს. ლ. რუბინშტეინი. რუბინშტეინი განსხვავებს აზროვნებას, როგორც პ რ ო ც ე ს ს და აზროვნების, როგორც პროცესის პ რ ო დ უ ქ ტ ებ ს, როგორიცაა ცოდნა, ცნებები, და ა. შ. აზროვნების პროცესი და მისი შედეგები, რა თქმა უნდა, ურთიერთკავშირში არიან, წერს ის, მაგრამ მათი განსხვავებაც აუცილებელია ფსიქოლოგიისა და ლოგიკის საკვლევი ობიექტების გასარჩევად: «Основной способ существования психического — существование его в качестве процесса. В соответствии с этим о с н о в н ы м п р е д м е т о м п с и х о л о г и ч е с к о г о исследования мышления я в л я е т с я м ы ш л е н и е и н д и в и д а к а к п р о ц е с с, который стоит за всеми результатами мыслительной деятельности и приводит к ним» (იხ. «Вопросы философии, 1957, №5, с. 103-104).

[6] «Но «процесс» есть психологическое, а не логическое понятие, и о нем не следует говорить, если мы рассматриваем доказательства и умозаключения с логической точки зрения, потому что логика рассматривает все умозаключения и составленные из них доказательства в г о т о в о м виде и поэтому отвлекается от тех процессов, с помощью которых возникают умозаключения и доказательства. Изучение тех процессов мышления, которые происходят при доказательствах, составляет задачу психологии, а вовсе не логики.» (А. И. Введенский, Логика, как часть теории познания. Петр., 1917, с. 266).

გ) მსჯელობის თეორიაში ფსიქოლოგიური და ლოგიკური მომენტების განსხვავების მიზნით არსებობს ასეთი თვალსაზრისიც: ფსიქოლოგია მსჯელობას (და აზროვნებას) განიხილავს, როგორც ემპირიულ-სულიერ პროცესს, როგორ განიცდება იგი ამა თუ იმ პიროვნების მიერ, ამა და ამ დროს, ამა და ამ ვითარებაში. მსჯელობის ლოგიკური თეორია კი აბსტრაქციას ახდენს კონკრეტული პიროვნებისა, დროისა და ვითარებისაგან და იღებს მსჯელობას ზოგადად, იმ კერძო შემთხვევითობათა გარეშე, რაც თან ახლავს ცალკეულ მსჯელობებს. თუ დავაკვირდებით, ფსიქოლოგიისა და ლოგიკის განსხვავება ამ შემთხვევაში დაფუძნებულია მსჯელობებში კერძოსა და ზოგადის განსხვავებაზე. მაგრამ ამ საფუძველზე ორი მეცნიერების განსხვავება უაზრობაა. ყოველ მეცნიერებას აქვს თავისი კერძო და თავისი ზოგადი. ფსიქოლოგია არის მეცნიერება არა ამა თუ იმ კერძო სუბიექტის შესახებ, არა ე. წ. „ემპირიული" სუბიექტის შესახებ, არამედ ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შესახებ ზოგადად[7]. თუ ის თავის კვლევის საგნად აქცევს მსჯელობას (და აზროვნებას), — მისი მოძღვრებაც ამ მხრივ მსჯელობის ზოგადი თეორია იქნება და არა ცალკეული სუბიექტის ცალკეულ მსჯელობათა წარმოშობისა და განცდის ანალიზი.

მსჯელობა საგნის ასახვაა, მსჯელობის ლოგიკური თეორიაც საგნის ზოგად-ფილოსოფიურ თეორიაზე უნდა იქნეს დაფუძნებული. მსჯელობის ლოგიკური ბუნება და თავისებურებანი განხილული და გაგებული უნდა იქნეს თვით ობიექტური საგნის ბუნებაზე დაყრდნობით, მის საფუძველზე[8]:

ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით, ლოგიკა მსჯელობას განიხილავს ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით. მსჯელობის როგორც ლოგიკური ფაქტის, არსებითი ნიშანს წარმოადგენს ჭეშმა-

---

[7] ფსიქოლოგია სწავლობს არა ამა თუ იმ ცალკეული ადამიანის, ივანეს, პეტრეს და ა. შ. პიროვნებას, არამედ პიროვნებას როგორც ასეთს, პიროვნებას ზოგადად. ამ მხრივ პიროვნების ცნება ისევე ზოგადია, როგორც, მაგ., თვით «ადამიანის» ცნება.

[8] მსჯელობისა და საგნის სრული გათიშვის მაგალითს იძლევა ნეოპოზიტივიზმი: «Предложения логики суть тавтологии. Предложения логики, следовательно, ничего не говорят (Они являются аналитическими предложениями)» (Л. В и т г е н ш т е й н, Логико-философский трактат, 1958, с. 83). «Тавтология и противоречие—не образы действительности. Они не изображают никакого возможного положения вещей»... (იქვე, გვ. 59).

ᲘᲢᲔᲑᲐ-ᲛᲪᲓᲐᲠᲝᲑᲐ. ᲐᲛ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲣᲗᲘᲗ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲚᲝᲒᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ Ე. Წ. ᲡᲘᲡᲬᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲡ ᲓᲐ ᲚᲝᲒᲘᲙᲐᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲘᲡᲬᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲝᲡ ᲔᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲮᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ-ᲛᲪᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ. ᲡᲘᲡᲬᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲖᲔ, ᲐᲡ ᲔᲙᲐᲠᲒᲔᲑᲐ ᲐᲖᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ. ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲮᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲐᲜ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲬᲧᲐᲠᲘ ᲐᲜ ᲐᲠᲐᲡᲬᲠᲘ. ᲮᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ-ᲛᲪᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲨᲘᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲐ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲘᲔᲠ: „ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐ, ᲮᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲐᲜ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ“. ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲗᲕᲘᲗ ᲮᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ-ᲛᲪᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲒᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲒᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓᲐᲪ — ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲮᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ-ᲛᲪᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲗᲣ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐ, — ᲗᲕᲗ ᲔᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲒᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲔᲑᲝᲑᲡ ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ, ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲝᲒᲘᲙᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ, ᲒᲐᲐᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ. ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘᲗ, ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲫᲚᲔᲕᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲠᲦᲕᲔᲚᲔᲚ ᲡᲘᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡ.

ᲚᲝᲒᲘᲙᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲝᲡ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲗᲐᲗᲐ ᲙᲝᲚᲝᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲠᲐᲕᲚᲔ, ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲗᲐᲗᲐ, ᲘᲡᲔ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲒᲘ, ᲠᲐᲪ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲣᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲐ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲗᲣᲘᲛ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲣᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲡᲘᲛᲠᲐᲕᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ. ᲘᲪᲕᲚᲔᲕᲡ ᲠᲐ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ, ᲚᲝᲒᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲐᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲡ, ᲖᲝᲒᲐᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲡ, ᲠᲐᲪ ᲛᲔ-

ორდება ჩვეულებრივი ცნობიერებისა და მეცნიერების ცალკეულ მსჯელობათა უსასრულო სიმრავლეში.

მსჯელობის ლოგიკური თეორია არ შეიძლება აშენდეს რომელიმე ცალკეული მეცნიერების, მაგ., მათემატიკის, ფიზიკის და ა. შ. კერძო მსჯელობათა შესწავლის საფუძველზე. მსჯელობის ლოგიკური თეორიის არსებითი თავისებურებაა მისი ზოგადი ხასიათი, რომელსაც ძალა აქვს არა მხოლოდ ამა თუ იმ კერძო მეცნიერების ფარგლებში, არამედ ყველა მეცნიერების ყველა მსჯელობისათვის. მეცნიერება არ არსებობს მსჯელობის გარეშე. ყველა მეცნიერება მიმართავს მსჯელობას, როგორც თავისი საკვლევი საგნის ასახვის თავისებურ ფორმას, ყველა მეცნიერება, მაგ., მათემატიკა, ფიზიკა, პოლიტეკონომია და ა. შ., იმუშავებს და ჩამოაყალიბებს მისი საგნის შესაფერის მსჯელობებს. მაგრამ არც ერთი მათგანი არ იკვლევს იმას, თუ რა არის თვითონ მსჯელობა, როგორია მისი ბუნება, რაში მდგომარეობს მისი არსება. ეს არის ზოგადი, ე. ი. ფილოსოფიური მეცნიერების—ლოგიკის ამოცანა.

მსჯელობის ლოგიკური თეორია იმიტომ არის შესაძლებელი, რომ მსჯელობათა პრაქტიკულად დაუსრულებელ სიმრავლესა და მრავალფეროვნებაში არსებობს გარკვეული ზოგადი მხარე, ზოგადი ნიშნები და თავისებურებანი, რომელიც მეორდება მათში.

ავიღოთ, მაგ., მსჯელობები:

1) 2. 2=4.

2) რკინა ელექტრობას ატარებს.

3) ადამიანი მოკვდავია.

4) საქონელს ახასიათებს სახმარი ღირებულება.

ისინი სრულიად სხვადასხვა მეცნიერებებს ეკუთვნიან. პირველი მათგანი მათემატიკის მსჯელობაა, უკანასკნელი — პოლიტეკონომიის და ა. შ., მაგრამ სხვადასხვა მეცნიერების ამ მსჯელობებს ის ზოგადი მხარე ახასიათებს, რომ თვისობრივი განსხვავების მიუხედავად, ყველა მათგანი მაინც მსჯელობას წარმოადგენს. ლოგიკა ჰქმნის მსჯელობის სწორედ უზოგადეს თეორიას, რომლისთვისაც ცალკეულ მეცნიერებათა ცალკეული მსჯელობის ყველა შემთხვევა მაგალითს წარმოადგენს და არა სპეციალური კვლევის საგანს. ლოგიკას არ შეუძლია და არც ევალება შეისწავლოს ცალკეული მსჯელობები, რომლებიც კერძო მეცნიერებათა კომპეტენციას ეკუთვნიან. ეს თვით ამ მეცნიერებათა საქმეა, მათ უნდა ახსნან კერძო მსჯელობათა აზრი, მისი ჭეშმარიტება-მცდარობა და

ა. შ. ლოგიკა კი იღებს მსჯელობას ზოგადად და განიხილავს მას ზოგადად ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, მიუღებელია ის აზრი, თითქოს მსჯელობის განხილვა ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით ლოგიკას აკისრებს შეუძლებელ ამოცანას კერძო მსჯელობათა ჭეშმარიტება-მცდარობის გარკვევის შესახებ. გარკვევა, მაგ., იმისა, ატარებს თუ არა რკინა ელექტრობას, ჭეშმარიტია თუ არა მსჯელობა ადამიანის მოკვდავობის შესახებ და ა. შ., ლოგიკის ამოცანას არ წარმოადგენს. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ლოგიკას უფლება არა აქვს განიხილოს მსჯელობა ზოგადად, მის მიმართებაში ობიექტურ საგანთან, ე. ი. განიხილოს ის ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით.

ამის საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, თვითონ არის ლოგიკურად ყალბი და გაუმართავი. მართლაც, რაში მდგომარეობს ამ არგუმენტის აზრი? ლოგიკის საგანი არ არის მსჯელობის განხილვა ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით, რადგან ლოგიკას არ შეუძლია თავისი რესურსებით კერძო მსჯელობათა ჭეშმარიტება-მცდარობა დაადგინოსო. ამ დებულების მეორე ნაწილი სწორია: ლოგიკას არ შეუძლია კერძო მსჯელობათა ჭეშმარიტება-მცდარობა დაადგინოს. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ლოგიკას არა აქვს უფლება განიხილოს მსჯელობა ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით. ამ არგუმენტის ავტორები „მსჯელობის“ ცნებას იღებენ ზოგადად, ხოლო „ჭეშმარიტება-მცდარობის“ ნიშანს — მისი კერძო შინაარსების სახით. ამ შემთხვევაში მართლაც იბადება სიძნელე. მაგრამ ეს სიძნელე ხელოვნურად იქნა გამოწვეული. იგი მაშინვე ისპობა, როგორც კი ჩვენ „ჭეშმარიტება-მცდარობის“ ნიშანს ავიღებთ ისევე ზოგადად, როგორც თვით „მსჯელობის“ ცნებას ვიღებთ. კერძო მსჯელობას კერძო შინაარსი აქვს, ის აი ამ ვითარებას ასახავს, მაგრამ ზოგად მსჯელობას ზოგადი შინაარსი აქვს, ის რაღაც ზოგად ვითარებას ასახავს. ხოლო მსჯელობას ზოგადად, როგორც ლოგიკის კვლევის ობიექტს, ჭეშმარიტება-მცდარობის ასევე ზოგადი ნიშანი მიეწერება და არა რაიმე კერძო სახის ჭეშმარიტება, რომ, მაგ., ივანე მოკვდავია, რკინა ელექტრობას ატარებს და ა. შ. მსჯელობის განხილვა ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით აუცილებელია უკვე იმის შემდეგ, როცა მიღებულ იქნა ზოგადი განსაზღვრება: „მსჯელობა არის აზრი, ჭეშმარიტი ან მცდარი“. ეს

განსაზღვრება ხომ ლოგიკური განსაზღვრებაა? იგი ხომ მსჯელობის, როგორც ლოგიკური ფორმის, განსაზღვრებაა? განსაზღვრება კი საგნის არსებით ნიშანს ასახელებს. მაშასადამე, ამ განსაზღვრების ძალით მჯელობის, როგორც ლ ო გ ი კ უ რ ი ფორმის, არსებით ნიშნად ჭეშმარიტება-მცდარობა არის აღიარებული. ამის შემდეგ უკვე გვიანაა იმის თქმა, რომ ლოგიკას მსჯელობა არ აინტერესებს ჭეშმარიტება-მცდარობის, ე. ი. მისი არსებითი ნიშნის მიხედვით.

არსებობს კერძო მსჯელობათა უდიდესი სიმრავლე. თითოეული მათგანი ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით ხასიათდება. „ივანე არის ადამიანი", „ცხენი არის ცხოველი", „დაფა შავია" და ა. შ. რა კერძო შემთხვევაც არ უნდა ავიღოთ მსჯელობისა — იგი გარკვეულ საგნობრივ ვითარებას გამოხატავს, ჭეშმარიტია ან მცდარი. ლოგიკის საგანი, რა თქმა უნდა, არ არის დაადგინოს კერძო მსჯელობათა ჭეშმარიტება-მცდარობა. ლოგიკა განყენებას ახდენს კერძო მსჯელობათა ამ სიმრავლიდან და იღებს მსჯელობას როგორც ასეთს, ზოგადი ფორმით. მაგრამ შეიძლება ∫ოუ არა ეს ზოგადი დავუპირისპიროთ კერძო მსჯელობათა სიმრავლეს ჭეშმარიტება-მცდარობის მხრივ? ეს ზოგადი ხომ არ არის თავისთავადი მოელენა, რომელიც კერძო მსჯელობათა სიმრავლის გარეშე ან დამოუკიდებლად არსებობს? იგი ხომ თვით კერძო მსჯელობათა სიმრავლეში, მათი სახით ხორციელდება და არსებობს. ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით მისი დაპირისპირება კერძო მსჯელობათა სიმრავლისადმი ყალბია იმიტომ, რომ ∫თვითონ იგი (ეს ზოგადი) სწორედ კერძო მსჯელობათა ზოგადი ნიშანია და მათგან არის განყენებული. მას შემდეგ, რაც მსჯელობის ზოგადლოგიკური თეორია თავისი წარმოშობით დავალებულია კერძო მსჯელობათა სიმრავლისაგან, უკვე დაგვიანებულია მისი დაპირისპირება კერძო მსჯელობათა სიმრავლისადმი. თუ მსჯელობის ყველა კერძო შემთხვევა ხასიათდება ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით, ცხადია (ეს ტავტოლოგიაცაა) მსჯელობა, აღებული ზოგადად, როგორც ლოგიკური ფაქტი და ლოგიკის შესწავლის საგანი, აგრეთვე ხასიათდება ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით.

ამბობენ, რომ ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი კერძო მსჯელობებისათვის არის დამახასიათებელი და იგი არ მიეწერება მსჯელობას, როგორც აზროვნების ლოგიკურ ფორმას. ჭეშმარიტი ან მცდარი შეიძლება იყოს ცალკეული მსჯელობა, მაგ., ივანე მოკვ-

დავია, სოკო მცენარეა და ა. შ., მაგრამ არა მსჯელობა, როგორც ასეთი, მისი ზოგადი ფორმით. ამ თვალსაზრისის დამცველს უნდა ეკითხოთ: მსჯელობა ზოგადად ხომ არ არსებობს ცალკეულ მსჯელობათა სიმრავლის გარეშე? ასეთი „ზოგადი მსჯელობა", აბსტრაქტული სახით, ისევე არ არსებობს, როგორც არ არსებობს „ზოგადი ადამიანი" ცალკეულ ადამიანთა სიმრავლის გვერდით. „მსჯელობა ზოგადად", რომლის შესახებაც ლოგიკა ლაპარაკობს, კერძო მსჯელობათა სიმრავლიდან არის განყენებული მეცნიერული განზოგადოების საფუძველზე. ლოგიკური განსაზღვრება: „მსჯელობა არის აზრი, ჭეშმარიტი ან მცდარი" — ეხება სწორედ მსჯელობას, როგორც ასეთს, მისი ზოგადი ფორმით, და არა კერძო მსჯელობათა სიმრავლეს ცალ-ცალკე. როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისი ემყარება ან ზოგადის ნომინალისტურ უარყოფას საერთოდ, ან ცალკეულისა და ზოგადის მეტაფიზიკურ მოწყვეტას ერთმანეთისაგან.

გარდა ამისა, აღნიშნული თვალსაზრისი წანამძღვრად გულისხმობს ვარაუდს, თითქოს, არ შეიძლება ვილაპარაკოთ მსჯელობის შინაარსის ჭეშმარიტება-მცდარობაზე ზოგადად: ჭეშმარიტი ან მცდარი შეიძლება იყოს მხოლოდ კონკრეტული შინაარსი. მაგრამ კონკრეტული და ზოგადი შინაარსების ამგვარი განსხვავება უსაფუძვლოა. თუ არსებობს მსჯელობის ზოგადი შინაარსი (ამის უარყოფა შეუძლებელია, თუ მსჯელობის მეცნიერული თეორიის კანონიერებას ვაღიარებთ!), მაშინ იგი ისევე ხასიათდება ჭეშმარიტება-მცდარობის ხიშხით, როგორც რომელიმე ცალკეული მსჯელობის კერძო შინაარსი. ჭეშმარიტება-მცდარობა აზრის (სულ ერთია, ზოგადია თუ კერძო მისი შინაარსი) ობიექტურ საგანთან მიმართებაში დგინდება და ამ მხრივ ზოგადისა და კერძოს განსხვავებას მსჯელობის თეორიაში არავითარი გამართლება არ მოეპოვება. ავიღოთ ე. წ. კერძო შინაარსის მქონე მსჯელობები: სოკრატე მოკვდავია, ივანე მოკვდავია, პეტრე მოკვდავია და ა. შ. თითოეული მათგანი ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით ხასიათდება. თუ ამ კერძო შინაარსების გარკვეულ განზოგადოებას მოვახდენთ, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ზოგად მსჯელობა: „ადამიანი მოკვდავია". ეს მსჯელობა უფრო ზოგადი შინაარსით ხასიათდება, ვიდრე ზემოთ მოყვანილი მსჯელობები. მაგრამ ამის გამო ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ მან დაკარგა ჭეშმარიტება-მცდარო-

ჩის ნიშანი[9]. ჭეშმარიტება-მცდარობის პრობლემა კერძოსა და ზოგადის ურთიერთობაში არც ისმება და არც წყდება.

ავიღოთ, მაგ., მსჯელობის ზოგადი სტრუქტურის გამომხატველი ცნობილი სქემა: „S არის (არ არის) P". კერძო მსჯელობათა ანალიზის საფუძველზე ლოგიკის მეცნიერება ამ სქემაში განზოგადოების უმაღლეს ხარისხს აღწევს და მსჯელობათა უსასრულო სიმრავლეს ამ ფორმით წარმოიდგენს. რაში მდგომარეობს მისი აზრი? „მსჯელობა ზოგადად არის სუბიექტის შესახებ პრედიკატის დასტური ან უარყოფა". თუ ჩვენ ლოგიკური ფორმის აპრიორობის, ან სხვა მის მსგავს თვალსაზრისს არ დავუშვებთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ამ უზოგადესი ფორმით ასახულია საგანთა გარკვეული ობიექტური ვითარება. იმის თქმა, რომ კერძო მსჯელობებს ახასიათებს სინამდვილის ასახვის ნიშანი, ხოლო მსჯელობას ზოგადად იგი არ მიეწერება, დაახლოებით იმას ნიშნავს, რომ ვინმე უარყოფდეს ანატომიის, როგორც მეცნიერების, ჭეშმარიტებას, რადგან ზოგადი, რომელსაც იგი ჩამოაყალიბებს, უშუალოდ არ ეხებოდეა ივანეს, პეტრეს, პავლეს და ა. შ. ანატომიას.

ამასთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს ე. წ. გნოსეოლოგიური და ლოგიკური მომენტების ურთიერთობა მსჯელობაში. არსებობს საკმაოდ გავრცელებული შეხედულება, თითქოს მსჯელობა შეიძლება განხილულ იქნეს ორი თვალსაზრისით — გნოსეოლოგიური და ლოგიკური თვალსაზრისით. ამ შეხედულებას თეორიული დასაყრდენი მისცა კანტმა და სწორედ კანტიდან იწყება გნოსეოლოგიურისა და ლოგიკურის მკვეთრი დაპირისპირება ერთმანეთისადმი. ამის მაგალითია კანტთან ასე თუ ისე დაკავშირებული ყოველი ლოგიკური თეორია. მეტიც, მისი თავისებური გამოძახილი ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ საბჭოთა ლოგიკურ ლიტერატურაშიც.

კანტი ორი ლოგიკის პრინციპს იცავს. კანტმა თვითონ შექმნა ორი ლოგიკა, რომელთაც სათანადოდ ის უწოდებს „ზოგად ლოგიკას" და „ტრანსცენდენტალურ ლოგიკას". პირველი არის მოძღვრება სისწორის შესახებ, მეორე კი ჭეშმარიტების შესახებ. პირველი ფორმალური ლოგიკაა, მეორე კი საგნობრივი ანუ გნო-

---

[9] სხვა საფუძველზე წყვეტს პრობლემას ნომინალიზმი, რომლის არსებას ზოგადის უარყოფა წარმოადგენს. ზოგადი არის მხოლოდ სახელი, ამბობენ ნომინალისტები: ე. წ. ზოგადი მსჯელობა სხვა არაფერია, თუ არა კერძო შინაარსების «შემოკლებული ჩანაწერი».

ლოგიური ლოგიკა. პირველი არ არის შემეცნების იარაღი, მისი წესებისა და კანონების დაცვა აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის ჭეშმარიტების მისაღწევად, მეორე კი შემეცნების იარაღია, მისი წესებისა და კანონების თანმიმდევრულ დაცვას ჭეშმარიტებამდე მივყევართ. ჩვენი მიზანი არ არის განვიხილოთ კანტის მოძღვრება ორი ლოგიკის ურთიერთობის შესახებ. აქ შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ ორი ლოგიკის კანტიანური პრინციპი სრულიად ხელოვნური და ყალბია. ეს ცხადი ხდება მსჯელობის თეორიის მაგალითზეც. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მათი ურთიერთობა ზოგადისა და კერძოს ურთიერთობაა. ეს ასეც უნდა იყოს, თუ მოვუძებნით გამართლებას იმ სახელწოდებას, რომელსაც „ტრანსცენდენტალური ლოგიკისაგან“ განსხვავებით კანტი აძლევს „ლოგიკას“: მას კანტი უწოდებს „ზოგად ლოგიკას“; მაგრამ რა საფუძველზე? „ზოგად ლოგიკას“ აზრი აქვს „არა-ზოგად“ ლოგიკასთან მიმართებაში. მაგრამ სრულიად დაუსაბუთებელია, თუ რატომ არის „ტრანსცენდენტალური ლოგიკის“ საგანი ნაკლებ ზოგადი, ვიდრე „ლოგიკის“ საგანი. როგორც ერთი, ისე მეორე იკვლევს ადამიანის აზროვნების ფორმებს. თვითონ კანტი მათი ურთიერთობის დახასიათების მიზნით ამბობს შემდეგს: ზოგადი ლოგიკა განიხილავს აზროვნების ფორმებს „წმინდა სახით“. რას ნიშნავს აზროვნების ფორმების განხილვა „წმინდა სახით“? კანტის აზრით ეს ნიშნავს განვიხილოთ ისინი საგანთან მიმართების გარეშე. „ტრანსცენდენტალური ლოგიკა“ კი აზროვნების ფორმებს განიხილავს საგანთან მიმართებაში, ე. ი. მათი ჭეშმარიტების თვალსაზრისით. დავუშვათ, რომ ეს განმარტება გასაგებია. მაგრამ იგი მიზანს ვერ აღწევს: გაურკვეველია მაინც თუ რატომ უნდა არსებობდეს ორი თეორია აზროვნების ფორმების შესახებ, ერთი „ლოგიკაში“, მეორე კი „ტრანსცენდენტალურ ლოგიკაში“. „ტრანსცენდენტალური ლოგიკა“ ხომ ცალკეულ მსჯელობათა კონკრეტულ შინაარსს არ იკვლევს? „ტრანსცენდენტალური ლოგიკაც“ აზროვნების ფორმების ზ ო გ ა დ ი თეორიაა.

მსჯელობასაც, როგორც აზროვნების ერთ-ერთ ფორმას, კანტი ორი თვალსაზრისით განიხილავს: „წმინდა-ლოგიკური“ ანუ ფორმალურ-ლოგიკური და გნოსეოლოგიური თვალსაზრისით. კანტი გამოდის იქიდან, რომ მსჯელობა ობიექტური საგნის ასახვა კი არ არის, არამედ ჩვენი გონების აპრიორული ფორმაა, რომე-

ლიც „იმთავითვე“ არსებობს საგნისაგან დამოუკიდებლად, როგორც თავისთავადი სინამდვილე[10].

მაგრამ ლოგიკის პრობლემის ამგვარ დაყენებას და გადაწყვეტას მარქსიზმში არ გააჩნია არავითარი საფუძველი და გამართლება. ასახვის პრინციპი უარყოფს მსჯელობის ორ თეორიას ერთმანეთის გვერდით, ცალკე გნოსეოლოგიაში და ცალკე ლოგიკაში; გნოსეოლოგიური და ლოგიკური მოცულობით არ ფარავენ ერთმანეთს, მაგრამ აზროვნების ფორმების სფეროში ისინი ემთხვევიან. ასევე, ლოგიკური და გნოსეოლოგიური ერთი და იგივეა მსჯელობის თეორიაში. რა საფუძველზე შეიძლება მათი განსხვავება?

დავუშვათ, რომ მსჯელობის ე. წ. გნოსეოლოგიური თეორია მსჯელობას ახასიათებს მის მიმართებაში ობიექტურ საგანთან, ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით, ხოლო ლოგიკა არ იხილავს მას ამ თვალსაზრისით. მაშინ ისმება კითხვა: რა პრობლემები რჩება მსჯელობის თეორიიდან ლოგიკისათვის? მსჯელობათა მიმართების საკითხები? მაგრამ, ჯერ ერთი, მსჯელობათა ურთიერთობაც საგანთა ურთიერთობას ასახავს, მეორეც, მსჯელობათა მიმართების საკითხი დასკვნის თეორიას წარმოადგენს და არა მსჯელობის თეორიას. მსჯელობის სტრუქტურის საკითხები? მაგრამ მსჯელობის სტრუქტურა ლოგიკისათვის საინტერესოა მხოლოდ იმ-

---

[10] უფრო შორს წავიდა ამ მხრივ თანამედროვე პოზიტივიზმი, რომლის თანახმად ლოგიკური წესები და კანონები განისაზღვრება: ა) არა ობიექტური სინამდვილით (მატერიალიზმი), ბ) არა ჩვენი ცნობიერების აპრიორული სტრუქტურით (ი. კანტი), გ) არა სუბიექტის შეგრძნებებით (კლასიკური იდეალისტური ემპირიზმი), არამედ... ენით, რომელსაც ირჩევს ლოგიკოსი! «ორი ურთიერთსაწინააღმდეგო წინადადებიდან ერთი ან მეორე უნდა იყოს მცდარი არა იმიტომ, რომ სამყარო ასეა მოწყობილი. ასეა იმიტომ, რომ ჩვენ ვაგებთ ჩვენს ენას ისე, რომ წინადადების შეთავსება მის საპირისპირო წინადადებასთან არ პოულობს გამოყენებას აღწერაში» (ა. აიერი). «სილოგიზმისა და სხვა ლოგიკური დასკვნების სისწორე დამოკიდებულია მთლიანად ლინგვისტურ წესებზე და არავითარ შემთხვევაში არაა დამოკიდებული «ფაქტებზე» (ა. რაპოპორტი). მაგრამ თვით ამა თუ იმ ენის არჩევა რაზეა დამოკიდებული? ეს მეცნიერთა შეთანხმების საქმეა («რაზეა დამოკიდებული ჭადრაკის თამაშის წესები?»). «ლოგიკაში არ არსებობს მორალი. ყველას შეუძლია ააგოს თავისი საკუთარი ლოგიკა, ე. ი. თავისი საკუთარი ფორმა ენისა, როგორც მას სურს» (რ. კარნაპი). «იგივეობის კანონში, წინააღმდეგობის კანონში, დასკვნის პრინციპებში, ლოგიკის ძირითად დებულებებში არაფერია შემეცნებული და ისინი არა ჭეშმარიტი, არამედ ნებისმიერად არჩეული დებულებებია» (ვ. კრაფტი).

დენად, რამდენადაც იგი საგანთა ობიექტური სტრუქტურის ასახვას წარმოადგენს ადამიანის აზროვნებაში. მსჯელობის სტრუქტურა" არ გაიგება საგანთან მიმართების გარეშე. იგი ხომ აზროვნების „აპრიორული" თავისებურება არ არის?!

რამდენადაც მსჯელობის მიმართ ჰეშმარიტებისა და სისწორის განსხვავებას აზრი არა აქვს, ცხადია, ამ საფუძველზე ლოგიკურისა და გნოსეოლოგიურის განსხვავება შეუძლებელი ხდება მსჯელობის თეორიაში. მსჯელობის არც გნოსეოლოგიური და არც ლოგიკური დახასიათება (ეს ერთი და იგივეა) არ შეიძლება ობიექტურ საგანთან მისი მიმართების გარეშე.

მაგრამ არსებობს თვალსაზრისი, რომელიც გნოსეოლოგიურისა და ლოგიკურის განსხვავებას სხვა საფუძველზე აფუძნებს მსჯელობის თეორიაში. მაგ., ამბობენ, რომ შემეცნების თეორიამ მსჯელობა უნდა განიხილოს მისი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი წარმოშობისა და განვითარების თვალსაზრისით, ლოგიკა კი არ განიხილავს მას ამ თვალსაზრისით, ამ კუთხით, ამ მხრიდან.

ეს თვალსაზრისი შემეცნების თეორიის, როგორც მეცნიერების, პრიმიტიულ და ყალბ გაგებას ემყარება. შემეცნების თეორია ისტორიის დარგი კი არ არის, რომელმაც აზროვნების ფორმების განვითარების ისტორია უნდა ჩამოაყალიბოს. მსჯელობას, ისევე როგორც აზროვნების დანარჩენ ფორმებს, თავისი ისტორია აქვს. მაგრამ გნოსეოლოგია, ისევე როგორც ლოგიკა, თეორიული მეცნიერებაა, რომელმაც უნდა ახსნას თავისი საგანი; ისტორია აუცილებელია ყოველი თეორიისათვის, მაგრამ იგი მასზე არ დაიყვანება. შემეცნების თეორია ისევე არ არის შემეცნების ისტორია, როგორც, მაგ., პოლიტიკური ეკონომია არ არის ეკონომიკურ ურთიერთობათა ისტორია. უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისის მომხრეები აზროვნების ფორმებს (მათ შორის მსჯელობას) ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ართმევენ გნოსეოლოგიას. მსჯელობა ზოგადად, როგორც აზროვნების ლოგიკური ფორმა, ლოგიკის მეცნიერების საგნად ცხადდება. რა რჩება გნოსეოლოგიას? ცალკეულ მსჯელობათა ისტორიული განვითარების პროცესი? მაგრამ გნოსეოლოგიისა და ლოგიკის განსხვავება ზოგადობის ხარისხით უაზრობაა. გნოსეოლოგია მსჯელობათა კონკრეტულ შინაარსს კი არ სწავლობს[11]; თუ

---

[11] ზოგჯერ ამბობენ, რომ გნოსეოლოგია მსჯელობას სწავლობს იმ მხრივ და იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს (ან შეიცავს) ცოდნას. მაგრამ რა იგულისხმება «ცოდნის» ქვეშ? მსჯელობათა კონკრეტული შინაარსი? მაგრამ ეს ხომ კერძო მეც-

გნოსეოლოგიას რაიმე საქმე აქვს მსჯელობასთან, მაშინ მისი მოძღვრება ზოგადობის ხარისხით როდი გაირჩევა ლოგიკისაგან. გნოსეოლოგიასაც საქმე ექნება მსჯელობასთან ზოგადად. თუ იმას ვიტყვით, რომ გნოსეოლოგიას საქმე აქვს მსჯელობასთან ზოგადად, მაგრამ მის მიმართებაში საგანთან, მაშინ საჭირო გახდება გავიხსენოთ ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის განსხვავება. ფსიქოლოგიურისაგან ლოგიკური სწორედ იმით გაირჩევა, რომ ის სწავლობს მსჯელობას, არა როგორც ფსიქიკურ მოვლენას, რომელიც თავისთავად სინამდვილის გარკვეული სახეა და, ამ აზრით, არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, არამედ — როგორც საგნის სურათს, საგნის ასახვას, ზოგად მიმართებაში საგანთან. ამ მხრივ მსჯელობის თეორიაში გნოსეოლოგიური და ლოგიკური ერთი და იგივეა, მათი განსხვავება შეუძლებელი ხდება.

ზემოთ მოყვანილი შეხედულების თანახმად შემეცნების თეორია მსჯელობას განიხილავს მისი ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, ხოლო ლოგიკა არ განიხილავს მას ამ თვალსაზრისით. მაშ, რა თვალსაზრისი რჩება მსჯელობაში ლოგიკისათვის? ამბობენ, რომ ლოგიკა მსჯელობას იღებს მისი მოცემული ფორმით, ასე ვთქვათ, სტატიკურ ასპექტში, ისტორიის გარეშე. ამრიგად, მსჯელობის თეორიაში გნოსეოლოგიურისა და ლოგიკურის განსხვავება დაფუძნებულია მისი დინამიკური და სტატიკური განხილვის განსხვავებაზე. ეს ორვალსაზრისი ემყარება ისტორიულისა და თეორიულის მეტაფიზიკური დაპირისპირების პრინციპს, რაც მიუღებელია განვითარების თეორიისათვის. საკმარისია გავიხსენოთ პრინციპული მნიშვნელობის დებულება იმის შესახებ, რომ თეორია არის ისტორია — აღებული ზოგადი ფორმით. მსჯელობის თეორია მსჯელობის ისტორიული განვითარების კანონზომიერებაზე შენდება. ისტორიული და ლოგიკური ასპექტი აქ არ ნაწილდება ორ სხვადასხვა მეცნიერებას შორის; ეს არის ერთიდაიგივე საგნის განხილვის ორი ასპექტი ერთი მეცნიერების ფარგლებში: ლოგიკური სხვა არაფერია, თუ არ ისტორიული, აღებული ზოგადი ფორმით.

მარქსისტულ ფილოსოფიას მსჯელობის ერთი მეცნიერული თეორია აქვს და არა ორი — ერთმანეთის გვერდით. ეს არის ერთ-

---

ნიერებათა სფეროს ეკუთვნის და როგორ შეუძლია გნოსეოლოგიას იკისროს ასეთი ამოცანა?!

დროულად გნოსეოლოგიური და ლოგიკური თეორია, ანუ გნოსეოლოგიურ-ლოგიკური თეორია.

მსჯელობა აზროვნების რთული და მრავალმხრივი ლოგიკური ფორმაა; სხვადასხვა მხრიდან მისი განხილვა ამ მხარეთა ერთიანობის დავიწყებას როდი მოითხოვს, ვინაიდან სწორედ ეს ერთიანობაა თვითონ მსჯელობა.

როგორ წარმოიშობა და ვითარდება ისტორიულად, როგორია მსჯელობის ისტორიული განვითარების ზოგადი კანონზომიერება? — ეს არის მსჯელობის გნოსეოლოგიურ-ლოგიკური თეორიის ერთი მომენტი. რას გულისხმობს იგი? მსჯელობის გნოსეოლოგიურ-ლოგიკური თეორიის ამოცანა არ არის შეისწავლოს, თუ როგორ იბადება და ვითარდება ესა თუ ის ცალკეული მსჯელობა, მსჯელობათა კერძო სახეები, რომლებიც ამა თუ იმ მეცნიერების ფიერ არის შემუშავებული და ჩამოყალიბებული. საუკეთესო შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს თვითონ ამათუიმ კერძო მეცნიერების ისტორიის საგანი. გნოსეოლოგია კი იღებს მსჯელობას ზოგადად და არკვევს, თუ რა საფუძველზე ჩნდება და ვითარდება იგი ისტორიულად. რა თქმა უნდა, მსჯელობის გნოსეოლოგიურ-ლოგიკური თეორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შევისწავლოთ აზროვნების განვითარების უძველესი ისტორიული პერიოდი, პირველყოფილი ხალხების აზროვნებისა და მსჯელობის თავისებურებანი; ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ მოზარდის აზროვნების განვითარების თავისებურებათა შესწავლას და ა. შ. მაგრამ ეს ყველაფერი გნოსეოლოგიურ-ლოგიკური თეორიისათვის მიზანი კი არ არის, არამედ მხოლოდ მასალაა თეორიული განზოგადებისა და დასკვნებისათვის. რა არის მსჯელობა, როგორც ასეთი? — აი რა წარმოადგენს თეორიული მეცნიერების, ე. ი. ლოგიკის განხილვის საგანს. იგი არ გულისხმობს „დინამიკურისა“ და „სტატიკურის“ დაპირისპირებას. თუ მსჯელობა ისტორიულად ვითარდება, ცხადია, ეს გარემოება კი არ უპირისპირდება, არამედ მომენტად შედის თეორიაში, რომელიც იძლევა პასუხს კითხვაზე: „რა არის მსჯელობა, როგორც ასეთი?“[12] მეორეს მხრივ, ე. წ. სრულყოფილი სტრუქ-

---

[12] სრული მეთოდოლოგიური შეცდომაა იმის მტკიცება, თითქოს ერთდაიგივე საგანს ერთი მეცნიერება განიხილავს მოძრაობაში, ხოლო მეორე—მოძრაობის გარეშე, უძრაობაში... ორი მეცნიერების ამ საფუძველზე განსხვავება ემყარება არსებობისა და მოძრაობის ყალბ დაპირისპირებას. მაგრამ მოძრაობა და არსებობა ერთმანეთის გვერდით საგნის სხვადასხვა მხარეზე როდი არის ჩამოკიდებული,

ტურული ანალიზი როდი გამორიცხავს საგნის განხილვას განვითარებაში. თუ სწორია შეცნიერული დიალექტიკის მეთოდოლოგიური მოთხოვნა ყოველი საგნის განვითარებაში განხილვის შესახებ, ცხადია, იგი მთლიანად შეეხება თვით ამ ფილოსოფიის საკუთარ ნაწილს, ე. ი. ლოგიკას და, მაშასადამე, მსჯელობის თეორიასაც.

დასკვნა

მსჯელობა არის აზროვნების ლოგიკური ფორმა, —ასეთია ზოგადი და გამოსავალი დებულება, რომელსაც ეთანხმება თითქმის ყველა, ვინც კი მსჯელობის ფაქტს ასე თუ ისე ეხება და აღიარებს. მაგრამ უთანხმოება და კამათი იწყება მაშინვე, როგორც კი დაისმის კითხვები: რა არის აზროვნება? რა არის ლოგიკური აზროვნება? რა არის ლოგიკური აზროვნების ფორმა?

საკითხის დასმის წესით ჩვენ განვიხილეთ ამ დებულების მხოლოდ ზოგადი შინაარსი, მისი გარკვეული ინტერპრეტაციის მიზნით. ამან მოითხოვა ისეთ კატეგორიათა გარჩევა, როგორიცაა „ლოგიკური“, „საგნობრივი“, „ფსიქოლოგიური“ და „გნოსეოლოგიური“. შეუძლებელია მსჯელობის პრობლემის სწორი დაყენება ლოგიკაში, თუ არ შევეხებით აღნიშნულ კატეგორიებს: რა ურთიერთობაა მათ შორის? ძირითადი და არსებითი ჩვენთვის იმის მტკიცებაა, რომ არ შეიძლება, ერთი მხრით, ტოლობის ნიშანი დავსვათ ლოგიკურსა და საგნობრივს შორის, მეორე მხრით, ლოგიკური გავიგოთ საგნობრივისაგან დამოუკიდებლად, მასთან მჭიდრო შინაგანი კავშირის გარეშე. ეს კავშირი და ერთიანობა გამოიხატება ლოგიკურის ჩვენი განსაზღვრებით, რომლის თანახმად ლ ო გ ი კ უ რ ი ა რ ი ს ა ს ა ხ ე ლ ი ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი. ამით განსხვავდება ის (ლოგიკური) ფსიქოლოგიურისაგან, რამდენადაც ფსიქოლოგია მსჯელობას განიხილავს პიროვნების განცდის თვალსაზრისით.

რაც შეეხება ლოგიკურისა და გნოსეოლოგიურის ურთიერთობას, გავრცელებულ შეხედულებათა კრიტიკული განხილვის საფუძველზე, ჩვენ ვასკვნით, რომ განვითარების თეორიის თვალსაზრისით არ არსებობს საფუძველი მსჯელობის გნოსეოლოგიური და ლოგიკური „მხარეების“ დაპირისპირებისა ან თვით განსხვავებისა-

---

რომელთა ცალ-ცალკე «ჩამოღება» შეიძლება მეორისათვის შეუხებლად: მოძრაობა არსებობის ფორმაა...

ხოვის: მსჯელობის თეორიაში (ისევე როგორც აზროვნების ლოგიკური ფორმების თეორიაში საერთოდ) გნოსეოლოგიური და ლოგიკური ერთი და იგივეა, ისინი ემთხვევიან.

გნოსეოლოგიურ-ლოგიკური სუბიექტის ცნება ახალი როდია, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მას ჩვენში არ ექცეოდა საკმაო ყურადღება. განსაკუთრებით გავრცელებულია „სუბიექტის" გაიგივება ფსიქოლოგიურ სუბიექტთან. მაგრამ მათ შორის ტოლობის ნიშნის გავლება სწორედ ფსიქოლოგიზმის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს. მათი გაიგივების შემთხვევაში ლოგიკურის განსხვავება ფსიქოლოგიურისაგან უცილობლად გამოიწვევს ლოგიკურის „ონტოლოგიზაციას". „სუბიექტი", საკუთარი აზრით, სპეციფიკურ-გნოსეოლოგიური კატეგორიაა, ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ ცნებას კი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ცნება წარმოადგენს.

თავი II

მსჯელობა და წინადადება

მსჯელობის თეორიის საგანია მსჯელობა, როგორც აზროვნების ლოგიკური ფორმა. მსჯელობის თეორია თავის ამოცანებს ვერ გადაწყვეტს, თუ მის წინაშე ნათლად და ზუსტად არ გამოიკვეთა ეს საგანი, თუ ის სათანადოდ ვერ შიჯნავს მას მოსაზღვრე მოვლენებისაგან, თუ ერევა ისინი ერთმანეთში. ამიტომ ზემოთ ჩვენ გავარჩიეთ ზოგადი აზრი დებულებისა: „მსჯელობა არის აზროვნების ლოგიკური ფორმა". ამან მოითხოვა მსჯელობის განხილვა ისეთ ასპექტებში, როგორიცაა: 1) ლოგიკური და ონტოლოგიური (საგნობრივი), 2) ლოგიკური და ფსიქოლოგიური, 3) ლოგიკური და გნოსეოლოგიური. მაგრამ პრობლემის სწორად წარმოდგენა შეუძლებელია, თუ არ იქნა გარკვეული მსჯელობის თეორიის კიდევ ერთი ასპექტი: ლოგიკური და გრამატიკული.

მსჯელობისა და წინადადების ურთიერთობის საკითხს, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი ისტორია აქვს ლოგიკაში; დიდი ყურადღება ექცევა მას ენათმეცნიერებაშიც. ჩვენ არ განვიხილავთ ამ ისტორიას. საინტერესოა აღინიშნოს მხოლოდ, რომ სიძნელე და გაურკვევლობა, რომელმაც ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არისტოტელეს მოძღვრებაში იჩინა თავი, სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა როგორც ლოგიკის, ისე ენათმეცნიერების მთელი ისტორიის შანძილზე და დღესაც მწვავე კამათისა და განხილვის საგანია.

მეცნიერებათა განსხვავების საფუძველი მათი ობიექტებია და არა სუბიექტის „თვალსაზრისი". ამიტომ ლოგიკური და გრამატიკული სათანადოდ უნდა გაიშიჯნოს ერთმანეთისაგან. ლოგიციზმი ისევე საზიანოა ენათმეცნიერებისათვის, როგორც გრამატიციზმი ლოგიკისათვის. ამის საილუსტრაციო მრავალ მაგალითს იძლევა ენათმეცნიერება. თავის მხრით, ლოგიკის ისტორიული განვითარე-

ბის გამოცდილებაც იმაზე მიუთითებს, რომ გრამატიციზმი შეცდომების მნიშვნელოვანი წყაროა ლოგიკის მეცნიერებისათვის. ლოგიკურისა და გრამატიკულის აღრევა მეტ-ნაკლებად ყოველთვის იჩენდა თავს წარსულშიც, მაგრამ გრამატიციზმმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღო თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში, რომლის წამყვანი მიმართულებანი აშკარად და შეგნებულად არიდებენ ლოგიკას აზროვნების სფეროს: ენის შესახებ მოძღვრებად აცხადებენ მას[1].

გრამატიციზმი მსჯელობის თეორიაში, ისევე როგორც ლოგიციზმი წინადადების თეორიაში, ძირათადად ელინდება ორ პუნქტში: 1) მსჯელობის ან წინადადების ზოგადი ბუნების გაგებაში და 2) მსჯელობის ან წინადადების ელემენტების გაგებაში. თუ ლოგიკოსი მსჯელობის თეორიაში ემყარება ლინგვისტურ კატეგორიებს, როგორიცაა წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი, არსებითი სახელი, ზმნა და ა. შ., მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს გრამატიციზმთან, ხოლო როცა ენათმეცნიერი წინადადების თეორიას აფუძნებს ლოგიკურ კატეგორიებზე, როგორიცაა მსჯელობა, სუბიექტი, პრედიკატი და ა. შ., — ეს ლოგიციზმია გრამატიკაში.

* * *

ენა და აზროვნება ადამიანთა საზოგადობრივი პრაქტიკის მოთხოვნილებათა საფუძველზე ერთად ჩაისახნენ და წარმოიშვნენ. ეს უბრალო დროითი დამთხვევა კი არ იყო, არამედ აქტიური ურთიერთზემოქმედების პროცესი: ენამ უდიდესი როლი შეასრულა აზროვნების წარმოშობისა და განვითარების საქმეში და პირიქით.

ენის არსებას შეადგენს მისი ე. წ. საკომუნიკაციო და ექსპრესიული ფუნქციები: 1) ენა არის ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, რომლითაც ადამიანები აზრებს უცვლიან და აგებინებენ

---

[1] «Alle sinnvollen philosophischen Probleme zur Syntax gehören», — წერდა რ. კარნაპი «სინტაქსის პერიოდში» («Logische Syntax der Sprache», 1934, S. 106). მთელი ფილოსოფია, მისი აზრით, დაიყვანება მეცნიერების ლოგიკაზე, ხოლო «Wissenschaftslogik ist Syntax der Wissenschaftssprache» (S. 207). ამავე დროს, «Reine und deskriptive Syntax ist nicht anderes als Mathematik und Physik der Sprache» (S. 210).

ერთმანეთს, 2) ენა არის აზროვნების „არსებობის ფორმა“, აზრის „უშუალო სინამდვილე“, რომელშიც ის „დაიმაგრება და ინახება“. ენის საშუალებით პიროვნებას ეძლევა არა მხოლოდ სხვა ადამიანის აზროვნება, არამედ თავისი საკუთარი აზროვნებაც. ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ისტორიულად, არამედ აზროვნების ყოველ ცალკეულ პროცესში ისინი დროით ერთმანეთს არ უსწრებენ, არ სცილდებიან.

ლოგიკური აზროვნება, როგორც ცნობილია, დანაწევრებული მთლიანობაა. იგივე ითქმის ენის შესახებ: არც ენაა ერთგვაროვანი და დაუნაწევრებელი მასა, განსხვავებული შინაგანი ერთეულების გარეშე. მაგრამ ეს ორი „დანაწევრება“ შინაარსით ერთი და იგივე როდია. როცა ლაპარაკია ლოგიკური აზროვნების დანაწევრებულ ხასიათზე, იგულისხმება არა ის, რომ აზროვნება სიტყვების ან ბგერების საშუალებით ხერხდება: სიტყვა, ან ბგერა არ არის აზროვნების „ნაწილი“, „წევრი“, ან „ელემენტი“, ე. ი. ის ერთეულები, რომელთაგან შენდება „დანაწევრებული“ აზროვნება[2]. ასეთი თვალსაზრისი ისევ და ისევ გრამატიციზმის გამოვლენაა ლოგიკაში. ლოგიკური აზროვნების დანაწევრებული ხასიათი ნიშნავს, რომ იგი მიმდინარეობს წარმოდგენების, ცნებების, მსჯელობების და ა. შ. ფორმით და მხოლოდ მათ რიგში, მათი საშუალებით აღწევს შესაცნობი საგნის დახასიათებას. ამაში მდგომარეობს ლოგიკური „დისკურსიის“ აზრი: საგანი შეიმეცნება ლოგიკურ-დისკურსიული აზროვნებით და არა „ინტელექტუალური ინტუიციით“.

რაც შეეხება ენას, იგი შენდება სრულიად სხვა, ჰოლისტურად გარკვეული ენობრივი ერთეულებისაგან. ენის ძირითადი ელემენტებია ბგერა, სიტყვა და წინადადება. ბგერათა შეერთება იძლევა სიტყვას, სიტყვათა შეერთება — წინადადებას. წინადადება ურთულესი ენობრივი ერთეულია, რომელსაც გრამატიკის ძირითადი ნაწილი სინტაქსი შეისწავლის. წინადადების თეორია ზოგადი ენათმეცნიერების ყველაზე რთული და ნაკლებ დამუშავებული ნაწილია[3].

---

[2] «ჩვენი აზროვნება, თუ განყენებას მოვახდენთ სიტყვებით მისი გამოხატვისაგან, წარმოადგენს უფორმო და ბუნდოვან მასას... აზროვნება თავისთავად ნისლოვანებას ჰგავს, სადაც არაფერი არ განირჩევა... არ არის არავითარი განსხვავება ენის გამოჩენამდე» (Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики. М., 1933, с. 112).

[3] თვით ენათმეცნიერთა აღიარებით, წინადადების საუკეთესო განსაზღვრება, რომელსაც ენათმეცნიერებამ ჯერჯერობით მიაღწია, არსებითად არ განსხვავდება

როგორ განისაზღვრება წინადადება?[4] წინადადება გრამატიკული კატეგორია: ცხადია, მისი განსაზღვრა უნდა მოხდეს ენათმეცნიერების კატეგორიების საფუძველზე, ენათმეცნიერული რესურსებით და არა ლოგიკური კატეგორიების, კერძოდ, მსჯელობის საშუალებით.

წინადადების ლოგიცისტური გაგების მაგალითია მისი განსაზღვრება მსჯელობის საშუალებით: «წინადადება არის აზრი ან მსჯელობა გამოთქმული სიტყვებით»[5]. ამგვარი განსაზღვრება ერთმანეთში ურევს წინადადებასა და მსჯელობას, გრამატიკულსა და ლოგიკურს. წინადადება არ არის აზრი, მით უმეტეს, არ არის მსჯელობა.[6] წინადადების ლოგიცისტური გაგების მაგალითია ნ. მარის ორიგინალური განსაზღვრებაც: «Предложение — это выражение словами, сигнализирующими понятия и представления, определенной мысли, отражающей во взаимоотношениях слов данной фразы взаимоотношения предметов».

ამ განსაზღვრებაში გაირჩევა ორი ნაწილი: 1) წინადადება არის გარკვეული აზრის გამოხატვა სიტყვების საშუალებით, რომლებიც (სიტყვები) ცნებათა და წარმოდგენათა სიგნალს წარმოადგენენ, 2) სიტყვათა კავშირი (ე. ი. წინადადება) ასახავს საგანთა კავშირს.

პირველი ნაწილი თავისთავად საესებით სწორია; რაც შეეხება

იმისაგან, რაც მოცემული იყო დიონისე თრაკიელის (პირველი ბერძენი ენათმეცნიერი) გრამატიკაში (II-I ს. ჩ. წ. აღ-მდე): წინადადება არის სიტყვათა შეერთება, რომელიც დამთვარებულ აზრს გამოხატავს.

[4] წინადადების ასეულობით განსაზღვრებას ითვლიან! აზრთა ასეთი სხვაობა წინადადების არსების გაგებაში არც იმას ნიშნავს, რომ მისი ზოგადი ცნება და განსაზღვრება საერთოდ შეუძლებელია! ვინც ამბობს წინადადების ზოგადი განსაზღვრება არ შეიძლებაო, თვით ამ დებულებაში უკვე ხმარობს «წინადადებას» ზოგადი ფორმით და, ამდენად, იძლევა, თუ ეს პარადოქსი არაა, მის თავისებურ ზოგად განსაზღვრებას.

[5] მსჯელობასა და წინადადებას ერთმანეთის საშუალებით განსაზღვრავს, მაგ., ვ. მინტო: «წინადადება შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ როგორც მსჯელობის გამოხატვა; თუ იდეათა რიგი არ შეადგენს მსჯელობას, მაშინ არც შესაბამისი სიტყვათა შეერთება შეადგენს წინადადებას» (იხ. В. Минто. Дедуктивная и индуктивная логика. М. 1909, с. 166).

[6] «თუ წინადადება არის... აზრი (გინდ მსჯელობა), გრამატიკა და, კერძოდ, სინტაქსი, რომელიც წინადადებას შეისწავლის, ამით უკვე აღიარებულია სამეცნიერო დისციპლინად, რომელიც აზრს შეისწავლის, ე. ი. სინტაქსი კისრულობს იმავე საქმეს, რასაც ლოგიკა და ფსიქოლოგია აკეთებენ» (ა. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ნაწ. II, თბ., 1945, გვ. 286).

მეორე ნაწილს, იგი ტიპიური ლოგიცისტური დებულებაა; მასში კარგად ჩანს არა მხოლოდ ის, რომ ნ. მარი წინადადების თეორიაში, ისევე როგორც საერთოდ ენათმეცნიერებაში, ძირითად ყურადღებას აქცევს სემანტიკურ მხარეს, სინტაქსური მხარის საზიანოდ, — მასში ჩანს თვით სემანტიკის არსებისა და დანიშნულების არასწორი გაგებაც. მთლიანად ამ განსაზღვრების ნაკლი ისაა, რომ მასში სათანადოდ გამიჯნული არ არის საგნობრივი, ლოგიკური და ენობრივი; სემანტიკის მიზანი არ არის იკვლიოს საგანთა ურთიერთობის ასახვა სიტყვათა ურთიერთობაში. საგანთა ურთიერთობის ასახვის პრობლემა შემეცნების თეორიისა და ლოგიკის თემაა. ამიტომ მარისტული შეცდომა ენათმეცნიერებაში გამოიხატება არა მხოლოდ „სემანტიკით გატაცებაში", არამედ თვით სემანტიკის ცნების არასწორ გაგებაშიც. ნ. მარის გაგებით სემანტიკა არსებითად ემთხვევა ლოგიკას და შემეცნების თეორიას: გამოდის, რომ ან ლოგიკაა ენათმეცნიერების დარგი, მისი ნაწილი, ან პირიქით, ენათმეცნიერება თვით არის ფილოსოფიური მეცნიერება!

წინადადება სიტყვათა კავშირია, რომელიც საგანთა კავშირს ასახავს, ასეთია ნ. მარის განსაზღვრების არსება. ამან გამოიწვია წინადადების და მსჯელობის პრობლემების ერთმანეთში აღრევა, წინადადების თეორიის გადატვირთვა ლოგიკის კატეგორიებით, ერთი მეცნიერების საგნის შეცვლა მეორე მეცნიერების საგნით, ხოლო საკუთრივ ენათმეცნიერული პრობლემები, კერძოდ, წინადადების სინტაქსური აგებულების პრობლემა უგულებელყოფილ იქნა.

თანამედროვე საბჭოთა ენათმეცნიერული ლიტერატურიდან საინტერესოა აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვის სპეციალური სტატია — «Некоторые задачи изучения синтакса простого предложения». ავტორი გვაძლევს წინადადების განსაზღვრებას: «Предложение это грамматически оформленная по законам данного языка целостная (т. е. неделимая далее на речевые единицы с теми же основными структурными признаками) единица речи, являющаяся главным средством формирования, выражения и сообщения мысли»[7].

შეიძლება მოვიყვანოთ სხვა განსაზღვრებებიც, რომლებშიც

---

[7] Вопросы языкознания, 1954, т. I, с. 3 (იხ. აგრეთვე: «Грамматика русского языка», т. II, под редакцией В. В. Виноградова и Е. С. Истриной, 1960, с. 65).

ასახულია წინადადების არსების გაგება საბჭოთა ენათმეცნიერებაში:

1. «Предложение это наименьший грамматически оформленный отрезок речи, соответствующий относительно законченной мысли»[8].

2. «Сочетание слов или отдельное слово, выражающее законченную мысль называется предложением»[9].

3. «Предложение—наименьшая единица речевого общения, грамматически оформленная, выражающая отдельную, относительно законченную мысль, а иногда волевое побуждение или чувство»[10].

4. «Предложение — наименьшая единица речевого общения, грамматически и интонационно оформленная, выражающая сообщение, вопрос или волевое побуждение».[11]

ეს განსაზღვრებები არსებითად ერთმანეთს ემთხვევიან. «წინადადება არის ენის ერთეული, რომელიც შედარებით დამთავრებულ აზრს გამოხატავს», — ასეთია ტრადიციით განმტკიცებული და გაბატონებული განსაზღვრება წინადადებისა. რას ნიშნავს სიტყვა «გამოხატავს»? (რუს. «выражает»). იგი სრულიადაც არა არის ერთმნიშვნელოვანი.

მაგ., „საწარმოო ძალა გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას ბუნებასთან", „სახელმწიფო გამოხატავს ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ინტერესებს", „ეგზისტენციალიზმი გამოხატავს დაშინებული სოციალური ჯგუფის უიმედობას", „წარმოდგენა გამოხატავს საგანს", „წინადადება გამოხატავს მსჯელობას" და ა. შ. ცხადია, რომ აქ სიტყვა „გამოხატავს" სხვადასხვა აზრით არის ნახმარი. წინადადების ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებებში ეს სიტყვა მოწოდებულია გაარკვიოს დამოკიდებულება ენობრივსა (წინადადება) და აზრისეულს შორის, — რაც დღემდე თავსამტვრევი პრობლემაა ენათმეცნიერებაში —, ის კი ვერ მიჯნავს მათ სა-

---

[8] Грамматика русского языка, ч-2, под редакцией акад. В. В. Виноградова, 1948, с. 5.

[9] Грамматика русского языка. ч-2. под редакцией акад. Л. В. Щербы, 1958, с. 3.

[10] А. М. Земский, С. Е. Крючков, М. В. Светлаев, Русский язык, ч-II, 1953, с. 9.

[11] იგივე, 1963 წლის გამოცემა, გვ. 11.

ნადო სიზუსტით ერთმანეთისაგან, და, მაშასადამე, ვერც აკავშირებს.

ისმება კითხვა: შესაძლებელია თუ არა წინადადების ზოგადი განსაზღვრება? არ არსებობს წინადადება საერთოდ, როგორც ასეთი. არსებობს წინადადება ქართული ენის, რუსული ენის, გერმანული ენის და ა. შ. ამასთან, არა მარტო სხვადასხვა ენის წინადადებები გახსხვავდებიან ძირეულად ერთმანეთისაგან, არამედ წინადადებათა სინტაქსური წყობა შეიძლება მკვეთრად განსხვავებული იყოს ერთი ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხი აუცილებელია. უარყოფითი პასუხი კი პოზიტივიზმისა და ნომინალიზმის თავისებური გამოვლინება იქნებოდა! დიალექტიკის თეორია, მართალია, უარყოფს რაციონალიზმს და, ცხადია, ვერ შეიწყნარებს ვერც ე. წ. რაციონალურ გრამატიკას, მაგრამ მარქსიზმი უარყოფს ცალმხრივ ემპირიზმსაც. რაციონალიზმის უარყოფა ზოგადის უარყოფას არ მოითხოვს არც ენათმეცნიერებაში და არც სხვა რომელიმე დარგში მეცნიერებისა.

თუ წინადადების ზოგადი განსაზღვრება არ იქნება შესაძლებელი, არც სიტყვის ზოგადი განსაზღვრება იქნება კანონიერი. ყველა ენა ანსხვავებს ერთმანეთისაგან წინადადებას, სიტყვასა და ბგერას. ცხადია, რომ არსებობს გარკვეული ზოგადი ნიშანი (ან ნიშნები), რომლის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია მკვეთრად განსხვავებულ ენებში მაინც წინადადებათა შესახებ ვილაპარაკოთ.

წინადადების ზოგადი ცნების უარყოფა არსებითად ნიშნავს ზოგადი სინტაქსის უარყოფას, სინტაქსი გრამატიკის ძირითადი ნაწილია და ენის საფუძველს გამოხატავს (მორფოლოგიასთან ერთად). თუ უარვყავით ზოგადი სინტაქსი, კითხვა დაისმება ენათმეცნიერების სხვა დარგების შესახებაც: შეიძლება თუ არა ზოგადი მორფოლოგია, ზოგადი ფონეტიკა, ზოგადი სტილისტიკა და ა. შ. დასასრულს, დაისმება კითხვა თვით ზოგადი ენათმეცნიერების შესაძლებლობის შესახებ.

წინადადების არსებას შეადგენს სიტყვათა გრამატიკული წყობა, სიტყვათა გრამატიკულად გაფორმებული ერთიანობა, რომელიც ენობრივი კოლექტივის პირობითი დაკანონების საფუძველზე აზრთა კავშირს, შედარებით დასრულებულ აზრს აღნიშნავს.

„აზრთა კავშირი“ ან „შედარებით დასრულებული აზრი“ არ შეიძლება ავრიოთ ენობრივ მოვლენებში. ამიტომ მისი გამოყენება წინადადების განსაზღვრების დროს ხომ არ მოასწავებს იმ ლოგიციზმს, რომელიც ზემოთ უარყოფილი იყო, როგორც შეცდომა? ლოგიცისტური განსაზღვრება მაშინ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „წინადადება არის აზრთა კავშირი, გამოხატული სიტყვათა კავშირის საშუალებით“. მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი განსაზღვრების ამგვარი გაგება უმართებულო იქნებოდა. მასში „აზრთა კავშირი“ გამოყენებულია, როგორც „სიტყვათა კავშირის“ მ ი მ ა რ თ ე ბ ი ს ობიექტი. ეს კი აუცილებელია. როგორც ცნობილია, ენას საერთოდ განსაზღვრავენ, როგორც აზრთა გაცვლა-გამოცვლის და აზრთა გამოხატვის საშუალებას, მაგრამ ეს არ ითვლება ლოგიცისტურ განსაზღვრებად[12].

წინადადების მიმართება მსჯელობასთან გამოიხატება სიტყვით: „აღნიშნავს“: წინადადება სიმბოლოა, რომელიც თავის საგანს კი არ ასახავს, არამედ აღნიშნავს. სანიმუშოდ აქ შეიძლება გაირჩეს სიტყვის მაგალითი. ლოგიცისტურ შეცდომას წარმოადგენს მტკიცება, თითქოს სიტყვა საგანს კი არ აღნიშნავს, არამედ ასახავს. ასეთი თვალსაზრისი ერთმანეთში ურევს სიტყვას და ცნებას. სიტყვა ენათმეცნიერების კატეგორიაა და არა ლოგიკის, ცნება კი ლოგიკის კატეგორიაა და არა ენათმეცნიერების. თუ სიტყვა საგნის ასახვაა, მაშინ სიტყვის თეორია გამოდის, როგორც „ასახვის თეორია“, რაც უაზრობაა. ორი მეცნიერების ასეთი აღრევა არაფერს აძლევს არც ლოგიკას და არც ენათმეცნიერებას.

მიუხედავად ამისა, ამ თვალსაზრისს ბევრი მომხრე ჰყავს. ფართოდ არის გავრცელებული, განსაკუთრებით ფილოსოფიურ ლიტერატურაში, მაგ., ასეთი მსჯელობა: «Так как в состав слова входит его значение, в значании слова содержится понятие, а понятие является отражением предмета, то совершенно недопустимо рассматривать слово в целом как знак предмета»[13]. როგორც ვხედავთ, ავტორი არ აიგივებს სიტყვას და ცნებას, მაგრამ უკანონოდ აფართოებს თვით სიტყვის ცნებას: გამოდის, რომ ცნება სიტყვის ერთ-ერთი

---

[12] წინადადება გრძნობის, ემოციის, ნებისყოფის და ა. შ. გამოთქმის ფორმაცაა (რას აღნიშნავს, მაგ., ბრძანებითი წინადადება?), მაგრამ ეს არ უპირისპირდება ზოგად განსაზღვრას: ენა აზროვნების მატერიალური გარსია.

[13] Л. О. Резников, Понятие и слово, с. 29 (1958 г.).

კომპონენტია, მისი ნაწილია. მაგრამ ამ «საბუთს» აუცილებლად მივყევართ დებულებამდე: ცნების თეორია არის სიტყვის თეორიის ნაწილი. ეს კი უაზრობაა. თუ ასე გავაგრძელებთ, უნდა ვთქვათ, რომ ლოგიკა არის ენათმეცნიერების ნაწილი!

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ენაში ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა სიტყვით გამოიხატება. ერთადერთი ახსნა აქვს ამ ფაქტს: სიტყვა არის სიმბოლო, ნიშანი, რომელიც საგნის ბუნებას კი არ ასახავს, არამედ ენობრივი კოლექტივის შეთანხმების საფუძველზე აღნიშნავს მას. სიტყვასა და საგანს შორის მეტი კავშირი როდია, ვიდრე, მაგ., ადამიანებს შორის, რომელთაც ერთი სახელი ჰქვიათ. სხვადასხვა ხალხი ერთნაირად ასახავს საგანს, მაგრამ სხვადასხვანაირად აღნიშნავს. ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ სიტყვა საგნის პირობითი ნიშანია და არა მისი სურათი: სურათი ჰგავს საგანს, სიტყვა კი არ ჰგავს. „ამა თუ იმ ნივთის სახელწოდება სრულიად გარეგნული რამაა მისი ბუნებისათვის. მე არაფერი ვიცი ამა თუ იმ ადამიანის შესახებ, თუ მარტო ის ვიცი, რომ მას იაკობი ჰქვია“[14].

ისმება კითხვა: სიტყვა საგანს აღნიშნავს თუ აზრს? ეს საკითხი სადაოდ არის გადაქცეული: ერთნი სიტყვას თვლიან საგნის სიმბოლოდ, მეორენი კი — წარმოდგენის, ცნების, საერთოდ აზრის სიმბოლოდ.

ზემოთ ვამბობდით, რომ სიტყვა საგანს კი არ ასახავს, არამედ აღნიშნავს. ასახვისა და სიმბოლოს ურთიერთობის გარკვევისას ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ როცა ისმება კითხვა სიტყვის, ცნებისა და საგნის ურთიერთობის შესახებ, ეს დებულება დაზუსტებას მოითხოვს. სიტყვის მიმართება საგანთან უშუალო არაა, იგი გაშუალებულია წარმოდგენით, ცნებით, საერთოდ, აზრით.

სიტყვა აზრის ენობრივი ფორმაა და არა საგნის. ეს თავისთავად გამომდინარეობს ენის ზოგადი განსაზღვრებიდან: იგი აზრთა გაცვლა-გამოცვლის იარაღია და, რა თქმა უნდა, უშუალო ერთიანობაშია აზროვნებასთან. საგანი არსებობს ცნებისაგან დამოუკიდებლად და მეტ-ნაკლები სიზუსტით აისახება მასში; სიტყვა კი უშუალოდ აღნიშნავს საგნის ამ ასახვას, მის ცნებას, მის შესახებ აზრს. ამის გარეშე სიტყვა გაუგებარი, ე. ი. „უაზრო“ იქნებოდა.

---

[14] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 131.

საგანი არ შეიძლება სახელდების ობიექტი გახდეს, თუ იგი ჯერ არ „შემოსულა“ ჩვენი ცნობიერების არეში, თუ იგი უცნობია აზრისათვის, თუ იგი ვეტ-ნაკლებად ასახული არ არის წარმოდგენის ან ცნების სახით[15].

ამდენად, უმართებულოა ალტერნატივა: სიტყვა ან ცნებას აღნიშნავს, ან საგანს. სიტყვა უშუალოდ აზრის, ცნების სიმბოლოა, რამდენადაც აზრი, ცნება, გაგებული იქნება როგორც ობიექტური საგნის ასახვა, ცხადია, ზემოაღნიშნული დებულება სიტყვას არ წყვეტს საგნობრივი სინამდვილისაგან. სიტყვა აზრსაც აღნიშნავს და საგანსაც, აზრს აღნიშნავს უშუალოდ, საგანს კი აზრის შუალობით.

იგივე ითქმის წინადადების, მსჯელობისა და საგნობრივი ვითარების ურთიერთობის შესახებ. წინადადება საგნობრივ ვითარებას კი არ ასახავს, არამედ აღნიშნავს მას, როგორც მისი სიმბოლო, — აზრთა კავშირის შუალობით.

წინადადება უშუალოდ აზრთა კავშირის ენობრივი ფორმაა, მისი სიმბოლო, მისი ნიშანია, აზრთა კავშირი კი საგანთა კავშირს ასახავს.

სხვა თვალსაზრისი წინადადებისა და მსჯელობის ურთიერთობას ხშირად განიხილავს, როგორც მთელისა და ნაწილის ურთიერთობას: წინადადების მნიშვნელობას აიგივებს მსჯელობასთან, ან საერთოდ აზრთა კავშირთან. ამ შემთხვევაში წინადადება გამოდის როგორც სინტაქსური და ლოგიკური მომენტების ერთიანობა[16], მსჯელობის თეორია კი როგორც წინადადების თეორიის ნაწილი, რაც უაზრობაა.

რა თქმა უნდა, ყოველ წინადადებას ახასიათებს როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური, ისე სემანტიკური მხარე; წინადადების სემანტიკური მხარე მისი მნიშვნელობაა, რომლის გარეშე ის არ არსებობს. მაგრამ ისევე როგორც სიტყვის მნიშვნელობა არ

---

[15] ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თვით წარმოდგენა და ცნება აქ აღებულია არა ფსიქოლოგიური, არამედ ლოგიკურ-გნოსეოლოგიური აზრით, როგორც ობიექტური საგნის ასახვის ფორმები. ამ მხრივ წარმოდგენისა და ცნების პრინციპული დაპირისპირება აგნოსტიციზმმა აქცია ტრადიციად.

[16] «Форма предложения обнаруживает себя не как чисто грамматическая и не как чисто логическая форма, а как логико-грамматическая форма. Форма предложения имеет смешанную природу: логическую и грамматическую. (იხ. «Мышление и язык». М., 1957, с. 204). ამ სიტყვების ავტორმა უნდა მოითხოვოს შესაბამისად «ნარევი ბუნების» მეცნიერება, რომლის სახელი, ალბათ, იქნება: „ლოგიკა—გრამატიკა“.

არის ცნება, წინადადების მნიშვნელობა არ არის მსჯელობა. მნიშვნელობა წინადადების შინაგანი კომპონენტია, მისი მხარეა, მისი ნაწილია, მსჯელობა კი არ არის წინადადების „ნაწილი"; წინადადების მნიშვნელობას შეადგენს არა თვითონ მსჯელობა, არამედ მსჯელობის აღნიშვნა[17]. საგანი არ არის მისი ნიშნის ელემენტი ან ნაწილი.

როგორც ცნობილია, ენათმეცნიერება უდავოდ თვლის დებულებას, რომ ენაში „დაიმაგრება და ინახება" აზროვნების შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგები. ეს ნიშნავს, რომ წინადადება უშუალოდ საგანთა კავშირს კი არ აღნიშნავს, არამედ ადამიანის აზროვნების შინაარსს, აზრთა კავშირს. უაზრობა იქნებოდა იმის თქმა, რომ წინადადება არის „საგანთა კავშირის" ენობრივი ფორმა; სინამდვილეში იგი განიმარტება, როგორც აზრის „მატერიალური გარსი", მისი „ბუნებრივი მატერია".

ამრიგად, წინადადების, აზრთა კავშირისა და საგანთა კავშირის აღრევა ნიშნავს გრამატიკულის, ლოგიკურისა და ონტოლოგიურის აღრევას ერთმანეთში.

იმის აღიარებას, რომ წინადადება აზრთა კავშირის სიმბოლოა, სრულიადაც არ მივყევართ „იეროგლიფების თეორიამდე", რომელსაც ებრძვის ვ. ი. ლენინი თავის შრომაში — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". „იეროგლიფების თეორიას" მივიღებთ მაშინ, როცა თვით „აზრთა კავშირს" ჩავთვლით საგანთა კავშირის სიმბოლოდ. მაგრამ ეს სრულებით არ გამომდინარეობს ზემოაღნიშნული დებულებიდან. ვ. ი. ლენინი საერთოდ სიმბოლოებს კი არ უარყოფს, არამედ — ჩვენი შემეცნების, ჩვენი აზროვნების გამოცხადებას პირობით ნიშანთა სისტემად. წინადადების ჩათვლა სიმბოლოდ ისევე არ მოასწავებს „იეროგლიფების თეორიას", როგორც სიმბოლოების, ან ფორმულების გამოყენება მათემატიკაში თავისთავად სრულიადაც არ არის იდეალისტური შეცდომა.

ლოგიკური პოზიტივიზმის პოზიციები მცდარია არა იმიტომ, რომ ის ენას თვლის პირობით ნიშანთა სისტემად და სიტყვას თუ წინადადებას განიხილავს, როგორც სიმბოლოს, არამედ იმიტომ, რომ მას თვით აზროვნება დაჰყავს ენაზე, ცნება — სიტყვაზე და

---

[17] დ. ქ ე ბ უ რ ი ა, ცნების თეორიის საკითხები, თბ., 1967, თავი, II: «ცნება და სიტყვა».

ბსჯელობა — წინადადებაზე. აქედან — ნომინალიზმი და აგნოსტიციზმი მათი უკიდურესი ფორმით[81].

მსჯელობისა და წინადადების ურთიერთობას, ისევე, როგორც საერთოდ აზროვნებისა და ენის ურთიერთობას, მართებულად ახასიათებს ე. წ. გარეგანი ფორმის კატეგორია. ენისა და აზროვნების ურთიერთობის გაგებაში შეცდომების ერთ-ერთი მთავარი წყაროა შინაარსისა და ფორმის დიალექტიკის უშუალო გავრცელება ამ სფეროზე. როგორც ცნობილია, შინაარსი განსაზღვრავს ფორმას, ფორმა კი შინაარსის სტრუქტურული გარკვეულობაა. მაგრამ თუ აზროვნება განსაზღვრავს ენას და თავის შესაბამისად ჰქმნის მას, მაშინ აუხსნელი რჩება ენათა საყოველთაოდ ცნობილი შრავალფეროვნება. აზროვნებას, ისევე როგორც ყოველ მოვლენას, თავისი შინაარსი და ფორმა გააჩნია. აზროვნების სტრუქტურულ გარკვეულობას შეადგენენ მისი ლოგიკური ფორმები (არა ენა!).

დიალექტიკის თეორია ანსხვავებს საგნის შინაგან და გარეგან ფორმას. შინაგანი ფორმა საგნის შინაარსის აგების წესია, შინაგანი სტრუქტურაა, რომელიც მისი არსებითი ელემენტების კავშირს გამოხატავს. მართალია, საგანი არ არსებობს გარეგანი ფორმის გარეშე, მაგრამ იგი არ წარმოადგენს თვით შინაარსის სტრუქტურულ გარკვეულობას. მსჯელობასაც თავისი შინაარსი და მით განსაზღვრული შინაგანი ფორმა გააჩნია. წინადადება კი მსჯელობის გარეგანი ფორმაა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მსჯელობისა და წინადადების ურთიერთობის წარმოდგენა შინაარსისა და ფორმის ურთიერთობად იმ შეცდომების ერთ-ერთი მთავარი წყაროა, რომლებიც ნ. მარმა დაუშვა ენათმეცნიერებაში: თუ მსჯელობა არის წინადადების შინაარსი და მის სემანტიკურ მხარეს, მის მნიშვნელობას უდრის, მაშინ წინადადებაში მთავარია არა სინტაქსი („ფორმა") არამედ სემანტიკა („შინაარსი"), ხოლო წინადადების თეორიაში სიმძიმის

---

[18] „საკმაოდ უნდა უკუვაგდოთ აზრი იმის შესახებ, თითქოს მსჯელობა ფაქტთან მიმართებაში შეიძლება იყოს სხვა რაიმე, გარდა ნიშნისა, თითქოს მასა და ფაქტს შორის შეიძლება იყოს მეტი შინაგანი კავშირი, გარდა დაქვემდებარებისა და რომ თითქოს მას შეეძლოს ეს ფაქტი ადეკვატურად აღწეროს, გამოხატოს ან ასახოს. არაფერი ამის მსგავსი! მსჯელობა ისევე არ ასახავს იმის არსებას, რის შესახებ მსჯელობენ, როგორც ნოტები არ ასახავენ ტონებს ან ადამიანის სახელი — მის ინდივიდუალობას" (M. Schlick, Allgemeine Erkenntnislehre, Berlin, 1925, S. 57).

ცენტრის სინტაქსურ მხარეზე გადატანა „ფორმალიზმად“ ცხადდება[19].

მსოფლიოში ათასზე მეტ ენას ითვლიან, რომელთაგან თითოეული თავისებურად გამოთქვამს ერთ და იგივე მსჯელობას. წინადადება, ისევე როგორც ენა, შეიძლება იყოს ქართული, რუსული, გერმანული და ა. შ., მაგრამ მსჯელობა ისევე როგორც ლოგიკა, არ შეიძლება იყოს ქართული, რუსული, გერმანული და ა. შ. მივმართოთ მაგალითს:

1. ადამიანი ცოცხალი არსებაა.
2. Человек — живое существо.
3. der Mensch ist ein Lebewesen.

რამდენი მსჯელობაა აქ მოყვანილი? ერთი. რამდენია წინადადება? სამი. ერთი მსჯელობა გამოითქვა სამი წინადადებით. ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ წინადადება საგანთა კავშირის ასახვა იყოს. წინადადება ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის გარკვეული ნიშანია, რომლითაც ის თავისებურად („თავის ენაზე“) აღნიშნავს მსჯელობას. მსჯელობა საგანთა ობიექტურ ვითარებას ასახავს და მით განისაზღვრება. ამიტომ იგი ერთია, ისევე როგორც ერთია თვითონ საგანი. წინადადება კი საგანთა კავშირს აღნიშნავს აზრთა კავშირის შუალობით და მრავალია ენობრივი კოლექტივის სიმრავლის შესაბამისად, რომელმაც იგი „დააკანონა“.

* * *

როგორც ცნობილია, წინადადებისა და მსჯელობის სტრუქტურულ აგებულებათა ურთიერთშედარება ტრადიციამ ჩვეულებად

---

[19] ნ. მარი, ერთი მხრით, როგორც ზემოთ ითქვა, მთავარ ყურადღებას აქცევდა ენის სემანტიკურ მხარეს სინტაქსური მხარის საზიანოდ, მეორეს მხრით, არასწორად განსაზღვრავდა თვით სემანტიკის არსებას და დანიშნულებას. მისი გაგებით სემანტიკა არსებითად ემთხვევა ლოგიკას და შემეცნების თეორიას. წინადადებაც, ნ. მარის აზრით, საგანთა ვითარების ასახვის ფორმაა. ამან გამოიწვია წინადადებისა და მსჯელობის პრობლემების ერთმანეთში აღრევა, წინადადების თეორიის გადატვირთვა ლოგიკის კატეგორიებით, ერთი მეცნიერების საგნის შეცვლა მეორე მეცნიერების საგნით. ეს, ცხადია, სრულებით არ უარყოფს ნ. მარის დამსახურებას ენათმეცნიერების ისტორიაში, რომლის შრომებში მოცემულია, აგრეთვე, უმნიშვნელოვანესი დაკვირვებანი და დასკვნები პირველყოფილი აზროვნებისა და კულტურის, წინადადებისა და მსჯელობის, მთლიანად ლოგიკური აზროვნების ისტორიიდან.

აქცია. ოდითგან ადარებენ მათ ერთმანეთს როგორც ლოგიკაში, ისე ენათმეცნიერებაში.

მართალია, სხვადასხვა ენის წინადადებებს შორის მკვეთრი განსხვავებაა, მაგრამ ყველა მათგანი აუცილებლად გულისხმობს გარკვეულ ზოგად მომენტებს:

ა) თვისობრივი განსხვავება სიტყვისაგან (ყველა ენა წინადადებას თვისობრივად განასხვავებს სიტყვისაგან, ისევე როგორც სიტყვას ბგერისაგან).

ბ) სიტყვათა გრამატიკული წყობა (გრამატიკული წყობა შეადგენს წინადადების არსებას, რომელიც მის „შინაფორმაზე", მის თვისობრივ თავისებურებაზე, მის სპეციფიკაზე მიგვითითებს).

გ) სიტყვათა სინტაქსურად განსხვავებული ფუნქცია წინადადების შიგნით (ქვემდებარე, შემასმენელი, განსაზღვრება და ა. შ.).

დ) აზრთა კავშირის, „დამთავრებული აზრის" გადმოცემა.

რა არის საერთო და განმასხვავებელი მსჯელობისა და წინადადების სტრუქტურათა შორის? ეს კითხვა ზოგად ხასიათს ატარებს. ცხადია, მის გადასაწყვეტად არ კმარა მსჯელობის სტრუქტურა შევადაროთ რომელიმე ცალკეული ენის წინადადების სრუქტურას.

ყოველი მსჯელობა გამოითქმება წინადადების ფორმით. მაგრამ თვითონ მსჯელობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ ენაზეა იგი გამოთქმული. ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება გამოვთქვათ ქართული, რუსული, გერმანული და ა. შ. წინადადებით, ვთარგმნოთ მსოფლიოს ყველა ენაზე, მაგრამ დედამიწის გარშემო მსჯელობის ასეთი „მოგზაურობა" ლოგიკისათვის არავითარ ინტერესს არ შეადგენს: მსჯელობის ლოგიკური ბუნება მთელ ამ პროცესში უცვლელი რჩება[20].

---

[20] მსჯელობისა და წინადადების სტრუქტურულ ურთიერთობათა გარკვევისათვის, ცხადია, საფუძვლად არ გამოდგება რომელიმე ცალკეული ენის წინადადება: თვითონ მსჯელობისათვის იგი შემთხვევითია, ისევე როგორც ლოგიკის მეცნიერებისათვის სრულიად შემთხვევითია, თუ რომელ ენაზე დაიწერება იგი. ის გარემოება, რომ, მაგ., ქართული წინადადება თავისი ელემენტებით და აგებულებით არც ემთხვევა და არც შეესაბამება მასში გამოთქმული მსჯელობის სტრუქტურას, მის ელემენტებს, მის აგებულებას, არ იძლევა საფუძველს ზოგადი დასკვნისათვის, ვინაიდან სიმრავლის ემპირიულ გაგრძელებაში ინდუქციას ყოველთვის შ ე უ ძ ლ ი ა აღმოაჩინოს სხვა ხასიათის მაგალითი. ის. გარემოებაც, რომ ინდუქცია ყველა დღეს არსებული ენის მაგალითზე ადასტურებს მათს შეესაბამობას, ჯერ კიდევ არ ნიშნავს პრინციპუ-

მსჯელობაში „ადამიანი ცოცხალი არსებაა“ ლოგიკა ორ ელემენტს ანსხვავებს: სუბიექტს („ადამიანი“) და პრედიკატს („ცოცხალი არსება“).

სულ სხვა კატეგორიებს მიმართავს გრამატიკა (ქართული ენის, რუსული ენის, გერმანული ენის და ა. შ.), როცა წინადადებებს ახასიათებს. მაგ., ქართული წინადადება („ადამიანი ცოცხალი არსებაა“) სამწევრიანია, მასში გრამატიკის თვალსაზრისით სამი დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა მონაწილეობს: ქვემდებარე, შემასმენელი და განსაზღვრება. თითოეული მათგანის დახასიათება მოითხოვს ისეთ გრამატიკულ ცნებებს, როგორიცაა ბრუნვა („ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია“), რიცხვი, პირი, კილო, გვარი და ა. შ. (ზმნისათვის), მართვა, შეთანხმება და ა. შ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გრამატიკა პირდაპირ „არც ითარგმნება“. ქართული წინადადების გრამატიკული აგებულება არ შეიძლება უშუალოდ გადავიტანოთ რუსულ წინადადებაზე. მაგ., რუსულში (საერთოდ ინდოევროპულ ენებში) ქვემდებარე ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია, ქართულში კი — შეიძლება იყოს როგორც სახელობით, ისე მოთხრობით ბრუნვაში და ა. შ. თვით ბრუნვები და მათი რიცხვი სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირია და ა. შ.

წინადადებები, რომლებიც ერთიდაიგივე მსჯელობას სხვადასხვა ენაზე გამოთქვამენ, თავიანთი ელემენტებით, მათი სინტაქსური კავშირ-მიმართებებით და მთლიანი სტრუქტურული აგებულებით არ ემთხვევიან ერთმანეთს[21].

მაგრამ მათ შორის მაინც არის გარკვეული მსგავსი და საერთო მომენტები. რით არის ეს განსაზღვრული? ძირითადში იმით, რომ ისინი ერთდაიგივე მსჯელობას აღნიშნავენ. ამ აზრით, არ შეიძლება უარყოფილ იქნეს, რომ წინადადების სემანტიკური მხარე გარკვეულ გავლენას ახდენს მის სინტაქსურ აგებულებაზე. მაგრამ ეს გავლენა არ არის განმსაზღვრელი ხასიათის, რის გამოც აღნიშნულ წინადადებათა მსგავსება უმნიშვნელოა განსხვავებასთან შედარებით.

ლი საკითხის გადაწყვეტას: შეიძლება თუ არა მსჯელობისა და წინადადების სტრუქტურათა გაიგივება? იქნებ შესაძლებელია ავაგოთ ენა, რომლის სტრუქტურა უშუალოდ ასახავდა და გაიმეორებდა ჩვენი აზროვნების ლოგიკურ სტრუქტურას?!

[21] უაფიქსო ენებში სიტყვათა როლი და ურთიერთობა წინადადების შიგნით ირკვევა მათი ადგილმდებარეობის, ინტონაციის და ა. შ. მიხედვით.

ისმება კითხვა: რით არის განსაზღვრული ეს განსხვავება? ეს ანალოგიურია კითხვისა: რით არის გამოწვეული, რომ, მაგ., მაგიდას ქართულად ჰქვია «მაგიდა», რუსულად «стол», გერმანულად — «Der Tisch» და ა. შ.? რა თქმა უნდა, არა მაგიდის ბუნებით: მაგიდა ერთია, მისი სახელი კი მრავალი — ენათა სიმრავლის შესაბამისად. ეს გაპირობებულია ცალკეულ ენათა კონკრეტული ისტორიით, ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის პირობითი დაკანონებით.

როგორც ვხედავთ, მსჯელობის სტრუქტურა არ ემთხვევა წინადადების სტრუქტურას:

1) წინადადება შეიძლება იყოს თხრობითი, კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი; მსჯელობაკი სახეებად დაყოფას კი არაფერი აქვს საერთო ამ კლასიფიკაციასთან. წინადადების ამ სახეებიდან მხოლოდ თხრობითი წინადადება გამოთქვამს მსჯელობას[22].

წინადადების სახეებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ მსჯელობათა კლასიფიკაციის დროს: არ არსებობს თხრობითი, კითხვითი ან ბრძანებითი მსჯელობა... ფაქტიურადაც როცა ლოგიკაში საკითხი ისმის მსჯელობათა კლასიფიკაციის შესახებ, არავინ მიმართავს წინადადებათა კლასიფიკაციას. მსჯელობის ათეულობით სახეს ასახელებენ ისე, რომ წინადადების თეორიას არც კი ილებენ მხედველობაში.

2) მსჯელობის ელემენტების რიცხვი ასევე არ ემთხვევა წინადადების ელემენტების რიცხვს. მსჯელობა ორ ელემენტს, ანუ ორ ლოგიკურ წევრს შეიცავს, წინადადება კი შეიძლება იყოს ერთწევრიანი, ორწევრიანი, სამწევრიანი და ა. შ.

3) ერთიდაიგივე მსჯელობა შეიძლება სხვადასხვა წინადადებით გამოითქვას სხვადასხვა ენაზე. მეტიც, ერთიდაიგივე მსჯელობა შეიძლება სხვადასხვა წინადადებით გამოითქვას ერთიდაიმავე ენაზეც; სხვადასხვა სიტყვებით ერთიდაიგივე აზრის გადმოცემა იშვიათი როდია. გავიხსენოთ თუნდაც სინონიმების არსებობა. დიდაქტიკა, მაგ., ნაკლადაც ორვლის მსჯელობის სიტყვა-სიტყვით განმეორებას (როგორც ლექსისა). ფაქტია, რომ თვით ერთიდაიგივე

---

[22] ამ სწორ დებულებას მცდარ ფორმულირებას აძლევენ, როცა ამბობენ: «ყველა წინადადება არ არის მჯელობა». საქმე იმაშია, რომ არც ერთი წინადადება არ არის მსჯელობა! ტერმინი «გამოთქმა» (высказывание) შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ «თხრობითი წინადადების» აღსანიშნავად, მაგრამ ეს როდი გაამართლებს დებულებას: «მსჯელობა არის გამოთქმა»...

ავტორი თავის მსჯელობებს სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარ სიტყვიერ ფორმულირებას აძლევს[23].

4) გრამატიკა წინადადებაში არჩევს მთავარ (ქვემდებარე და შემასმენელი) და არამთავარ (დამატება, განსაზღვრება, გარემოება) წევრებს. რაც შეეხება მსჯელობას, იგი სულ სხვა ელემენტებიდან შენდება. მართალია, ზოგჯერ სუბიექტსა და ქვემდებარეს, ან პრედიკატსა და შემასმენელს აიგივებენ ერთმანეთთან, ან პირდაპირ შესაბამისობას ხედავენ მათ შორის, მაგრამ დამატებას, გარემოებას და განსაზღვრებას არც არაფერი ემთხვევა და არც შეესაბამება მსჯელობაში. არც ერთ ლოგიკოსს, თვით უკიდურეს ნომინალისტს, არ უცდია ამ კატეგორიათა შეტანა და გამოყენება მსჯელობის ლოგიკურ თეორიაში.

5) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სუბიექტისა და პრედიკატის დამოკიდებულებას ქვემდებარესა და შემასმენელთან. მაგ., წინადადებაში — „ლითონი ელექტრობას ატარებს", მსჯელობის სუბიექტი („ლითონი") გამოთქმულია ქვემდებარით. უფრო აშკარა და პირდაპირია მათი შესატყვისობა ორწევრიანი წინადადების შემთხვევაში; აქ, როგორც წესი, სუბიექტს გამოხატავს ქვემდებარე, პრედიკატს — შემასმენელი, რაც ზოგიერთს აძლევდა საბაბს ან პირდაპირ გაეიგივებინა აღნიშნული ორი რიგის (ლოგიკური და ლინგვისტური) კატეგორიები, ან დაეშვა ზოგადი კორელაცია მათ შორის: „ქვემდებარე გამოხატავს სუბიექტს, შემასმენელი პრედიკატს[24].

მართლაც, წინადადების მთავარ წევრებსა (ქვემდებარე და შემასმენელი) და მსჯელობის ლოგიკურ წევრებს (სუბიექტი და პრედიკატი) შორის გარკვეული შესატყვისობა არსებობს და იქნებ ენობრივი კოლექტივი, რომელიც ენის ისტორიული შემოქმედია, წინადადების აგებისას ამგვარ საფუძველს ეყრდნობა?

ფაქტია მაინც, რომ მათი შესატყვისობა ზოგად კანონს არ

---

[23] აქ შეიძლება გამოგვადგეს ნ. ლოსკის მაგალითი: ა) «ექვსი უნაშთოდ იყოფა ორზე», ბ) «ექვსი არ გვაძლევს ნაშთს ორზე გაყოფისას».

[24] გრამატიკიზმის აშკარა მაგალითია შემდეგი განსაზღვრება: «Слова, обозначающие свойства и отношения предметов действительности, называются предикатами» (Д. П. Горский, Логика, 1963, с. 37). როგორც ვხედავთ, აქ პრედიკატი (ლოგიკური) არა თუ სიტყვის (გრამატიკული) საშუალებით განისაზღვრება, არამედ პირდაპირ სიტყვად არის მიჩნეული: პრედიკატი არის სიტყვა.

წარმოადგენს. დაუშვებელია ქვემდებარის განსაზღვრა სუბიექტის საშუალებით, („ქვემდებარე არის სიტყვა, რომელიც სუბიექტს გამოთქვამს“), ან, პირიქით, სუბიექტისა — ქვემდებარის საშუალებით („სუბიექტი არის წინადადების ქვემდებარე, ან ის, რაც ქვემდებარით გამოითქმება“). კიდევ უფრო ნაკლებია კორელაცია შემასმენელსა და პრედიკატს შორის.

მაგ., ავიღოთ წინადადება: „ხეს ფოთოლი სცვივა“. მისი ქვემდებარეა „ფოთოლი“. სხვა სიტყვა აქ არ შეიძლება ქვემდებარის როლში გამოვიდეს, სულ სხვა ვითარება მსჯელობაში: ლოგიკური მახვილის მიხედვით მისი სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც „ხე“, რომელსაც ფოთოლი სცვივა, ასევე „ფოთოლი“, რომელიც სცვივა ხეს. საერთოდ, კონტექსტი და ლოგიკური მახვილი ზოგჯერ სცვლის მსჯელობის სუბიექტსა და პრედიკატს. სშირად მოჰყავთ ამგვარი მაგალითი: „თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი“. მისი სუბიექტი და პრედიკატი (და, მაშასადამე, მთელი მსჯელობაც) შეიძლება შეეცვალოთ ლოგიკური მახვილის საშუალებით[25]:

1) თ ბ ი ლ ი ს არის საქართველოს დედაქალაქი

2) თბილისი არის ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დედაქალაქი

3) თბილისი არის საქართველოს დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი

შაშინ როცა თვით წინადადება იგივე რჩება და არავითარ გრამატიკულ ცვლილებას არ განიცდის[26].

6) ურთიერთობას თვით ქვემდებარესა და შემასმენელს შორის გრამატიკული კანონები აწესრიგებენ. სხვადასხვა ენაში ეს ურთიერთობა და მისი კანონები სხვადასხვაგვარია, რაც იმის უდავო საბუთია, რომ გრამატიკული წესები და კანონები ობიექტურსაგნებრივ ვითარებას კი არ ასახავენ, არამედ განსაზღვრული არიან ცალკეული ენების განვითარების კონკრეტული ისტორიით.

---

[25] წიგნში «Die Deutsche Sprache der Gegenwart» (Leipzig, 1907, S. 229) ლ. ზიუტერლინს მოაქვს საინტერესო მაგალითი: «Gebeud wurde die Brucke von Zaesar»: «იგებოდა« ფსიქოლოგიური სუბიექტია, «ხიდი»—გრამატიკული სუბიექტი. «ცეზარი» ლოგიკური სუბიექტია. შესაბამისად წინადადებაში გამოიყოფა სამი პრედიკატი.

[26] ინტონაცია და პაუზა (ზეპირში), ხაზგასმა (წერილში), აგრეთვე, ფონეტიკური მახვილი ლოგიკის კატეგორიები არ არიან და ლოგიკის სფეროს არ უნდა ეკუთვნოდნენ. ისინი გრამატიკული კატეგორიებია. სხვა საქმეა ლოგიკური მახვილი, იგი ლოგიკური აზროვნების საკმაოდ ცნობილი და ფართო ხმარებაში მყოფი ერთეულია.

სულ სხვა ხასიათს ატარებს სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი მსჯელობაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი არ ექვემდებარება ნაციონალური ენების განსხვავებას. სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობას აწესრიგებს არა გრამატიკული, არამედ ლოგიკური კანონები, რომლებიც საგანთა ობიექტურ კავშირ-ურთიერთობებს ასახავენ.

* * *

წინადადება მსჯელობის გამოხატვის ენობრივი ფორმაა. არსებობს თუ არა მსჯელობის გამოხატვის სხვა ფორმა, გარდა წინადადებისა? ზოგიერთი მოსაზრებით ასეთ როლში შეიძლება გამოვიდეს ცალკეული სიტყვა, უბრალო ჟესტი და ა. შ.

ერთწევრიან წინადადებათა შემთხვევაში უდავოა, რომ სწორედ თავისებური ვითარება, კონტექსტი ოუ სიტუაცია ქმნის მსჯელობის გამოთქმის საშუალებას. თავისთავად კი ცალკეული სიტყვით, მაგალითად, „დიახ!“ „გუშინ“ და ა. შ., მსჯელობის (ე. ი. სუბიექტისა და პრედიკატის გარკვეული კავშირის) გამოთქმა შეუძლებელია, თუ ეს სიტყვა წინასწარ არაა პ ი რ ო ბ ი თ მიღებული რაიმე მსჯელობის (ან წინადადების) ნიშნად, ისევე როგორც მწვანე შუქი შუქნიშანზე მემანქანეს ეუბნება: „გზა ხსნილია“, თვით მწვანე შუქი (ან ხელის დაქნევა) არც მსჯელობაა და არც წინადადება.

მსჯელობა აზრთა კავშირია, მაგრამ ყოველი აზრთა კავშირი არ არის მსჯელობა. უკვე გრამატიკა არჩევს თხრობით, კითხვით, ბრძანებით და ძახილის წინადადებებს, რითაც თავისებურად აისახა აზრის ისეთი ფორმები, როგორიცაა კითხვა, პასუხი, ბრძანება და ბრძოლა. ლოგიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა მსჯელობას, ჩვეულებრივ, თხრობით წინადადებას უკავშირებს და თვლის, რომ მხოლოდ იგი გამოხატავს მსჯელობას. კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადებანი კი თავისთავად მსჯელობებს არ გამოთქვამენ. ასე ფიქრობდა, მაგალითად, არისტოტელე.

მაგრამ არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად მსჯელობას გამოხატავს არა მხოლოდ თხრობითი, არამედ კითხვითი და ძახილის წინადადებებიც. მაგალითად, ჰ. ლოტცე (1874 წ.) კითხვას დადები-

თი და უარყოფითი მსჯელობის გვერდით აყენებდა, როგორც მსჯელობის მესამე სახეს. დადებითი მსჯელობა აღიარებს სუბიექტისა და პრედიკატის მიმართების მნიშვნელადობას (Gültigkeit, значимость), ამბობდა იგი, უარყოფითი — მის არამნიშვნელადობას (Ungültigkeit, незначимость), რაც შეეხება კითხვას, — იგი მსჯელობის მესამე ფორმაა, რომელიც არ შეიცავს ამ მიმართების შეფასებას. ასევე ბ. ერდმანიც კითხვით წინადადებას მსჯელობად თვლის, რადგან, მისი აზრით, მასაც სუბიექტ-პრედიკატული აგებულება აქვს, ოღონდ გაურკვეველია ან სუბიექტი ან პრედიკატი ან კოპულა და მიზნად არის დასახული მისი (გაურკვევლობის) დაძლევა.

საბჭოთა ლოგიკოსებიდან, პ. ვ. კოპნინი წერს: «მსჯელობა არის ყოველგვარი შედარებით დასრულებული აზრი, რომელიც ასახავს მატერიალური სამყაროს ნივთებს, მოვლენებს მათი თვისებებით, კავშირებით და მიმართებებით»[27]. შესაბამისად, ის ასახელებს მსჯელობის სამ სახეს: «суждение-сообщение», «суждение—вопрос», «суждение-побуждение». პირველი ადგენს საგანში რაიმე თვისების, ნიშნის და ა. შ. არსებობა-არარსებობას და ორგვარია: სარწმუნო და ალბათური. ალბათური უახლოვდება კითხვას იმით, რომ არც დადებითია და არც უარყოფითი. კითხვაც მსჯელობაა: 1) ასახავს სინამდვილეს, 2) შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, 3) აზრთა კავშირია, 4) სუბიექტ-პრედიკატული ფორმა აქვს. კოპნინი მსჯელობა-კითხვაში არჩევს ორ ნაწილს: ა) მსჯელობა-ინფორმაცია (сообщение), რომელიც გამოდის როგორც კითხვის ბაზა, ბ) მიზანი, მოთხოვნა რაიმეს გარკვევისა. მსჯელობა-კითხვა ორ მსჯელობა-ინფორმაციას შუა იმყოფება. პირველი ბაზაა კითხვის, მეორე — პასუხი, თვითონ იგი თავისი შინაარსით პირველზე მდიდარია, მეორეზე — ღარიბი.

მაგ., 1. შენი ძმა გუშინ წავიდა.

2. სად წავიდა გუშინ შენი ძმა?

3. შენი ძმა გუშინ წავიდა ლენინგრადში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კითხვა („პრობლემა") დამოუკიდებელ თავად უნდა შევიდეს ლოგიკაში, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი ლოგიკური კატეგორია, რომელსაც „ყოველი ფეხის ნაბიჯზე" ბრძოლავს აზროვნება[28]. მაგრამ კითხვა არაა მსჯელობის სახე. კით-

---

[27] იხ. კრებული «Мышление и язык». М. 1957, с. 279-280.

[28] შემეცნების განვითარება ფილოსოფიის ისტორიაში დიდი ხანია სამართლიანად შეადარეს დიალოგსა და კამათს, რომელშიც კითხვა-პასუხის ფორმა არსებით როლს თამაშობს. პირველი მეცნიერი და ფილოსოფოსი ის იყო, ვინც შესძლო შედარებით

ხვასა და მსჯელობას შორის ისევე არსებობს განსხვავება, როგორც კითხვასა და პასუხს შორის. მსჯელობა კითხვის გადაწყვეტაა, თავისებური პასუხია კითხვაზე და არ შეიძლება თვით იყოს კითხვა!

* * *

ცნება და მსჯელობა ლოგიკური კატეგორიებია, ე. ი. ასახავენ მატერიალურ სამყაროს. სხვანაირად მათ საგნის «იდეალურ სურათებს» უწოდებენ. ამიტომ თვით ცნებისა და მსჯელობის «მნიშვნელობის» («Значение») შესახებ ლაპარაკი ანაქრონიზმია. «მნიშვნელობის» პრობლემა მაშინ ისმება, როცა საქმე პირობით ნიშანს ან სიმბოლოს ეხება. რაიმე «მნიშვნელობს», როგორც რაიმე სხვის პირობითი ნიშანი. ამის გარეშე «მნიშვნელობის» ცნებას აზრი ეკარგება. როგორც არ უნდა თქვან, მაინც ფაქტია, რომ სემანტიკა არის მოძღვრება ნიშნის (Знак, das Zeichen) შესახებ. x-ს აქვს «მნიშვნელობა», როცა იგი რაიმე ობიექტს პირობით აღნიშნავს, მისი ნიშანია, სიმბოლოა; მაგრამ ცნება და მსჯელობა კი არ აღნიშნავენ ობიექტს, არამედ ასახავენ მას. ეს პრინციპული საკითხია. ცნობილია ვ. ი. ლენინის ბრძოლა «იეროგლიფების თეორიის» წინააღმდეგ. «იეროგლიფების თეორიის» თანახმად ჩვენი წარმოდგენები, ჩვენი ცნებები და მსჯელობები სხვა არაფერია, თუ არ ობიექტთა სიმბოლოები, პირობითი ნიშნები, იეროგლიფები. მას ვ. ი. ლენინი აგნოსტიციზმის სახეობად თვლის და აღნიშნავს, რომ სიმბოლო არაა ობიექტის ასახვა, ანარეკლი, იდეალური სურათი, რომელიც ჰგავს საგანს და მეტ-ნაკლები სისრულით «აღადგენს» მას ადამიანის ცნობიერებაში, მაშინ როცა ასახვის მატერიალისტური თეორია აღიარებს გარკვეულ მსგავსებას ცნებასა და ობიექტს შორის. თუ ჩვენ, მაგ., თბილისის უნივერსიტეტის შენობას აღვნიშნავთ У-ით (თუნდაც «ცალსახად!») და У-ის ასეთ მნიშვნელო-

---

სისტემატური პასუხი გაეცა კითხვებზე, რომლებიც ასე თუ ისე გამოიკვეთა შემეცნების ისტორიის გარკვეულ საფეხურზე. მაგრამ თვით ამ პასუხმა უფრო მეტი კითხვები გამოიწვია... ასე იყო შემეცნების მთელი ისტორიის მანძილზე. იგივე ვლინდება შემეცნების ლოგიკურ ასპექტშიც. ლოგიკური აქაც ისტორიულს «იმეორებს» შემოკლებულად. ყოველი პასუხი სწყვეტს კითხვას, მაგრამ სწორედ ამით ახალ კითხვას ამზადებს, ე. ი. იმავე დროს თვით არის ეტაპი ახალი კითხვისა. მეცნიერიც დიდია არა მხოლოდ თავისი პასუხებით, აინშტაინს მეტი კითხვები აწუხებდა, ვიდრე ჩვეულებრივ, სხვა რომელიმე ფიზიკოსს...

ბას პირობით დავაკანონებთ, საქმე გვექნება სიმბოლოსთან და მის მნიშვნელობასთან. მაგრამ ეს У არ ასახავს უნივერსიტეტის შენობას და ვერაფერს გვეტყვის მის შესახებ. სამყარო სამუდამოდ მიუწვდომელი დარჩებოდა, ჩვენი ცოდნა რომ ასეთი სიმბოლოებიდან შენდებოდეს. ეს ვერ გაიგო, კერძოდ, პლეხანოვმა და ამიტომ აკრიტიკებს მას ვ. ი. ლენინი.

„მნიშვნელობს" არა ცნება და მსჯელობა, არამედ სიტყვა და წინადადება. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ სემანტიკა (მნიშვნელობის შესახებ მოძღვრება) ისტორიულად წარმოიშვა როგორც სწორედ ენათმეცნიერების დარგი. მაგრამ გრამატიკულისა და ლოგიკურის აღრევა პრინციპულად სხვა ვითარებას ჰქმნის. ვის არ ახსოვს მექანიკისა და მაქანიზიზმის განსხვავება! ვ. ი. ლენინი ხომ პრინციპულად უპირისპირებს ერთმანეთს ნიშანსა (სიმბოლო) და ცნებას, ნიშნის (სიმბოლოების) თეორიასა და ცნების თეორიას. რაში ხედავს ვ. ი. ლენინი მათს ძირეულ განსხვავებას? იმაში, რომ ცნება ასახავს საგანს, ნიშანი კი არ ასახავს, ამიტომ ცნების თეორია ასახვის თეორიაა, „სიმბოლოების თეორია" კი ასახვის თეორიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიბადა[29].

თუ სიტყვა და წინადადება ლოგიკური კი არა, გრამატიკული კატეგორიებია და ენათმეცნიერების სფეროს ეკუთვნის, მაშინ თვით ცნება „ლოგიკური სემანტიკისა" როგორ უნდა იქნეს გამართლებული ასახვის თეორიის თვალსაზრისით? შემთხვევითია განა ის ფაქტი, რომ „ლოგიკური სემანტიკა", როგორც ლ ო გ ი კ ი ს დ ა რ გ ი, შეიქმნა სწორედ იმ ფილოსოფიური მიმართულების წიაღში, რომელიც ლოგიკის საგნად თვლის არა აზროვნებას, არამედ ენას და უპირისპირდება ასახვის თეორიას! ნიშნის ზოგადი თეორიის შექმნაც სავსებით კანონიერი და მომწიფებული ამოცანა ჩანს, მაგრამ ლოგიკად, ან ლოგიკის დარგად მისი გამოცხადება პრინციპულად სხვა ვითარებას ჰქმნის.[30].

---

[29] «Одно дело изображение, другое дело символ, условный знак», წერს ვ. ი. ლენინი (Соч. т. 14, М., 1947, с. 223).

[30] «Nach üblicher Auffassung sind Syntax und Logik trotz man Zusammenhänge im Grunde Theorien sehr verschiedener Art. Die Syntax einer Sprache stellt Regeln auf, nach denen die sprachlichen Gebilde (Z. B. die Sätze) aus Elementen (Z. B. aus Wörtern und Wortteilen) zusammenzusetzen sind. Die Hauptaufgabe der Logik sieht man dagegen in der Aufstellung von Regeln, nach denen Urteile aus anderen Urteilen erschlossen werden können. Durch die Entwic-

ჩვენ ვანსხვავებთ ერთმანეთისაგან ისეთ ცნებებს, როგორიცაა სიტყვა, მნიშვნელობა, საზრისი და საგანი. ამ განსხვავებას მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს და განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. სიტყვას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ საზრისი სიტყვის მნიშვნელობა როდია, არამედ ის, რაც სიტყვით აღნიშნება, ხოლო ის, რასაც სიტყვა აღნიშნავს, საგანი კი არაა, არამედ საგანს ასახავს. ეს ცალკე სპეციალური განხილვის თემაა. აქ უნდა ითქვას მხოლოდ, რომ მათი ურთიერთობის არასწორი გაგება ლოგიკური და გრამატიკული არევ-დარევის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გადაიქცა უკანასკნელი საუკუნის მანძილზე[31]. განსაკუთრებით გავრცელებულია ამ მხრივ „მნიშვნელობისა" და „საზრისის" გაიგივება, რამდენადაც ლოგიკურ და გრამატიკულ ლიტერატურაში ამტკიცებენ, რომ ცნება არის სიტყვის მნიშვნელობა[32], ანუ საზრისი. ასევე უდავოდ ითვლება დებულება, რომ მსჯელობა არის წინადადების მნიშვნელობა ანუ საზრისი.

უფრო ზუსტად, ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ სიტყვის მნიშვნელობაში შედის არა მხოლოდ აზრი (ცნება, წარმოდგენა), არამედ გრძნობა, ემოცია და ნებელობა; ასევე წინადადება ყოველთვის დატვირთულია ემოციონალური და ნებელობითი ელფერით და მისი მნიშვნელობა არ დაიყვანებაო მსჯელობაზე. მაგრამ ამით ხაზი ესმება სხვა მომენტს. ფაქტია მაინც, რომ ამ თვალსაზრისით ცნება და მსჯელობა სიტყვისა და წინადადების მნიშვნელობათა სფეროს ეკუთვნის. სწორედ ეს იწვევს გრამატიკული და ლოგი-

---

klung der Logik in der letzten Iahrzehnten hat sich jedoch immer deutlicher herausgestellt, daß sie nur dann exakt betrieben werden kann, wenn sie sich auf nicht die Urteile (Gedanken oder Gedankeninhalte) bezieht, sondern auf die sprachlichen Ausdrücke, insbesondere die sätze. Nur in bezug auf diese lassen sich scharfe Regeln aufstellen» (R. Carnap, Logische Syntax der Sprache, 1934, s. I).

[31] სიტყვის, მნიშვნელობის, საზრისისა და საგნის განსხვავების საკითხი გ. ფრეგეს შემდეგ ფართო განხილვის საგანია მათემატიკურ-ლოგიკურ ლიტერატურაში. მაგ., ა. ჩერჩი თელის, რომ სახელის მნიშვნელობა საგანია, რომელსაც ის აღნიშნავს, საზრისი კი ინფორმაცია, აზრი, «კონცეპტი», რომელიც საგანს გამოხატავს. სიტყვის შინაარსიც საზრისთანაა გაიგივებული. ჩვენის აზრით, როგორც ზემოთ ითქვა, სიტყვის მნიშვნელობა არაა საგანი. საზრისისა და მნიშვნელობის განსხვავება სწორია, მაგრამ სიტყვის შინაარსი არ უდრის მის საზრისს, ისევე როგორც წინადადების შინაარსი არაა მსჯელობა.

[32] «ცნებებს ჩვენ ვეუწოდებთ სახელთა მნიშვნელობებს», წერს ვ. აიდუკევიჩი («Abriss der Logik», Berlin, 1958 S. 18)

კური კატეგორიების აღრევას; მნიშვნელობა უდავოდ წინადადების მხარე ან ნაწილია; რაც შეეხება მსჯელობას, ჩვენის აზრით, იგი არაა მსჯელობა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მისი მნიშვნელობა არა მსჯელობა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მისი მნიშვნელობა უშუალოდ რეალურ საგანთა კავშირია, რომელიც მსჯელობაში აისახება. ამის შესახებ ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი. წინადადების მნიშვნელობა არც მსჯელობაა და არც საგნობრივი ვითარება. ჩვენ ვიცავთ იმ თეზისს, რომ ობიექტურ საგანთა კავშირი აისახება მსჯელობით, მსჯელობა კი აღინიშნება წინადადებით. წინადადება უშუალოდ საგანთა კავშირს კი არ აღნიშნავს, არამედ გაშუალებულია ადამიანის „აზროვნებითი მოღვაწეობის შედეგებით", რომელიც ობიექტურ საგანთა კავშირს ასახავს. მსჯელობა წინადადების საზრისია და არა „მნიშვნელობა", წინადადების მნიშვნელობა ეკუთვნის მსჯელობასთან მისი მ ი მ ა რ თ ე ბ ი ს სფეროს და არაა თვითონ მსჯელობა, როგორც ასეთი, რომლის არსებითი ბუნების გარკვევა ლოგიკის (და არა ენათმეცნიერების) უდავო კომპეტენციას შეადგენს.

* * *

მსჯელობისა და წინადადების ურთიერთობის შესახებ ვრცელი ლიტერატურა დაგროვდა, რომლის მიმოხილვა უზომოდ გაზრდიდა ჩვენი შრომის მოცულობას. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს კრიტიკის მიზნით.

1. დ. პ. გორსკის აზრით მსჯელობისა და წინადადებების განსხვავება დაიყვანება იმაზე, რომ ყველა წინადადება (კითხვითი, ძახილის) არ გამოხატავს მსჯელობას: მსჯელობას გამოხატავს მხოლოდ თხრობითი წინადადება, ამბობს ის. მაგრამ არის კი განსხვავება თხრობით წინადადებასა და მსჯელობას შორის? აქ ვლინდება მისი პოზიციის არსება. «Возникает вопрос о том, понимаем ли мы под суждением мысль, как отвлеченную от тех языковых средств, с помощью которых она выражена, или мысль вместе со средством ее языкового выражения?»[33]. ამ კითხვის ორგვარი ვადაწყვეტა არსებობს,

[33] Д. П. Горский, Логика, М., 1963, с. 94.

წერს გორსკი: 1) ერთნი «მსჯელობის» ქვეშ გულისხმობენ გამოთქმას, წინადადებას, ე. ი. აზრს მისი გამოხატვის ენობრივ საშუალებებთან ერთად. მათთვის ერთი და იგივე აზრი, გამოთქმული სხვადასხვა ენაზე, — სხვადასხვა მსჯელობაა.

მაგ., ა) «Он студент»

ბ) «Er ist ein Student».

გ) «He is a student».

მათი აზრით ეს სამი წინადადება სამ სხვადასხვა მსჯელობას გამოთქვამს. «Поэтому они предпочитали термину «суждение» термины «Предложение», «Высказывание», «Пропозиция» (от лат. слова propositio, что означает предложение)»[34] 2) მეორენი (ლაიბნიცი, ბ. ბოლცანო, გ. ფრეგე და სხვ.) მსჯელობის ქვეშ გულისხმობენ «პროპოზიციას — აბსტრაქტული აზრით», ე. ი. აზრს მისი გამოხატვის ენობრივ საშუალებათა გარეშე. ზემოთ მოყვანილი სამი წინადადებაც, მათი აზრით, ერთიდაიგივე მსჯელობას გამოხატავს. ამ გაგებით, მსჯელობა არის ის საერთო, რაც რჩება თხრობით წინადადებაში ერთი ენიდან სხვებზე თარგმნის დროს.

დ. გორსკი ცალმხრივად თვლის ორივე ამ გაგებას და ფიქრობს, რომ მსჯელობის ორივე გაგება უნდა იქნეს გაზიარებული და მიღებული! «Мы полагаем, что оба понимания суждения вполне законны и каждое из них используется в зависимости от конкретных задач исследования»[35]. ჩვენს წინაშეა სხვადასხვა თვალსაზრისთა ეკლექტიკური შერევის მაგალითი. არსებითად აქ პრობლემა არც კია გადაწყვეტილი: ზოგი აიგივებს მსჯელობასა და წინადადებას, ზოგი ანსხვავებს, გორსკი კი თვლის, რომ ორივე გაგება სწორია!

2. ტ. კოტარბინსკი პირდაპირ აყენებს კითხვას: «რით ჯობია ოპერირება ლოგიკაში: «წინადადებებით (გამოთქმებით») თუ «მსჯელობებით?" — და სწყვეტს მას «წინადადების» (გერმ. «Satz», ლათ. «propositio») სასარგებლოდ. მისი საბუთები ასეთია: ა) «წინადადება» თავისუფალია ფსიქოლოგიური მომენტებისაგან, მაშინ როცა «მსჯელობა» ძირითადში ფსიქოლოგიური მნიშვნელობით იხმარება: ფსიქიკური აქტი, დროში მიმდინარე პროცესი თავისებური განცდებითა და მოგონებებით. ბ) «მსჯელობა» ვითომური («мнимое») სახელია და წყარო შეცდომისა, თითქოს არსებობს იდეალური საგანი მსჯელობის სახით — ზეგრძნო-

---

[34] Д. П. Горский, Логика, М.. 1963, с. 94.

[35] იქვე.

ბადი, ზედროული, ზევრცეული, მაშინ როდესაც წინადადება არაა ვითომური ობიექტი; მსჯელობა «არ არსებობს», წინადადება კი არსებობს: «ჩანაწერი, მაგალითად,—ეს ხომ ფიზიკური საგანია, რომელსაც აქვს თავისი ვრცეული გარკვეულობა სხვა თვალსაჩინო საგნების მიმართ და ა. შ.»[36] გ) ლოგიკა საერთოდ არაა მეცნიერება აზროვნების შესახებ: ლოგიკის თანამედროვე სახეა მათემატიკური ლოგიკა, — წერს ტ. კოტარბინსკი, — ხოლო უაზრობაა იმის თქმა, რომ მათემატიკური ლოგიკა არის მოძღვრება აზროვნების შესახებ. ლოგიკის ჩათვლა აზროვნების შესახებ მეცნიერებად კოტარბინსკის ფსიქოლოგიზმად (და პლატონიზმადაც) მიაჩნია. ნომინალიზმის თანახმად, რომელსაც მე ვიცავ, ლოგიკა არის მეცნიერება ენის შესახებ,—წერს ის. როგორც ვხედავთ, კოტარბინსკი სამართლიანად იმიჯნება ფსიქოლოგიზმისაგან, მაგრამ ამას ის ახერხებს მხოლოდ და მხოლოდ გრამატიკიზმის ხარჯზე! ეს კი არანაკლებ საზიანოა.

3. გ. კლაუსი შრომაში «Moderne Logik» (1964 წ.) გამოყოფს პარაგრაფს: «Der Semiotische Aspekt der Aussage», რომელშიც განსხვავებულია გამოთქმის სამი ასპექტი: ა) გამომთქმელი სუბიექტი, ბ) საქმის ვითარება, რომელსაც გამოთქმა ასახავს და გ) ენობრივი ფორმა, რომელშიც ის არსებობს. პირველი გრამატიკის სფეროა; სემანტიკა იკვლევს მეორისა და მესამის ურთიერთობას, ხოლო სინტაქსი მხოლოდ მესამე ასპექტით კმაყოფილდება, წერს კლაუსი. მაგრამ «სინტაქსი» ეწოდება აგრეთვე ენათმეცნიერების ერთ-ერთ ნაწილს. რით განსხვავდება «ლოგიკური სინტაქსი» მისგან? მათ ბევრი რამ აქვთ საერთო და ანალოგიური, წერს კლაუსი: ლინგვისტურ სინტაქსს განსაზღვრავენ, როგორც მოძღვრებას წინადადების, მისი აგებულების შესახებ, რომელიც სწავლობს სხვადასხვა სახის წინადადებებს, მათ ელემენტებს, მათი სწორად აგების წესებს. აქედან კლაუსი ერთბაშად გადადის «ლოგიკურ სინტაქსზე»: «ყველაფერს ამას უეჭველად აკეთებს აგრეთვე ლოგიკური სინტაქსი, მაგრამ მისი საგანი მაინც სხვაა»[37]. ჩვენის აზრით, უკვე ეს დებულება ბუნდოვანი და გაუმართავია: თუ ლოგიკური სინტაქსი იგივეს აკეთებს, მაშინ მათი საგნებიც მთლიანად ან ნაწილობრივ იგივენი ყოფილან! კლაუსი მათ მაინც ანსხვავებს: «ენათმეცნიერული სინტაქსი იკვლევს წინადადებას ამა თუ იმ გარკვეულ ბუნებრივ ენაში, ლოგიკური სინტაქსი იკვლევს გამოთქმას ამა თუ იმ ხელოვნურ ენაში»,[38] წერს ის. მაგრამ რას ნიშნავს «ხელოვნური

---

[36] Т. Котарбинский, Избранные произведения, М. 1963, с. 651.
[37] G. Klaus, Moderne Logik, Berlin, 1964, S. 38.

ენა?» კლაუსის არც ეს დებულებაა გამართული და მისაღები. ლოგიკა აზროვნების თეორიაა. როგორც ასეთი, ის თავის კვლევის საგნად ვერ გაიხდის ენას, იქნება ის ბუნებრივი თუ «ხელოვნური». მეტიც, შეუძლიათ განა მარქსისტებს, რომლებიც აზროვნებითი, ცნებითი ასახვის პრინციპს იცავენ, რომელიმე მეცნიერება (ვთქვათ, მათემატიკა) განიხილონ როგორც ენა, თუნდაც «ხელოვნური ენა?»

ლოგიკაში ენის შესწავლის საჭიროებას კლაუსი ამართლებს „ენისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობით", რაც მისი აზრით, კერძოდ, გამოიხატება გამოთქმისა და წინადადების სტრუქტურულ შესაბამისობაში[39]. „ეს ნიშნავს, რომ საურთიერთო ენის წინადადებათა ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ შესაბამის გამოთქმათა სტრუქტურა"[40]. აქ კლაუსი თვითონაც გრძნობს ერთგვარ შეუსაბამობას, რის გამოც იძულებულია სპეციალური შენიშვნა გააკეთოს ლოგიკისა და ენათმეცნიერების აღრევის წინააღმდეგ: „ლოგიკა არ უნდა შეიცვალოს ენათმეცნიერებით"[41], წერს ის. მაგრამ აქაც სრულიად უცნაურ საბუთს ემყარება: „მეტისმეტი დაახლოება ენათმეცნიერებასთან არის, შესაძლოა, იმის მიზეზი, რომ ლოგიკოსები დღემდე ჯერ კიდევ ებღაუჭებიან გამოთქმის უსაფუძვლო დანაწილებას სუბიექტად და პრედიკატად".[42] ეს უკვე სრული არევ-დარევაა. სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის «ვალსაზრისი» პრინციპულად სულ სხვა მოსაზრებას ემყარება და მას სწორედ ის ხალხი უარყოფს (პოზიტივისტები), რომლებიც ლოგიკას საერთოდ არ თვლიან მოძღვრებად აზროვნების (და მსჯელობის) შესახებ: ენის შესახებ მოძღვრებად აცხადებენ მას.

ლოგიკური სინტაქსის ძირითად ამოცანად კლაუსი მაინც თვლის ხელოვნური ენების აგებას და შესწავლას: „ფორმალური ლოგიკის ხელოვნური ენა იმგვარად უნდა შეიქმნას, რომ იგი მაქ-

---

[39] G. K l a u s , Moderne Logik, S. 38.

[39] ზოგს ასეთი «საბუთი» აქვს: აზროვნება არ არსებობს ენის გარეშე, ამიტომ ლოგიკამ ენაც უნდა იკვლიოსო. მაგრამ აზროვნება არ არსებობს არც ტვინის გარეშე. გამოდის, რომ ლოგიკამ ტვინიც უნდა შეისწავლოს? ტვინი არ არსებობს ორგანიზმის გარეშე, ორგანიზმი — არაორგანულის გარეშე...

[40] G. K l a u s. Moderne Logik, S. 39.

[41] იქვე.

[42] იქვე.

სიმალურად ადეკვატური იყოს იმ აზრთა სტრუქტურისა, რომელიც მის მიერ უნდა გამოითქვას."[43]. მაგრამ რად სჭირდება ლოგიკას, რომელიც აზროვნების სტრუქტურას სწავლობს, ხელოვნური ენის კონსტრუირება და ანალიზი?

აქვე კლაუსი ანსხვავებს გამოთქმას (Aussage) და მსჯელობას (Urteil). «წინადადების მნიშვნელობის ქვეშ საკუთარი აზრით გვესმის გამოთქმა, როგორც რაიმე საგნობრივი ვითარებას ასახავ»[44]. გამოთქმები არ არსებობენ ადამიანის ცნობიერების გარეშე, აქ კი ისინი არსებობენ მსჯელობათა სახით, ადამიანის თვალსაზრისთან (Stellungnahme) შინაგან კავშირში, წერს კლაუსი. თუ ჩვენ ამ «თვალსაზრისს» მტკიცებას (Behauptung) ვუწოდებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ «Das Urteil ist die Behauptung eine Aussage. Demzufolge gehört das Urteil in das Untersuchungsgebiet der pragmatik, der Psychologie und ähnlicher Wissenschaften»[45].

4. პროფ. ს. წერეთლის აზრით, თანამედროვე ფორმალურ ლოგიკაში გამოყოფილი ე. წ. მიმართების მსჯელობები არცაა მსჯელობები, ისინი წინადადებებია და არა მსჯელობებიო: „რაც შეეხება ე. წ. მიმართების მსჯელობებს, ისინი საგანთა დროულ, ვრცეულ და სხვ. მიმართებებს წარმოადგენენ და არა ცნებათა მიმართებებს — მსჯელობებს, მიმართების ლოგიკა აზრს საგანთან აიგივებს. მაგ., თბილისი ქუთაისის აღმოსავლეთითაა, ეს საგანთა დამოკიდებულებაა; ეს წინადადება მსჯელობის სახეს მიიღებს, თუ ვიტყვით, რომ თბილისი არის ქალაქი, რომელიც ქუთაისის აღმოსავლეთითაა ანუ თბილისი არის ქუთაისის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქი".[46].

როგორც ვხედავთ, აქ შეპირისპირებულია ორი მაგალითი:

1. „თბილისი ქუთაისის აღმოსავლეთითაა"

2. „თბილისი არის ქალაქი, რომელიც ქუთაისის აღმოსავლეთითაა".

ავტორის მტკიცებით პირველი არაა მსჯელობა, არამედ წინადადებაა, მეორე კი მსჯელობაა. მეორე მიიღება პირველის გარ-

---

[43] იქვე.

[44] იქვე, S.40.

[45] G. Klaus. Moderne Logik. S. 40.

[46] საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1961, № 2, გვ 134.

კვეული გადაკეთებით. გამოდის, რომ წინადადება შეიძლება ვაქციოთ მსჯელობად!

მომდევნო წლებში ავტორმა შეცვალა ზოგი თავისი დებულება მსჯელობის გაგებაში, მაგრამ მის ბოლო შრომაშიც — „დიალექტიკური ლოგიკა" (1965 წ.) შემორჩა ასეთი დებულება:

„წინადადება გამოთქვამს მიმართებას, მსჯელობის მთელი შინაარსი პრედიკატშია მოთავსებული. წინადადება რომ გადავაქციოთ მსჯელობად, მისი შინაარსი უნდა გამოვყოთ კოპულას"[47].

როცა კაცი „ წინადადების მსჯელობად გადაქცევის" შესახებ ლაპარაკობს, მას უბრალოდ ავიწყდება მარტივი ფაქტი, რომ წინადადება მსჯელობის (იდეალურის) ენობრივი გარსია, როგორ შეიძლება ერთი მეორედ ი ქ ც ე ს?!

დასკვნა

მსჯელობა განუყრელ კავშირშია წინადადებასთან, ჩამოისხ�, გამოიხატება და არსებობს მასთან ერთად, მისი ფორმით, მისი საშუალებით. წინადადება არის მსჯელობის „მატერიალური გარსი", რომლის რეალობაც წინადადებით მყარდება. წინადადების საშუალებით იცვლება იგი ადამიანთა შორის, წინადადების საშუალებით ეძლევა ადამიანს მისი საკუთარი მსჯელობაც, წინადადება მსჯელობის არსებობის ფორმაა.

ასეთია მათი კავშირი, მათი „შეხვედრის პუნქტები", მათი ერთიანობა. მაგრამ მათ შორის არსებობს განსხვავებაც, მათი გაიგივება დაუშვებელია:

1. მსჯელობა აზრის სფეროს ეკუთვნის, ლოგიკური კატეგორიაა. წინადადება კი ენის სფეროს ეკუთვნის, გრამატიკული კატეგორიაა. მსჯელობა ასახვაა და ობიექტურ საგანს შეესაბამება, წინადადება კი ენობრივი კოლექტივის პირობითი ნიშანია, სიმბოლოა და ცვალებადობს ენათა სიმრავლის (და არა საგნის) შესაბამისად.

2. არც ყველა წინადადება გამოხატავს მსჯელობას. არსებობს თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის წინადადება. მსჯელობას მათგან მხოლოდ თხრობითი წინადადება გამოხატავს, მათი კლასიფიკაციაც სრულებით არ მიჰყვება ერთმანეთს: უაზ-

---

[47] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, «დიალექტიკური ლოგიკა», თბ., 1965, გვ. 238-239.

რობაა ლაპარაკი თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი მსჯელობის შესახებ, ისევე როგორც — ზოგადი, კერძო, ერთეული, პირობითი, გაყოფითი და ა. შ. წინადადების შესახებ.

3. არც თხრობითი წინადადება იმეორებს მსჯელობის თავისებურებებს. მსჯელობა ორ ლოგიკურ წევრს და მათ კავშირს გულისხმობს. თხრობითი წინადადება კი შეიძლება იყოს ერთწევრიანი, ორწევრიანი, სამწევრიანი და ა. შ. გრამატიკა წინადადებაში არჩევს მთავარ (ქვემდებარე და შემასმენელი) და არამთავარ (დამატება, განსაზღვრება, გარემოება) წევრებს. მსჯელობა კი სუბიექტსა და პრედიკატს შეიცავს.

4. არც ორწევრიანი თხრობითი წინადადება ემთხვევა მსჯელობას. სუბიექტისა და პრედიკატის კორელაცია წინადადების ქვემდებარესთან და შემასმენელთან სრულიადაც არ წარმოადგენს ზოგად კანონს. შეუძლებელია სუბიექტის (resp., პრედიკატის) განსაზღვრა ქვემდებარის (resp., შემასმენლის) მიხედვით და პირიქით. ერთი და იგივე წინადადებით შეიძლება სხვადასხვა მსჯელობა გამოითქვას.

5. ერთ და იგივე მსჯელობას სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა წინადადება გამოთქვამს. მეტიც, იგი შეიძლება სხვადასხვა წინადადებით გამოითქვას ერთი და იმავე ენაზეც.

6. წინადადების წევრთა (ქვემდებარე, შემასმენელი და ა. შ.) ურთიერთობას გრამატიკული წესები და კანონები აწესრიგებენ, რომლებიც იმდენგვარია, რამდენი ენაც არსებობს. მსჯელობის წევრთა (სუბიექტისა და პრედიკატის) კავშირი კი არ ემორჩილება ნაციონალური ენების განსხვავებას, იგი საგანთა ობიექტურ კავშირებს ასახავს და ლოგიკის კანონებით განისაზღვრება[48].

---

[48] ამ თავის შემოკლებული ვარიანტი დაიბეჭდა ჟურნალ «მაცნეში» 1970 წ. № 3, სათაურით «მსჯელობა და წინადადება» (გვ. 45-54).

თავი III

მსჯელობის განსაზღვრება[1].

მსჯელობა აზროვნების ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ იგი თვითონაც შემეცნების მრავალმხრივი და რთული ობიექტია. მსჯელობის თეორიის პრობლემებიდან მეტად მნიშვნელოვანია მსჯელობის განსაზღვრების პრობლემა. განსაზღვრებას (დეფინიციას) არ უნდა მოვთხოვოთ იმაზე მეტი, რაც მას შეუძლია. მაგრამ თავისთავად იგი დიდ როლს ასრულებს (და გამოიყენება) ყველა მეცნიერებაში, რამდენადაც ზოგად-აბსტრაქტული ფორმით, შეკუმშული და გაუშლელი სახით მასში წარმოდგენილია სათანადო საგნის არსება. მსჯელობის ცნების სწორ ზოგად განსაზღვრებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მსჯელობის მთელი პრობლემატიკის ახსნისა და გაგებისათვის. იგი გამოიყენება როგორც ერთგვარი ორიენტირი მსჯელობის თეორიის საკითხების გასარკვევად.

* * *

ლოგიკის ისტორია იცნობს მსჯელობის მრავალ განსაზღვრებას. ყველა ასე თუ ისე ცნობილ ლოგიკოსს მსჯელობის თავისი განსაზღვრება აქვს. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსჯელობის ზოგადი ბუნების გაგებას არისტოტე-

---

[1] წინამდებარე შრომის I, II და III თავი («მსჯელობა როგორც აზროვნების ლოგიკური ფორმა», «მსჯელობა და წინადადება», «მსჯელობის განსაზღვრება») დაიწერა 1959 წელს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. მისი ერთი ნაწილი «მსჯელობის განსაზღვრებისათვის» (2 თაბახის მოცულობით) დაიბეჭდა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების «მოამბეში», 1960. № 2.

ლესთან, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ლოგიკის ისტორიაში.

არისტოტელეს ძირითადად მსჯელობის ორგვარი განსაზღვრება აქვს:

1. მსჯელობა არის წინადადება, ჭეშმარიტი ან მცდარი.

2. მსჯელობა არის გამოთქმა, რომელიც რაიმეს შესახებ რაიმეს ადასტურებს ან უარყოფს.

ორივე ეს განსაზღვრება ფორმალური ლოგიკის მთელს ისტორიას შემორჩა ჩვენს დრომდე. ორივე მათგანი მსჯელობის ტრადიციულ განსაზღვრებებად ითვლება და ყველაზე გავრცელებულია ლოგიკურ ლიტერატურაში. არაიშვიათად მათ მიმართავენ და იმეორებენ საბჭოთა ლოგიკურ ლიტერატურაშიც. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი გაგება ერთნაირი იყო ლოგიკის ისტორიის მთელ მანძილზე; პირიქით, სხვადასხვა ლოგიკოსი მათ აძლევდა განსხვავებულ და საპირისპირო ინტერპრეტაციას იმის მიხედვით, თუ რა ზოგად-ფილოსოფიურ კონცეფციას ეყრდნობოდა იგი.

ავიღოთ, მაგ., პირველი განსაზღვრება: „მსჯელობა არის წინადადება, ჭეშმარიტი ან მცდარი". თავისთავად მას შეიძლება დაეთანხმოს და ეთანხმებოდა კიდეც როგორც მატერიალისტი, ისე იდეალისტი. მაგრამ თითოეული მათგანი ძირეულად საპირისპირო ინტერპრეტაციას აძლევს მას, რამდენადაც მატერიალიზმსა და იდეალიზმს ძირეულად საპირისპიროდ ესმით ჭეშმარიტება-მცდარობის ცნება. მატერიალიზმისათვის მსჯელობის ჭეშმარიტება ნიშნავს ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ობიექტურ-საგნობრივი ვითარების ასახვას მასში. იდეალიზმს კი, ცხადია, ამგვარი გაგება თავისი ბუნებით არ შეუძლია, რადგან ის უარყოფს თვით აზრისაგან დამოუკიდებელ „მატერიალურ-საგნობრივ ვითარებას". მაგ., კანტისათვის, ან თანამედროვე იდეალისტებისათვის აღნიშნული განსაზღვრება სულ სხვა შინაარსს შეიცავს, ვიდრე იგულისხმება მასში მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით. აღნიშნული განსაზღვრების გაგებაში ერთმანეთს უპირისპირდება აგრეთვე მეტაფიზიკა და დიალექტიკა, რამდენადაც ჭეშმარიტება-მცდარობის დიალექტიკური გაგება ძირეულად უპირისპირდება მის მეტაფიზიკურ გაგებას.

მსჯელობის მეორე განსაზღვრებაც — „მსჯელობა არის გამოთქმა, რომელიც რაიმეს შესახებ რაიმეს ადასტურებს ან უარყოფს", შეიძლება გაგებულ იქნეს და იყო კიდეც გაგებული ლო-

ვიკის ისტორიაში სხვადასხვანაირად. საკმარისია გავიხსენოთ, მაგ., „დასტურისა“ და „უარყოფის“ სხვადასხვა ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციები უახლოესი პერიოდის ბურჟუაზიულ ლოგიკაში[2]. ლოგიკოსთა ერთი ნაწილის აზრით დასტური და უარყოფა ობიექტური საგნის ასახვის, მისი გარკვევის ლოგიკური ფორმებია[3], მაშინ როცა იდეალისტ-ფსიქოლოგისტი მათ განიხილავს, როგორც „ავტონომიური“ ნებისყოფის „წმინდა“ სუბიექტურ აქტებს.

მსჯელობის ზემოთ მოყვანილი ტრადიციული განსაზღვრებები, თუ მათ ავიღებთ სხვადასხვა ინტერპრეტაციების გარეშე, თავისთავად მართებულ შინაარსს შეიცავენ, სწორია, რომ მსჯელობას ახასიათებს ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი. მართალია ისიც, რომ მსჯელობაში ადგილი აქვს დასტურსა და უარყოფას. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ განსაზღვრებებს ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი, რის გამოც ერთიც და მეორეც უვარგისია, რ ო კ ო რ ც მ ს ჯ ე ლ ო ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა, რომელშიც მისი ზოგად-არსებითი ბუნება უნდა იყოს წარმოდგენილი.

როგორია მსჯელობის ტრადიციულ განსაზღვრებათა ძირითადი ნაკლი? მსჯელობა აზროვნების ფორმაა. მის განსაზღვრებაში გრამატიკული მომენტის შეტანა დაუშვებელია. მსჯელობის ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებები კი წინადადებას ან გამოთქმას იყენებენ, როგორც ზოგად ნიშანს მსჯელობისათვის.

წინადადებისა და მსჯელობის ურთიერთობის არასწორი გაგების მრავალი მაგალითი არსებობს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მათი ურთიერთობის წარმოდგენა, ჯერ ერთი, ფორმისა და შინაარსის, მეორე, მთელისა და ნაწილს, მესამე, გვარისა და სახის ურთიერთობად.

---

[2] დასტური გამოხატავს სუბიექტის რწმენას, დაჯერებულობას, დარწმუნებულობას (уверенность), დასტური არის რაიმეს ცნობა, დასტური არის რაიმეს მოწონება, დასტური არის რაიმეს დადებითი შეფასება და ა. შ. ასეთია დასტურის ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციის სხვადასხვა ვარიანტები.

[3] Психический акт утверждения не входит в логическую сторону суждения и интересен только с психологической стороны—წერს ლოსკი (იხ. Н. Лосский — Логическая и психологическая стороны утвердительных и отрицательных суждений. Журнал — «Логос», 1912-13 гг., с. 86-87), რა თქმა უნდა, სწორია, რომ დასტური, როგორც ფსიქიკური აქტი, (თუ ის ფსიქიკური აქტია), ფსიქოლოგიის საგანია, მაგრამ დასტური და უარყოფა საერთოდ არ უნდა გავიგოთ როგორც ფსიქოლოგიური კატეგორიები, რომლებიც რაიმესადმი სუბიექტის თანხმობას ან უთანხმოებას (Несогласие) გამოხატავენ. ეს ამ ცნებათა ფსიქოლოგისტური გაგება იქნებოდა.

შეუძლებელია დავუშვათ, რომ წინადადებასა და მსჯელობას შორის არსებობს ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა[4], ვინაიდან ასეთი დაშვება აუცილებლობით იწვევს კურიოზული ხასიათის დასკვნებს. როგორც ცნობილია, შინაარსი განსაზღვრავს ფორმას და თავის შესაბამისად ჰქმნის მას. ფორმა კი წარმოადგენს შინაარსის აგების წესს, შინაგან კანონს, მის სტრუქტურულ გარკვეულობას. მაგრამ მსჯელობა რომ წინადადებას, როგორც თავის ფორმას, განსაზღვრავდეს, აუხსნელი იქნებოდა წინადადებათა სიმრავლე ენათა სიმრავლის შესაბამისად — ერთი და იგივე მსჯელობის გამოსახატავად. უაზრობაა იმის თქმაც, რომ წინადადება არის მსჯელობის შინაგანი სტრუქტურა.

წინადადებისა და მსჯელობის ურთიერთობის შესახებ ფართოდ გავრცელებულია, აგრეთვე, თვალსაზრისი, რომლის თანახმად წინადადება განიხილება, როგორც მთელი, რომლის ერთ-ერთ მხარეს, კერძოდ, სემანტიკურ მხარეს შეადგენს მსჯელობა. ეს თვალსაზრისი ეწინააღმდეგება ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით მსჯელობა წინადადების შინაარსია და არა ნაწილი. მთავარი კი შემდეგია: თუ დავუშვებთ, რომ მსჯელობა არის წინადადების ნაწილი, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ მსჯელობის თეორია არის წინადადების თეორიის ნაწილი, რაც გრამატიციზმის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისს დიდი ზიანი მოაქვს თვით წინადადების თეორიისათვისაც, რადგან წინადადების სემანტიკური მხარის შესწავლა, რაც უდავოდ ენათმეცნიერების საქმეა, იცვლება მსჯელობის შესწავლით, რაც ლოგიკის საქმეა.

წინადადებასა და მსჯელობას შორის არ არსებობს აგრეთვე ფვარისა და სახის ურთიერთობა. მაგრამ ვინ ამტკიცებს ამას? სწორედ განსაზღვრებაში — „მსჯელობა არის წინადადება, ჭეშმარიტი ან მცდარი“ შეგნებულად თუ შეუგნებლად გატარებულია ეს თვალსაზრისი. ამ განსაზღვრებაში „წინადადების“ კატეგორია გამოყენებულია, როგორც გვარი მსჯელობისათვის. განსაზღვრება ამბობს: მსჯელობა არის გარკვეული სახის წინადადება. როგორი სახის წინადადება? წინადადება, რომელიც ჭეშმარიტია ან მცდარი. აქ უშუალოდ ჩანს გრამატიკულისა და ლოგიკურის აღრევა ერთ-

---

[4] მ. რ ო ზ ე ნ ტ ა ლ ი ს შრომაში — «დიალექტიკური ლოგიკის პრობლემები» (1960 წ.) ვკითხულობთ: «ენა არის ფორმა», რომელიც შინაარსით (ე. ი. აზრით) განისაზღვრება (გვ. 16).

მანეთში. მართალია, ეს განსაზღვრება არ აიგივებს წინადადებასა და მსჯელობას: არა ყველა წინადადება არის მსჯელობა. მაგრამ ამ განსაზღვრებით შეუძლებელია მსჯელობის განსხვავება თხრობითი წინადადებისაგან. თუ წინადადება არის გვარი მსჯელობისათვის, ცხადია, მისი ზოგადი ნიშნები ვრცელდება მსჯელობაზეც. ეს კი უაზრობას წარმოადგენს.

წინადადებისა და მსჯელობის ურთიერთობა არსებითად იგივეა, რაც ნიშნისა და აღსანიშნის ურთიერთობა[5]. ისევე როგორც სიტყვა წარმოადგენს აზრის სიმბოლოს, წინადადებაც არის აზრთა კავშირის სიმბოლო[6].

მსჯელობა არ არის წინადადება, მსჯელობა არ არის გამოთქმა. ითვალისწინებდნენ რა ამას, მთელი რიგი ლოგიკოსები სრულიად სამართლიანად „წინადადებას" ან „გამოთქმას" სცვლიდნენ „აზრით" — მსჯელობის განსაზღვრების დროს[7]. ამით ვრამატიციზმი თავიდან აცილებულია შემდეგ განსაზღვრებებში:

1. მსჯელობა არის აზრი, ჭეშმარიტი ან მცდარი.

2. მსჯელობა არის აზრი საგანზე, რომლის შესახებ რაიმეს ვადასტურებთ ან უარვყოფთ.

ყოველი განსაზღვრების დანიშნულებაა დაადგინოს სათანადო საგნის სპეციფიკა; დებულება, რომელიც ამ მოთხოვნას არ ანხორციელებს, შეიძლება თავისთავად სწორი იყოს, მაგრამ უვარგისია როგორც განსაზღვრება. ამგვარ დებულებათა რიცხვს ეკუთვნიან მსჯელობის ტრადიციული განსაზღვრებები. განვიხილოთ ისინი ამ მხრივ.

ა) მოცემულია თუ არა მსჯელობის სპეციფიკა დებულებაში— „მსჯელობა არის აზრი, ჭეშმარიტი ან მცდარი"?[8] ჭეშმარიტება-

---

[5] იხ. ჩვენი სტატია «მსჯელობის განსაზღვრებისათვის», მოამბე, 1960, №2.

[6] სამართლიანად ამბობს ვ. ი. მალცევი: «Значение является лингвистической категорией. Вопрос о значении возникает в связи с тем, что слова и предложения не являются отражением действительности, а представляют собой условное, символическое (хотя и исторически сложившееся) обозначение результатов отражения реального мира мыслью человека и наименованием объектов». («Проблема значения в лингвистике и логике», 1963, с. 5).

[7] ვედენსკი მსჯელობის ასე განსაზღვრავს: «Суждениями логика издавна назвала такие мысли,..., в которых мы что-либо утверждаем или отрицаем о чем либо» («Логика, как часть теории познания», с. 7, 1917).

[8] ჩვენ ვიღებთ ამ დებულებას გრამატიციზმის მომენტისაგან თავისუფალი სახით, რაც შეეხება დებულებას —«მსჯელობა არის გამოთქმა (წინადადება), ჭეშ-

მცდარობის ნიშანი ახასიათებს არა მხოლოდ მსჯელობას, არამედ აზროვნებას საერთოდ. მეტიც, ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი ახასიათებს არა მხოლოდ აზროვნებას, არამედ მთელ შემეცნებას საერთოდ. სინამდვილეს ასახავს არ მხოლოდ მსჯელობა ან საერთოდ აზროვნება, არამედ გრძნობადი საფეხურიც. ამდენად, ჭეშმარიტება-მცდარობის საკითხი ისმება გრძნობადი შემეცნების სფეროშიც. შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა (რამდენადაც ისინი განიხილებიან გნოსეოლოგიური თვალსაზრისით), ისევე ხასიათდება ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით, როგორც მსჯელობა. ვის შეუძლია უარყოს ეს? სუბიექტურ იდეალისტს, რომელიც ერთადერთ სინამდვილედ აცხადებს ჩვენს შეგრძნებებს და, ამდენად, „სინამდვილის" შემეცნების პრობლემას დაიყვანს წარმოდგენისა (ე. ი. „აზრის") და შეგრძნების ურთიერთობაზე. სინამდვილის შემეცნების, ე. ი. ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით გრძნობადობისა (გრძნობადი საფეხურისა) და აზროვნების დაპირისპირება ყალბი მიმართულებაა ფილოსოფიაში, რომელიც აგნოსტიციზმამდე მიდის. ვინც გრძნობად საფეხურს შემეცნების უნარს, ე. ი. ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანს ართმევს, ვერასოდეს ვერ შეძლებს გრძნობადი და რაციონალური მონეტების და-

---

მარიტ ან მცდარი», — იგი ჩვენ მიგვაჩნია გრამატიციზმის გამოვლენად მსჯელობის თეორიაში. შეიძლება თუ არა ლაპარაკი წინადადების (გამოთქმის) ჭეშმარიტება-მცდარობის შესახებ? წინადადების ჭეშმარიტება-მცდარობის შესახებ ლაპარაკი ისევე უაზრობაა, როგორც ენის ჭეშმარიტება-მცდარობის შესახებ ლაპარაკი. ენა ხომ აზროვნების (ე. ი. იდეალურის) მატერიალური გარსია. რა აზრით უნდა მივიჩნიოთ თვით იგი სინამდვილის ასახვად? ენა და წინადადება კი არ ასახავს სინამდვილეს, არამედ აზროვნება და მსჯელობა. დაუშვათ, რომ ენა სინამდვილის ასახვაა, ე. ი. მას ახასიათებს ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი. მაგრამ აზროვნებაც სინამდვილის ასახვაა. რა გამომდინარეობს აქედან? ან ის, რომ არსებობს ორგვარი ასახვა სინამდვილისა: ერთი ენაში, მეორე აზროვნებაში, ან ის, რომ ენა და აზროვნება ერთი და იგივეა. მაგრამ ენისა და აზროვნების გაიგივება არ შეიძლება, მათ შორის არც მთელისა და ნაწილის ურთიერთობაა. ჭეშმარიტება-მცდარობით ხასიათდება არა ენა, არამედ აზროვნება. ენა ან წინადადება სინამდვილეს რომ ასახავდეს, მაშინ როგორ შეიძლება ლაპარაკი ენათა სიმრავლის შესახებ? მაგრამ ენათა სიმრავლე და წინადადებათა განსხვავება ენების მიხედვით ფაქტია. უაზრობაა ლაპარაკი ქართული ენის, რუსული ენის და ა. შ. ან ქართული წინადადების, რუსული წინადადების და ა. შ. ჭეშმარიტება-მცდარობის შესახებ. ჭეშმარიტება-მცდარობა გნოსეოლოგიურ-ლოგიკური კატეგორია და არა გრამატიკული. გრამატიკას სხვა კატეგორიები გააჩნია წინადადების დასახასიათებლად, რომლებიც აფესრიგებენ სიტყვათა ურთიერთობას მასში, მის აგებულებას.

კავშირებას. ამის კლასიკური მაგალითია კანტის მთელი თეორიული ფილოსოფია.

მაგრამ მსჯელობის ზემოთ მოყვანილი განსაზღვრება თავისთავად სრულებით არ ამტკიცებს, რომ გრძნობადი შემეცნება არ ხასიათდება ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით. მასში თავიდანვე გამოყოფილია აზროვნების სფერო: მსჯელობა არის ა ზ რ ი, ჭეშმარიტი ან მცდარი. მაგრამ განასხვავებს თუ არა ეს ნიშანი მსჯელობას ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს სხვა ფორმებისაგან? — არ განასხვავებს.

თუ ჭეშმარიტობა-მცდარობას მსჯელობის სპეციფიკად ჩავთვლით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ცნება და დასკვნა არ ხასიათდება ამ ნიშნით*. დავუშვათ, რომ დასკვნის შემთხვევაში გამოსავალს წარმოადგენს ე. წ. სისწორისა და ჭეშმარიტების განსხვავება, მაგრამ რა ვუყოთ ცნებას? ხასიათდება თუ არა ცნება ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით? ცნებაც, ისევე, როგორც სმჯელობა ობიექტური სინამდვილის ასახვის ფორმაა. ცნების ჭეშმარიტება-მცდარობის უარყოფა შეუძლია ან იმას, ვინც საერთოდ უარყოფს ობიექტური სინამდვილის შეცნობადობას, უარყოფს აგრეთვე ცნების შემეცნებით ღირებულებას და კანტიანელთა მსგავსად მას თვლის ჩვენი გონების აპრიორულ ფორმად, ან იმას, ვინც ცნებას უიგივებს იზოლირებულად აღებულ სიტყვას. მაგრამ ცნება საგანთა ობიექტური არსების ასახვის ფორმაა. ამ აზრით, იგი უფრო ღრმად ასახავს სინამდვილეს, ვიდრე მსჯელობა! მისი გაიგივება ცალკე აღებული სიტყვის მნიშვნელობასთან ცნების, როგორც ასეთის, უბრალო გაუქმებაა და მეტი არაფერი, რის შემდეგ, ცხადია, ადვილია იმის დამტკიცება, რომ იგი არ ხასიათდება ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით. სინამდვილეში კი ჭეშმარიტება-მცდარობის ზოგადი ნიშნით ხასიათდება აზროვნების ყველა ფორმა, როგორც ცნება, მსჯელობა და დასკვნა ცალ-ცალკე აღებული, ისე მათი ერთიანობა, ე. ი. თვითონ ლოგიკური აზროვნება, ზოგადი ფორმით.

ბ) განვიხილოთ ტრადიციული ლოგიკის მეორე დებულება: „მსჯელობა არის აზრი საგანზე, რომლის შესახებ რაიმე დასტურ-

---

* «Выводы и следствия не будучи предложениями, не истинны и не ложны, так как истинность и ложность являются признаками лишь предложений. Они могут быть правильными или неправильными» (Я. Лукасевич «Аристотелевская силогистика с точки зрения современной формальной логики», М., 1959, с. 53).

დება ან უარიყოფა". აქაც არსებითად იგივე მდგომარეობაა, რაც პირველ შემთხვევაში. ამ დებულებას, საბოლოო ანგარიშში, ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის გაიგივებამდე მივყეევართ[10]. რა თქმა უნდა, დასტური და უარყოფა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფსიქოლოგიური, ისე ლოგიკური აზრით. დასტური და უარყოფა, როგორც ფსიქიკური აქტი, ფსიქოლოგიის კვლევის ობიექტია, მაგრამ დასტური და უარყოფა, როგორც თვით შემეცნების საგნის ობიექტური დახასიათების პროცესი, — ლოგიკური ფაქტია. თუ რაიმეს შესახებ რაიმეს გამოთქმა, როგორც შემეცნებითი დასტური ან უარყოფა, მსჯელობას და მხოლოდ მსჯელობას წარმოადგენს, მაშინ მთელი ადამიანური ცოდნა, მთელი მეცნიერული შემეცნება, მთელი აზროვნება სხვა არაფერია, თუ არ მსჯელობა. თუ მთელი შემეცნებითი დასტური და უარყოფა მსჯელობაა, მაშინ რა თვისობრივი თავისებურება რჩება ცნებისა და დასკვნისათვის შემეცნების პროცესში? განა ცნება, რომელიც საგანთა არსების ასახვას წარმოადგენს, არაფერს არ ადასტურებს ან უარყოფს საგნის შესახებ? იგივე ითქმის დასკვნის შესახებაც.

ამრიგად, მსჯელობის ორივე ზემოთ მოყვანილი განსაზღვრება ზოგად ხასიათს ატარებს. მათში არ არის ნაჩვენები მსჯელობის სპეციფიკური თავისებურება. მართალია, თავისთავად ორივე მართებულ შინაარსს შეიცავს, მაგრამ განსაზღვრებისათვის ეს საკმარისი არ არის.

მაგრამ ამით არ ამოიწურება მსჯელობის ტრადიციულ განსაზღვრებათა ნაკლი. ამ მხრივ არანაკლებ აღსანიშნავია ის გარე-

---

[10] არც ეს თვალსაზრისია უცხო ლოგიკის ისტორიისათვის, როგორც ცნობილია, კანტის შემეცნების თეორიაში გონებისა და განსჯის დაპირისპირებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, განსჯა კი მისთვის არსებითად იგივეა, რაც მსჯელობის უნარი, ხოლო გონება—დასკვნის უნარი. «Все действия рассудка мы можем свести к суждениям, следовательно, рассудок можно вообще представить как способность составлять суждения». (И. Кант, Сочинения, т. 3. с. 167, 1964 г.). კანტის შემდეგ მსჯელობის თეორიამ განსაკუთრებული ადგილი მოიპოვა ფორმალურ ლოგიკაში. ცნებას არაეითარი აზრი არა აქვს მსჯელობის გარეშე, წერს, მაგ., ეედენსკი; ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით რაიმეს შესახებ,—წარმოდგენილია მსჯელობებში, მსჯელობათა სახით, ამბობს ის. «Из суждений-то, а не из каких-либо других мыслей... и состоит знание» («Логика, как часть теории познания», с. 7). «Знание должно состоять не иначе как из истинных мыслей; истинными же и ложными могут быть только суждения» (იქვე, გვ. 7-8). მთელი ფორმალური ლოგიკა არსებითად მსჯელობის თეორიას წარმოადგენს, წერს ვინდელბანდი.

შოება, რომ მათში არ არის მოცემული მსჯელობის, როგორც ასეთის, ზოგადი ნიშანი. განსაზღვრებამ უნდა მოგვცეს ნიშანი, რომელიც საგანთა სიმრავლეს ახასიათებს ზოგადად და არსებითად. სახეთა ჩამოთვლა, თვით ტრადიციული ლოგიკის თანახმად, განსაზღვრება არ არის, განსაზღვრების ცნებას ეწინააღმდეგება. დაუშვებელია, მაგ., „ადამიანის" ცნების ამგვარი განსაზღვრება: ადამიანი არის ან თეთრკანიანი, ან შავკანიანი, ან წითელკანიანი და ა. შ., რადგან დასახელებული ნიშნები ცალ-ცალკე ადამიანთა სიმრავლის მხოლოდ ნაწილს ახასიათებს და არა ამ სიმრავლეს ზოგადად.

ა) რას ნიშნავს მსჯელობა განვსაზღვროთ, როგორც აზრი, რომელიც ჭეშმარიტია ან მცდარი? ფორმალური ლოგიკის „ან", რომელიც ამ განსაზღვრებაში მონაწილეობს, თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ მსჯელობათა სიმრავლე დაყოფილია ორ ჯგუფად და დასახელებულია თითოეული ჯგუფის ზოგადი ნიშანი, მაგრამ ყაურკვეველია, რა არის თვითონ მსჯელობა, როგორც ასეთი, — მისი ზოგადი ფორმით, რა არის ის ზოგადი, რომელიც „მსჯელობის" ცნებაში აერთიანებს მსჯელობათა სიმრავლის ამ ორ ჯგუფს.

იქმნება სრულიად ყალბი მდგომარეობა სწორედ ლოგიკის თვალსაზრისით. განსაზღვრებაში მსჯელობის ზოგადი ნიშანი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, ნამდვილად კი აქ წარმოდგენილია ნიშნები, რომლებიც შესაბამისად, მსჯელობათა სიმრავლის მხოლოდ ნაწილს ახასიათებს და, მაშასადამე, არ ახასიათებს დანარჩენ ნაწილს! ტრადიციული განსაზღვრება იმას კი არ ამბობს, რომ მსჯელობათა მთელი სიმრავლე, ე. ი. ყოველი მსჯელობა ერთდროულად ხასიათდება ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა ის ფორმალურად, როგორც განსაზღვრება, ამ მხრივ უნაკლო. მაგრამ ტრადიციულ განსაზღვრებას, როგორც ცნობილია, გაყოფითი მსჯელობის ფორმა აქვს; ფორმალურ-ლოგიკური გაყოფის ერთ-ერთი ზოგადი წესი კი იმაში მდგომარეობს, რომ გაყოფის წევრები უნდა გამორიცხავდნენ ერთმანეთს. კავშირი „ან" განსაზღვრებაში სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს. ამას გარდა, „ჭეშმარიტება-მცდარობა" მსჯელობის ზოგად ნიშნად ტრადიციულ ლოგიკას არ შეუძლია დაასახელოს პრინციპული მოსაზრებითაც: იგი ოპერირებას აწარმოებს „უძრავი კატეგორიებით" საერთოდ, ჭეშმარიტებასა და მცდარობას ის იღებს მხოლოდ გა-

რეგან დაპირისპირებაში, მათი ერთიანობა უარყოფილია, როგორც „დაუშვებელი წინააღმდეგობა“.

ბ) იგივე ითქმის მსჯელობის მეორე ტრადიციული განსაზღვრების შესახებ — „მსჯელობა არის რაიმეს შესახებ რაიმეს დასტური ან უარყოფა“. ამ დებულებასაც გაყოფითი მსჯელობის ფორმა აქვს, იგი შეიცავს ნიშნებს, რომლებიც ახასიათებენ არა მსჯელობას, როგორც ასეთს, მისი ზოგადი ფორმით, არამედ მსჯელობის ცალკეულ სახეებს. მართლაც, რაიმეს შესახებ რაიმეს დასტური ამ განსაზღვრების თანახმად მსჯელობის ზოგადი ნიშანი არ არის; ასევე არაა მსჯელობათა სიმრავლის ზოგადი ნიშანი რაიმეს შესახებ რაიმეს უარყოფა. რაიმეს შესახებ რაიმეს დასტური არის დადებითი მსჯელობა, რაიმეს შესახებ რაიმეს უარყოფა — უარყოფითი მსჯელობაა. როგორც ვხედავთ, ტრადიციული განსაზღვრების აზრი ის არის, რომ მასში უბრალოდ დასახელებული და წარმოდგენილია მსჯელობის ორი სახე: დადებითი და უარყოფითი მსჯელობა. ამდენად, ეს დებულება არ იძლევა თ ვ ი თ ო ნ მსჯელობის, როგორც ასეთის, განსაზღვრებას[11].

მსჯელობა არის დადებითი ან უარყოფითი, — ასეთია, საბოლოო ანგარიშში, ამ განსაზღვრების აზრი. მაგრამ ამით ხომ მსჯელობის, როგორც ასეთის, არსებითი ბუნება დაშერილი არაა. რა არის ის ზოგადი, რომელიც დადებით და უარყოფით მსჯელობათა სიმრავლეს აერთიანებს? დასტური და უარყოფა რომ მსჯელობის ზოგადი ნიშანი არაა, ამაზე თავისთავად მიუთითებს ფორმალურ-

---

[11] ამ საბუთით აკრიტიკებს არისტოტელეს, მაგ., ი. გაიზერი: «Konseguent muss sich das Urteil in einer Weise bestimmen lassen, dass zu seinen Merkmallen weder die Bejahung des Pradikates von Subjekt noch die Verneinung gehört». მაგ., სამკუთხედის სამი სახე არსებობს: სწორ, მახვილ და ბლაგვკუთხა სამკუთხედები. შეუძლებელია სამკუთხედი, რომელიც მხოლოდ «სამკუთხედი» იქნება და არც ერთი ამ სახეებიდან. ამის მიუხედავად, სამკუთხედის ცნებაში მისი სახეები არ შეჰყავთ; ასევე, «Bejahung und Verneinung sind die beiden Formen, in denen das allgemeine Wesen des Urteils konkret und individuell wird» (იხ. ი. გაიზერის სტატია მსჯელობის შესახებ კრებულში: Abhandlungen aus dem Gebiete der Philosophie und ihrer Geschichte, Freiburg, 1913, S. 120, 121), თვითონ ის მსჯელობის არსებას თავისებურ «ინტენციას» უკავშირებს და ასე განსაზღვრავს მას: „Ein Urteil ist eine Aussage uber objektive Sachverhalte»» (S. 123). მაგრამ აქ გამოყენებული ყოველი სიტყვა ყალბად ესმის. მაგ., «გამოთქმა» ნიშნავს არა ასახვას, არამედ თვითონ ნამდვილი საქმის ვითარების «დაშერას»! მსჯელობაში საგნის წარმოდგენაც (Darstellung) გაიზერისათვის მისი უშუალო ჭვრეტის შედეგია.

ლოგიკური „ან“, რომელიც აღნიშნულ განსაზღვრებაში მონაწილეობს, მაგრამ ამას გარდა, მსჯელობის ზოგად ნიშნად მათი გამოცხადება ფორმალურ ლოგიკას არ შეუძლია პრინციპული მოსაზრებითაც: დასტური და უარყოფა, ისევე, როგორც დადებითი და უარყოფითი, — საპირისპირო ცნებებია, მსჯელობაში საპირისპირო მომენტთა ერთიანობის დაშვება და, მით უმეტეს, ახსნა ძველ ლოგიკას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია.

ამრიგად, მსჯელობის ტრადიციულ განსაზღვრებებს აკლია მსჯელობის ზოგადი ნიშანი, რომლის გარეშე „განსაზღვრებას“ აზრი არა აქვს.

ასეთია მსჯელობის ტრადიციულ განსაზღვრებათა ძირითადი ნაკლოვანებანი.

* * *

ფორმალური ლოგიკის ისტორია იცნობს მსჯელობის მრავალ განსაზღვრებას, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავება არაა. მართალია, ცალკეული ლოგიკოსი გამოყოფს და ხაზს უსვამს ზოგიერთ ცალკეულ მომენტს მსჯელობის ზოგად ცნებაში. ამ აზრით, ყოველ ასე თუ ისე მნიშვნელოვან ლოგიკოსს მსჯელობის თავისი საკუთარი განსაზღვრება აქვს, მაგრამ ამ განსაზღვრებათა განსხვავება მეორეხარისხოვანია. ისინი არსებითად ერთი და იგივეს ვარიანტებს წარმოადგენენ[12].

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა და გავრცელდა თავისებური მიმართულება ლოგიკაში „მიმართებათა ლოგიკის“ სახელწოდებით. „მიმართებათა ლოგიკის“ ყურადღების ცენტრში დგას მიმართების პრობლემა მსჯელობაში. ამ მიმართულების წარმომადგენლები მსჯელობის არსებას მიმართების ცნებას უკავშირებენ. მსჯელობა არის მიმართება, ყოველი მსჯელობა გამოხატავს მიმართებას, ამბობენ ისინი.

---

[12] მსჯელობის სრულიად უვარგისი განსაზღვრება აქვს ი. კანტს: «მსჯელობა არის წარმოდგენა (?) განსხვავებულ წარმოდგენათა ცნობიერების ერთიანობისა, ანუ წარმოდგენა მათი მიმართებისა, რამდენადაც ისინი რაიმე ცნებას ჰქმნიან» (И. Кант, Логика, 1915, с. 93). კანტის ეს განსაზღვრება ბევრჯერ იყო კრიტიკის ობიექტი და ვერც დამკვიდრდა ლოგიკურ ლიტერატურაში.

„მიმართებათა ლოგიკა“ სუბიექტური იდეალიზმის ზოგად-ფილოსოფიურ საფუძვლებს ემყარება. უარყოფენ რა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ სამყაროს, „მიმართებათა ლოგიკის“ წარმომადგენლები შემეცნების საგანს აცხადებენ ჩვენი აზროვნების შემოქმედებად. შემეცნება საგნის ასახვა კი არ არის, არამედ მისი შექმნაა „მიმართებებიდან“. ორი რამ არის განსაკუთრებით დამახასიათებელი მათ მოძღვრებაში: 1) საგნისა და მიმართების ურთიერთობის ყალბი გაგება. სამყარო არის მიმართება, საგანიც სხვა არაფერია, თუ არ მიმართება, იგი დაიყვანება მიმართებაზე და გამოიყვანება მიმართებიდან, „პირველადია“ მიმართება, მეორადია“ საგანი. 2) „მიმართება“ და მისგან გამომდინარე საგანი“ ობიექტურად კი არ არსებობს, არამედ ჩვენი ცნობიერების პროდუქტია.

ამ საფუძველზე შენდება მსჯელობის თეორიაც: 1) მსჯელობის თეორიაში მთავარია არა საგანი, არამედ მიმართება. 2) მსჯელობა მიმართების ასახვა კი არ არის, არამედ თვითონაა მიმართება, მიმართება არ არსებობს ობიექტურად, მსჯელობათა რიგი საგანს კი არ ასახავს, არამედ ჰქმნის მას. „მიმართებათა ლოგიკის“ პრინციპები მიუღებელია. მაგრამ ეს არ ნიშნავს უგულებელყოთ თვით მიმართების კატეგორიის მნიშვნელობა მსჯელობის თეორიაში. როგორც ცნობილია, დიალექტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია საგანთა და მოვლენათა განხილვა საყოველთაო კავშირსა და მიმართებაში. „მიმართების“ ცნება პირველად სწორედ დიალექტიკის თეორიამ აიყვანა უმნიშვნელოვანეს ზოგად-ფილოსოფიური კატეგორიის ხარისხამდე; დიალექტიკის მიხედვით სამყარო საგანთა გროვა კი არ არის, არამედ საყოველთაო კავშირსა და მიმართებაში მყოფი დინამიკური სისტემა.

აღნიშნული ზოგად-ფილოსოფიური პრინციპის საფუძველზე შეიძლებოდა მსჯელობის შემდეგი განსაზღვრება ჩამოგვეყალიბებინა: მსჯელობა არის საგანთა კავშირებისა და მიმართებების ასახვა. ეს დებულება თავისთავად სწორია. რა თქმა უნდა, მისი ყალბი ინტერპრეტაცია და დამახინჯება შეიძლება; დამახინჯებული იქნება მისი აზრი, თუ მსჯელობას გავიგებთ, როგორც „წმინდა“ მიმართების ასახვას. „წმინდა მიმართება“ არ არსებობს და არც მოიაზრება. მიმართება — საგნის მიმართებაა. მაგრამ აღნიშნული განსაზღვრება თავისთავად სრულებით არ მოითხოვს „წმინდა მიმართების“ აბსტრაქციას. თავისთავად იგი მართებული დებულებაა.

მიუხედავად ამისა, როგორც განსაზღვრება ისიც ზოგად ხასიათს ატარებს: მასში ნაჩვენები არ არის მსჯელობის სპეციფიკა. საგანთა კავშირ-მიმართებების ასახვა არა მხოლოდ მსჯელობის, არამედ მთელი აზროვნების ნიშანია. ცნებაც და დასკვნაც საგანთა და მოვლენათა კავშირ-მიმართებას ასახავს. განა არსება, რომელიც ცნებაში და დასკვნაში უნდა აისახოს, მოიაზრება კავშირ-მიმართების გარეშე? თუ საქმე კავშირ-მიმართებათა ასახვას შეეხება, იგი პირველ რიგში სწორედ დასკვნის ფუნქციაა. საგანთა კავშირ-მიმართებების ასახვა მსჯელობის სპეციფიკად შეუძლია ჩათვლოს იმან, ვისაც მთელი აზროვნება ნებსით თუ უნებლიეთ დაჰყავს მსჯელობაზე. ნამდვილად კი მთელი მეცნიერული შემეცნება, გარკვეული აზრით, სხვა არაფერია, თუ არ საგანთა კავშირ-მიმართებების ასახვა. მართალია, სამყაროში მარტო კავშირ-მიმართება როდი არსებობს. აზროვნება ასახავს თვითონ საგანსაც, მაგრამ საგნისა და კავშირ-მიმართებების ასახვა არ ნაწილდება აზროვნების ცალკეულ ფორმებს შორის. ყოველ შემთხვევაში, ამ საფუძველზე მსჯელობის გამოყოფა ცნებისა და დასკვნისაგან შეცდომა იქნებოდა.

* * *

ლოგიკას მსჯელობა აინტერესებს არა როგორც ფსიქიკური პროცესი, ან სუბიექტის განცდა, არამედ — როგორც ობიექტური საგნის ასახვის ფორმა. თუ სწორია ეს დებულება, მაშინ გარკვეულ უნდა იქნეს: რ ო გ ო რ ი ა მ ს ჯ ე ლ ო ბ ი ს ა დ გ ი ლ ი დ ა რ ო ლ ი ს ა გ ნ ი ს შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს შ ი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება მსჯელობის ცნების სწორი, მეცნიერული განსაზღვრება.

შემეცნება არ არსებობს საგნის გარეშე, მას აზრი არა აქვს, თუ არ არის შემეცნებისაგან დამოუკიდებელი საგანი, რომელიც შესწავლილ და ახსნილ უნდა იქნეს. საგანი უსწრებს და განსაზღვრავს შემეცნებას. საგანი შემეცნებას უსწრებს დროში. საგანი შემეცნებას უსწრებს ლოგიკურად.

ლოგიკას არ შეუძლია გვერდი აუაროს საგნის ცნებას; რა თქმა უნდა, ლოგიკა არ არის საგნის თეორია. მაგრამ ლოგიკა ემ-

ყარება საგნის თეორიას. ლოგიკა ფილოსოფიის ნაწილია, ფილოსოფია კი არსებითად საგნის ზოგადი თეორიაა. საგნის ცნების სრული განდევნა ლოგიკიდან აგნოსტიციზმისა და პოზიტივიზმის ნიშანია. მაგრამ ლოგიკა არ შეიძლება მოვწყვიტოთ ზოგად-ფილოსოფიურ საფუძვლებს, ლოგიკის ყოველი თეორია გულისხმობს გარკვეულ ზოგად-ფილოსოფიურ წანამძღვარებს და აშკარად თუ ფარულად მისგან გამომდინარეობს. ის ლოგიკოსებიც კი, რომლებიც სიტყვიერად ცდილობენ ცნების მთლიანად განდევნას ლოგიკიდან, ფაქტიურად მაინც ამ ცნების თავისებურ გაგებას ემყარებიან. ლოგიკის მეცნიერების აშენება საგნის ცნების გარეშე არა თუ პრინციპულად მიუღებელია, იგი ფორმალური თვალსაზრისითაც შეუძლებელია საერთოდ.

მართალია, „საგანი" ურთულესი ზოგად-ფილოსოფიური კატეგორიაა, მაგრამ მისი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა აუცილებელია ლოგიკაში. ლოგიკას არ შეუძლია მას გვერდი აუაროს, რამდენადაც საგნის უარყოფა ლოგიკის უარყოფაც არის. საგნის უარყოფა ლოგიკის უარყოფაა იმიტომ, რომ „ლოგიკურის" თვით ცნება მოითხოვს საგანთან მიმართებას: ლ ო გ ი კ უ რ ი ა რ ი ს ა ს ა ხ უ ლ ი ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი.

საგნის ცნების გამოყენება ლოგიკაში აუცილებელია, თუ კი ლოგიკას რაიმე დამოკიდებულება აქვს მეცნიერულ შემეცნებასთან. ყოველი მეცნიერება გულისხმობს საგანს, გამოდის მისგან და მის ასახვას იძლევა. ეს დებულება მეცნიერების ჩვეულებრივი პრაქტიკიდან საყოველთაოდ ცნობილი ელემენტარული ჭეშმარიტებაა. ყოველი მეცნიერება იწყება იმის გარკვევით, თუ რა არის მისი საგანი, მეცნიერების ზოგადი განსაზღვრებაც (მაგ., რა არის ლოგიკა? რა არის ენათმეცნიერება? რა არის პოლიტიკური ეკონომია? და ა. შ.). იმ საგნის საფუძველზე ხდება შესაძლებელი, რომელსაც იგი შეისწავლის. საგნის უარყოფა მეცნიერების უარყოფაა.

შემეცნების ყოველი საგანი, ზოგადად აღებული, ორ აუცილებელ მხარეს გულისხმობს. ერთი მხრით იგი ხასიათდება გარკვეულობათა სიმრავლით, მეორე მხრით, მათს ერთიანობას წარმოადგენს. ყოველ საგანს მრავალი გარკვეულობა აქვს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება მარტო რაოდენობრივი კი არ არის, არამედ თვისობრივიც. საგანი არ არის იგივე, რაც მისი გარკვეულობა, მაგრამ იგი არსებობს თვისობრი-

ვად განსხვავებულ გარკვეულობათა რიგში. ყოველი საგანი განსხვავებულ გარკვეულობათა ერთიანობაა. ამ აზრით, ყოველივე რეალურად არსებული საგანი კონკრეტულია.

კონკრეტულის კატეგორია მეტად არსებით როლს თამაშობს დიალექტიკის თეორიაში. „კონკრეტული იმიტომაა კონკრეტული, ამბობს კ. მარქსი, რომ იგი მრავალ განსაზღვრებათა შეერთებაა მაშასადამე, მრავალსახეობის ერთიანობაა“[13].

ყოველი მეცნიერების საგანი კონკრეტულია: იგი ერთიანია განსხვავებულ გარკვეულობათა სიმრავლეში და განსხვავებულია ერთიანობაში. ერთიანობა განსხვავებულ გარკვეულობათა გვერდით როდი არსებობს. იგი იჭრება ამ გარკვეულობებში, და, ასე ვთქვათ, „დგას“ მათში, მათი სახით, მათი საშუალებით. ამიტომ საგნის მეცნიერული გაგება შეუძლებელია განსხვავებულ გარკვეულობათა გარეშე, მის უშუალობაში. მეცნიერული შემეცნება საგანს წვდება გარკვეულობათა შუალობით. საგნის შემეცნება აუცილებლობით მოითხოვს მის განსხვავებულ გარკვეულობათა ცოდნას. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საგნის გარკვევა. იგი ლოგიკურ-დისკურსიული აზროვნების საშუალებით ხორციელდება. საგნის გარკვევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა, როემლსაც აზროვნება მიმართავს შემეცნების პროცესში, არის მსჯელობა.

საგნის მეცნიერული შემეცნება ნიშნავს მისი, როგორც კონკრეტულის, აზროვნებით რეპროდუქციას. ამ დებულებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კ. მარქსი შესავალში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. კონკრეტულის შემეცნების პროცესი არ არის თვით კონკრეტულის შექმნის პროცესი, როგორც ეს ჰეგელს ეგონა, მაგრამ საგნისა და მეცნიერების ურთიერთობაში მარქსიზმის ძირითადი პრინციპია მსგავსების პრინციპი. ობიექტური საგნის ჭეშმარიტი შემეცნება ნიშნავს მისი, როგორც კონკრეტულის „განმეორებას“ იდეალური ფორმით, აზროვნებაში. ცნობილია, როგორ აკრიტიკებს ვ. ი. ლენინი იეროგლიფების თეორიას. ჩვენი შეგრძნება არის ნიშანი და არა გამოხატულება საგნისა, ამბობდა, მაგ., ჰელმჰოლცი, „ვინაიდან გამოხატულებას მოეთხოვება ერთგვარი მსგავსება გამოსახატავ საგანთან... ნიშანს კი არავითარი მსგავსება არ მოეთხოვება იმ საგან-

---

[13] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 281.

[14] ციტირებულია ვ. ი. ლენინის «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმიდან» თხზ., ტ. 14, გვ. 295.

ციან, რომლის ნიშანიც იგი არის"[14]. მსგავსების პრინციპს ძალა აქვს არა მარტო თვისებისა და შეგრძნების ურთიერთობის ღარგლებში, არამედ საერთოდ მეცნიერებისა და მისი საგნის ურთიერთობაში. მართალია, მეცნიერება ვერასოდეს ვერ აღწევს თავისი საგნის აბსოლუტურად ადეკვატურ ასახვას, მაგრამ იგი ყოველთვის ცდილობს მეტ-ნაკლები სიზრულით „აღადგინოს" იგი აზროვნებაში[15]. „მთლიანობა, როგორც იგი გონებაში გვეელინება აზროვნებითი მთლიანობის სახით, პროდუქტია მოაზროვნე გონებისა, რომელიც სამყაროს აითვისებს მისთვის ერთადერთი შესაძლებელი წესით"[16]..

ზემოთქმულის საფუძველზე ცხადი ხდება ზოგადი აზრი დებულებისა, რომ მსჯელობა არის საგნის გარკვევა. ეს დებულება ახალი არაა, ისევე როგორც მსჯელობის ზემოთ მოყვანილი სხვა განსაზღვრებანი. მისი საფუძვლები მოცემულია ჯერ კიდევ არისტოტელეს მსჯელობის თეორიაში, არისტოტელეს იგი ძირითადად მართებულად ესმოდა. მსჯელობაში საგანზე, როგორც ქვემდებარეზე, გამოითქმება რაიმე. ის, რასაც მსჯელობა გამოთქვამს საგნის შესახებ, მიეწერება ან მიეკუთვნება მას ობიექტურად, შემმეცნებელი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. ერთეული ერთეულზე არ გამოითქმება. ამიტომ ის, რაც გამოითქმება საგანზე, — მისი გამრკვევია. მაშასადამე, სჯელობის არსება საგნისა და გარკვეულობის ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ.

ახალ ფილოსოფიაში, განსაკუთრებით კანტის შემდეგ, ამ დებულებამ სუბიექტურ-იდეალისტური ინტერპრეტაცია მიიღო. რადგან იგი თავისთავად ერთგვარ „ნეიტრალურ" ხასიათს ატარებს, ფორმალურად მისი მიღება შეუძლია სრულიად სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებს ფილოსოფიაში. ბევრი სუბიექტური იდეალისტი ასე თუ ისე აღიარებს მას აღებული ფორმით, მაგრამ გულისხმობს მასში ყალბ შინაარსს: მსჯელობა საგნის გარკვევაა არა იმ აზრით, რომ ობიექტურად გარკვეული საგანი მისი საშუალებით ირკვევა ჩვენთვისაც, არამედ იმ აზრით, რომ თვით მსჯელობა (ან მსჯელობათა რიგი) ჰქმნის საგანს „ამიერიდან". საგანი შემეცნების პროდუქტია, საგანი არის ის, რასაც მის შესახებ ამბობს მსჯელობა. საგანი თავის გარკვეულობებს იძენს მსჯე-

---

[15] «Объяснение факта сводится в сущности к получению точной копии его в нашей голове», წერდა ი. დიცგენი (И. Дицген, Аквизит философии, 1913, с. 36.)

[16] კ. მ ა რ ქ ს ი , პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 282.

ლობათა რიგში, შემეცნება საგნის ასახვა კი არა რის, არამედ მისი შექმნა.

მაგრამ სუბიექტურ-იდეალისტური ინტერპრეტაციებისაგან დამოუკიდებლად, დებულება იმის შესახებ, რომ მსჯელობა არის საგნის გარკვევა, თავისთავად მართებულ შინაარსს შეიცავს. განსაკუთრებით აღსანიშნავი მასში არის ის, რომ იგი ემყარება მსჯელობის თეორიისა და მთელი ლოგიკისათვის ისეთი კარდინალური მნიშვნელობის კატეგორიებს, როგორიცაა: საგანი და გარკვეულობა. ამ დებულებაში მიგნებულია ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ მსჯელობაში ჩვენ საქმე გვაქვს საგანთან და მის გარკვეულობასთან: ყოველი მსჯელობა ასე თუ ისე არკვევს საგანს, ყოველ მსჯელობაში ირკვევა რაღაც, აზრი, რომელიც არაფერს არ არკვევს, — არაა მსჯელობა.

მიუხედავად ამისა, ეს დებულება მისი ზემოთ მოყვანილი ფორმით უვარგისია, როგორც განსაზღვრება. ამ მხრივ ისიც არსებითად იზიარებს მსჯელობის ე. წ. ტრადიციულ განსაზღვრებათა ნაკლს. მათ მსგავსად ისიც, როგორც განსაზღვრება, ზოგად ხასიათს ატარებს; უდავოა, რომ მსჯელობა არკვევს საგანს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ კმარა მისი სპეციფიკის საჩვენებლად: ამ დებულების პირდაპირი უკუქცევა არ შეიძლება. გარკვეული აზრით, მთელი შემეცნება, კერძოდ, მთელი მეცნიერული აზროვნება, ცნებისა და დასკვნის ჩათვლით, სხვა არაფერია, თუ არ საგნის გარკვევა. მსჯელობა და აზროვნება არ არის ერთი და იგივე, შემეცნება და ცოდნა არ ხორციელდება და არ არსებობს მხოლოდ მსჯელობის ფორმით[17].

მსჯელობის ცნების სწორი განსაზღვრებისათვის საჭიროა აღნიშნული დებულება გარდაიქმნას შემდეგი მიმართულებით:

1) დაძლეულ უნდა იქნეს მისი ერთგვარი „ნეიტრალური" ხასიათი და მასთან დაკავშირებული ბუნდოვანება და გაურკვევლობა. დებულება იმის შესახებ, რომ „მსჯელობა არის საგნის გარკვევა" ნეიტრალურ ხასიათს ატარებს, რომელსაც შეიძლება დაეთანხმოს ფილოსოფიის ყველა მიმართულების წარმომადგე-

---

[17] ასეთ აზრს იცავდა, მაგ., ნ. ლოსკი: «Единственная форма, в которой может выразиться знание, есть суждение» («Обоснование интуитивизма», СПБ, 1906, с. 211). «Все, что мы ни говорим о вещах, явлениях или событиях, мы выражаем при помощи суждения» (М. Розенталь, Принципы диалектической логики, М., 1960, с. 29).

ნელი. საქმე იმაშია, რომ სიტყვა „გარკვევა“ არ არის ერთმნიშვნელოვანი. მასში შეიძლება იგულისხმებოდეს ობიექტურად გარკვეული საგნის შემეცნებითი გარკვევა, თავისთავად გარკვეულის გარკვევა ჩვენთვის, როგორც ამას მატერიალისტები ამტკიცებენ, მაგრამ მასში შეიძლება ვიგულისხმოთ თვით საგნის შექმნა ჩვენი ცნობიერების გარკვეულობათა საფუძველზე, როგორც ამას, მაგ., კანტი ამტკიცებს, ან თვით ობიექტური აზრის თვითგარკვევის პროცესი, როგორც ამას ჰეგელი ამტკიცებს. ამ ნაკლის დასაძლევად საჭიროა განსაზღვრებამ აჩვენოს მსჯელობის მეორადი, წარმოებული, დამოკიდებული ხასიათი, რომ იგი ობიექტურ-საგნობრივი ვითარებით განისაზღვრება და მას ასახავს. სწორედ ასახვის ამ მომენტისათვის ხაზგასმა არის აუცილებელი მსჯელობის მეცნიერული თეორიისათვის. მსჯელობის განსაზღვრებაში ასახვის ცნების შემოტანას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ამით მასში თავისებურად შემოინახება ის რაციონალური, რომელსაც შეიცავს ტრადიციული განსაზღვრება: „მსჯელობა არის აზრი, ჭეშმარიტი ან მცდარი“. ჭეშმარიტება-მცდარობა მსჯელობის აუცილებელი ნიშანია, მსჯელობის ლოგიკური თეორია იმით განსხვავდება ყოველი სხვა თეორიისაგან, რომ იგი მსჯელობას განიხილავს ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით. დებულება იმის შესახებ, რომ მსჯელობა არის ობიექტურ-საგნობრივი ვითარების ასახვა, თავის მომენტად გულისხმობს იმას, რომ იგი ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით ხასიათდება. 2) როგორც უკვე იყო აღნიშნული, საყურადღებო და მნიშვნელოვანი ეს დებულება იმითაა, რომ მასში ლაპარაკია საგნისა და გარკვეულობის ურთიერთობის შესახებ. მაგრამ თვით ამ ურთიერთობის ხასიათი მსჯელობაში გარკვეული არაა. ამის გარეშე კი შეუძლებელია მსჯელობის სპეციფიკის ჩვენება, რადგან საგნისა და გარკვეულობის ურთიერთობასთან საქმე აქვს არა მარტო მსჯელობას, არამედ ცნებასაც და დასკვნასაც. მსჯელობის სპეციფიკა ის არის, რომ მასში მოაზრებულია საგნისა და გარკვეულობის უშუალო კავშირ-ურთიერთობა.

ამრიგად, მ ს ჯ ე ლ ო ბ ა ა რ ი ს ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ლ ო გ ი კ უ ლ ი ფ ო რ მ ა, რ ო მ ე ლ ი ც ს ა გ ნ ი ს ა დ ა მ ი ს ი გ ა რ კ ვ ე უ ლ ო ბ ი ს უ შ უ ა ლ ო ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს ა ს ა ხ ა ვ ს. მსჯელობა არკვევს საგანს რომელიმე მხრიდან. მსჯელობა გამოხატავს საგნის ცალკეულ გარკვეულობას. ეს მხარე გამოყოფილია საგნი-

საგან, რამდენადაც მსჯელობა არ წარმოადგენს ტავტოლოგიას, მაგრამ იმავე დროს, იგი განიხილება როგორც საგნის მხარე, მისი გარკვეულობა. ამიტომ ყოველ მსჯელობაში განუვითარებელი ფორმით მოცემულია ლოგიკური აზროვნების ანალიზურ-სინთეზური მოქმედება. იგი ერთდროულად გამოყოფს და აკავშირებს გარკვეულობას საგანთან. მაგრამ თვითონ კავშირი უშუალო ხასიათისაა. საბოლოო ანგარიშით ამ კავშირის ზოგადი ფორმაა კოპულა: „არის". ეს კი უაღრესად ზოგად-აბსტრაქტული კატეგორიაა იმ ნამდვილი კავშირის გამოსახატავად, რომელიც არსებობს საგანსა და მის გარკვეულობას შორის. მაგრამ სწორედ ეს „ცალმხრივობა" განასხვავებს მსჯელობას ცნებისა და დასკვნისაგან. ცნება ასახავს საგნის განსხვავებულ გარკვეულობათა შინაგან ერთიანობას, როგორც არსებას და წარმოადგენს დასკვნის შედეგს.

დასკვნა

1. ლოგიკის ისტორია მსჯელობის მრავალ განსაზღვრებას იცნობს. მაგრამ ყველაზე გავრცელებული და აღიარებული მათ შორის მაინც შემდეგია: 1) მსჯელობა არის წინადადება (გამოთქმა), ჭეშმარიტი ან მცდარი, 2) მსჯელობა არის რაიმეს შესახებ რაიმეს დასტური ან უარყოფა, 3) მსჯელობა არის საგანთა კავშირებისა და მიმართებების ასახვა. სამივე ეს დებულება თავისთავად მართებულ შინაარსს შეიცავს, მაგრამ ნაკლოვანი და უვარგისია, როგორც განსაზღვრება, რომელშიც მსჯელობის ზოგად-არსებითი ბუნება, მისი სპეციფიკა უნდა იყოს წარმოდგენილი.

2. სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს პირველ განსაზღვრებას: „მსჯელობა არის წინადადება, ჭეშმარიტი ან მცდარი". ჯერ ერთი, იგი ვერ გვიჩვენებს მსჯელობის სპეციფიკას, ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით ხასიათდება არა მხოლოდ მსჯელობა, არამედ აზროვნების სხვა ფორმებიც, არა მხოლოდ აზროვნების, არამედ გრძნობადი შემეცნების ფორმებიც. მეორე, მასში წარმოდგენილი ნიშნები ცალ-ცალკე არც ერთი არ არის ზოგადი მსჯელობათა სიმრავლისათვის: განსაზღვრებას გაყოფითი მსჯელობის ფორმა აქვს, რაც ყოველგვარ ლოგიკას ეწინააღმდეგება. მესამე, იგი დაფუძნებულია ისეთ ლინგვისტურ კატეგორიაზე, როგორიცაა წინადადება ან გამოთქმა. წინადადებასა და მსჯელობას შო-

რის არ არსებობს მთელისა და ნაწილის, ფორმისა და შინაარსის, მით უმეტეს, გვარისა და სახის ურთიერთობა. წინადადების არსებას შეადგენს სიტყვათა გრამატიკული წყობა, რომელიც ენობრივი კოლექტივის პირობითი დაკანონების საფუძველზე მსჯელობას (საერთოდ, აზრთა კავშირს) აღნიშნავს.

3. გაყოფითი მსჯელობის ფორმა აქვს მეორე დებულებასაც: „მსჯელობა არის რაიმეს შესახებ რაიმეს დასტური ან უაყოფა". გარდა ამისა, დასტური და უარყოფა, მათი ნამდვილი ლ ო გ ი კ უ რ ი მნიშვნელობით, არ უნდა ჩაითვალოს მსჯელობის სპეციფიკად, რომლითაც იგი განსხვავდება აზროვნების სხვა ფორმებისაგან.

4. ზოგად ხასიათს ატარებს და მსჯელობის სპეციფიკას ვერ გვიჩვენებს ვერც მესამე ზემოთ მოყვანილი განსაზღვრება: „მსჯელობა არის საგანთა და მოვლენათა კავშირ-მიმართებების ასახვა". „კავშირ-მიმართება". ფართო აზრითაც რომ იყოს ხმარებული, რომელიც მოიცავდა საგნის გარკვეულობათა მთელ მრავალსახეობას, — აღნიშნული დებულება მსჯელობას ვერ განასხვავებს ვერც ცნებისაგან და ვერც დასკვნისაგან, რომლებიც, აგრეთვე, საგანთა ზოგად, არსებით, აუცილებელ კავშირ-მიმართებებს ასახავენ.

5. მსჯელობის განსაზღვრების საფუძვლად, ჩვენის აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს დებულება: „მსჯელობა არის საგნის გარკვევა". ეს დებულება ყურადღებას იქცევს იმით, რომ იგი მსჯელობის არსებას ეძებს საგნისა და გარკვეულობის ურთიერთობაში. მაგრამ ისიც ზოგად ხასიათს ატარებს და მისი უშუალო ფორმით უვარგისია, როგორც განსაზღვრება. საგნის გარკვევა არა მხოლოდ მსჯელობის, არამედ მთელი აზროვნების ფუნქციაა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ცნებაც და დასკვნაც.

6. იმ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად, რომელთაც შეიცავს დებულება: „მსჯელობა არის საგნის გარკვევა", განსაზღვრებაში ხაზი უნდა გაესვას შემდეგ მომენტებს: 1) მსჯელობა ობიექტურ-საგნობრივი ვითარების ასახვაა, 2) საგნისა და გარკვეულობის კავშირი, რომელიც მსჯელობაში მოიაზრება, უშუალო ხასიათს ატარებს. ამრიგად, მ ს ჯ ე ლ ო ბ ა ა რ ი ს ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ლ ო გ ი კ უ რ ი ფ ო რ მ ა, რ ო მ ე ლ ი ც ს ა გ ნ ი ს ა დ ა მ ი ს ი გ ა რ კ ვ ე უ ლ ო ბ ი ს უ შ უ ა ლ ო ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს ა ს ა ხ ა ვ ს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მიმართებაც საგნის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ გარკვეულობას გამოხატავს, ცხადი ხდება, რომ ჩვენი განსაზღვრება ე. წ. მიმართების მსჯელობებსაც ითვალისწინებს.

თავი IV

მსჯელობის სტრუქტურის შესახებ

მსჯელობა აზროვნების მარტივი ლოგიკური ერთეულია. მაგრამ აბსოლუტურად მარტივი არაფერი არსებობს. მსჯელობის სიმარტივეც შედარებითია. აზროვნების სხვა ფორმებთან შედარებით გარკვეული სიმარტივის მიუხედავად მსჯელობა შინაგანად ერთგვაროვანი და დაუნაწევრებელი „ატომი“ როდია: იგი თვითონაც განსხვავებული მომენტებისაგან შენდება. „ატომიზმი“ უარყოფილია ყველა მეცნიერებაში და ლოგიკას ყველაზე ნაკლებად შეუძლია მისი მიღება. მსჯელობა რთული დიფერენცირებული მთლიანობაა, ისევე როგორც თანამედროვე ფიზიკის ატომი, რომლის მრავალსახოვანი შინაგანი სტრუქტურა და აგებულება მთელი ბუნებისმეცნიერების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. მსჯელობას ხშირად უწოდებენ „ცოდნის უჯრედს“ და ამ შედარებას ღრმა აზრი აქვს. უჯრედი მთელი მეცნიერების შესწავლის საგნად გადაიქცა: მისი განსხვავებული მომენტები, მათი კავშირი და ურთიერთმოქმედება, მთელი მისი რთული შინაგანი გარდაქმნები, მარად ცხოველი, მარად მოუსვენარი მექანიზმი სიცოცხლის საიდუმლოებათა გასაღებს წარმოადგენს. მსჯელობაც განსხვავებულ შინაგან ელემენტებს შეიცავს და მათს გარკვეულ ურთიერთობას გულისხმობს.

„ელემენტის“ ცნება საკუთარი მნიშვნელობით ძირითადში ბუნებისმეტყველებას (კერძოდ, ფიზიკას, ქიმიას) ეკუთვნის. სინამდვილის ყველა სფეროში მისი უცვლელი შინაარსით გამოყენება შეცდომა იქნებოდა. რაც უფრო რთულია მატერიის მოძრაობის ფორმა, მით უფრო ნაკლებ როლს ასრულებს იგი — მისი თავდაპირველი შინაარსით. ამ მხრივ განსხვავება ვლინდება უკვე ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების შედარებისას. ბუნებრივია, მაგ., ლაპარაკი ქიმიური ელემენტის, ატომის ელემენტების და

ა. შ., შესახებ. მაგრამ ორგანიზმის დახასიათება უკვე თავისებურ ეითარებას ჰქმნის: ხელი, მაგ., არაა სხეულის ელემენტი იმ აზრით, რომლითაც, ვთქვათ, წყალბადია წყლის ელემენტი ან ელექტრონი ატომის ელემენტი. მეტიც, თვით თანამედროვე ფიზიკა აწყდება კვლევის ისეთ სფეროებს, სადაც „ელემენტის“ ჩვეულებრივი მნიშვნელობა შეცვლას მოითხოვს. მაგ., პოზიტრონისა და ელექტრონის შეჯახება გამოსხივდება ფოტონად და პირიქით, ფოტონიდან გარკვეულ პირობებში მიიღება პოზიტრონი და ელექტრონი. მაგრამ უკანასკნელნი არ შეიძლება ჩაითვალოს ფოტონის „ელემენტებად“ — ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მათი კავშირი შეუდარებლად უფრო რთულია.

„ელემენტის“ ცნებამ მაინც ზოგადი მნიშვნელობა მოიპოვა. ყველა მეცნიერება მიმართავს მას ამათუიმ კერძო საგნის შესწავლისას. ამიტომ მისი გამოყენება გამართლებულია ლოგიკაშიც. მართლაც, მსჯელობის ელემენტების შესახებ ლაპარაკი ტრადიციამ ჩვეულებად აქცია. ტრადიციას კი ტერმინოლოგიაში არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

ხმარობენ აგრეთვე ტერმინებს: „მსჯელობის ლოგიკური წევრები“, „მსჯელობის ნაწილები“ და გარკვეული აზრით ესეც გამართლებულია.

მაგრამ არის ერთი ტერმინი, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს დიალექტიკის თეორიაში და მისი ნამდვილი მნიშვნელობით პირველად ამ თეორიამ დაამუშავა კიდეც. ესაა „მომენტი“. იგი ზოგადი ტერმინია, არ იზღუდება რაიმე სფეროთი და, ასე ვთქვათ, უფრო „გასაგებია“ დიალექტიკური ლოგიკის ენაზე.

მომენტი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც განვითარების საფეხური. ამით განსხვავდება ის ჩვეულებრივი „ნაწილისაგან“. ამის გაგებას მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითისათვის შეიძლება შევადაროთ „სტატიკური სისტემა“ და „დინამიკური სისტემა“. სტატიკური სისტემა მომენტებს არ შეიცავს, დინამიკა კი თავის თავს კარგავს მომენტების გარეშე. მექანიზმის ნაწილები შეიძლება ერთმანეთის გვერდით წარმოვიდგინოთ, მაგრამ განვითარების საფეხურები — არასოდეს. განვითარება მომენტების გარეშე იგივეა, რაც „გაჩერებული მოძრაობა“, ე. ი. განვითარების გაუქმება. ცნობილი მაგალითი: კვირტი, ყვავილი და ნაყოფი ერთმანეთს ცვლიან, როგორც გარკვეული ორგანული მოძრაობის საფეხურები, მაგრამ „ნაწილის“ ჩვეულებრივი ცნება აქ შეუსაბა-

მოა. დიალექტიკა მათ განიხილავს სწორედ როგორც აღმავალი პროცესის მომენტებს. მომენტის ცნების წინა პლანზე წამოწევით ბეცნიერული დიალექტიკის თეორიამ ახლებურად შეხედა სინამდვილეს და სრულიად სხვა ასპექტით გააშუქა იგი, ვიდრე მეტაფიზიკური სათვალეებით ეჩვენებოდათ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობის სტრუქტურის გაგებაში ჩვენთვის სწორედ მ ო მ ე ნ ტ ი ს ცნებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

* * *

რა უნდა ჩაითვალოს მსჯელობის ელემენტად? ა) არსებობს მიმართულება ლოგიკაში, რომლის თანახმად მსჯელობის ელემენტებს შეადგენენ უშუალოდ საგნები, მათი თვისებები და მიმართებები (ე. წ. ონტოლოგიზმი). მაგალითად გამოდგება ნ. ლოსკის მსჯელობის თეორია. «ინტუიტივიზმის თანახმად მსჯელობის ობიექტური შემადგენლობა სხვა არაფერია, თუ არა თვით საგანი ორიგინალში[1]», ამტკიცებს ის. შემეცნება არის არა „ასლირება" („копирование"), არამედ საგნის „ქონება" ცნობიერებაში. „Познаваемая действительность не копируется, не воспроизводится судящим субъектом, а сама находится в акте суждения"[2]. შემდეგ: „Объективное содержание суждения есть не копия реальности, а сама реальность"[3].

ბ) „ონტოლოგიზმის" პირდაპირ საწინააღმდეგო უკიდურესობაა ფსიქოლოგიზმი, რომელიც მსჯელობას ფსიქიკურ ფენომენად თვლის და მის ელემენტებსაც მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიკის სფეროში ეძებს (თ. ლიპსი, ფ. ბრენტანო, ვ. ვინდელბანდი და სხვ). მაგ., ფ. ბრენტანოს აზრით მსჯელობის არსება უნდა ვეძიოთ მოწონება-არმოწონების ფსიქიკურ მოვლენებში: «Wo immer etwas anerkannt oder verworfen, bejaht oder verneint wird, haben wir ein Urteil vor uns»[4]. რა თქმა უნდა, მსჯელობის ონტოლოგიზირება მიუღებელია, იგი არ მოიაზრება შემმეცნებელი სუბიექტის გარეშე. მაგრამ ეს

---

[1] Н. О. Л о с с к и й . Логика, ч. 1. Пгд., 1922, с. 28.
[2] Н. О. Л о с с к и й . Обоснование интуитивизма. СПБ., 1906, с. 229.
[3] იქვე, გვ. 244.
[4] F. B r e n t a n o . Die lehre von Richten Urteil. Bern, 1956, S. 32.

სრულებით არ ამართლებს ფსიქოლოგიზმს, როგორც ამას, მაგ., ნ. ლოსკი ფიქრობს. ასახვის თეორიას ის ბრალს სდებს ფსიქოლოგიზმში. სინამდვილეში, ლოგიკურის კავშირი ადამიანურ სუბიექტთან ფსიქოლოგიზმს იძლევა იმ შემთხვევაში, თუ გავიგივეთ „ლოგიკური" და „ობიექტური", ერთის მხრით, და „ფსიქოლოგიური" და „სუბიექტური", მეორეს მხრით. მაგრამ ასეთი გაიგივება, ჩვენის აზრით, თვით უნდა ჩაითვალოს ფსიქოლოგიზმის გამოვლინებად! გამოსავალს აქშეადგენს გ ნ ო ს ე ო ლ ო გ ი უ რ-ლ ო გ ი კ უ რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ცნება. მსჯელობაც სწორედ ამ სუბიექტის ატრიბუტია.

გ) ფსიქოლოგიზმისაგან განსხვავდება გრამატიციზმი, რომელიც ემპირიზმისა და ნომინალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მსჯელობის თეორიას სცვლის წინადადების თეორიით, ხოლო მის ელემენტებად აცხადებს არა წარმოდგენებს ან ცნებებს, არამედ სიტყვებს (ტერმინებს). ამ მიმართულების ისტორიული გენეზისის გასაგებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თ. ჰობსის, ჯ. ლოკის, ჯ. სტ. მილის და სხვ. მსჯელობის თეორიებს. საკმარისია აღინიშნოს ჰობსის ლოგიკური თეორიის არსებითი თავისებურება, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა ახალი დროის ლოგიკის ისტორიაში. მხედველობაში გვაქვს თ. ჰობსის მიერ ობიექტისა (საგანი) და სუბიექტის (სული) გვერდით თავისებური „ენის სამყაროს" გამოყოფა. მაგ., უარყოფს რა ზოგადის არსებობას როგორც საგანთა სამყაროში, ისე ჩვენს სულში, თ. ჰობსი ამტკიცებს, რომ ზოგადი არის მხოლოდ სახელი, ზოგადი არსებობს მხოლოდ ენაში. ასე იქნა გამოყოფილი ენის პარადოქსალური „მესამე სამყარო", რომელიც ლოგიკის მეცნიერების ერთადერთ საგნად გამოცხადდა უახლოესი პერიოდის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში.

საკმარისია გავიხსენოთ ლოგიკის საგნის პრობლემა ნეოპოზიტივიზმში. ლოგიკის განხილვის საგანია არა მსჯელობა, არამედ წინადადება, ამბობს რ. კარნაპი, წინადადების ელემენტებია ნიშნები (das Zeichen) და მისი ჭეშმარიტება ნიშნავს „ფაქტის ერთმნიშვნელოვან აღნიშვნას".

რა უნდა ითქვას ამის გამო? მსჯელობა აზროვნების ლოგიკური ფორმაა, რომლის ელემენტი არ შეიძლება იყოს არც საგანი, არც განცდა, არც სიტყვა. მსჯელობის ელემენტი ლოგიკური ა ზ რ ი ა, როგორც ობიექტური საგნის ასახვა, მისი „იდეალური სურათი". ამიტომ მსჯელობა არ შეიძლება განისაზღვროს, როგორც

საგანთა კავშირი, სიტყვათა კავშირი ან განცდათა კავშირი („წარმოდგენათა კავშირის მოწონება — არმოწონება“). მ ს ჯ ე ლ ო ბ ა ა ზ რ თ ა კ ა ვ შ ი რ ი ა. ეს „აზრი“ კი შეიძლება იყოს როგორც წარმოდგენა, , ისე ცნება. ამიტომ არც ის იქნება სწორი, მსჯელობა განესაზღვროთ, როგორც მხოლოდ „წარმოდგენათა კავშირი“ ან „ცნებათა კავშირი“, რადგან ორივე მათგანი ცალმხრივობით ხასიათდება და მიუღებელია ასახვის თეორიისათვის, რომელიც წარმოდგენისა და ცნების დიალექტიკურ ურთიერთობას გულისხმობს.

* * *

მსჯელობის სტრუქტურის პრობლემას ხნგრძლივი ისტორია აქვს. მრავალი თვალსაზრისი შემუშავდა და დაუპირისპირდა ერთმანეთს ამ ისტორიის მანძილზე. ზოგჯერ ეს თვალსაზრისები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რომელიმე კერძო ან მეორეხარისხოვანი საკითხების გაგებაში. ზოგჯერ მათი განსხვავება უფრო არსებითია. ყოველი ასე თუ ისე ცნობილი ლოგიკოსი თავისებურად უდგება მსჯელობის სტრუქტურის პრობლემასაც. ამ მხრივ ლოგიკის ისტორიაში უდაოდ აღინიშნება გარკვეული სიჭრელე და მრავალფეროვნება; მაგრამ ძირითადი და არსებითი მთელ ამ ისტორიის გასწვრივ მაინც სამი თვალსაზრისია, რომელშიც თავს იყრის და რომლითაც ამოიწურება ამ მეცნიერების ნამდვილი მონაპოვარი მსჯელობის სტრუქტურის გაგებაში უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე: 1) არისტოტელედან მომდინარე ტრადიციული თვალსაზრისი, რომლის თანახმად ყოველ მსჯელობას სუბიექტ-პრედიკატული აგებულება ახასიათებს, 2) ახალი დროის ემპირიზმის, „მიმართებათა ლოგიკის“ და ბევრი თანამედროვე პოზიტივისტის თვალსაზრისი, რომლის თანახმად ყოველი მსჯელობა „მიმართების მსჯელობაა“, 3) დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისი, რომელიც აღიარებს მსჯელობის სუბიექტ-პრედიკატულ აგებულებას, მაგრამ თვით სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის ტრადიციულ გაგებას ისევე უარყოფს, როგორც უარყოფს „არსებისა“ და „საგნის“ ძველ გაგებას. მსჯელობის ელემენტთა ურთიერთობას ის განიხილავს, როგორც „ერთიანის გაორებას“, რომლითაც თავისებურად აისახება საგნისა და გარკვეულობის ობიექტური დიალექტიკა. ეს თავისებურება მსჯელობის ელემენტთა უშუალო

ერთიანობაა, მაგრამ ეს ერთიანობა მაინც წინააღმდეგობათა ერთიანობის ფორმაა, რის გამოც ცოდნის ეს „უჯრედი“ წარმოგვიდგება არა როგორც „სტატიკური სისტემა“, არამედ როგორც „დინამიკური სტრუქტურა“.

ამ სამი თვალსაზრისის შედარება ცხადჰყოფს, რომ მათი ურთიერთობა თავისებურ უარყოფის უარყოფას წარმოადგენს.

ა) არისტოტელე „სუბსტანციის“ თვალსაზრისს იცავს, ე. ი. აღიარებს არსების ობიექტურ არსებობას და მისი შემეცნების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, არისტოტელე იცავს აგრეთვე სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის ზოგად პრინციპს. მატერიალისტური თვალსაზრისით ეს ყველაფერი ზოგადად სწორი და მისაღებია.

მაგრამ ამის შემდეგ ისმება კითხვა, თუ რას წარმოადგენს „არსება“ და, შესაბამისად, როგორია სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის ბუნება? აქ მეღავნდება არისტოტელედან მომდინარე ტრადიციული თეორიის სიძნელე და ნაკლოვანებანი. არისტოტელეს მეტაფიზიკურად ესმის არსებისა და საგნის ცნებები და, შესაბამისად, მეტაფიზიკურია სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის მისი გაგებაც.

ბ) ახალ დროში ემპირისტულმა ლოგიკამ, „მიმართებათა ლოგიკამ“, თანამედროვე პოზიტივიზმმა შეამჩნია ტრადიციული თეორიის ნაკლოვანებანი და გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ეს რეაქცია კანონიერი იყო იმდენად, რამდენადაც ძველი ლოგიკის ატრიბუტულ თეორიას საფუძვლად უდევს მეტაფიზიკურად გაგებული „არსება“: იგი წარმოდგენილია, როგორც ერთგვარი „შამფური“, რომელზეც „წამოცმულია“ თვისებები. ეს არის შინაგანი განსხვავებისაგან თავისუფალი აბსტრაქტი, — მოვლენათა აბსოლუტურად იგივეობრივი და უძრავი „სათავე“. მაგრამ თვით კერძო მეცნიერებათა განვითარებამ, განსაკუთრებით უახლოეს პერიოდში, თანდათან ცხადჰყო, რომ ასეთი „იგივეობრივი სუბსტანცია“ არ არსებობს. „სუბსტანციის ცნება, წარმოდგენილი კაუჭის სახით, რომელზედაც ჩამოკიდებულია პრედიკატები, არავის არ სჭირდება და პროტესტს იწვევს“, ამბობს რასელი.

ამგვარ არგუმენტებზე დაყრდნობით „მიმართებათა ლოგიკის“ დამცველებმა უარყვეს სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის ტრადიციული თეორია. მაგრამ შედეგები. რომლებიც პოზიტიურად ამ უარყოფას მოჰყვა, თვითონაც საჭიროებს უარყოფას. როგო-

რია ეს შედეგები? „არსების ცნება წარმოადგენს ყოველი ფილოსოფიური სისტემის უძირითადეს შემადგენელ ელემენტს არისტოტელეს შემდეგ თითქმის ჩვენს დრომდე. ჩემის აზრით, ეს არის ცნება, რომელიც უსაშველო არეედარევას იწვევს“... (ბ. რასელი)[5].

გ) დიალექტიკური ლოგიკა, თავის მხრით, უარყოფს „ანტისუბსტანციალიზმისა“ და რელატივიზმის თვალსაზრისს და მსჯელობის სტრუქტურის პრობლემას სწყვეტს არსების ონტოლოგიური კატეგორიის საფუძველზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის ტრადიციული თეორიის აღდგენას. არ ნიშნავს იმიტომ, რომ დიალექტიკურ მატერიალიზმს თვისობრივი სიახლე შეაქვს თვით არსების კატეგორიის გაგებაში: არსება არის წინააღმდეგობათა ერთიანობა. დიალექტიკური ლოგიკაც, ამ საფუძველზე, მსჯელობის სტრუქტურის თვისობრივად ახლებურ გაგებას იძლევა.

* * *

„მიმართებათა ლოგიკა“ არ უნდა ავურიოთ მათემატიკურ ლოგიკაში. ასევე, „მიმართებათა ლოგიკის“ უარყოფა სრულებით არ ნიშნავს თვით მიმართების მსჯელობის უარყოფას! „მიმართების მსჯელობათა“ უნივერსალიზაცია მიუღებელია, მაგრამ ასევე მიუღებელია მათი სრული უარყოფა. მიმართების მსჯელობები ფაქტია და დიდ როლს ასრულებენ შეცნობაში. მათ გარეშე არ წარმოიდგინება მათემატიკური ლოგიკა და მთელი მათემატიკა, როგორც მეცნიერება.

მათემატიკური ლოგიკის აღრევა „მიმართებათა ლოგიკასთან“ მიზნად ისახავს მეცნიერების გარკვეული დარგის უდავო მონაცემებით პარაზიტირებას. მათემატიკური ლოგიკა კერძო მეცნიერებაა, მათემატიკის კანონიერი დარგია, „მიმართებათა ლოგიკა“ კი მიმართულებაა ფილოსოფიაში, უფრო ზუსტად, ლოგიკაში, რომელიც ფილოსოფიის ნაწილს წარმოადგენს. ისევე როგორც მექა-

---

[5] «მეტაფიზიკურ ფილოსოფიას სურს გავიდეს ემპირიულ-მეცნიერული კითხვების ფარგლებს გარეთ და დააყენოს კითხვები საგანთა არსების შესახებ. ჩვენ ამ კითხვებს ფსევდოკითხვებად ვთვლით» (R. Carnap. Logische Syntax der Sprache, S. 259.)

ნიციზმი თავის დროზე პარაზიტობდა მექანიკის მიღწევებზე, „მიმართებათა ლოგიკა“ და პოზიტივიზმი პარაზიტობენ პირველ რიგში მათემატიკური ლოგიკის მიღწევებზე.

როგორ დგას მსჯელობის სტრუქტურის პრობლემა მათემატიკურ ლოგიკაში? მათემატიკურ ლოგიკას საქმე აქვს მხოლოდ მიმართების მსჯელობებთან, სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობები მისი განხილვის სფეროში არ ექცევა.

აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ მათემატიკური ლოგიკა „მიმართებათა ლოგიკის“ თვალსაზრისს იცავს, ცხადია, სისულელეა. „მიმართებათა ლოგიკა“ იცავს ზოგად თეზისს: „ყველა მსჯელობა მიმართების მსჯელობაა“. მათემატიკური ლოგიკა კი სწავლობს გარკვეული სახის მიმართების მსჯელობებს და სრულებით არ გულისხმობს ამ დებულებას: ეს უკვე ფილოსოფიური განზოგადოების შედეგია, ე. ი. იმის შედეგია, რომ მათემატიკური ლოგიკა ცხადდება ერთადერთ შესაძლებელ ლოგიკად და მისი მსჯელობის თეორია ერთადერთ შესაძლებელ მსჯელობის თეორიად.

მათემატიკური ლოგიკა კერძო მეცნიერებაა, ხოლო მათემატიკური ლოგიკის გამოცხადება ერთადერთ შესაძლებელ „თანამედროვე ლოგიკად“ ფილოსოფიური თეზისია, რომელიც სრულებით არ ეკუთვნის თვით მათემატიკურ ლოგიკას. ისევე როგორც მექანიკის უნივერსალიზაცია თვით არაა მექანიკა (არამედ გარკვეული ფილოსოფიაა!), ასევე მათემატიკური ლოგიკის მსჯელობის თეორიის უნივერსალიზაცია მათემატიკური ლოგიკის ბრალი როდია. მექანიკის ფარგლებში ყველა კანონი მექანიკური კანონია, მაგრამ ამის გამო თვით მექანიკა სრულებით არ ამტკიცებს, რომ ყველა კანონი მექანიკური კანონია!

მათემატიკურ ლოგიკაში სიტყვიერად ორი სტრუქტურის თვალსაზრისს იცავენ, რაკი ამბობენ, რომ არა ყველა მსჯელობაა სუბიექტ-პრედიკატული სტრუქტურის. ამგვარი დებულება გულისხმობს, რომ მსჯელობათა ნაწილი სუბიექტ-პრედიკატულია, ნაწილი კი — მიმართების გამომხატველი. მაგრამ თვით თ ე ო რ ი ა-შ ი მათემატიკური ლოგიკა განხილვის საგნად იხდის მხოლოდ მიმართების მსჯელობებს და სუბიექტ-პრედიკატული სტრუქტურის მსჯელობები მისი სპეციალური ანალიზის გარეთ რჩება.

როგორც ცნობილია, მათემატიკური ლოგიკის სტრუქტურა ძირეულად განსხვავდება ლოგიკის ტრადიციული სტრუქტურისა-

განº. მათემატიკური ლოგიკის სისტემაში ცალკე და სპეციალურად არსად არ დგას მსჯელობის სტრუქტურის პრობლემა, ისევე როგორც ის საერთოდ ცალკე თავად არ გამოყოფს (ტრადიციული ლოგიკის მსგავსად) მოძღვრებას მსჯელობის შესახებ. მსჯელობის სტრუქტურის პრობლემის ის ეხება, ასე ვთქვათ, გზადაგზა, სხვა პრობლემათა (გამოთქმათა აღრიცხვა, კლასთა აღრიცხვა, მიმართებათა აღრიცხვა) ანალიზის დროს, მაგრამ უდავოდ გულისხმობს მის გარკვეულ გადაწყვეტას.

გამოთქმათა აღრიცხვაში მათემატიკური ლოგიკა ამბობს, რომ მარტივი მსჯელობა მისთვის „უსტრუქტურო მთელია", რომელსაც ახასიათებს მხოლოდ ჭეშმარიტების მნიშვნელობა, ე. ი. ჭეშმარიტია ან მცდარი, მაშასადამე, აქ საერთოდ არ დგას მსჯელობის სტრუქტურული აგებულების საკითხი. მსჯელობა განისაზღვრება მარტივად, როგორც „გამოთქმა, რომელიც ჭეშმარიტია ან მცდარი".

რაც შეეხება კლასთა (პრედიკატთა) აღრიცხვას, — აქ გამოთქმა უკვე არ მოიხმარება, როგორც უსტრუქტურო მთელი, საჭირო ხდება მისი „დაშლა". სწორედ აქ ისმის თავისებურად გამოთქმის შინაგანი აგებულების საკითხი. კლასთა აღრიცხვა ოპერირებს არა „გამოთქმებით", არამედ „პრედიკატებით". მაგრამ ამ ტერმინს დაკარგული აქვს ძველი აზრი და მნიშვნელობა: „პრედიკატი" ატრიბუტული თეორიის ტერმინია და აზრს კარგავს „სუბიექტთან" მიმართების გარეშე. კლასთა აღრიცხვის „პრედიკატს" მხოლოდ სახელი აქვს მასთან საერთო[7]. მათემატიკურ ლოგიკაში სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობა, რ ო გ ო რ ც ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ი, არსად არ პოულობს ადგილსა და გამოყენებას. ტრადიციული ლოგიკის სუბიექტ-პრედიკატულ მსჯელობას მათემატიკური ლოგიკა თარგმნის თავის ენაზე, რომელშიც მსჯელობის ყველა ელემენტი „პრედიკატის" სახეს იღებს, მთელი მსჯელობა კი გა-

---

º მათემატიკური ლოგიკის წარმომადგენლები ლოგიკას აიგივებენ დასკვნის თეორიასთან („ფორმალური ლოგიკა წარმოადგენს აუცილებელი დასკვნის თეორიას", წერს ტ. კოტარბინსკი, იხ. Избранные произведения, 1959, с. 609), დასკვნას კი აღრიცხვად თვლიან. რისი აღრიცხვა? წინადადებათა ან სახელთა, რომელთა კავშირი იძლევა დასკვნას. ლოგიკა არის მოძღვრება წინადადებათა კავშირებისა და სახელთა კავშირების შესახებ. აქედან გასაგებია მათემატიკური ლოგიკის თავისებური სტრუქტურა.

[7] ჩვენის აზრით, იგი ძველი ტერმინოლოგიის სტიქიური „გადმონაშთია", რამდენადაც მათემატიკური ლოგიკა „სუბიექტის" ცნებას ფაქტიურად არ იყენებს.

მოდის, როგორც პრედიკატთა კავშირი[8]. მაგ., „ყველა ადამიანი მოკვდავია“ („ყველა S არის P“) ნიშნავს: „ყოველი x-ისათვის, თუ x ადამიანია, მაშინ x მოკვდავია. ანუ Ax (S/x/→P/x/). ეს უკვე აღარაა სუბიექტ-პრედიკატული კავშირი, იგი იცვლება პრედიკატთა ფუნქციონალური კავშირით, კერძოდ "ადამიანისა“ და „მოკვდავის“ იმპლიკაციით[9].

მათემატიკურ ლოგიკაში თვისებას უწოდებენ ერთადგილიან პრედიკატს, მიმართებას კი მრავალადგილიან პრედიკატს. მაგ. მსჯელობაში „a მეტია b-ზე“ — მიმართება „მეტი“ იწოდება ორადგილიან პრედიკატად, „პრედიკატი“ აქ სრულებით არ უდრის იმას, რასაც ძველი ლოგიკა გულისხმობდა: „მეტია b-ზე“[10]. მაგრამ იქნებ საგნისა და თვისების ტრადიციულ კავშირზე „ერთადგილიანი პრედიკატი“ მიუთითებს? სრულიადაც არა: თვისებისა და საგნის კავშირი მათემატიკურ ლოგიკაში განიხილება, აგრეთვე. როგორც თავისებური მიმართება, რის გამოც ტრადიციული სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობა წარმოდგენილია, როგორც მიმართების მსჯელობის კერძო შემთხვევა[11].

მათემატიკურ ლოგიკაში ხაზს უსვამენ ტრადიციული კოპულის მრავალმნიშვნელიანობას. „არის“ შეიძლება ნიშნავდეს:

1) არსებობას („დღეს არის ფეხბურთი“),

2) კლასის კლასში შესვლას („ადამიანი არის ცხოველი“),

3) ორი კლასის ექვივალენტობას („ადამიანი არის მოაზროვნე არსება“).

4) კლასის ელემენტის მიკუთვნებას კლასისადმი („ივანე არის ადამიანი“).

---

[8] ხომ არ ვლინდება ამაში ლოგიკური ორეული ბ. რასელის „საგნისა“, რომელიც განიხილება როგორც „თანაარსებულ თვისებათა სრული კომპლექსი“?

[9] А. Л. Субботин. Теория силлогистики в современной формальной логике, М., 1965, с. 28.

[10] ეს ხომ ისეთი «პრედიკატია», რომელსაც სუბიექი არა აქვს. მაგ., მსჯელობაში „პეტრე არის პავლეს ძმა“,—„ძმა“ განიხილება, როგორც ორადგილიანი პრედიკატი, მაგრამ პეტრე და პავლე სუბიექტები როდია.

[11] «В соответствии с тем, что двухместные предикаты мы назвали отношениями, одноместные предикаты можно было бы охарактеризовать как одноместные отношения... Таким образом, существуют одноместные отношения P (x), двухместные отношения R (x, y), трехместные отношения R (x, y, z) и т. д.“ (Г. Клаус, Введение в формальную логику, 1960, г. с. 313).

შესაბამისად, მათემატიკური ლოგიკა კოპულის სხვადასხვა მნიშვნელობებს გამოყოფს და მათ სიმბოლიზაციას ახდენს:

1) Ea — არსებობის სიმბოლო.

2) a ⊃ b — კლასის კლასში შესვლის.

3) a ≡ b — ექვივალენტობის.

4) a ∈ b — ელემენტისა და კლასის მიმართების.

არც ერთი ეს ფორმულა ტრადიციულ სუბიექტ-პრედიკატულ კავშირს არ შეიცავს[12], მათში არ ჩანს არც ტრადიციული კოპულა საკუთარი მნიშვნელობით.

მიმართების მსჯელობა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ეს თავისებურება გახდა საფუძველი ჯერ ცალკე გამოეყოთ იგი მსჯელობათა სიმრავლიდან, შემდეგ კი ყველა მსჯელობა მასზე დაეყვანათ[13].

ამ თავისებურების გასაგებად შევადაროთ ორი მსჯელობა:

1) „ადამიანი არის ცხოველი",

2) „7 მეტია 5-ზე".

მეორე ტიპის მსჯელობათა შესწავლისას მათემატიკოსებმა ყურადღება მიაქციეს შემდეგ მომენტებს:

1) აქ სრულებით არ დგას მიმართების წევრთა (7,5) არსებობის საკითხი, (ან რა აზრი აქვს მათ არსებობას?), მაშინ როცა პირველ მსჯელობაში „არის" ადამიანის სუბსტანციალურ არსებობაზე მიუთითებს.

2) თვით მიმართება „მეტი" გამოირჩევა არსებობის თავისებური ფორმით. იგი ჩვენი შედარების შედეგია და არა საგანთა თავისთავადი, ობიექტური გარკვეულობა.

---

[12] «Импликация не имеет ни субъекта, ни предиката» (Я. Лукасевич Аристотелевская силлогистика с точки зрения современной формальной логики, М., 1959, с. 87-88).

[13] მიმართების მსჯელობებთან პირველ რიგში საქმე აქვს მათემატიკას. ამით აიხსნება, რომ იგი პირველ რიგში მათემატიკოსებმა აქციეს სპეციალური ყურადღებისა და შესწავლის საგნად. „მათემატიკის წინადადებები არ თავსდებიან ტრადიციულ ლოგიკის მსჯელობის სქემაში: სუბიექტი — კოპულა — პრედიკატი, რადგან ისინი მიმართებებს გამოხატავენ. გამოთქმები, რომლებიც რაიმე სუბიექტს რაიმე პრედიკატს მიაწერენ, გამოსადეგია მხოლოდ თვისებებისათვის, კლასებისათვის; მიმართებები, რომლებიც ორი ან მეტი წევრების დაკავშირებას იძლევიან, ამ სახით ვერ გამოიხატებიან. და ეს, მათემატიკაში ასე მნიშვნელოვანი, რიგები შეიძლება მხოლოდ (არა უკუქცევადი ტრანზიტული) მიმართებებით მოწესრიგდნენ. ამიტომ უნდა განვითარებულიყო მიმართებათა გარკვეული ლოგიკური თეორია». (V. Kraft. „Wiener Kreis", Wien, 1950, S. 13).

3) მას არა აქვს სუბიექტი და პრედიკატი. თუ ვ-ტყვეით, რომ „7“ სუბიექტია, მაშინ „მეტია 5-ზე“ მის თვისებად უნდა ჩავთვალოთ. მაგრამ 7 თავისთავად სრულებით არ შეიცავს ამ თვისებას, ასეთ რამეს იგი „იძენს“ მხოლოდ ჩვენი შედარების შედეგად.

4) უნდა განვასხვავოთ თვისება და მიმართება. თვისება საგანს ახასიათებს თავისთავად (ე. ი. აბსოლუტური აზრით), სხვასთან მიმართების გარეშე. ხოლო ის, რაც საგანს „უჩნდება“ სხვასთან ჩვენი შედარების საფუძველზე, მიმართებაა და არა თვისება. ჩვენი მსჯელობის მიზანი 7-ის გარკვევა კი არაა, არამედ მიმართების დადგენა: 7>5.

მათემატიკური მსჯელობის ამგვარი გაგება თანდათან ყველა მსჯელობაზე იქნა გავრცელებული. მაგ., მსჯელობა — „იალბუზი ყაზბეგზე მაღალია“ — სრულებით არ ნიშნავს, რომ იალბუზი და ყაზბეგი არსებობენ, რომ „სიმაღლე“ მათ შორის რეალურად არსებული ობიექტური მიმართებაა, რომელიც აისახება მსჯელობაში, რომ „იალბუზი“ სუბიექტია, რომელსაც მიეკუთვნება თვისება „ყაზბეგზე მაღალია“. იალბუზს თავისთავად სრულებით არა აქვს მიმართება ყაზბეგთან, მით უფრო—თვისება, რომ ი „ყაზბეგზე მაღალია“. ასეთი რამ ითქმის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი შედარების შემდეგ[14]. ყაზბეგი (ან სხვა უამრავი მწვერვალი) შეიძლება არც არსებობდეს ან ერთბაშად გაქრეს, მაგრამ იალბუზი რაიმე თვისებებს როდი დაკარგავს, „მის თვისებათა კომპლექსში“ ატომიც არ შეირხევა!

უდავოა, რომ მიმართების მსჯელობათა უნივერსალიზაცია შეცდომას წარმოადგენს. მათემატიკის მსჯელობათა თავისებურებანი არ შეიძლება გავავრცელოთ ცოდნის ყველა სფეროზე, ყველა მსჯელობაზე. მეტიც, მიმართების მსჯელობაზე არც მათემატიკის მსჯელობები დაიყვანება. მართალია, ისინი განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ამ მეცნიერებაში, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ამოსწურონ იგი, არც მათემატიკაშია ისინი საკმარისი.

მიმართების მსჯელობათა ზემოთ მოყვანილი გაგებაც, ჩვენის

---

[14] „Когда мы говорим, что Фонтенебло меньше Версаля, для нас не имеет значения, что каждый из этих городов представляет именно как город. Мы видим в них только две в е л и ч и н ы, одна из которых—при условии, что если бы они были наложены одна на другую — вышла бы за пределы другой, წერდა ჟ. ლამელიე (ციტ. Ш. Серрюс, Опыт исследования значения логики, 1948, с. 123).

აზრით, არასწორია. მიმართების მსჯელობათა თავისებურება მიმართების[51] ბუნებაში უნდა ვეძიოთ. ძირითადია ამ მხრივ ის, რომ მიმართება გულისხმობს საგნის კავშირს სხვა საგანთან (ან საგნებთან), მას აზრი აქვს არა ერთი საგნის, არამედ საგანთა ურთიერთობის ფარგლებში, ამ აზრით იგი გარეგანი კავშირია. „მეტია", „ადრეა", „გრძელია", „მარჯვნივაა", „დიდია" და ა. შ. სხვასთან შედარებით განისაღვრება. უაზრობაა ვთქვათ „a ტოლია", აუცილებელია ითქვას: „a ტოლია b-სი". მაშინ როცა თვისება ჩვეულებრივ ამას არ საჭიროებს: „a რიცხვია".

მაგრამ აქედან ზოგადი დასკვნის გაკეთება, რომ მიმართება საერთოდ არაა დამოკიდებული საგნებზე, აშკარა სიყალბეა. „წმინდა მიმართება" არ არსებობს და არ წარმოიდგინება, მიმართებას ადგილი აქვს საგნებს შორის, მაშინაც, როცა ლაპარაკია მიმართებათა მიმართებაზე — თვით მიმართებას ეკისრება საგნის ფუნქცია. საგანთა შორის მიმართებაც ობიექტურად არსებობს და ჩვენზე როდია დამოკიდებული.

მართალია, მიმართებათა ერთი ნაწილი ჩვენს მიერ დგინდება მსჯელობაში, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისია, რომლის საფუძველზე თეორიის შექმნა არ შეიძლება. პეტრე და პავლე შეიძლება არასოდეს არ შეხვედრია ერთმანეთს, მსჯელობა: „პეტრე პავლეზე მაღალია" ჩემი შედარების შედეგია. მაგრამ, ჯერ ერთი, უაზრობაა ასეთ შემთხვევათა აბსოლუტიზაცია: მიმართების მსჯელობები ძირითადში საგანთა რეალურ, ობიექტურ მიმართებებს ასახავენ. მეორე, თვით ამ შემთხვევაში პეტრე, პავლე და მათი სიმაღლე ჩემს მსჯელობაზე როდია დამოკიდებული, აქაც ჩემი მსჯელობა ობიექტურს ასახავს. მესამე, საგანთა შორის მიმართებაც მათი შინაგანი ბუნებით, მათი თვისობრიობით განისაზღვრება, რის გარეშე აზრს კარგავს თვით შედარება. მსჯელობა „პეტრე პავლეზე მაღალია" გულისხმობს, რომ ორივე ადამიანია და ორივეს აქვს სიმაღლე. უაზრობაა ასეთი მიმართების დადგენა: „მთვარე მტკვარზე მაღალია". რადგან მიმართება საჭიროებს საფუძველს. პეტრე მაღალია არა თავისთავად, არამედ პავლესთან შედარებით. მაგრამ შედარებითი არ გამორიცხავს ობიექტურს: პავლესთან შედარებით პეტრეს ობიექტურად ახასიათებს ეს გარკვეულობა.

---

[15] ამ შემთხვევაში „მიმართების" ცნებას იღებენ ვიწრო აზრით, როგორც „მრავალადგილიან პრედიკატს", რომლის ქვეშ ძირითადში იგულისხმება ერცეული, დროული და რაოდენობრივი მიმართებები.

ამ აზრით, მიმართების მსჯელობა პრინციპულად არ უპირისპირდება სუბიექტ-პრედიკატულ სტრუქტურას. ძირითადად გაირჩევა ორი შემთხვევა: 1) საგნები გამოდიან სუბიექტის როლში, მიმართება კი მათი საერთო პრედიკატია (მაგ, „პეტრე და პავლე ძმებია", „a და b ტოლია"), 2) ერთი საგანი (ლოგიკური მახვილის შესაბამისად) სუბიექტია, მეორე კი მიმართებასთან კავშირში პრედიკატს შეადგენს („პეტრე პავლეზე მაღალია").

* * *

სუბიექტ-პრედიკატული სქემის ტრადიციული გაგების ძირითად ნაკლოვანებად ჩვენ მიგვაჩნია მისი მეტაფიზიკური ხასიათი. როგორც ცნობილია, პოზიტივიზმიც ტრადიციულ თეორიას სწორედ „მეტაფიზიკაში" სდებს ბრალს და ამ საფუძველზე უარყოფს. მაგრამ პოზიტივიზმი „მეტაფიზიკის" ქვეშ გულისხმობს არა განვითარების თეორიას, არა ფილოსოფიის მეთოდოლოგიურ მხარეს, არამედ ონტოლოგიურ მოძღვრებას საერთოდ. პოზიტივიზმი გაღაჭრით უარყოფს ასეთი მოძღვრების შესაძლებლობას. ასევე გადაჭრით უარყოფს ის ლოგიკურის დაფუძნებას ონტოლოგიურ პრინციპებზე, სულ ერთია, როგორი იქნება ეს „ონტოლოგია", მატერიალისტური თუ იდეალისტური. რაც შეეხება სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის ტრადიციულ თეორიას, იგი არსებისა და საგნის გარკვეულ ზოგად-ფილოსოფიურ გაგებას ემყარებოდა. თავისთავად ამ სქემას შეიძლება მიეცეს როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური ინტერპრეტაცია. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იგულისხმება არსებისა და საგნის ქვეშ, ან რა მიმართებაშია მსჯელობა მათთან. ისტორიულად ფაქტიც არის ამ სქემის როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური გაგება. მატერიალისტები აღიარებდნენ მსჯელობის განუყრელ კავშირს მატერიალურ საგანთა სამყაროსთან, იდეალისტები, პირიქით, ამ სქემის იდეალისტურ გაგებას იძლეოდნენ, რამდენადაც ისინი უარყოფდნენ თვით მატერიალურ საგანთა სამყაროს ან მისი ასახვის შესაძლებლობას ლოგიკური აზროვნების შემწეობით.

მიუხედავად ამისა, ამ სქემის მატერიალისტურ და იდეალისტურ გაგებას ტრადიციულ ლოგიკაში საერთო ჰქონდა ერთი ძირითადი და არსებითი მხარე, სახელდობრ, მეტაფიზიკა: მატერია-

ლისტებიც და იდეალისტებიც, როგორც წესი, აღნიშნულ სქემას მეტაფიზიკურ ინტერპრეტაციას აძლევდნენ. მხოლოდ ჰეგელმა სცადა მსჯელობის არსების დიალექტიკური გაგება და მისი მოძღვრება ამ მხრივაც უდავოდ შეიცავს „რაციონალურ მარცვალს“.

უნდა ითქვას, რომ მეტაფიზიკურობა, მეტაფიზიკური ხასიათი ანათესავებს არა მხოლოდ სუბიექტ-პრედიკატული სქემის მატერიალისტურ და იდეალისტურ გაგებას ტრადიციულ ლოგიკაში. მეტაფიზიკა არის ის საერთო, რომელიც აგრეთვე აკავშირებს სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის ტრადიციულ სქემას („S არის (არ არის) P“) „მიმართებათა ლოგიკის“ სქემასთან — aRb. „მიმართებათა ლოგიკა“ ებრძვის ტრადიციულ სქემას და უპირისპირებს მას „მიმართების მსჯელობას“. მაგრამ თვით ეს მსჯელობა, მისი ელემენტები, ამ ელემენტთა ურთიერთობა მას ისევე მეტაფიზიკურად ესმის, როგორც ტრადიციულ ლოგიკას—სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობა.

სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის დიალექტიკური გაგება ნიშნავს განვიხილოთ იგი საგნისა და გარკვეულობის ობიექტურ დიალექტიკასთან განუყოფელ კავშირში. ამ შემთხვევაში თვისობრივად ახლებურ სახეს იღებს თვით მსჯელობის ელემენტთა ურთიერთობაც, იგი (ეს ურთიერთობა) უნდა განვიხილოთ არა როგორც ორი დამოუკიდებელი წევრის გაერთიანება, არამედ როგორც „ერთიანის გაორება“. შინაგანი მოძრაობის, შინაგანი განვითარების მომენტი, — აი რა იძლევა მსჯელობის სტრუქტურის დიალექტიკური გაგების საფუძველს. ამ საფუძველზე იგი გაგებული იქნება არა როგორც „სტატიკური სისტემა“, არამედ როგორც „დინამიკური სტრუქტურა“[16].

მსჯელობა განსხვავებულ ელემენტებს შეიცავს. ამის გარეშე ის იქნებოდა უაზრო ტავტოლოგია: „a არის a“, „ივანე არის ივანე“ და ა. შ. ყოველი ნამდვილი მსჯელობა შინაგან განსხვავებას გულისხმობს. განსხვავებული წევრები იღებენ მონაწილეობას მის აგებაში. მაგრამ თვითონ მსჯელობა განსხვავებულთა ე რ თ ი ა ნ ობ ა ა. იგი არ იშლება ელემენტებზე. იგი იქმნება განსხვავებულ ელემენტთა ურთიერთობაში, როგორც მათი მთლიანობა. უკვე

---

[16] ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის შინაგანი დიალექტიკის გასახსნელად 1962 წ. ჩვენ ვიხმარეთ ტერმინი „დინამიკური სტრუქტურა“ («ბ. რასელი სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის შესახებ»). მისი შინაარსის სიტემატური განვითარება მოცემული გვაქვს შრომაში «Вопросы теории суждения» (Тб., «Мецниереба», 1968). უკანასკნელ წლებში ეს ტერმინი გარკვეულ გავრცელებას პოულობს...

აქ დგას განსხვავებულთა დიალექტიკური მთლიანობის საკითხი. სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის დიალექტიკური გაგება ნიშნავს განვიხილოთ იგი როგორც განსხვავებულთა ისეთი კავშირი და მთლიანობა, რომელიც შინაგანი მოძრაობის საშუალებით ხორციელდება. მხოლოდ ასეთი გაგება „აამოძრავებს" იმას, რაც ძველი ლოგიკისათვის გაჩერებულია, „გააცოცხლებს" იმას, რაც ძველი ლოგიკისათვის მკვდარია.

მაგრამ სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის განხილვა საგნისა და გარკვეულობის ობიექტური დიალექტიკის თვალსაზრისით არც იმას ნიშნავს, რომ მსჯელობას შეუძლია სისრულით ასახოს ეს დიალექტიკა. საგნისა და გარკვეულობის ობიექტური დიალექტიკის ასახვა მთელი ლოგიკური აზროვნების ფუნქციაა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ცნებაც და დასკვნაც. ლოგიკური აზროვნება, როგორც ცნობილია, არ დაიყვანება მსჯელობაზე. მსჯელობას რომ შეეძლოს საგნისა და გარკვეულობის ობიექტური დიალექტიკის სისრულით ასახვა, აზროვნების სხვა ლოგიკური ფორმები არც იქნებოდა საჭირო, ისინი ზედმეტი გახდებოდნენ, რადგან შესამეცნებელიც არაფერი რჩება სამყაროში. მსჯელობის არსების შეცნიერული გაგება ნიშნავს მოვუნახოთ მას მისი კონკრეტული ადგილი აზროვნების ლოგიკურ ფორმებს შორის და არ ავურიოთ მისი ფუნქცია ცნებისა და დასკვნის ფუნქციებში.

მსჯელობის სპეციფიკა აქ იმაში ელინდება, რომ იგი საგნისა და გარკვეულობის უშუალო ერთიანობას ასახავს. სწორედ ამ გარემოებას გამოხატავს აბსტრაქტული კოპულა — „არის", რომლითაც მსჯელობის ორი ელემენტი ერთმანეთს უკავშირდება. მსჯელობის ელემენტთა ამ კავშირის გ ა შ უ ა ლ ე ბ ა უკვე აღარ არის მსჯელობა. ეს უკვე დასკვნაზე გადასვლას ნიშნავს. მეორეს მხრით, თვით „არის", როგორც კავშირი, უნდა იქნეს გაგებული დიალექტიკურად, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება როგორც მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლა, ისე თვით სუბიექტიდან პრედიკატისაკენ მოძრაობა[17].

---

[17] ამ თავის სრული ვარიანტი (97 გვერდი) დაიბეჭდა ჩვენს წიგნში: „Вопросы теории суждения" (Тб., 1968 г.)

თავი V

დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობის შესახებ

დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობის საკითხი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსჯელობის თეორიაში: მის გარეშე შეუძლებელია მსჯელობის არსების, მისი სტრუქტურის სრულყოფილი დახასიათება. დიდი ყურადღება, რომელიც უკანასკნელი საუკუნის მანძილზე სპეციალურ ლოგიკურ ლიტერატურაში ამ საკითხს ეთმობა, შემთხვევითი როდია. იგი განიხილება ისეთი პრობლემების შუქზე, როგორიცაა არსისა და არარსის, პოზიტიურისა და ნეგატიურის და ა. შ. ურთიერთობა. მაგრამ თვითონაც დიდ როლს ასრულებს ამ პრობლემების გარკვევასა და გაშუქებაში.

დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობის ანალიზი ცხადყოფს მსჯელობის ტრადიციული თეორიის არსებით სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს, რომელთაც ლოგიკის ისტორიულ განვითარებაში სერიოზულ მოთხოვნად დღის წესრიგში დააყენეს მსჯელობის ძველი თეორიის სრული რეფორმის ამოცანა. საკმარისია დავასახელოთ უარყოფითი მსჯელობის კრიტიკოსები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მათი დამოკიდებულება მსჯელობის არსების ტრადიციულ გაგებასთან. მაგრამ ყველა ცდა ძველი ლოგიკის ბაზაზე ტრადიციული თეორიის „რეფორმისა", მარცხით დამთავრდა. დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობის სწორი მეცნიერული გადაწყვეტა შეუძლებელია განვითარების თეორიის გარეშე: "დადებითი" და „უარყოფითი" ხომ სწორედ დიალექტიკური წინააღმდეგობის მომენტებია, მათი ურთიერთობის სწორი ვააზრება მეტაფიზიკას თავისი ბუნებით არ შეუძლია.

მსჯელობა საგნის გარკვევაა. ეს ძველთაძველი დებულება რადიკალურად ახლებურ გააზრებას მოითხოვს. გარკვეულობა შეიძლება გაგებულ იქნეს მეტაფიზიკურად და შეიძლება გაგებულ იქ-

ნეს დიალექტიკურად. გარკვეულობის მეტაფიზიკური გაგება გარდუვალად აწყდება გამოუვალ სიძნელეებს მსჯელობის თეორიაში. უარყოფით მსჯელობაზე უარის თქმა და მისი ბუნების ყალბი ინტერპრეტაციები ამის ცხადი მაგალითია. გარკვეულობა რთული ცნებაა, რომლის დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება მსჯელობის თეორიის პრობლემათა სწორი მეცნიერული გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა.

I

დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობის ლოგიკურ პრობლემას ზოგად ასპექტში და თავისებური კუთხით ყურადღება მიექცა ი. კანტის ფილოსოფიაში. უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი თვალსაზრისი განავითარა მის შესახებ ჰეგელმა, რომლის დიალექტიკა, როგორც ცნობილია, მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკის ერთ-ერთ წყაროდ იქცა. რაც შეეხება უახლოესი პერიოდის ბურჟუაზიულ ლოგიკას, ეს პრობლემა ახალი ფორმით აღორძინდა და სპეციალური რეფლექსიის საგნად იქცა მე-19 საუკუნის II ნახევარში, განსაკუთრებით იმ ლოგიკოსთა შორის, რომლებიც ი. კანტის ფორმალისტური მოძღვრების საფუძველზე აღმოცენდნენ.

სანიმუშოდ პირველ რიგში, ჩვენ განვიხილავთ ქ. ზიგვარტის თვალსაზრისს. ზიგვარტმა, როგორც ცნობილია, ბრძოლა გამოუცხადა ტრადიციული ლოგიკის უარყოფით მსჯელობას და სრულიად თავისებური პოზიცია დაიკავა მის მიმართ. მისი ეს პოზიცია ყალბი და მიუღებელია, რის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, იმავე დროს, გამოსავალს მისთვის წარმოადგენდა თვით ტრადიციული თეორიის სიძნელეები და ნაკლოვანებები. სწორედ აქ, ამ სიძნელეებსა და ნაკლოვანებებში პოულობს ერთგვარ მასაზრდოებელ ნიადაგს, თუ შეიძლება ითქვას, „გნოსეოლოგიურ ფესვებს“ მისი თვალსაზრისი. მეტიც, პოზიცია ზიგვარტის, ბრენტანოს, ლოტცეს, ბერგმანის, ვინდელბანდის და სხვებისა, რომლებიც ამ საკითხის გარშემო სპეციალურად მსჯელობენ და კამათობენ მე-19 საუკუნის II ნახევარში (განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან) საერთოდ შეიძლება განვიხილოთ, როგორც აღნიშნული სიძნელეებისა და ნაკლოვანებების თავისე-

ბური ხაზგასმა, გამომეღავნება და დემონსტრაცია. ჩვენთვისაც ძირითადში ამ მხრივ არის საინტერესო მათი თვალსაზრისი.

ზიგვარტის პოზიცია უარყოფითი მსჯელობის გაგებაში ასეთია: „უარყოფა ყოველთვის მიმართულია სინთეზის ცდის საწინააღმდეგოდ; ის, მაშასადამე, გულისხმობს საიდანღაც გარედან მომდინარე ან შინაგანად წარმოქმნილ მოლოდინს, რომ სუბიექტი და პრედიკატი გაერთიანებულ უნდა იქნეს. უარყოფის ობიექტად ყოველთვის გამოდის შესრულებული მსჯელობა, ან მსჯელობა, რომლის შესრულებას ჩვენ ვცდილობდით; უარყოფითი მსჯელობა არ შეიძლება, მაშასადამე, განვიხილოთ, როგორც დადებითი მსჯელობის სწორუფლებიანი და მასთან ერთად პირველდაწყებითი სახე მსჯელობისა“[1].

ზიგვარტის აზრით, მსჯელობის პირველდაწყებითი და დამოუკიდებელი ფორმაა მხოლოდ დადებითი მსჯელობა, რაც შეეხება უარყოფითს, — იგი მეორადია და დამოკიდებული. უარყოფითი მსჯელობა წინასწარ გულისხმობს დასტურს, ან ცდას რაიმესადმი პრედიკატის დადებითი მიწერისა: უარყოფითი მსჯელობის აზრი სწორედ ისაა, რომ ეწინააღმდეგება, ან სპობს მას.

მაშ, რა საჭიროა უარყოფითი მსჯელობა, რა ფუნქცია აკისრია მას? მისი დანიშნულებაა აზროვნების სუბიექტური მოძრაობა აარიდოს შეცდომის უსაზღვრო სფეროს; ის ყოველთვის გვეუბნება მხოლოდ შემდეგს: შეცდომაა, რომ A არის B. ამ მხრივ ზიგვარტი ეთანხმება კანტს, რომელიც ამბობდა: უარყოფითი მსჯელობის ფუნქცია ისაა, რომ შეგვაკავოს შეცდომებისაგან; ამიტომ როცა უარყოფითი მსჯელობა გამოიყენება იქ, სადაც შეცდომის შესაძლებლობა არაა, იგი ხშირად ღიმილს იწვევს (მაგ., „ეს ქვა არ კითხულობს“).

რა აზრი აქვს უარყოფას მსჯელობაში: „A არ არის B“? სუბიექტსა (A) და პრედიკატს (B) უარყოფით მსჯელობაში სავსებით იგივე აზრი აქვთ, რაც დადებითში: „A არის B“. თვითონ სუბიექტი და პრედიკატი არ შეიძლება იყოს უარყოფითი, — ამტკიცებს ზიგვარტი. იქ, სადაც ლაპარაკია ე. წ. უარყოფით სუბიექტზე და პრედიკატზე (non-A ან non-B), ისინი გამოდიან გარკვეული სუბიექტების ან პრედიკატების შემოკლებულ დამხმარე ფორმულებად. ამდენად, ზიგვარტის აზრით, მიუღებელია ის ინტერპრეტაცია, თითქოს უარყოფით მსჯელობა-

---

[1] Зигварт. Логика, т. 1. 1908 с. 135.

ში სუბიექტს მიეწერება უარყოფითი პრედიკატი — non-B. პირიქით, ლოგიკოსთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ უარყოფას კოპულასთან აქვს საქმე. ამიტომ ლაპარაკობენ კოპულის დადებითი და უარყოფითი თვისობრივობის შესახებ. ზიგვარტს მიუღებლად მიაჩნია ლაპარაკი უარყოფითი კოპულის შესახებ. თუ კოპულა ნიშნავს პრედიკატის, როგორც თვისების ან მოქმედების სუბიექტისადმი მიწერას, ცხადია, შეუძლებელია ისეთი სინთეზი, ისეთი გაერთიანება ერთ მთელად, როცა A და B გაყოფილნი რჩებიან და არ მოდიან ერთიანობაში: «კავშირი რომელიც ყოფს — ეს უაზრობაა... კოპულა არის უარყოფის არა მატარებელი, არამედ ობიექტი; არ არის უარმყოფელი კოპულა, არამედ არის მხოლოდ უარყოფილი კოპულა»[2]

ამდენად, მარტივ დადებით მსჯელობაში სამი ელემენტია — სუბიექტი, პრედიკატი და აზრი მათი ერთიანობის შესახებ. უარყოფით მსჯელობაში გვაქვს სამივე ელემენტი, მაგრამ ემატება მეოთხე, უარყოფა («არა»), რომელიც ეწინააღმდეგება სინთეზის ცდას: «A არის B». მსჯელობა «A არ არის B» ნიშნავს: «მცდარია, რომ «A არის B». უარყოფითი მსჯელობა, მაშასადამე, უშუალოდ არის მსჯელობა უკვე შესრულებული მსჯელობის შესახებ და მხოლოდ არაპირდაპირ—მსჯელობის სუბიექტის შესახებ.

უარყოფას არ შეიძლება თავისთავადი და დამოუკიდებელი მნიშვნელობა მივანიჭოს, — ამბობს ზიგვარტი, „უშუალოდ მას არ შეუძლია გამოხატოს არაფერი არსებული, არც თვისებები, არც მიმართებები“[3].

ფილოსოფიის ისტორიაში იყო მრავალი ცდა უარყოფისათვის თავისთავადი და დამოუკიდებელი მნიშვნელობის მინიჭებისა, ამბობს ზიგვარტი. ამტკიცებდნენ, თითქოს უარყოფა არაა ასე ლ ა რ ი ბ ი და არ გამოხატავს მხოლოდ მ ო ს ა ბ ი ს აქტს. ის, რაც უარყოფით მსჯელობაში მტკიცდება, საკუთარი შინაარსის მქონეა და უპირისპირდება დადებით შინაარსს. ზიგვარტი ასახელებს არისტოტელეს, სპინოზას და ჰეგელს.

არისტოტელეს აზრით ლოგიკურ დასტურსა და უარყოფას შეესაბამება შეერთება და გაყოფილობა საგანთა სამყაროში. მაგ., დადებით მსჯელობაში S და P კავშირი გამოხატავს სუბსტანციისა და აქციდენციის შეერთებას. ზიგვარტი არ ეთანხმება მას. მისი აზრით არ შეიძლება დასტურისა და უარყოფის რაიმე ობიექტური

---

[2] З и г в а р т. Логика т. 1. с. 138.

[3] и б и д. с. 140.

საფუძვლები ვეძიოთ საგანთა სამყაროში, „რადგან თავისებურება ჩვენი აზროვნებისა, რომელიც მსჯელობის ფორმით მოძრაობს, იმაში მდგომარეობს, რომ მისი პროცესები არ ემთხვევიან არსებულს, რომელსაც მათ სურთ რომ ეხებოდნენ"[4].

მსჯელობა გულისხმობს სუბიექტისა და პრედიკატის გაყოფილობას აზრებში, მსჯელობა, ხომ სწორედ იმ ორი წარმოდგენის ერთიანობის გაგებაა, რომლებიც მანამდე გაყოფილად არსებობდნენ ჩვენს ცნობიერებაში. თვით არსში კი არა გვაქვს ასეთი გაყოფილობა, ამბობს ზიგვარტი, საგანი არსებობს მხოლოდ თვისებასთან ერთად, ისინი ჰქმნიან განუყოფელ ერთიანობას. „ზოგადი და ერთეული, პრედიკატი და სუბიექტი თავის წინამორბედ გაყოფილებაში და თავიანთი გაერთიანების აქტში არ პოულობენ, მაშასადამე, რაიმე შესაბამისს არსში. და ამიტომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ მსჯელობის ელემენტთა შეერთება შეესაბამება ანალოგიურ ობიექტურ ელემენტთა შეერთებას"[5].

ზიგვარტი აკრიტიკებს აგრეთვე სპინოზას ცნობილ დებულებას: «determinatio est negatio». ამ დებულების თანახმად უარყოფა გადატანილია ობიექტში და დაშვებულია თვით საგანთა არსებაში, ამბობს ის. უარყოფითი მსჯელობა კი მიჩნეულია სწორედ საგანთა არსებაში მოცემული უარყოფის შემეცნებად. მაგ., თ. კამპანელა იყო გამოჩენილი მომხრე იმ აზრისა, რომ ყველა საგანი შესდგება ისეთი მომენტებისაგან, როგორიცაა ჰო და არა, არსი და არარსი, რომ აი ეს გარკვეული არის მხოლოდ იმის წყალობით, რომ არ არის სხვა. მაგ., «ადამიანი არის». ეს არის მისი დადგენა. მაგრამ ის არის იმიტომ, რომ ის არ არის ქვა, ლომი, ვირი და ა. შ. მაშასადამე, ერთსა და იმავე დროს ის არის არსი და არარსი. სწორედ ამ აზრით ამბობდა სპინოზაც: «determinatio est negatio». ფიგურა დეტერმინირებულია, რამდენა-

---

[4] Зигварт. Логика, т. I, с. 91.

[5] იქვე, გვ. 92. «Der Grundirrtum des Nominalismus Sigwarts ist in den Worten angegeben, dass in den objekten realiter getrennt ist, keine Beziehung auf einander habe, sowie in der mit dieser im grunde gleichbedeutenden, dass Zum Wesen der Dinge niemals das gehört, was sie nicht sind. Diese Behauptungen widersprechen nicht nur der wahre Metaphysik, sondern ebenso sehr der Erfahrung, die aus immer und uberrall reale und wesentliche Beziehung des Getrenten auf einnander offenbart. Ohne diese Beziehungen gäbe es keine Denken und keine Bewegung; Alles wäre todt und Starr» (I. I. Borelius, Ueber den Satz des Widerspruchs und die Bedeutung der Negation, Philosophische Monatshefte, 1881, VIIu. VIII. S. 447).

დაც ის არ არის დანარჩენი სივრცე, მაშასადამე, ის მოიაზრება მხოლოდ უარყოფის, როგორც განსაზღვრის (Beschränkung, Ограничение), საშუალებით. რაიმე (გარკვეული) მოიაზრება უსასრულოს უარყოფის საშუალებით.

ზიგვარტი გადაჭრით ილაშქრებს ამის წინააღმდეგ: უარყოფა ჩვენი აზროვნების ფუნქციაა და არ შეიძლება საგნის ინდივიდუალობის (და სხვებისაგან გამოყოფის) პირობად გამოვაცხადოთ. „ის, რაც ისინი არ არიან, — არჭოდეს არ მიეკუთვნება მათ არსს და არსებას. ეს შეტანილია მათში გარედან შემადარებელი აზროვნების მიერ“[6]. თვით საგანთა რეალურ სამყაროში „არ არის არაფერი შესატყვისი ჩვენი უარმყოფელი აზროვნებისა“[7]. ამის მტკიცება ჰეგელიანიზმია, ამბობს ზიგვარტი: „ჰეგელის ლოგიკა მხოლოდ განუწყვეტელი აღრევით უარყოფისა აზროვნებაში რეალურ მიმართებებთან არსში ... მხოლოდ ამის წყალობით ჰქმნის იმ შოჩვენებას, თითქოს უარყოფა არის რეალური ძალა და არსება თვით საგნებისა“[8].

როგორც ვხედავთ, ზიგვარტი უარყოფს უარყოფითი მსჯელობის რეალურ საფუძველს, მისი შესატყვისი „საგნობრივი ვითარება“ არ არსებობს. მსჯელობა პასუხია კითხვაზე: „რა არის რაიმე?“ — რაც მხოლოდ და მხოლოდ დადებით მსჯელობას შეუძლია. „რა არ არის რაიმე“, სრულებით არ ეხება ამ რაიმეს. ზიგვარტის პოზიციის ამოსავალი და დასაყრდენია უარყოფის კატეგორიის სუბიექტივისტური გაგება. ამაში უნდა ვეძიოთ მთელი მისი მოძღვრების გასაღები. უარყოფა არაა რეალობა, ე. ი. საგნობრივ ვითარებაში მას ადგილი არა აქვს. იგი არც რეალური და არც ლოგიკური კატეგორიაა. უარყოფა ფსიქოლოგიური მოვლენაა.

* * *

ზიგვარტის თვალსაზრისი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პრობლემის მეტაფიზიკური გადაწყვეტის ერთგვარი ნიმუში[9].

---

[6] З и г в а р т, Логика, т. 1, с. 144.

[7] იქვე.

[8] იქვე.

[9] «Мы навеки лишены возможности сравнить наше познание с вещами, как они существуют независимо от нашего познания («Логика», т. 1, с. 7).

1. ზიგვარტის მტკიცებით მსჯელობის პირველადი და დამოუკიდებელი ფორმაა მხოლოდ დადებითი მსჯელობა, უარყოფითი კი მეორადი და დამოკიდებულია. რამდენად კანონიერია საკითხის ასე დაყენება? აქ საჭიროა სიცხადე. არსებობს, როგორც ცნობილია, მსჯელობის მრავალი განსხვავებული სახე. შეიძლება თუ არა საკითხი დაისვას მათი მეტ-ნაკლები შემეცნებითი ღირებულების შესახებ? შეიძლება. მაგ., საგნის გარეგანი ნიშნის გამომხატველ მსჯელობას ნაკლები შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე არსებითი ნიშნის გამომხატველ მსჯელობას. მაგრამ ზიგვარტი საკითხს ამ ასპექტში როდი აყენებს. ზიგვარტი საკითხს აყენებს იმ კუთხით, თუ რომელი მათგანი, დადებითი და უარყოფითი მსჯელობიდან, გამოხატავს საგნობრივ ვითარებას და, ამ აზრით, პოულობს „ობიექტურ", ლოგიკურ გამართლებას. ასეთია მისთვის მხოლოდ დადებითი მსჯელობა. ამიტომ არ იქნებოდა ზუსტი გვეთქვა, რომ ზიგვარტი არ უარყოფს უარყოფით მსჯელობას, ის მხოლოდ ნაკლებ შემეცნებით მნიშვნელობას ანიჭებს მას. ზიგვარტისათვის უარყოფითი მსჯელობა „ნაკლებმნიშვნელოვანი" კი არ არის, არამედ საერთოდ მოკლებულია შემეცნებით მნიშვნელობას, იმ აზრით, რომ არაფერს საგნობრივი ვითარებიდან არ გამოხატავს. წმინდა ლოგიკური თვალსაზრისით უარყოფითი მსჯელობა არცაა მსჯელობა. მსჯელობათა ლოგიკურ კლასიფიკაციაში ზიგვარტი უარყოფით მსჯელობას დადებითის გვარდით ვერ დაასახელებს. უკეთ, წმინდა ლოგიკური თვალსაზრისით ე. წ. უარყოფითი მსჯელობაც დადებითია: „დიახ, მცდარია, რომ A არის B". ზიგვარტი ფსიქოლოგისტია. მაგრამ ის მაინც ცდილობს განასხვავოს, ასე ეთქვათ, წმინდა ლოგიკური ფსიქოლოგიურისაგან. ზიგვარტს აკლია სიზუსტე და თანმიმდევრობა, როცა ის სხვადასხვა საფუძველზე მაინც ადარებს მათ ერთმანეთს და თითქოს მათი მეტ-ნაკლები შემეცნებითი მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკობს. მაგრამ უდავოა, რომ საბოლოო ანგარიშით, უარყოფითი მსჯელობა მისთვის ლოგიკურ ღირებულებას არ წარმოადგენს.

დიალექტიკური ლოგიკის თანახმად, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მსჯელობა ობიექტურ-საგნობრივ ვითარებას ასახავს, ორივე ობიექტურ საფუძველს ეყრდნობა და ამ აზრით ორივე ლოგიკურად სრულუფლებიანი და სწორუფლებიანია. ამ მხრივ მათი დაპირისპირება და იმის მტკიცება, რომ ერთი არის მსჯელობა სა-

გნის შესახებ, მეორე კი მსჯელობა მსჯელობის შესახებ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

2. უარყოფითი მსჯელობის აგებულება ზიგვარტს ასე აქვს წარმოდგენილი: სუბიექტია დადებითი მსჯელობა, პრედიკატი კი მის მცდარობას ამტკიცებს. თუ დადებითი მსჯელობა ამბობს: «A არის B», უარყოფითი მსჯელობა ამბობს: «მცდარია, რომ A არის B». ზიგვარტი უარყოფას ფსიქოლოგიურ მოვლენად თვლის და ამ აზრით ღებულობს მას. მაგრამ ჩვენ აქ სხვა მხარე გვაინტერესებს; ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით «მსჯელობა მსჯელობის შესახებ» შეუძლებელია, თუ არ იქნა გამოყენებული ლოგიკური უარყოფის მომენტი. ამ აზრით, ზიგვარტი, მისი კონცეფციის საწინააღმდეგოდ, შეუგნებლად თვითონ იყენებს ლოგიკური უარყოფის მომენტს მსჯელობაში: «მცდარია, რომ A არის B». დადებითი მსჯელობისაგან განსხვავებით უარყოფით მსჯელობაში 4 ელემენტი გვაქვს, ამბობს ზიგვარტი: სუბიექტი, პრედიკატი, კოპულა და უარყოფა «არა». მაგრამ ეს «არა» სულ სხვა საფუძვლიდან მომდინარე მომენტია და არ თავსდება დანარჩენი სამი ელემენტის გვერდით. სუბიექტი, პრედიკატი და კოპულა მსჯელობის ლოგიკური ელემენტებია. უარყოფა «არა» მეოთხე ლოგიკური ელემენტი კი არაა, არამედ გამოხატავს ლოგიკური მსჯელობისადმი ფსიქოლოგიური სუბიექტის დამოკიდებულებას. ამდენად, იგი ფსიქოლოგიური მოვლენაა: სუბიექტი უარყოფს ლოგიკური მსჯელობის ქეშმარიტებას. ერთის მხრით, აღებულია მთელი მსჯელობა, მისი სამი ლოგიკური ელემენტით, მეორის მხრით, გამოდის სუბიექტი, რომელიც «არა»-ს ეუბნება მას. როგორც ვხედავთ, ეს «არა» მსჯელობის ლოგიკური წყობისათვის გარეგანია, იგი გარედან ევლინება მთელ მსჯელობას. მსჯელობის ლოგიკურ შედგენილობაში მას ვერსად ვერ შევხვდებით. მართლაც, რას ნიშნავს ლოგიკური თვალსაზრისით უარყოფითი მსჯელობა— «A არ არის B»? ეს ნიშნავს: «მცდარია, რომ «A არის B». მაგრამ აქ უკვე აღარ არის 4 ელემენტი, აქ, როგორც ყოველ დადებით მსჯელობაში, 3 ელემენტია: 1) სუბიექტი «მსჯელობა A არის B», 2) კოპულა — «არის», 3) პრედიკატი — «მცდარია». ასეთია ზიგვარტის თვალსაზრისი.

ამის მიუხედავად ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზიგვარტი ფარულად თვითონ იყენებს „ლოგიკური უარყოფის“ ცნებას. ე. წ. უარყოფითი მსჯელობა ჩვეულებრივი მსჯელობა კი არაა, არამედ მსჯელობა მსჯელობის შესახებ, ამბობს ზიგვარტი, სახელდობრ, ეს არის დადებითი მსჯელობა დადებითი მსჯელობის შესახებ. მაგრამ

ამ „ორ დადებით მსჯელობას“ შორის მაინც თავისებური ურთიერთობაა და ზიგვარტს არ შეუძლია გვერდი აუაროს მას: ერთი დადებითი მსჯელობა ამტკიცებს, რომ მცდარია მეორე დადებითი მსჯელობა.

რას ნიშნავს: «მცდარია, რომ A არის B ?» რა უფლებით მოხდა მასზე გადასვლა მსჯელობიდან: «A არ არის B?» აი ეს კითხვები უნდა დაისვას ზიგვარტის წინაშე. ზიგვარტი აცხადებს: «A არ არის B» ნიშნავს, რომ «მცდარია მსჯელობა «A არის B». ასეთი გადასვლა ფარულად ლოგიკური უარყოფის მომენტს ეყრდნობა და იყენებს. «მცდარია რომ A არის B», რატომ? იმიტომ, რომ ჭეშმარიტია მსჯელობა «A არ არის B». როგორ არის შესაძლებელი უარვყოთ მსჯელობა „A არის B“, თუ არ იქნა გათვალისწინებული თვით საგნობრივი ვითარება? უდავოა, რომ უარყოფითი მსჯელობაც საგნობრივ ვითარებას გამოხატავს. აავიღოთ, მაგ., მსჯელობა «ივანე არ ეწევა პაპიროსს». ზიგვარტის კონცეფციით ეს არის მჯელობა მსჯელობის შესახებ: «მცდარია, რომ ივანე ეწევა პაპიროსს». მაგრამ, ეს თავის მხრით, სწორედ იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტია მსჯელობა: «ივანე არ ეწევა პაპიროსს». მაშასადამე, იგი გარკვეულ საგნობრივ ვითარებას გამოხატავს და ისევე ეყრდნობა ობიექტურ საფუძველს, როგორც დადებითი მსჯელობა. აქედან ცხადი ხდება ზიგვარტის პოზიციის სიყალბე, როცა იგი საგნთა შესახებ ამბობს: «ის, რაც არ არიან ისინი,—არასოდეს არ მიეკუთვნება მათ არსს და არსებას: ეს შეტანილია მათში გარედან შემადარებელი აზროვნების მიერ». შეუძლებელია საერთოდ «მცდარი» და, ჭეშმარიტი» განვასხვავოთ, თუ არ იქნა გამოყენებული ლოგიკური დაპირისპირება და უარყოფა.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ლოსკის მიერ ზიგვარტის კრიტიკა. პირველადი ვარაუდის უკუგდება, რომლის შესახებ ზიგვარტი ლაპარაკობს, თვითონ გულისხმობს უარყოფით მსჯელობას და იყენებს მას, წერდა ლოსკი. მაგ., ვთქვათ, მე შეცდომით ვფიქრობ, რომ დღეს დღესასწაულია და ვიყურები ფანჯრიდან იმ ვარაუდით, რომ «სახლებზე გამოფენილია დროშები». მაგრამ, პირიქით, ვხედავ, რომ «სახლებზე დროშები არაა გამოფენილი». ზიგვარტის აზრით ეს არის პირველადი (დადებითი) ვარაუდის უკუგდება, მისი მცდარად გამოცხადება. ნამდვილად კი, რომ ასეთი უკუგდება მოხდეს, საჭიროა შემჩნეულ იქნეს სწორედ დროშების არყოფნა სახლებზე, რაც ეწინააღმდეგება იქ დროშების ყოფნას. ე. ი. უნდა მქონდეს უარყოფითი მსჯელობა, რათა მცდარად ჩავთვალო პირველადი ვარაუდი. არსებითია ამ შემთხ-

ვევაში გარკვეულობის ცნების სწორი გაგება, რაიმე თვისობრივად გარკვეულია, ნიშნავს, რომ «ის გამორიცხავს თავის შემადგენლობიდან მთელ სამყაროს, გარდა თავისი თავისა»[10]. რომ გამოვთქვა მსჯელობა: «დიახ, მცდარია, რომ A არის B », უნდა არსებობდეს ლოგიკური წინააღმდეგობა «A არის B» და «A არ არის B»-ს შორის. ლოგიკური წინააღმდეგობა კი შეუძლებელია უარყოფის გარეშე, ორი დადებითი ვერ მოგვცემს ლოგიკურ წინააღმდეგობას, ხომ შეიძლება ორივე მიეწეროს ერთ სუბიექტს!

3. რას ნიშნავს: «მცდარია, რომ A არის B?» რა უფლებით მოხდა მასზე გადასვლა მსჯელობიდან: «A არ არის B?». ზიგვარტი ვერ მოუვლის ამ კითხვებს. ა) თუ მსჯელობა «A არ არის B» ნიშნავს: «მცდარია, რომ A არის B»,—ეს უკანასკნელი დადებითი მსჯელობაა და, მაშასადამე, უარყოფითი მსჯელობა არა თუ «მეორადი» და «დამოკიდებულია", არამედ საერთოდ არ არსებობს! ეს ერთის მხრით. ბ) მეორეს მხრით, როცა ზიგვარტი ამბობს: «A არ არის B» ნიშნავს — «მცდარია, რომ A არის B», უკანასკნელში ის მაინც რაღაცნაირად უარყოფის მომენტს დებს, რამდენადაც «მცდარია, რომ A არის B» ნიშნავს: «არ არის ჭეშმარიტი, რომ A არის B». ი. გაიზერმა სწორად შენიშნა, რომ ეს უკანასკნელი ლოგიკურად უპირისპირდება არა მსჯელობას: «A არის B», არამედ მსჯელობას: «ჭეშმარიტია, რომ A არის B». მსჯელობის «A არ არის B» პირველადი აზრი მდგომარეობს A-ს გამორიცხვაში B-ს მოცულობიდან (ან B ნიშნისა A-ს შინაარსიდან). ამდენად, მასში B ისევე უშუალოდ უარიყოფა A-ს შესახებ, როგორც დადებითში B დასტურდება A-ს შესახებ. რაც შეეხება ჭეშმარიტება-მცდარობის საკითხს, იგი ორივეს მიმართ შეიძლება დაისვას. მსჯელობის: «A არ არის B» პირველადი აზრი სრულებით არაა უარყოს ჭეშმარიტება მსჯელობისა «A არის B ». ეს უკანასკნელი უკვე ახალი დებულებაა. ჯერ A და B-ს გათიშულობა უნდა ვიცოდე, რათა გამოვთქვა ახალი მსჯელობა: «არ არის ჭეშმარიტი, რომ A არის B». «Die Beiden Urteile: S ist nicht P'', und «Es ist nicht wahr (oder: es ist falsch), dass S P ist», sind auch aus dem Grunde nicht dasselbe Urteil, weil sie sowohl ein anderes logisches Subjekt als auch ein anderes logisches Prädikat besitzen. Im ersten ist das Begriff S, im zweiten

---

[10] ნ. ლ ო ს კ ი, «დადებით და უარყოფით, მსჯელობათა ლოგიკური და ფსიქოლოგიური მხარეები» (ჟურ. «Логос» 1912-1913, с. 94).

das Urteil «S ist P» Subjekt, und in jenen bildet der Begriff P, in diesem der Begriff der Wahrheit das Prädikat»[11].

4. ზიგვარტი აკრიტიკებს ტრადიციულ ლოგიკას. ტრადიციული ლოგიკა მსჯელობის დამოუკიდებელ ფორმებად თვლის როგორც დადებით, ისე უარყოფით მსჯელობას. ამბობს ის, მაშინ როცა ასეთია მხოლოდ დადებითი მსჯელობა. საკითხი იმას როდი ეხება თუ ფსიქოლოგიურად რომელია პირველადი და რომელი უსწრებს რომელს. საკითხი დგას ლოგიკურ ასპექტში. ეს კი არსებითად ნიშნავს: რამდენად გამოხატავენ ისინი საგნობრივ ვითარებას? მიუხედავად არათანმიმდევრობისა, საბოლოო ანგარიშით, ასე აყენებს საკითხს ზიგვარტიც. მისი პასუხი ასეთია: დადებითი მსჯელობა დამოუკიდებელ ლოგიკურ ღირებულებას შეიცავს, რადგან გამოხატავს გარკვეულ საგნობრივ ვითარებას, უარყოფითი მსჯელობა მოკლებულია დამოუკიდებლობას, რადგან მას არაფერი აქვს გამოსახატავი სინამდვილეში[12]. ამ ასპექტში ზიგვარტის პასუხი სრულიად ყალბი და მიუღებელია, ობიექტური საფუძვლის თვალსაზრისით უარყოფითი მსჯელობაც მსჯელობის დამოუკიდებელი ფორმაა, რამდენადაც გარკვეულ საგნობრივ ვითარებას გამოხატავს.

მაგრამ დადებითი და უარყოფითი მსჯელობის ლოგიკური ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე სხვა მხრივ: ლოგიკურად ისინი ერთმანეთს მოითხოვენ, ერთმანეთს გულისხმობენ, ერთმანეთს საჭიროებენ. ამ აზრით ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. უარყოფითი მსჯელობა გულისხმობს დადებითს, ხოლო დადებითი არ გულისხმობს უარყოფითს, ამბობს ზიგვარტი. ამიტომ, მისი აზრით, პირველი დამოკიდებულია, მეორე კი დამოუკიდებელი. ტრადიციული ლოგიკა თვლიდა, რომ დადებითი და უარყოფითი მსჯელობები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფორმებია, ზიგვარტი კი დამოუკიდებელ ფორმად თვლის მხოლოდ და-

---

[11] იხ. ი. გაიზერის სტატია უარყოფითი მსჯელობის შესახებ კრებულში: «Abhandlungen aus dem Gebiete der Philosophie und ihrer Geschichte», Freibung, 1913, S. 120.

[12] ზიგვარტის მიმდევარი ნ. ლანგე განმარტავს «Суждение утвердительное выражает связи существующие в действительности, суждение же отрицательное имеет лишь субъективное значение, именно для исправления делаемых нами в актах суждения ошибок» (Н. Н. Л а н г е. Учебник логики, 1918 с. 50-51).

დებით მსჯელობას. იქნება თუ არა სწორი ამ ასპექტში ზიგვარტის წინააღმდეგ ვთქვათ, რომ დადებითი და უარყოფითი მსჯელობები ორივე დამოუკიდებელი ფორმებია? ეს იქნებოდა ზიგვარტის კრიტიკა ტრადიციული ლოგიკის პოზიციებიდან, ე. ი. უკან დაბრუნება იმასთან, რაც უარყოფილია ზიგვარტის მიერ. ზიგვარტმა სწორად შეამჩნია ტრადიციული ლოგიკის სიძნელე და ნაკლოვანებანი: ტრადიციული ლოგიკა ვერ ხედავს შინაგან კავშირს დადებით და უარყოფით მსჯელობებს შორის და ერთმანეთის გვერდით ასახელებს ისე, რომ ერთი არ გულისხმობს მეორეს და პირიქით. ეს სიძნელე ჩამარხულია მსჯელობის არსების თვით ტრადიციულ განხაზღვრებაში, რომლის თანახმად მსჯელობა არის რაიმეს შესახებ რაიმეს დასტური ან უარყოფა. ამით დასახელებულია მსჯელობის ორი სახე, მაგრამ სრულიად გაურკვეველია თვით მათი ურთიერთობა და ერთიანობა. ამიტომ გაურკვეველია, თუ რა არის თვითონ მ ს ჯ ე ლ ო ბ ა, როგორც ასეთი.

ზიგვარტი ზოგადად მართალია, როცა ამბობს, რომ უარყოფითი მსჯელობა გულისხმობს დადებითს, მაგრამ სავსებით ძველი ლოგიკის პოზიციაზე რჩება, როცა ამბობს, რომ დადებითი მსჯელობა არ გულისხმობს უარყოფითს. ამასთან, როცა ზიგვარტი ლაპარაკობს დადებითი მსჯელობის დამოუკიდებლობის შესახებ, მხედველობაში აქვს არა შედარებითი, არამედ აბსოლუტური დამოუკიდებლობა. ესეც მას ანათესავებს ტრადიციულ ლოგიკასთან, რომელიც დადებით და უარყოფით მსჯელობებს ერთმანეთის გვერდით ასახელებს აბსოლუტურად დამოუკიდებელ ფორმებად.

* * *

ზიგვარტი თავისებურად სარგებლობს მსჯელობის ტრადიციული თეორიის სიძნელეებითა და ნაკლოვანებებით. ძირითადი და არსებითი ამ მხრივ თვით უარყოფის მეტაფიზიკური გაგებაა. აქედან გამომდინარე ტრადიციულ ლოგიკას არ ესმის დასტურისა და უარყოფის შინაგანი კავშირი და ერთიანობა.

უარყოფა არ შეიძლება იყოს კავშირის ფორმა, ამბობს ზიგვარტი. მსჯელობა კი უსათუოდ წარმოდგენათა კავშირს გულისხმობს. ამიტომ, გამოდის, რომ „უარყოფითი მსჯელობა" შეუძლებელია. ზიგვარტის აზრით უარყოფითი მსჯელობა „მეორადი მსჯე-

ლობაა", იგი უპირისპირდება დადებით სინთეზს და უარყოფს მის ობიექტურ მნიშვნელობას.

მაგრამ უკვე აღნიშნულიდან ჩანს შეუსაბამობა, რასაც ყურადღება მიაქცია თვით ზიგვარტმა, ხოლო შემდეგ სპეციალურად იქნა გამოყენებული დასტურისა და უარყოფის ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციისათვის. ზიგვარტი გაკვრით, თითქოს სხვათა შორის, შენიშნავს, რომ «პირველადი მსჯელობა» (Ursprungliche Urteil) უმჯობესია არ იწოდებოდეს «ჰოყოფით მსჯელობად» (bejahende, утвердительное), რადგან ჰოყოფა ანუ დასტური (die Bejahung) უარყოფის (die Verneinung) საპირისპირო ცნებაა. მსჯელობა თავისთავად, ამ აზრით, არც ჰოყოფითია და არც უარყოფითი. უკეთესია მას ვუწოდოთ «დადებითი მსჯელობა» («Positive»). მაგრამ ზიგვარტი თვითონ არ იცავს ამ მოთხოვნას მკაფიოდ და თანმიმდევრულად. ის ერთმანეთს უპირისპირებს ხან ჰოყოფითსა და უარყოფითს, ხან კი დადებითსა და უარყოფითს. ფაქტიურად მის მოძღვრებაში არაა განსხვავებული ე. წ. ჰოყოფითი (დასტური) და დადებითი მსჯელობა.

ამრიგად, ტრადიციული სიძნელის გადაწყვეტის პირველივე ცდა ახალ სიძნელეს წააწყდა. «უარყოფითი მსჯელობა არის მჯელობა მსჯელობის შესახებ», ამბობს ზიგვარტი. მაგრამ სრულიად ბუნებრივად მიაქციეს ყურადღება იმას, რომ უკვე ამ დებულებაში «მსჯელობა» სხვადასხვა აზრითაა ნახმარი. თუ «თავდაპირველი» მსჯელობა არც ადასტურებს და არც უარყოფს, მაშინ არა მხოლოდ უარყოფაა («არა») «მეოთხე ელემენტი», არამედ დასტურიც («ჰო») თანმხლებ და «დამატებით» მომენტად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ ზიგვარტი არაა მართალი, როცა ოთხ ელემენტს მხოლოდ უარყოფით მსჯელობაში ეძებს: დასტურიც მეოთხე ელემენტია. ასე იქნა გამოყოფილი უარყოფა და დასტური «თავდაპირველი» მსჯელობისაგან. «თავდაპირველად» მოცემულია «პრედიცირება» პრედიკატისა სუბიექტისადმი («პრედიცირება» სრულიად სხვა საქმიანობად ცხადდება, ვიდრე «დასტური და უარყოფა»), მაგრამ მას აქვს მხოლოდ პრობლემატური ფორმა («წარმოდგენათა ჰიპოთეზური კავშირი»), იგი გამოდის ჩვენს წინაშე, როგორც რთგვარი პრობლემა, ერთგვარი კითხვა. შემდეგ კი მოდის პასუხი ამ პრობლემაზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ ვაღიარებთ პრედიცირების «ღირებულებას», ან! «არაღირებულებას», «ნამდვილობას» ან «არანამდვილობას» (Gültigkeit und ungültigkeit, значимость и незначимость).

აი რა აზრს ანვითარებს ჰ. ლოტცე თავის «ლოგიკაში» (1864 წ.): მსჯელობა, მისი აზრით, მიმართებაა სუბიექტსა და პრედიკატს შორის.

ეს მიმართება მოცემულია «თავდაპირველად», დასტურისა და უარყოფის წინ, როგორც ძირითადი მსჯელობა ან მსჯელობის «ბირთვი». რაც შეეხება ამ მიმართების დასტურსა და უარყოფას, ეს «მეორადი» ანუ «თანმხლები» მსჯელობებია («Nebenurteile», «Побочные суждения»). რა ფუნქციას ასრულებენ ისინი? მათი საშუალებით წყდება «ნამდვილია» თუ «არანამდვილი» (значимость и незначимость) სუბიექტისადმი პრედიკატის მიმართება.

ეს პრობლემა სპეციალური მსჯელობისა და კამათის საგნად იქცა გასული საუკუნის 70-იან წლებიდან. ის, რაც ზემოთ იყო გარჩეული, როგორც „პირველადი" და „მეორადი" (ზიგვარტი) ან „ძირითადი" („ბირთვი") და „თანმხლები" (ლოტცე) მსჯელობები, თანდათან და ცხადად გამოეყო და დაუპირისპირდა ერთმანეთს, როგორც „თეორიული" და „პრაქტიკული" მსჯელობები ან მსჯელობის თეორიული და პრაქტიკული „მხარეები". ამ მხრივ აღსანიშნავია ბერგმანისა და ვინდელბანდის თვალსაზრისი. ვინდელბანდი, როგორც ცნობილია, გზას უხსნის „ღირებულების ფილოსოფიას", ხოლო თვითონ ბევრის მხრით ემყარება ფ. ბრენტანოს დებულებებს. ამიტომ საინტერესოა ბრენტანოს თვალსაზრისი დასტურისა და უარყოფის შესახებ. ბრენტანოს თვალსაზრისი საინტერესოა იმ მხრივაც, თუ როგორ დაუკავშირდა დასტურისა და უარყოფის ლოგიკური კატეგორიები მოწონება-არმოწონების მოვლენებს და მათი სრულიად გაუმართლებელი აღრევის შედეგად როგორ იქნა გართულებული და დაბნეული პრობლემის გადაწყვეტა.

ფ. ბრენტანო (მისი შრომა «Psychologie vom empirischem Standpunkte» გამოვიდა 1874 წ.) აკრიტიკებს ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიას და თვლის, რომ მსჯელობა არ დაიყვანება წარმოდგენათა ასოციაციაზე. რასაკვირველია, მსჯელობა გულისხმობს წარმოდგენას ან წარმოდგენათა შეერთებას, ამბობს ის, მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი არსება და სპეციფიკა. მსჯელობაში წარმოდგენას და მათ კავშირს ემატება (ან «თან ახლავს») რწმენა (იუმისებური გაგებით) მისი ჭეშმარიტების ან მცდარობისა. რწმენა (уверенность, убежденность) ახალი რამაა, ფსიქოლოგიურად სულ სხვა ბუნებისაა, ვიდრე თვით წარმოდგენა, ან წარმოდგენათა კავშირი. წარმოდგენა და მათი შეერთება სულის სულ სხვა სფეროს ეკუთვნის, ვიდრე აღნიშნული რწმენა. ეს რწმენა გამოიხატება არა თვითონ წარმოდგენაში ან მათ კავშირში, არამედ წარმოდგენათა კავშირის მოწონება-არმოწონებაში. ერთის მხრით, წარმოდგენა და მათი კავშირი, მეორეს მხრით, მოწო-

ნება და არმოწონება, აი რა მხარეებს ანსხვავებს ბრენტანო მსჯელობაში.

პირველს სულის «თეორიულ» სფეროს აკუთვნებენ, მეორეს კი «პრაქტიკულს». თუ ამ ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, გამოდის, რომ მსჯელობაში ორი მხარე («ორი ფუნქცია») მონაწილეობს: თეორიული (წარმოდგენა ან წარმოდგენათა კავშირი) და პრაქტიკული (მოწონება-არმოწონება). მსჯელობა სულის არა მხოლოდ თეორიული საქმიანობაა (Thätigkeit), არამედ პრაქტიკულიც, ე. ი. ისეთი, რომელშიც წარმოდგენის გარდა მონაწილეობს გრძნობა და ნებელობა.

სწორედ ამ აზრს ანკითარებს ი. ბერგმანი[13] (მისი «Reine Logik» გამოვიდა 1879 წ.), ხოლო უფრო გარკვევით და თანმიმდევრულად — ვინდელბანდი.

ვ. ვინდელბანდი იყენებს და აერთიანებს ორ წყაროს: ზიგვარტიდან მომდინარე, ძირითადში, ლოგიკურ მოსაზრებებს და ფ. ბრენტანოდან მომდინარე, ძირითადში, ფსიქოლოგიურ მოსაზრებებს[14]. ვინდელბანდი ფილოსოფიას განიხილავს, როგორც შემეცნების განსაკუთრებულ ფორმას, ფილოსოფია მისი განსაზღვრით არის მეცნიერება აუცილებელ და საყოველთაო «შეფასებათა» შესახებ. ამასთან დაკავშირებით ის ანსხვავებს «წინადადებათა ორ კლასს»: მსჯელობას (Urteil) და შეფასებას (Beurteilung).

მსჯელობა გამოხატავს კავშირს ცნობიერების ორ შინაარსს შორის, შეფასება კი შემფასებელი ცნობიერების მიმართებას წარმოდგენილი შინაარსისადმი.

პირველის მაგალითია: „ეს საგანი თეთრია“.

---

[13] «ყოველი მსჯელობა ... შეიცავს, ჯერ ერთი, რაიმე წარმოდგენას, ე. ი. საგნის დადგენას, მეორე—პრედიცირებას, ე. ი. რაიმე გარკვეულობის მიმართებას წარმოდგენილი საგნისადმი, რითაც მას დამატებითი გარკვეულობის მნიშვნელობა ეძლევა, მესამე, კრიტიკულ დამოკიდებულებას ამ პრედიცირებისადმი, განაჩენს მისი ღირებულების (Geltung) შესახებ. ჰოყოფითი მსჯელობა იწონებს მასში შემავალ პრედიცირებას, უარყოფითი კი არ იწონებს; პირველი ადასტურებს პრედიცირებას, ანუ მნიშვნელადად (gültig) თვლის მას, მეორე კი უკუაგდებს, ანუ არამნიშვნელადად, ანუ არასწორად თვლის მას» (J. B e r g m a n n, Die Grundprobleme der Logik. 1895. S. 78-79).

[14] «Это понимание вопроса у Брентано, исходящее из совершенно иной, именно чисто психологической точки зрения, столь же ясно и убедительно, как и логическое исследование вопроса у Бергмана и оба сводятся к одному: к обнаружению в «суждении», наряду с функцией представления и соединения представлений, функции оценки (одобрительной или неодобрительной)» (В. В и н д е л ь б а н д, Прелюдии, 1904, с. 356).

მეორის მაგალითია: „ეს საგანი კარგია“.
პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მსჯელობის პრედიკატთან, რომელიც თვით წარმოდგენის ობიექტის შინაარსს ეკუთვნის, მეორე შემთხვევაში — შეფასების პრედიკატთან, რომელიც გამოხატავს არა თვით ობიექტის თვისებას, არამედ შემფასებელი ცნობიერების მიმართებას (დამოკიდებულებას) ობიექტისადმი. პირველში მოიაზრება ერთი წარმოდგენის (სუბიექტი) მიმართება მეორესთან (პრედიკატი), მეორეში კი საგანი (სუბიექტი) უკვე წარმოდგენილია (ანუ შემეცნებულია) სავსებით, შეფასება მას უმატებს მხოლოდ შეფასების პრედიკატს, რომელიც სრულებით არ აფართოებს ჩვენს შემეცნებას, ჩვენს ცოდნას საგნის შესახებ, არამედ გამოხატავს მხოლოდ მის მოწონებას ან არმოწონებას. მსჯელობის პრედიკატები დადებითი წარმოდგენებია, შეფასების პრედიკატები კი გამოხატავენ სიმპატია-ანტიპატიის გრძნობებს. შეფასების ერთ-ერთი სახეა ლოგიკური შეფასება, რომლითაც დგინდება, ჭეშმარიტია თუ მცდარი წარმოდგენის შინაარსი.

როგორც ვხედავთ, ვინდელბანდი მკვეთრად ანსხვავებს ერთმანეთისაგან მსჯელობას და შეფასებას. მაგრამ იმავე დროს მიუთითებს, რომ როგორც ჩვეულებრივი, ისე მეცნიერული აზროვნების დროს ჩვენ მუდამ განუყრელად ვუკავშირებთ მათ ერთმანეთს. მსჯელობებს ყოველთვის მიეწერება ან არ მიეწერება რაიმე ღირებულება (Ценность). ეს ნიშნავს: მათ ყოველთვის ახასიათებთ ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი, ყოველთვის დასტურდებიან ან უარიყოფიან. ყველა ჩვენი მსჯელობა იმთავითვე ექვემდებარება შეფასებას, რომელიც ადგენს, რადენად უფლებამოსილია მსჯელობაში შესრულებული გაერთიანება წარმოდგენებისა. «წმინდა თეორიული მსჯელობა არსებითად მოცემულია მხოლოდ ე. წ. პრობლემატურ მსჯელობაში, რომელშიც სრულდება წარმოდგენათა გარკვეული შეერთება, მაგრამ არ გამოითქმება მისი ჭეშმარიტების არავითარი შეფასება»[15].

რამდენადაც მსჯელობაში გამოდის დასტური და უარყოფა, იგი თეორიული ფუნქციის გვერდით შეიცავს შეფასების ფუნქციასაც, ამბობს ვინდელბანდი. «ჩვენ არ ვსარგებლობთ განსაკუთრებული გრამატიკული ფორმით, რათა გამოვხატოთ ეს, მსჯელობის თანმხლები შეფასება, თუ მსჯელობა დადებითია, რამდენადაც გამოთქმული მსჯელობის მისწრაფება ჭეშმარიტობისადმი თავისთავად

---

[15] В. Виндельбанд. Прелюдии, с. 25.

იგულისხმება. პირიქით, მსჯელობის არმოწონება გამოიხატება უარყოფით. ყოველი ე. წ. დადებითი დებულება (Behauptung) A არის B, შეიცავს, მაშასადამე, აზრს: მსჯელობა, რომელიც მოცემული ფორმით აერთიანებს A და B წარმოდგენებს, უნდა ჩაითვალოს ჭეშმარიტად და ყოველი უარყოფითი დებულება: A არ არის B, შეიცავს აზრს, რომ ზემოთ მოყვანილი მსჯელობა A და B-ს კავშირის შესახებ, რომელიც ადრე გამოითქვა, ან რომელიც შეიძლება გამოთქმულ იქნეს, უნდა ჩაითვალოს მცდარად. ამგვარად, შემეცნების ყველა წინადადება (Satz) უკვე შეიცავს მსჯელობის კომბინაციას შეფასებასთან: ისინი არიან წარმოდგენათა შეერთება, რომელთა ჭეშმარიტების შეფასება წყდება დასტურში ან უარყოფაში»[16].

ვინდელბანდის პოზიცია ხელოვნური და მიუღებელია. კრიტიკის მიზნით ჩვენ აქ გამოვყოფთ ორ მომენტს.

1. ვინდელბანდს არა აქვს ერთმნიშვნელოვანი, ზუსტი პასუხი თვით კითხვაზე: რა არის მსჯელობა, რა იგულისხმება ამ ცნების ქვეშ? მაგ., „ვარდი არის ყვავილი“: მსჯელობაა თუ შეფასება? ვინდელბანდისათვის ეს არც მსჯელობაა და არც შეფასება ცალ-ცალკე, არამედ — მათი „კომბინაცია“[17], ამბობს ის, მაგრამ, ამავე დროს, ამტკიცებს, რომ „წმინდა თეორიული მსჯელობა“ არის მხოლოდ ე. წ. პრობლემატური მსჯელობა, რომელშიც წარმოდგენათა გარკვეული შეერთება გვაქვს დასტურისა და უარყოფის გარეშე. უკვე აქ ჩანს შეუსაბამობა. თუ მსჯელობა წარმოდგენათა წმინდა თეორიული შეერთებაა, მაშინ გაუმართლებელია გამოთქმა: „თეორიული მსჯელობა“, გამოდის, რომ თეორიული მსჯელობის გარდა შესაძლებელია სხვა სახის მსჯელობა, სახელდობრ, „პრაქტიკული მსჯელობა“, მაგრამ „პრაქტიკული მსჯელობა“ იგივე შეფასებაა. ვინდელბანდი კი თავიდანვე „მკვეთრად“ ანსხვავებდა მათ ერთმანეთისაგან: შეფასება არაა მსჯელობა. მსჯელობისა და შეფასების მკვეთრი განსხვავების შემდეგ ვინდელბანდი იწყებს ლაპარაკს იმის შესახებ, რომ მსჯელობაში (?!) თეორიული ფუნქციის გვერდით, თეორიულ ფუნქციასთან ერთად ხორციელდება აგრეთვე შეფასების პრაქტიკული ფუნქცია[18]. გამოდის, რომ თეორიული

---

[16] В. Виндельбанд, Прелюдии, с. 26.

[17] იქვე, გვ. 25.

[18] «Необходимо признать, что логическая оценка представлений, совершающихся в суждении, должна быть отнесена к практической стороне психической жизни» (с. 357).

და პრაქტიკული ფუნქცია ერთი და იგივეს ორი მხარეა. რა არის ეს „ერთიდაიგივე“, რომელსაც ორი, თეორიული და პრაქტიკული მხარე ჰქონია? ეს არ შეიძლება იყოს თვით მსჯელობა, რადგან მსჯელობა მისი ერთი მხარეა, არც შეფასება, რადგან შეფასებაც მხოლოდ მხარეა.

შრომაში «რა არის ფილოსოფია» (1884 წ.) ვინდელბანდი წერს, რომ შემეცნების ყველა წინადადება (Satz) შეიცავს მსჯელობისა და შეფასების კომბინაციას. მაშასადამე, «წინადადებაა» მათი გამაერთიანებელი, მსჯელობა და შეფასება წინადადების მხარეებია. მეორე ნაშრომში «მოძღვრებისათვის უარყოფითი მსჯელობის შესახებ» (1884 წ.) ვინდელბანდი ლაპარაკობს უკვე თეორიული და პრაქტიკული მსჯელობის შესახებ: შეფასება პრაქტიკული მსჯელობაა, შეფასება არის არა თეორიული მსჯელობა, ანუ წარმოდგენათა კავშირი, არამედ მსჯელობა მსჯელობის შესახებ, მსჯელობის შეფასება. ეთანხმება რა ბერგმანს, აღნიშნულ შრომაში ვინდელბანდი აატკიცებს, რომ მსჯელობა შეიცავს არა მხოლოდ თეორიულ ფუნქციას (ანუ წარმოდგენათა შეერთებას), არამედ პრაქტიკულ ფუნქციასაც (მოწონება-არმოწონება, დასტური ან უარყოფა).

შეფასება მსჯელობა კი არ არის, არამედ მსჯელობაა მსჯელობის შესახებ, აი მოკლედ ვინდელბანდის პოზიცია. აქედან ჩანს, რომ თვით „მსჯელობის“ ცნებას აკლია ერთმნიშვნელოვანი, ნათელი და გარკვეული განსაზღვრება. ერთის მხრით, ვინდელბანდი მიჯნავს მსჯელობასა და შეფასებას: მსჯელობას უწოდებს „წარმოდგენათა წმინდა თეორიულ შეერთებას“, მეორეს მხრით კი ამტკიცებს, რომ ყოველი მსჯელობა ორ მხარეს, თეორიულ და პრაქტიკულ მხარეებს შეიცავს, ორ ფუნქციას, თეორიულ და პრაქტიკულ ფუნქციას ანხორციელებს. ერთის მხრით, ამბობს, რომ შეფასება არაა მსჯელობა, მეორეს მხრით, კი გვარწმუნებს, რომ შეფასება არის პრაქტიკული მსჯელობა, მსჯელობა მსჯელობის შესახებ. მავრამ რა აზრი აქვს „მსჯელობის“ ცნებას „პრაქტიკული მსჯელობის“ შემთხვევაში?

2. ვინდელბანდის აზრით, ყოველ მსჯელობაში მოცემულია წარმოდგენათა შეერთება (Vorstellungsverbindung) და მისი შეფასება. შეფასება გამოიხატება წარმოდგენათა კავშირის მოწონებაში ან არმოწონებაში. იგი ლოგიკაში სხვა თვალსაზრისით ხდება, ვიდრე ეთიკაში (ნებელობის თვალსაზრისით) და ესთეტიკაში (გრძნობის თვალსაზრისით). ლოგიკაში შეფასება ხდება ჭეშმარიტება-მცდარობის თვალ-

საზრისით, წარმოდგენათა კავშირის მოწონება ნიშნავს, რომ იგი «ჭეშმარიტია», არმოწონება — იგი «მცდარია». ჭეშმარიტება - მცდარობა სხვა არაფერია, თუ არა შეფასების პრედიკატები, რომლებიც გამოითქმებიან წარმოდგენათა კავშირის შესახებ. დავანებოთ თავი იმის განხილვას, რამდენად ყალბია ჭეშმარიტება-მცდარობის ეს გაგება. ჩვენ აქ ყურადღებას მივაქცევთ სხვა მომენტს. მოწონება და არმოწონება, რომლებიც ჭეშმარიტებას ან მცდარობას ადგენენ, თავის მხრით გამოიხატებიან დასტურისა და უარყოფის საშუალებით. დასტურისა და უარყოფის ცნებებს წმინდა სუბიექტივისტურ-ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაცია ეძლევა:

დასტური ნიშნავს: „ვიწონებ", „ჭეშმარიტია".

უარყოფა ნიშნავს: „არვიწონებ", „მცდარია".

მოწონება-არმოწონებისა და დასტურის ან უარყოფის ფაქტები ვინდელბანდის აღმოჩენა არაა, ისინი ოდითგანვე ცნობილია. ახალია იმის მტკიცება, რომ დასტური და უარყოფა არის მოწონება და არმოწონება! ეს დებულება ვინდელბანდის მსჯელობის თეორიის ქვაკუთხედია. თუ მივიღეთ იგი, ახლებურად დგება რიგი საკვანძო პრობლემებისა ლოგიკაში და არ მხოლოდ ლოგიკაში. ამ დებულებამ უდიდესი როლი ითამაშა „ღირებულების ფილოსოფიის" განვითარებაში.

ბუნებრივია, მოვითხოვოთ მისი დასაბუთება. მაგრამ პარადოქსალური ფაქტია, რომ ვინდელბანდს იგი უშუალოდ და უკრიტიკოდ აქვს მიღებული, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე; დასტური არის წარმოდგენათა თეორიული შინაარსის მოწონება, უარყოფა არის მისი არმოწონება, ასეთია ძირითადი დებულება, რომელსაც ვინდელბანდი აყენებს როგორც განცხადებას, ყოველგვარი სპეციალური საბუთის გარეშე. დასამტკიცებელი კი პირველ რიგში სწორედ ეს დებულებაა! ამის გარეშე მთელი შემდგომი დასკვნები მსჯელობის ბუნების შესახებ ჰაერში გამოკიდებული რჩება. და ეს მართლაც ასეა ვინდელბანდთან: ამ დებულების დასაბუთება შეუძლებელია, მისი სასარგებლო საბუთი არ არსებობს. იგი ორი სრულიად სხვადასხვა მოვლენის თვითნებური აღრევის შედეგად შეკოწიწებული დებულებაა. ეს მოვლენებია, ერთის მხრით, მოწონება-არმოწონება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ლოგიკასთან, მეორეს მხრით, — ლოგიკური დასტური და უარყოფა.

უარყოფითი მსჯელობის გაგება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა გაგებული უარყოფის კატეგორია საერთოდ. ზიგვარტის მაგალითზე ჩვენ ვნახეთ, თუ რას ნიშნავს მისი იდეალისტური და მეტაფიზიკური გაგება: უარყოფას საგნობრივ ვითარებაში ადგილი არა აქვს, მას საერთოდ არც რაიმე რეალური ძალა გააჩნია, დადებითი არ მოითხოვს უარყოფითს, რადგან დადებითი არის აბსოლუტურად დადებითი, უარყოფითი — აბსოლუტურად უარყოფითი.

ზიგვარტი იმოწმებს ტრენდელენბურგს და უარყოფის დიალექტიკურ გაგებას ჰეგელიანურ სიყალბედ თვლის. უარყოფა განსაკუთრებულ როლს თამაშობს ჰეგელის ლოგიკაში, ამბობდა ტრენდელენბურგი. სწორედ უარყოფის საშუალებით ხორციელდება იდეის საფეხურებრივი წინსვლა, ყოველი მიღწეული ცნება თავისი ბუნებით განსაზღვრულია და ამიტომ თავის უარყოფად იქცევა. ამ აზრით, ყოველი დადებითი განუყრელად არის დაკავშირებული მის უარყოფასთან, ხოლო მათი წინააღმდეგობა იკრება მესამე ცნებით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ისევ ექცევა წინააღმდეგობაში და ა. შ. მთელი ამ პროცესის მამოძრავებელი ზამბარა ჰეგელისათვის ლოგიკური ურყოფაა.

მაგრამ ლოგიკური უარყოფა არ გამოდგება წინსვლისა და შემოქმედების საშუალებად, ამბობს ტრენდელენბურგი. განვითარება ახლის შექმნას გულისხმობს, ლოგიკური უარყოფა კი მხოლოდ სპობს არაფერს, არ ქმნის: ლოგიკურია უარყოფა, როცა ერთი ცნება მხოლოდ უარყოფს მეორეს ისე, რომ მის ადგილზე რაიმე სხვას არ აყენებს. „შეუძლია თუ არა ლოგიკურ უარყოფას განაპირობოს აზრთა ისეთი მსვლელობა, რომ მისგან წარმოსდგეს ახალი ცნება, რომელშიც ურთიერთგამომრიცხავი დასტური და უარყოფა შეერთდებოდა დადებითად? ეს გაუგონარი ამბავია"[19]. დასტური და უარყოფა წინააღმდეგობის ლოგიკურად ურთიერთგამომრიცხავი წევრებია, რომელთა შორის არ არის რაიმე მესამე. მათი გაერთიანება შეუძლებელია. ლოგიკური უარყოფით A-დან ვერაფერს გარკვეულს ვერ მივიღებთ და ვერც A და попA-ს გავაერთიანებთ.

---

[19] Ф. Тренделенбург. Логические исследования, т. 1-2. М., 1868, с. 49.

ლოგიკურ უარყოფას „შეუძლია მხოლოდ მოსპოს და არა აიყვანოს მაღალ საფეხურზე“[20].

ტრენდელენბურგის ეს კრიტიკა ჰეგელის პოზიციას ვერ არყევს, რადგან ჰეგელს თავისებურად ესმის თვით „ლოგიკური უარყოფის“ ცნება. ლოგიკური უარყოფა ნიშნავს რაიმეს მხოლოდ მოსპობას, გარკვეული საწინააღმდეგო მომენტის გარეშე, ამბობს ტრენდელენბურგი. რატომ? განა არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ თვით ამ განსაზღვრებაში? ჰეგელმა სხვა შინაარსი ჩასდო „ლოგიკური უარყოფის“ ცნებაში და ამ სახით გამოიყენა იგი თავის ლოგიკაში.

ზიგვარტიც უარყოფას ჩვენი აზროვნების ფუნქციად თვლის, რომელსაც არაფერი შეესაბამება სინამდვილეში. ზიგვარტს თავისი პოზიცია არა აქვს ზუსტად და ბოლომდე მოფიქრებული. მით უფრო ზედმეტია ვეძიოთ მასთან რეალურის, ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობის შეცნიერული ანალიზი. მაგრამ უარყოფის შესახებ ის გარკვევით ამბობს: „უარყოფის პროცესს არ შეუძლია შექმნას არავითარი ჭეშმარიტება და არ შეუძლია წარმოქმნას რაიმე ისეთი, რასაც არ შეეძლო ეარსებნა მისგან დამოუკიდებლად“[21]. ანდა: „მას არასოდეს არ შეუძლია მიაღწიოს სხვას, იმას, რომ თავის თავში შეიცავდეს ახლა იმაზე მეტს, რაც მოცემული იყო ადრე, რომ ის შინაგანად გამდიდრდეს“[22].

უარყოფის მეტაფიზიკურ გაგებას უპირისპირდება უარყოფის დიალექტიკური თეორია, რომლის თანახმად უარყოფა ზოგად-ფილოსოფიური კატეგორიაა და არა მხოლოდ ფსიქოლოგიური მოვლენა, რომელიც ობიექტისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას აღნიშნავს. უარყოფა ზოგად-ფილოსოფიური კატეგორიაა იმ იზრით, რომ თვით რეალურ საგანთა სამყაროს ეკუთვნის. ამდენად, უარყოფა არ ეტევა არა თუ ფსიქოლოგიის, არამედ ლოგიკის სფეროშიც, იგი მთელი თავისი მნიშვნელობით პირველ ყოვლისა ონტოლოგიის სფეროში მეღავნდება. მარქსიზმი ძირეულად უპირისპირდება თვალსაზრისს, რომლის თანახმად უარყოფას ადგილი არა აქვს რეალურ საგანთა სამყაროში და იგი თითქოს მხოლოდ აზროვნების, ან ფსიქიკურის სფეროში უნდა ვეძიოთ. დიალექტიკური თვალსაზრისით ყოველ საგანსა

---

[20] Ф. Тренделенбург. Логические исследования, с. 57.
[21] Зигварт. Логика, т. 1, с. 169.
[22] იქვე, გვ. 170.

და მოვლენას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე ახასიათებს და მათს ერთიანობას წარმოადგენს. «Тождество противоположностей... есть признание (открытие) противоречивых, взаимоисключающих, противоположных тенденций во всех явлениях и процессах природы»[23], წერს ვ. ი. ლენინი. უარყოფა ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობს და თვით საგნის ობიექტურ «ცხოვრებაში» მონაწილეობს, როგორც მისი არსებითი მომენტი.

ეს როდი ნიშნავს, რომ უარყოფა მხოლოდ ონტოლოგიის კატეგორიაა და აზროვნების სფეროში მას ადგილი არა აქვს. მაშინ აზრს დაკარგავდა საერთოდ ლაპარაკი დადებითი და უარყოფითი მსჯელობის შესახებ. უარყოფა ლოგიკური აზროვნების სფეროში მოქმედებს ლოგიკური უარყოფის ფორმით. ლოგიკური უარყოფა უნდა განვასხვავოთ რეალურ უარყოფისაგან. რეალური უარყოფა ლოგიკური უარყოფისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებობს. რა კავშირია მათ შორის? ლოგიკური უარყოფა განსხვავდება რეალური უარყოფისაგან, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი როდია. ლოგიკური უარყოფა არის რეალური უარყოფის ასახვა. აქედან ჩანს ლოგიკური უარყოფის სუბიექტივისტური გაგების სიყალბეც. იგი საგნობრივი ვითარების ასახვის თავისებური ფორმაა და არა ფსიქიკური აქტი, რომელიც პიროვნების „არმოწონების", „აუშეფუნარების" და ა. შ. განცდებს გამოხატავს. უარყოფა შეიძლება განვიხილოთ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, რომელიც პიროვნების სულიერი ცხოვრების გარკვეულ მდგომარეობას გამოხატავს, მაგრამ უარყოფის მხოლოდ ამ ფაქტზე დაყვანა ფსიქოლოგიზმია და ისევე მიუღებელი, როგორც საერთოდ ლოგიკური კატეგორიების ფსიქოლოგისტური გაგება.

უარყოფის კატეგორია განსაკუთრებულ როლს თამაშობს განვითარების თეორიაში. საკმარისია გავიხსენოთ უარყოფის უარყოფის კანონი, რომელიც დიალექტიკის ერთ-ერთი ძირითადი კანონია. ფ. ენგელსი ანსხვავებს მექანიკურ და დიალექტიკურ უარყოფას. მექანიკური უარყოფა ნიშნავს რაიმეს მოსპობას, დიალექტიკური უარყოფა კი განვითარებას. უარყოფა არის განვითარება, ასეთია დიალექტიკის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომლითაც ის ძირეულად უპირისპირდება უარყოფის ყოველ სხვა გაგებას. დიალექტიკის თანახმად უარყოფა არ უნდა განვიხილოთ ცალმხრივად, როგორც

---

[23]. В И Ленин, Соч. т. 38. с. 357-358.

მხოლოდ უარყოფა, ასე ვთქვათ, წმინდა უარყოფა, რომელიც არავითარ შედეგს არ იძლევა. დიალექტიკის თანახმად უარყოფა მოხსნა-შენახვის პროცესია. «დიალექტიკაში უარყოფა არც უბრალოდ «არას» თქმას ნიშნავს, არც საგნის არარსებულად გამოცხადებას, არც მის ამა თუ იმ რიგად განადგურებას»[24]. ცნობილია, რა დიდ ყურადღებას აქცევს მას ვ. ი. ლენინი «ფილოსოფიურ რვეულებში». უარყოფა რომ მხოლოდ უარყოფა, ასე ვთქვათ, აბსოლუტური უარყოფა იყოს, მაშინ დადებითსა და უარყოფითს შორის კავშირი გაწყდებოდა და, მაშასადამე, არც უარყოფა იქნებოდა შესაძლებელი. უარყოფა თვითონ არის კავშირის ფორმა, ამბობს ვ. ი. ლენინი. «Не голое отрицание, не зряшное отрицание... характерно и существенно в диалектике, — которая, несомненно, содержит в себе элемент отрицания и притом как важнейший свой элемент, — нет, а отрицание, как момент связи, как момент развития с удержанием положительного»[25].

უარყოფა აღმავალი პროცესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რამდენადაც იგი გულისხმობს მოხსნას, შენახვას და ახალ საფეხურზე აყვანას. უარყოფა, მაშასადამე, მემკვიდრეობითი პროცესია და სრულებით არ ნიშნავს უბრალო მექანიკურ „გადაგდებას". უარყოფა ნიშნავს ძველიდან გამოსვლას, მის დაძლევას და გადალახვას. ამავე დროს ეს არის ძველის გადამუშავება, მისი გარდაქმნა, განვითარებით მოპოვებული დადებითი შინაარსის შენარჩუნება, გამოყენება და გაგრძელება. განვითარება დაბლიდან მაღლისაკენ და მარტივიდან რთულისაკენ მიმართული პროცესია, რომლის საფეხურები უარყოფის საშუალებით ერთმანეთში გადადიან. განვითარების მაღალი საფეხური დაბალის უარყოფას წარმოადგენს, მაგრამ ისე, რომ დაბალი თავისებურად გრძელდება მაღალში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა წინსვლა, გართულება, გამდიდრება, საერთოდ აღმავალი, პროგრესული პროცესი[26]. განვითარების მაღალი საფეხური დაბალს უარყოფს ისე, რომ მოხსნის, იქვემდებარებს და ინახავს. უარმყოფელი უარყოფილზე მაღალია, რადგან მის მხრებზე დგას, უარმყოფელი უარყოფილზე მდიდარია, რადგან თავისებურად ინახავს და აგრძე-

---

[24] ფ. ენგელსი, ანტიდიურინგი, 1952, გვ. 168.

[25] В. И. Ленин. Соч., т. 38, с. 218-219.

[26] «მემკვიდრეობის დაცვა სრულიადაც არ ნიშნავს მხოლოდ მემკვიდრეობით დაკმაყოფილებას», წერდა ვ. ი. ლენინი (თხზ. ტ. 2, გვ. 657).

ლებ. მას. უარყოფის ეს წინააღმდეგობრივი შინაარსი დიალექტიკური განვითარების აუცილებელი და არსებითი მხარეა: უარყოფა არის გამდიდრება, უარყოფა არის ამაღლება, უარყოფას წინ მივყევართ.

* * *

მსჯელობა საგნის გარკვევაა. იგი საგნისა და გარკვეულობის ობიექტურ ურთიერთობას ასახავს. საგნისა და გარკვეულობის რთული ობიექტური ურთიერთობა თავის არსებით მომენტად გულისხმობს დიალექტიკურ უარყოფას. უარყოფა საგნის შინაგან ცხოვრებაში მონაწილე არსებითი მომენტია სწორედ იმდენად, რამდენადაც ყოველი გარკვეულობა არის უარყოფა. მარქსიზმის კლასიკოსები დადებითად აფასებდნენ და ხშირად მიმართავდნენ სპინოზას ცნობილ დებულებას: «omnis determinatio est negatio.» ამ ლაკონური ფორმულით სპინოზამ შესანიშნავად გამოხატა საგნის დიალექტიკური თეორიის უმნიშვნელოვანესი ასპექტი.

საგანი არ არსებობს გარკვეულობის გარეშე. ეს კი ნიშნავს: საგანი არ არსებობს უარყოფითი მომენტის გარეშე. უარყოფითი მომენტის გარეშე საგანი, მისი უშუალო ფორმით, უნდა წარმოგვედგინა, როგორც წმინდა დადებითობა, მხოლოდ დადებითობა, შიშველი დადებითობა. მაგრამ ასეთია აბსტრაქტული „ერთიანობა" და არარეალური, ცოცხალი, მოძრავი საგანი. საგანი გარკვეულობათა ერთიანობაა, მაგრამ ეს ერთიანობა „ცარიელი სიღრმე" როდია, რომლის წიაღში არაფრის გარჩევა არ შეიძლება. პირიქით, იგი თავისთავში დასახსრული ერთიანობაა, რომელშიც დასაბამს იღებს და, რომელსაც უბრუნდება გარკვეულობათა მრავალფეროვნება. ამ აზრით, ის არის არა „წმინდა ერთიანობა", არამედ გარკვეულობათა მრავალფეროვნების გამოსავალი და მისავალი პუნქტი, მათი თავისებური „კვანძი". განსხვავება აღწევს საგნობრივ ერთიანობაში, როგორც დადებითის ნეგატიური მომენტი, საგანი თავის თავში განსხვავებულია, ე. ი. თავისში შეიცავს სხვას და, ამდენად, საკუთარი სხვადყოფიერების მომენტს. სხვადყოფიერების ეს მომენტი საგნის უარყოფითი მომენტია, რომელიც, იმავე დროს, თავის სხვაში თვით საგნის გაგრძელებას წარმოადგენს.

სწორედ ასეთია გარკვეულობა. მას ორი მხარე აქვს: გარ-

კვეულობა, ერთის მხრით, საგნის რეალური დადგენაა[27], მეორეს მ.რით, — მისი უარყოფა. ამიტომ საგნის ობიექტური გარკვევის, ე. ი. მის განსხვავებულ გარკვეულობათა განვითარების პროცესი, ერთდროულად ორმაგი პროცესია — პოზიტიური და ნეგატიური, იგი გულისხმობს საგნის ობიექტურ დადგენასაც და უარყოფასაც. აქ შეიძლება მოვიყვანოთ ჰეგელის მაგალითი: „კვირტი ქრება, როცა გაიზრდება ყვავილი, და შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ის უარიყოფა ყვავილით; ზუსტად ასევე, ნაყოფის გამოჩენისას ყვავილი მიიჩნევა მცენარის ყალბ მუნარსად, ხოლო მისი ჭეშმარიტების სახით ყვავილის მაგიერ გამოდის ნაყოფი. ეს ფორმები არა მხოლოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ერთმანეთს აძევებენ, როგორც შეუთავსებელნი. მაგრამ მათი დენადი ბუნება ჰხდის მათ, იმავე დროს, ორგანული ერთიანობის მომენტებად, რომელშიც ისინი არა თუ არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ ერთი ისევე აუცილებელია, როგორც მეორე; და მხოლოდ ეს ერთნაირი აუცილებლობა შეადგენს ცხოვრებას“[28].

გარკვეულობათა მრავალფეროვნება საგნის გაშლას წარმოადგენს. საგანი არსებობს სწორედ თავის განსხვავებულ გარკვეულობათა რიგში, მათი ფორმით, მათი სახით. გარკვეულობათა მრავალფეროვანი შინაარსი სხვა არაფერია, თუ არა, ასე ვთქვათ, საგნის „გამოსვლა თავისი თავიდან“. მაგრამ, იმავე დროს, ეს არის საგნის ნამდვილი შინაგანი ბუნების გამოვლენა და განხორციელება. ერთის მხრით, გარკვეულობა ისაა, რაც არ არის საგანი, მათ შორის ხომ განსხვავებაა, მეორეს მხრით, გარკვეულობაში საგანია სწორედ გამოვლენილი, იგი მისი საკუთარი „გარეთგამოვლენაა“.

დიალექტიკის თეორიის თანახმად საგანი არის გარკვეულობათა თვითმოძრავი სისტემა, რომელიც ჰქმნის და განსაზღვრავს თავის განსხვავებულ მომენტებს ისე, რომ თვითონ „გადის“ მათში. გარკვეულობაში გადასვლით საგანი ანხორციელებს თავის სხვადაყოფიერების მომენტს ანუ, რაც იგივეა, შინაგან უარყოფას განიცდის. მაგრამ უარყოფა, როგორც ითქვა, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც აბსოლუტური მოსპობა და გადაგდება: ამ უარყოფაში მაინც „დგას“ და გრძელდება იგი. საგანი—გარკვეულო-

---

[27] «დადგენა» უნდა გავიგოთ დიალექტიკური თვალსაზრისით, როგორც ობიექტური პროცესი. იგი ობიექტური უარყოფის კორელატური ცნებაა და ისევე საჭირო, როგორც «რეალური უარყოფის» ცნება.

[28] Гегель. Сочинания, т. 4, с. 2.

ბა—საგანი, — ასე შეიძლება ზოგად-აბსტრაქტული ფორმით წარმოვიდგინოთ თვითმოძრავი საგნის ეს მხარე. გარკვეულობებში საგანი თავის თავს როდი კარგავს, პირიქით, თავის თავს ანვითარებს.

ფ. ენგელსს მოჰყავდა მცენარის მაგალითი. ჩასახვიდან ვითარდება მცენარე. მათი კავშირი შინაგანია და ერთიდან მეორეზე გადასვლას წარმოადგენს. ჩანასახიდან მცენარის განვითარება ჩანასახის უარყოფაა. ჩანასახი მთელი თავისი არსებით თვითონ ექცევა ზრდა-განვითარების პროცესში. როცა მცენარე წარმოიშობა, ჩანასახი არ არის, „მის ნაცვლად მისგან წარმოშობილი მცენარე გაჩნდება“[29]. მაგრამ ეს არის არა უშედეგო უარყოფა, არამედ განვითარება. ამ უარყოფის ნამდვილი შედეგი თვითონ მცენარეა, რომელიც სწორედ ჩანასახიდან განვითარდა და „სხვა სახით“ განაგრძობს მას. ჩანასახიდან მცენარის განვითარება ჩანასახის უარყოფაა, მაგრამ არ შეიძლება მხედველობაში მივიღოთ მხოლოდ ნეგატიური მხარე ამ პროცესისა და არ დავინახოთ მისი პოზიტიური მხარეც. ასევე პირიქით. საგნის დადებითი განხორციელება არის, იმავე დროს, ნეგატიური პროცესი, მიმართული მისი არსებობის ძველი ფორმების წინააღმდეგ.

გარკვეულობა, ასე ვთქვათ, საგნიდან გამოიყოფა და მისი გაგრძელებაა. ამ აზრით, ის არის საგნის რეალური დადგენა. საგანი ობიექტურად დგინდება თავის განსხვავებულ გარკვეულობებში. ყოველი გარკვეულობა საგნის თავისებური „განხორციელებაა“. მაგრამ ყოველი ასეთი გარკვეულობა და დადგენა, იმავე დროს, მისთვის თავისებური „საზღვრის დადებაა“.

ჰეგელმა პირველმა მიაქცია ყურადღება გარკვეულობის დიალექტიკური გაგების უმნიშვნელოვანეს მომენტებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თვისობრივი გარკვეულობის ცნება. თუ მოვაცილებთ მისტიკურ ფონსა და შინაარსს, ჰეგელის მოძღვრების ზოგიერთი ძირითადი მომენტი ამ საკითხში ასეთია. თვისობრივი გარკვეულობა შინაგანი წინააღმდეგობით ხასიათდება. ერთის მხრით, ჩვენს წინაშეა გარკვეული რეალობა, მეორეს მხრით, იგი თავის თავში უარყოფის მომენტს შეიცავს. უარყოფა, რომელსაც თავის შინაგან მომენტად შეიცავს თვისობრიობა, არის არსის სხვადაყოფიერების მომენტი. ამ მხრივ თვისობრიობა გამოდის, როგორც არსი სხვისათვის. ამ დენად, თვისობრივი გარკვეულობა, ერთის მხრით, მიუთითებს არსზე

---

[29] ფ. ენგელსი, ანტიდიურინგი, გვ. 161.

თავისთავად (Sein an sich), მეორეს მხრით, არსზე, სხვისთვის (Sein für Anderes). «ყოველი გარკვეულობის საფუძველი არის უარყოფა («omnis determinatio est negatio» როგორც ამბობს სპინოზა). აზრსმოკლებული შეხედულება გარკვეულ საგნებს არასწორად განიხილავს როგორც მხოლოდ დადებითებს და აფიქსირებს მათ არსის ფორმით»[30]. მაგრამ არსი აღებული თავისთავად, როგორც მხოლოდ არსი, აბსტრაქტული და უშინაარსო ფრაზაა. ნამდვილად მას ახასიათებს გარკვეულობა, რომელიც, დადგენილი როგორც უარყოფა, არის საზღვარი, კიდე (предел). «სხვადაყოფიერება არის ამიტომ არა რაღაც გულგრილი მუნარსისადმი, რომელიც მის გარეშე იმყოფება, არამედ მისი საკუთარი მომენტი. რ ა ი მ ე, თავისი თვისობრიობის მეოხებით, ჯერ ერთი, დაბოლოებულია და, მეორეც, ცვალებადი, რამდენადაც დაბოლოებულობა და ცვალებადობა ეკუთვნის მის არსს»[31]. რ ა ი მ ე ს უარყოფითი მომენტი არის მისი საზღვარი, თვისობრივი საზღვარი, «მხოლოდ თავის საზღვარში და თავისი საზღვრის მეოხებით რაიმე არის ის, რაც ის არის. არ შეიძლება, მაშასადამე, საზღვარი განვიხილოთ, როგორც მხოლოდ გარეგანი მუნარსისათვის, ის, პირიქით, მსჭვალავს მთელ მუნარსს (Dasein)»[32]. თუ ჩვენ საზღვრის ცნებას სათანადო მეცნიერული თვალით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ის წინააღმდეგობის შემცველი, დიალექტიკური ცნებაა, ამბობს ჰეგელი: «საზღვარი შეადგენს, ერთის მხრით, სწორედ მუნარსის რეალობას, ხოლო, მეორეს მხრით, ის არის მისი უარყოფა. მაგრამ, შემდეგ, საზღვარი, როგორც რაიმეს უარყოფა, არის არა აბსტრაქტული არარსი საერთოდ, არამედ არსითი არარსი ანუ ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ რაღაც სხვას. აზრი რაიმეს შესახებ იწვევს აზრს სხვის შესახებ. და ჩვენ ვიცით, რომ არსებობს არა მხოლოდ რაიმე, არამედ აგრეთვე სხვაც. მაგრამ სხვა არ არის ის, რასაც მხოლოდ ჩ ვ ე ნ ვპოულობთ, ასე რომ რაიმე შეიძლებოდა მოაზრებულიყო აგრეთვე მის გარეშეც, არამედ რაიმე თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ არის სხვა თავისი თავისა და სხვაში მისთვის ობიექტური ხდება თავისივე საზღვარი»[33].

თვისობრივი გარკვეულობა არსის თავისებური დაბოლოებაა. დაბოლოების არსება სწორედ ისაა, რომ ის, როგორც რაიმე, გულგრილად კი არ ეესაზღვრება სხვას, არამედ არის თავისთავად თა-

---

[30] Г е г е л ь. Сочинения, т. 1, с. 158.
[31] იქვე, გვ. 158-159.
[32] იქვე, გვ. 159.
[33] იქვე.

ვისი თავის სხვა და, მაშასადამე, იცვლება. „ცვალებადობაში მყლავნდება შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც მუნარეს ტანჯავს თავიდანვე და რომელიც აიძულებს მას გავიდეს თავისი საზღვრებიდან. წარმოდგენას მუნარესი დასაწყისში უბრალოდ დადებითად ეჩვენება და ამასთან ერთად მშვიდად მყოფად თავისი საზღვრის შიგნით"[34]. ნამდვილად კი ყოველი დაბოლოებული ცვალებადია და ეს ცვალებადობა რაღაც გარეგან ფაქტორს კი არ ემყარება, არამედ თვით დაბოლოებულის არსებიდან გამომდინარეობს. „ცოცხალი კვდება, და კვდება უბრალოდ იმიტომ, რომ ის, როგორც ასეთი, თავის თავში ატარებს სიკვდილის ჩანასახს"[35].

III

ლოგიკაში დასტურისა და უარყოფის პრობლემა სხვანაირად ისმის, ვიდრე ფსიქოლოგიაში. აქაც ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის სათანადო გამიჯვნა პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა. მსჯელობას ფსიქოლოგია სულ სხვა კუთხით განიხილავს, ვიდრე ლოგიკა. იგივე ითქმის მსჯელობის შინაგანი მომენტებია — დასტურისა და უარყოფის შესახებ. ფსიქოლოგიას დასტური და უარყოფა აინტერესებს, როგორც სუბიექტის სულიერი ცხოვრების მოვლენები, როგორც ფსიქიკური აქტები. დასტური და უარყოფა ამ მხრივ ფსიქიკური განცდებია, რომლებიც ცნობიერების, როგორც ფსიქიკური ფენომენის, გარკვეულ მდგომარეობას გამოხატავენ, მსგავსად განცდებისა, მაგ., ეჭვი, დარწმუნება, თანხმობა და ა. შ. დასტურისა და უარყოფის ფსიქოლოგიური დახასიათება გამოიხატება ისეთი ნიშნებით, როგორიცაა ფსიქიკური სუბიექტის მიერ რაიმეს შეწყნარება — არშეწყნარება, აღიარება — არაღიარება, თანხმობა — არათანხმობა და ა. შ.

მაგრამ დასტურისა და უარყოფის ამ ნიშნებზე დაყენანა ფსიქოლოგისტური სიყალბეა. დასტური და უარყოფა ლოგიკას აინტერესებს მათს შემეცნებითი მიმართებაში ობიექტურ საგანთან. ისინი მისთვის პიროვნების განცდით მდგომარეობას კ არ გამოხატავენ, არამედ საგანთა ობიექტურ ვითარებას. დასტურითა და უარყოფით ლოგიკა პიროვნებას კი არ ახასიათებს, არამედ საგნობრივ

---

[34] Гегель. Сочинения, т. 1, гл. 160.

[35] იქვე.

ვითარებას. „რა არის საგანი?“ — ასეთია კითხვა, რომლის გადაწყვეტას ემსახურებიან ისინი.

როგორც ცნობილია, ამ აზრს იცავდა ჯერ კიდევ არისტოტელე, რომელიც დასტურისა და უარყოფის გაგებაში არ ღალატობდა ლოგიკის თვალსაზრისს. მისთვის უცხოა ამ კატეგორიათა ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაცია:

«Утверждение есть суждение, приписывающее что-либо чему-либо».

Отрицание есть суждение отнимающее что-либо от чего либо»[36].

დიალექტიკური ლოგიკის თანახმად დასტური და უარყოფა საგანთა ობიექტური ვითარების ამსახველი ლოგიკური ფორმებია. ლოგიკაში მათი შემოღებანა ერთადერთ მეცნიერულ გამართლებას იმაში პოულობს, რომ ისინი საგნის გარკვევას ემსახურებიან. დასტური და უარყოფა მსჯელობის აუცილებელი შინაგანი მომენტებია, რომელთა საშუალებით ობიექტურად გარკვეული საგანი ირკვევა ჩვენთვისაც. ამაშია მათი ობიექტური შინაარსი და მნიშვნელობა. ობიექტური შინაარსისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით დასტური და უარყოფა სრულუფლებიანი და თანასწორუფლებიანი ფორმებია. ამ მხრივ ორივეს საკუთარი საფუძველი გააჩნია და მათი ერთმანეთისადმი დაპირისპირება, რომლის მაგალითი ზემოთ იყო მოტანილი, სრულიად გაუმართლებელია.

დასტურისა და უარყოფის უშუალო ობიექტური წანამძღვარია იგივეობა და განსხვავება. ის, რაც საგანთა სამყაროში ობიექტურად არსებობს იგივეობისა და განსხვავების სახით, თავის ლოგიკურ ასახვას პოულობს დასტურისა და უარყოფის ფორმით. დასტური ობიექტური იგივეობის ლოგიკური ფორმაა, უარყოფა კი ობიექტური განსხვავების ლოგიკური ფორმა. უკვე იყო აღნიშნული, რომ დასტური და უარყოფა საგნისა და გარკვეულობის რთული ობიექტური ურთიერთობის ლოგიკური ასახვის ფორმებია. აქ ეს დებულება უფრო კონკრეტულ სახეს იღებს: დასტური და უარყოფა ასახავს საგნისა და გარკვეულობის ობიექტურ იგივეობასა და განსხვავებას.

უარყოფითი მსჯელობის ობიექტური საფუძვლის უარყოფა სუბიექტივიზმი და ფსიქოლოგიზმია, რომლის მაგალითს, როგორც

---

[36] Аристотель, об истолковании, 17 а.

ზემოთ ვნახეთ, ზიგვარტის შეხედულება წარმოადგენს. მისი მტკიცებით უარყოფითი მსჯელობის საჭიროება ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა მეხსიერებისა და ასოციაციის ბახაზე აღმოცენებული რაიმე მოლოდინი არ მართლდება გრძნობადობის უშუალო სინამდვილეში: „არ ეხედავთ რა იმას, რასაც მოველოდით, ჩვენ ვაცნობიერებთ განსხვავებას უბრალოდ წარმოდგენილსა და ნამდვილს შორის; ის, რაშიც ჩვენ უშუალოდ დარწმუნებული ვართ, იმასთან შედარებით რაღაც სხვაა, რაზეც ჩვენ წინასწარ ვმსჯელობდით. და ახლა გამოდის უარყოფა, რომელიც სპობს ვარაუდს და უარს ეუბნება მას მნიშვნელობაზე“[37].

უარყოფითი მსჯელობის ობიექტურ საფუძველს არ სცნობს თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ცნობილი წარმომადგენელი ბ. რასელი. უარყოფითი მსჯელობის პრობლემა მჭიდრო კავშირშია ე. წ. უარყოფითი ფაქტის პრობლემასთან, წერს ის, „რა აზრით, თუ კი აქ საერთოდ არის რაიმე აზრი, არსებობენ უარყოფითი ფაქტები, რომლებიც შეესაბამებიან სიტყვა „არა“-ს შემცველ ჭეშმარიტ წინადადებებს?[38] წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც მხოლოდ ადასტურებს, მხოლოდ დადებით მსჯელობებს მიმართავს და სიტყვა „არა“-ს არ ხმარობს, „შეეძლო თუ არა ამ ადამიანს ცოდნოდა ბუნების მთელი წყობა? მას შეეძლო, მაგ., ცოდნოდა, რომ ბაია ყვითელი ფერისაა, მაგრამ არ ეცოდინებოდა, რომ ის არაცისფერია“[39]. ბაიას სიყვითლე ისეთი ფაქტია, რომელიც სამყაროს წყობაში შედის მაშინაც, თუ არ იქნება გამოთქმული არავითარი მსჯელობა, მაგრამ ბაიას არაცისფერობა მსჯელობის გარეშე არ არსებობს, ამტკიცებს რასელი.

რასელი პირველ რიგში იხილავს აღქმის საფუძველზე წარმოშობილ უარყოფით მსჯელობებს, მაგ., ვიღებ ხელში შაქარს და ვფიქრობ, რომ მარილია, მაგრამ როცა გავსინჯავ, ვიტყვი: „ეს არაა მარილი“. „აღქმას მხოლოდ მაშინ მივყევართ უარყოფით მსჯელობამდე, როცა მისი შესაბამისი დადებითი მსჯელობა უკვე იყო გამოთქმული ან უკიდურეს შემთხვევაში გაცნობიერებული“[40]. მაგრამ როცა მე ვხედავ, რომ ბაია ყვითელია, სრულებით არ მჭირდება ვამტკიცო, რომ ის არაცისფერი ან არაწითელია.

---

[37] Зигварт. Логика, т. 1, с. 446.

[38] Рассел. Человеческое познание, с. 155.

[39] იქვე, გვ. 155-156.

[40] იქვე, გვ. 156.

უარყოფითი მსჯელობა არსებობს, მეტიც, არსებობს ჭეშმარიტი უარყოფითი მსჯელობა, ამბობს რასელი. საკითხი ისმის იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მას უარყოფითი ფაქტი? რასელის პასუხი ასეთია: „უარყოფითი მსჯელობის ჭეშმარიტება შეიძლება განისაზღვროს უარყოფითი ფაქტების არსებობის დაშვების გარეშე"[41]. რატომ არის ეს შესაძლებელი? აღქმის უარყოფითი მსჯელობები შემდეგ ვითარებაში წარმოიშობიან: ვეძებ ცისფერს და ვხედავ წითელს, ველი მარილის გემოს და ვჭამ შაქრის გემოს და ა. შ. „აქ ყველაფერი დადებითია: „ცისფერის იდეა, წითელის შეგრძნება, მათი განსხვავების განცდა"[42], აცხადებს რასელი. როცა ვამბობ: „ეს არაა ცისფერი" — სუბიექტის მხრით ეს არის დადებითი მსჯელობის („ეს ცისფერია") უარყოფა, მაგრამ ობიექტის მხრით მას არ შეესაბამება არავითარი „უარყოფითი ფაქტი", ობიექტური მხრით აქ გვაქვს რაიმე სხვა ფერი (ე. ი. დადებითი ფაქტი). მსჯელობა „ეს არაა ცისფერი" უარყოფას შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტისათვის და არა ობიექტის შესატყვისად. ობიექტურად „ეს არაა ცისფერი" გულისხმობს არა უარყოფით ფაქტს, არამედ სავსებით გარკვეულ სხვა რომელიმე ფერს. „როცა, როგორც ეს ხდება აღქმის მსჯელობებში, ჩვენ არ გვწამს, რომ „ეს წითელია", ეს ნიშნავს რომ ჩვენ აღვიქვამთ რაღაც სხვა ფერს"[43]. უარყოფის ფაქტს თვით სამყაროში ადგილი არა აქვს, „არა", რომელსაც ადამიანი იყენებს მსჯელობის პროცესში, არაფერს არ გამოხატავს სინამდვილიდან, უაზრობაა ჩავთვალოთ იგი თვით ფაქტის შემადგენელ ნაწილად. „არა" ენის სფეროს ეკუთვნის და სუბიექტურად ხელსაყრელია ადამიანისათვის შემეცნების პროცესში, მაგრამ ადამიანისა და მისი ენის გარეშე მას არავითარი აზრი არა აქვს. საბოლოოდ რასელი სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან აშკარად უახლოვდება მე-19 ს-ის ფსიქოლოგისტებს: „როცა მე მწამს „არა-P", ნამდვილად მე არ მწამს „P", ეს ნიშნავს, რომ მოცემულია სიტყვა „არა"-ს შემცველი წინადადება, რომელიც აღნიშნავს გარკვეულ შინაარსს, რომელიც მე შემიძლია ვიწამო, ან არ ვიწამო, მაგრამ როცა ქმატება სიტყვა „არა", წინადადება გამოხა-

---

[41] Рассел, Человеческое познанение, с. 156.
[42] იქვე, გვ. 159.
[43] იქვე.

ტავს არა მხოლოდ რაიმე შინაარსს, არამედ აგრეთვე ჩემს დამოკიდებულებას მისადმი"[44].

* * *

დასტური იძლევა დადებით მსჯელობას, უარყოფა — უარყოფით მსჯელობას, დასტური და უარყოფა მსჯელობის ლოგიკურ წყობაში მონაწილე მომენტებია. ამიტომ არ არის სწორი დასტურისა და უარყოფის დაპირისპირება მსჯელობის დადებითობასთან და უარყოფითობასთან. ზოგნი ერთმანეთს უპირისპირებენ, მაგ., «უარყოფას» და «უარყოფითს». უარყოფა ფსიქიკური ფენომენია, ჩვენი სულის მოქმედებაა (деятельность), «უარყოფითი» კი ობიექტური და, მაშასადამე, ლოგიკური კატეგორიაა, ამბობენ ისინი. გამოდის, რომ მსჯელობა ლოგიკური და ფსიქოლოგიური მხარეებისაგან შედგენილი მთელია. მაგრამ მაშინ შეუძლებელია მსჯელობის დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური და დამოუკიდებელი ლოგიკური შესწავლა. ამ შემთხვევაში ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის გამიჯვნა თვით მსჯელობის, როგორც მთელის, მოსპობის ხარჯზე იქნებოდა შესაძლებელი. ნამდვილად კი მსჯელობა ფსიქიკური მომენტის გარეშეც დამოუკიდებელი მთლიანობაა, რომელსაც გააჩნია ამ მთლიანობისათვის საჭირო და საკმარისი ლოგიკური მასალა. ლოგიკური მხოლოდ ერთი «მხარე» კი არაა მსჯელობაში, რომლის მეორე «მხარეს» ფსიქიკური შეადგენს. ეს შეხედულება მსჯელობას განიხილავს ისეთ მთლიანობად, რომლის ერთ მხარეს შეადგენს დასტური და უარყოფა, მეორეს — მისი დარჩენილი ნაწილი: დასტური და უარყოფა ფსიქიკური მომენტებია, რომლებიც მსჯელობის ლოგიკურ აგებულებაში არ შედის, ლოგიკას მსჯელობაში აინტერესებს ის, რაც მასში რჩება დასტურისა და უარყოფის გამოკლებით.

მაგრამ რა რჩება მსჯელობიდან დასტურისა და უარყოფის გამოკლებით? ამით ისპობა თვითონ ლოგიკური მსჯელობა. ამ შემთხვევაში მსჯელობიდან რჩება სუბიექტი და პრედიკატი, მაგრამ არა კავშირი მათ შორის. მსჯელობა ხომ არ დაიყვანება სუბიექ-

---

[44] Рассел, Человеческое познание, с. 162. ასევე უარყოფითი მსჯელობის ობიექტურ საფუძველს უარყოფს «ვენის წრეც» :«Der Negation enstpricht in der Umwelt nicht eigener Sachverhalt neben dem positive» (V. Kraft, «Wiener Kreis». S. 16).

ტზე და პრედიკატზე? სუბიექტი და პრედიკატი თავისთავად, კავშირის გარეშე მსჯელობას არ იძლევა. დასტური და უარყოფა სწორედ სუბიექტისა და პრედიკატის ლოგიკური კავშირის ფორმებია. მსჯელობის ლოგიკური წყობიდან მათი გამოტანა ისევე შეუძლებელია, როგორც სუბიექტსა და პრედიკატს შორის კავშირის უარყოფა. სუბიექტისა და პრედიკატის კავშირს ლოგიკაში კოპულას უწოდებენ. კოპულა ლოგიკური კავშირია და, მაშასადამე, თვითონაც ლოგიკური კატეგორიაა და არა გრამატიკული, ან ფსიქიკური, კოპულა არც განცდაა და არც სიტყვა.

კოპულას გრამატიკულ კატეგორიად თვლიდნენ, მაგ., ბ. ერდმანი, ზიგვარტი და სხვ. „თხრობითი კილოს პირით დაბოლოებაში და, მაშასადამე, მხოლოდ მასში ერთში, იმალება ის, რასაც ლოგიკოსები აღნიშნავენ სიტყვით კოპულა — ენის ის ელემენტი, რომელსაც შეუძლია სიტყვათა შეერთება აქციოს წინადადებად და გამოთქმის გამომხატველად“[4b], წერდა ზიგვარტი. ასეთი მსჯელობა გრამატიკული და ლოგიკური კატეგორიების აღრევის შედეგია. სუბიექტი, პრედიკატი და კოპულა ენის სფეროს კი არ ეკუთვნის, არამედ ლოგიკური აზროვნების სფეროს. გრამატიკულ კანონებზე აქ ლაპარაკი სრულიად შეუსაბამოა.

კოპულა არც განცდაა, რომელიც განმსჯელი სუბიექტის ფსიქიკურ მდგომარეობას გამოხატავს. მართალია, ადასტურებს ან უარყოფს სუბიექტი(და არა საგანი), მაგრამ ამის გამო დასტური ან უარყოფა ფსიქიკური მოვლენა როდია. ვინდელებანდის მაგალითზე ზემოთ ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ცდილობენ ერთმანეთისაგან გამოყონ სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი, ერთის მხრით, და დასტური და უარყოფა, მეორეს მხრით. ვინდელბანდის მტკიცებით ერთია სუბიექტისა და პრედიკატის ლოგიკური კავშირი, მეორეა დასტური და უარყოფა. რას აღწევს ვინდელბანდი ამის შედეგად? ორი მომენტია განსაკუთრებით აღსანიშნავი: 1) ამ თვალსაზრისს მსხვერპლად ეწირება ცნება, მისი სპეციფიკა. 2) მსჯელობის ძირითად ფორმად ცხადდება პრობლემატური მსჯელობა. ვინდელბანდის მტკიცებით მსჯელობა არის „წარმოდგენათა თეორიული სინთეზი“, ხოლო დასტური და უარყოფა ნიშნავს ამ სინთეზის მოწონებას ან არმოწონებას. სუბიექტისა და პრედიკატის შეერთება, ანუ „პრედიკაცია“ დასტურისა და უარყოფის საშუალებით კი არ

---

[49] Зигварт. Логика, т. 1, с. 107-108.

სრულდება, არამედ თვით არის დასტურისა და უარყოფის სუბიექტი, შეფასების საგანი, რომლის მოწონება ან არმოწონება ხდება. მსჯელობა, ამ სიტყვის საკუთარი გაგებით. „პრედიკაციაა", რომელშიც არ იგულისხმება დასტური და უარყოფა. დასტური და უარყოფა მსჯელობა კი არაა, არამედ შეფასება.

გამოდის, რომ ცნებასა და მსჯელობას შორის არაა განსხვავება, ტრადიციული ლოგიკის მთელი მსჯელობა (სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი) სუბიექტზეა დაყვანილი, რომელსაც ემატება მხოლოდ მოწონება ან არმოწონების პრედიკატი. მაგ., «ვარდი არის ყვავილი»: ვინდელბანდისათვის ეს არც მსჯელობაა და არც შეფასება, არამედ მათს «კომბინაციას» წარმოადგენს. მსჯელობა აქ ის მხარეა, რომელიც ორი წარმოდგენის, ვარდისა და ყვავილის შეერთებას, ანუ პრედიკაციას გამოხატავს, შეფასება კი პრედიკაციის დასტურია—«არის». ზუსტად თუ ვილაპარაკებთ, ამ წინადადების სტრუქტურა შემდეგ სახეს იღებს: «ვარდის ყვავილობა არის». საკუთრივ მსჯელობა ისაა, რაც დასტურის შემდეგ რჩება, როგორც შეფასების სუბიექტი: «ვარდის ყვავილობა». «არის» კი ნიშნავს: «აქვს მნიშვნელობა» («gilt»), როგორც ეს პირველად ლოტცემ აღნიშნა: მას ეთანხმება ვინდელბანდი. გამოთქმაში «ვარდის ყვავილობა», ვინდელბანდის აზრით, უკვე გვაქვს ორი წარმოდგენის შეერთება, სუბიექტისა და პრედიკატის სინთეზი, ანუ პრედიკაცია.

მაშინ რა განსხვავებაა ცნებასა და მსჯელობას შორის? მათ შორის ჩვეულებრივი თეორიული განსხვავება ქრება, ამბობს ვინდელბანდი: «წარმოდგენათა ყოველი შეერთება, რომელიც უნდა შესრულდეს «მსჯელობაში», შეიძლება მზა სახით ფორმულირებულ იქნეს ცნებაში. ხოლო ამ შემთხვევაში დაკავშირების ფუნქცია წინადადებაში და ცნებაში ერთიდაიგივეა. «საგანი თეთრია» და «თეთრი საგანი» შეიცავენ წარმოდგენათა შეერთების ერთიდაიგივე ფუნქციას, სახელდობრ, თვისობრივი მიკუთვნების (Inhärenz) კატეგორიას»[46]. ამდენად, ცნებისა და მსჯელობის ტრადიციულ განსხვავებას აზრი ეკარგება: «რადგან თუ აზროვნების ერთიდაიგივე ფორმა აერთებს წარმოდგენის ელემენტებს როგორც ცნებაში, ასევე მსჯელობაში, და თუ ლოგიკის ინტერესი მიმართულია უმთავრესად ამ შეერთების ნაირობისადმი, მაშინ ჩვეულებრივი განსხვავება ცნებასა და მსჯელობას შორის ლოგიკისათვის მეორეხარისხოვანი ხდება. და მართლაც, ამ განსხვავებამ

---

[46] Виндельбанд. Прелюдии, с. 363.

მნიშვნელოვნად უკვე დაკარგა თავისი წინანდელი გაბატონებული მდგომარეობა, ხოლო ლოგიკის მრავალ უახლეს გადმოცემებში ის უკვე სავსებით უკანა პლანზე დგება.... ერთი სიტყვით, შეიძლება ავაგოთ ლოგიკა, როგორც მოძღვრება აზროვნების ფორმების შესახებ, რომელიც სავსებით უგულებელყოფს ჩვეულებრივ განსხვავებას ცნებასა და მსჯელობას შორის»[47].

ამრიგად, ვინდელებანდის ყალბი თვალსაზრისი მსხვერპლად იწირავს აზროვნების ერთ-ერთ ფორმას, ცნებას. ამის მიზეზია დასტურისა და უარყოფის გამოტანა მსჯელობიდან. ვინდელბანდის მტკიცებით დასტური და უარყოფა მსჯელობას კი არ ეკუთვნის, არამედ მისი შეფასებაა. მსჯელობა ისაა, რაც შეფასებიდან რჩება სწორედ დასტურისა და უარყოფის შემდეგ, ე. ი. მსჯელობა არის იგივე სუბიექტი („ცნება"), შეფასებითი წინადადების „ქვემდებარე", რომლის მოწონება თუ არმოწონება ხდება. მსჯელობის არსებად ვინდელბანდი ასახელებს „პრედიკაციას" ანუ სუბიექტისა და პრედიკატის შეერთებას. გვაქვს თუ არა პრედიკაცია გამოთქმაში: „ვარდის ყვავილობა"? ვინდელბანდის მტკიცებით გვაქვს. ამის გარეშე მას არ შეეძლო იგი „მსჯელობად" ჩაეთვალა. მაშასადამე, „პრედიკაცია" არ საჭიროებს დასტურსა და უარყოფას.

რა რჩება მსჯელობიდან დასტურისა და უარყოფის შემდეგ? «ნამდვილი თეორიული მსჯელობა არსებითად მოცემულია მხოლოდ ე. წ. პრობლემატურ მსჯელობაში, რომელშიც სრულდება წარმოდგენათა გარკვეული შეერთება, მაგრამ არ გამოითქმება მისი ჭეშმარიტების არავითარი შეფასება»[48]. დასტური და უარყოფა ერთმანეთის საწინააღმდეგო მომენტებია, მაგრამ არსებობს თუ არა მათ გვერდით მესამე შესაძლებლობა? კითხულობს ვინდელბანდი.

როგორც დადებით, ისე უარყოფით მსჯელობას ახასიათებს დარწმუნების (уверенность) სხვადასხვა ინტენსივობა. ალბათობის ეს სხვადასხვა ინტენსივობა სქემატურად შეიძლება წარმოვიდგინოთ ხაზის სახით, რომლის ბოლოებზე გვაქვს სრული უეჭველობის (достоверность) მდგომარეობა— ერთ მხარეზე დასტურის, მეორეზე უარყოფის, — ხოლო შუათანა პუნქტები ინტენსივობის თანდათანი შესუსტების გზით ორივე მხრიდან უახლოვდებიან «განურჩევლობის წერტილს («точка безразличия»), რომელიც არ შეიცავს არც დასტურსა და არც უარყოფას:

---

[47] Виндельбанд, Прелюдии, с. 364-365.

[48] იქვე, გვ. 25.

შეფასების ხაზზე ნულის ეს წერტილი სრულიად თვისებური მდგომარეობაა. აქ გვაქვს განურჩევლობა («Gleichgültigkeit») დასტურისა და უარყოფის მიმართ, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ორგვარი: აბსოლუტური და კრიტიკული. აბსოლუტური განურჩევლობა გვაქვს მაშინ, თუ ჯერ კიდევ არ მომხდარა შეფასება, კრიტიკული კი მაშინ, როცა შეფასების შ ე დ ე გ ი ა თავშეკავება როგორც დასტურის, ასევე უარყოფისაგან. აბსოლუტური განურჩევლობის მაგალითია წარმოდგენათა ის მოძრაობა, როელსაც არ ახლავს არავითარი შემეცნებითი შეფასება და რომელიც არ შეიძლება შეადგენდეს ლოგიკის ინტერესს. ლოგიკის სფეროში აბსოლუტური განურჩევლობა გვხვდება მხოლოდ კითხვაში. კითხვაში წარმოდგენათა შეერთება არა მხოლოდ ნავარაუდევი, არამედ სავსებით შესრულებულია. შემდეგ საკითხი დგება წარმოდგენათა ამ შეერთების შემეცნებითი ღირებულების შესახებ, მაგრამ თვით შეფასება არ ხორციელდება. ამიტომ შეიძლება ითქვას: «კითხვა შეიცავს მსჯელობის თეორიულ შემადგენელ ნაწილს პრაქტიკულის გარეშე; იგი არის წარმოდგენათა შეერთება მისი შემეცნებითი ღირებულების შესახებ განაჩენის გარეშე, მაგრამ ამ განაჩენის მოთხოვნით»[49].

კითხვისა და მსჯელობის ურთიერთობის შესახებ დაახლოებით ამგვარ აზრს გამოსთქვამს ზიგვარტი. ჰერბარტიც აღნიშნავდა, რომ მსჯელობა არის „კითხვის გადაწყვეტა". რაც შეეხება ლოტცეს, — ნისთვის კითხვა მსჯელობის მხოლოდ წინაპირობა ანუ „მოსამზადებელი საფეხური" კი არაა, არამედ — მსჯელობის მესამე თვისობრიობა (დადებითისა და უარყოფითის გვერდით). ლოტცეს აზრით მსჯელობის არსებაა არა შეფასება (ეს მხოლოდ „თანხმლები" მომენტია), არამედ წარმოდგენათა თეორიული შეერთება, რაც სავსებით არის მოცემული კითხვაში, ისევე როგორც დასტურისა და უარყოფის დროს. ამ აზრით ყოველი კითხვა უკვე მსჯელობაა.

სხვა ხასიათისაა კრიტიკული განურჩევლობა. თუ კითხვაში, ან ჰიპოთეზაში მოცემული წარმოდგენათა კავშირის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არც დასტურისა და არც უარყოფისათვის არ არის საკმაო სარწმუნო საფუძველი, მაშინ ვღებულობთ არასარწმუნობის (недостоверность) მდგომარეობას, რომელიც გამოიხატება ე. წ. პრობლემატური მსჯელობით: «A შეიძლება იყოს B». ეს დებულება არც იმას

[49] В и н д е л ь б а н д, Прелюдии, с. გვ. 370.

გამორიცხავს, რომ «A შეიძლება იყოს არა-B». ასე რომ, აქ არაა გადაწყვეტილება მიღებული A და B წარმოდგენების შეერთების ღირებულების შესახებ. კითხვასთან მას საერთო აქვს ის, რომ შეიცავს მსჯელობის თეორიულ მომენტს, ე. ი. წარმოდგენათა შეერთებას შეფასების გარეშე. მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ კითხვა არ შეიცავს არავითარ გადაწყვეტას, პრობლემატური მსჯელობა კი ემყარება რწმენას, რომ დამაჯერებელი არაა არც «ჰო», არც «არა». ამდენად ის აუცილებლად შეიცავს შემეცნების აქტს. თუ კითხვაში გვაქვს აბსოლუტური განურჩევლობა, პრობლემატური მსჯელობა გამოხატავს კრიტიკულ განურჩევლობას. პრობლემატური მსჯელობა უარს ეუბნება როგორც დასტურს, ასევე უარყოფას, მაგრამ თვით ეს უარისთქმა თავისებური გადაწყვეტაა და მესამე შესაძლებლობა. ამიტომ ვინდელბანდი არ ეთანხმება ზიგვარტს, რომელიც პრობლემატურ მსჯელობას არ თვლიდა მსჯელობის დამოუკიდებელ ფორმად დასტურისა და უარყოფის გვერდით[50].

ამრიგად, ძირითადი შედეგი, რომელსაც ვინდელბანდი აღწევს. ესეთია: ნამდვილი მსჯელობა არის მხოლოდ პრობლემატური მსჯელობა, რომელიც გამოიხატება სქემით: „A შეიძლება იყოს B“, ან უფრო ზუსტად: „A არის, შესაძლოა„ B“.

* * *

დიალექტიკურ-ლოგიკური გაგებით დასტური და უარყოფა მსჯელობის ლოგიკურ წყობაში შემავალი მომენტებია და ერა მისი გარეგანი, „თანმხლები“ მხარეები, ან „პრაქტიკულ-შეფასებითი“ აქტები. მაგრამ ისმება კითხვა: რა ადგილი უჭირავს უარყოფას მსჯელობაში?

ა) ტრადიციული ლოგიკის თანახმად უარყოფა კოპულის სფეროში უნდა ვეძიოთ. მსჯელობათა დაყოფა დადებითად და უარყოფითად განხილულია, როგორც კოპულის ორი თვისობრიობა, თვითონ კოპულა არის ერთ შემთხვევაში დადებითი და მეორე შემთ-

---

[50] «Следует отказаться от учения, что т. н. проблематическое суждение есть будто-бы известный вид суждения,—раз в понятие суждения мы включаем утверждение об истинности высказывания и учим, что суждение должно быть или истинным или ложным» (Зигварт, Логика, т. I, с. 202-203).

ხედვაში უარყოფითი. ამიტომ მსჯელობის დადებითობა და უარყოფითობა სუბიექტისა და პრედიკატის მიმართებაში სწყდება. მსჯელობაში: „S არ არის P“ პრედიკატია P, „არა“ კი არც სუბიექტში შედის და არც პრედიკატში, არამედ იმყოფება მათ შორის, როგორც S და P-ს მიმართების გამომხატველი, „არის“ გამოხატავს შეერთების მიმართებას, „არ არის“ — გათიშვის მიმართებას.

ბ) ამ გაგებას დაუპირისპირდა ზიგვარტი: „კავშირი, რომელიც ყოფს, — ეს უაზრობაა. პირიქით, როგორც უარყოფით, ისე ჰოყოფით მსჯელობაში საკუთრივ კოპულა (გრამატიკულად ზმნის დაბოლოება) სავსებით ერთ და იგივე აზრს შეიცავს, მან უნდა გამოხატოს მსჯელობის შესაბამისი დადებითი მიმართება სუბიექტსა და პრედიკატს შორის, პრედიკატის მიკუთვნება სუბიექტისადმი, მ ა ნ უ ნ დ ა ა ღ ძ რ ა ს ი ს ა ზ რ ი, რ ო მ პ რ ე დ ი კ ა ტ ი ე კ უ თ ვ ნ ი ს ს უ ბ ი ე ქ ტ ს“[51]. სუბიექტი და პრედიკატი ორივე დადებითია, ამბობს ზიგვარტი, მათ შორის კავშირიც შეიძლება იყოს. მხოლოდ დადებითი, უარყოფითი კავშირი უაზრობაა. აქეღან დასკვნა: უარყოფას ადგილი არ რჩება მსჯელობის შიგნით, ე. წ. უარყოფითი მსჯელობა ორმაგი მსჯელობაა, — დადებითი მსჯელობა დადებითი მსჯელობის მცდარობის შესახებ.

გ) ლოსკი ეთანხება ზიგვარტს, იმაში, რომ მსჯელობის ჰოყოფითობა (утвердительность) და უარყოფითობა არ შეიძლება ვეძებოთ S და P-ს მიმართებაში, არ არსებობს ჰოყოფითი და უარყოფითი მიმართება, თვით კავშირი («კოპულა») არ შეიძლება იყოს ჰოყოფითი და უარყოფითი, კოპულა ყოველთვის დადებითია (положительное»), ე. ი. გამოხატავს პრედიკატის დამოკიდებულებას (зависимость) სუბიექტისაგან, ყოველ მსჯელობაში მოცემულია S და P-ს ლოგიკური ერთიანობა. ტრადიციული ლოგიკის საწინააღმდეგოდ ზიგვარტმა სწორად შენიშნა, ამბობს ლოსკი, რომ ყოველი მსჯელობის არსებაა პრედიკატის დაკავშირებულობა (связанность) სუბიექტთან, პირველის მიკუთვნება (принадлежность) მეორისადმი. ამიტომ ზიგვარტს უარყოფა კოპულიდან უნდა გადაეტანა პრედიკატის შემადგენლობაში, ამბობს ლოსკი. მაგრამ ზიგვარტი ამას არ აკეთებს, რადგან ეს ნიშნავს ეაღიაროთ უარყოფითობის ობიექტურობა. ზიგვარტი კი ფიქრობს, რომ რეალურ საგნებს მხოლოდ დადებითობა მიეწერება. სხვა პოზიციაზე დგება ლოსკი. ყოველი მსჯელობა ადგენს გარკვეულ საგნობრივ ვითარებას

---

[51] З и г в а р т . Логика, т. I, с. 138.

(Sachverhalt), ამბობს ის. გარკვეულობა კი მაშინ გვაქვს როცა რაიმე დადგენილია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხრით, როცა, მაგ., რაიმე დადგენილია როგორც A, რომელიც გამორიცხავს არა-A-ს. ორი კანონი, იგივეობისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონები უდევს მას საფუძვლად: A არის A და არ არის არა-A. «Категория качества состоит в постановке какой-либо А-товости, которая способна быть определенной А-товостью, только путем снятия из своего состава всякой не-А-товости. Иными словами, качество есть всегда положительно-отрицательная определенность. Сочетание положительности и отрицательности есть логическое условие мыслимости качества»[52].

ლოსკის აზრით, პრედიკატი შეიძლება იყოს როგორც დადებითი (მაგ., „ქრისტიანი"), ასევე უარყოფითი („არაქრისტიანი"), კოპულის მხრით დადებითი და უარყოფითი მსჯელობა არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. უარყოფის ადგილი პრედიკატშია.

(ი) ვინ არის მართალი ამ დავაში? რაც არ უნდა წინააღმდეგობა იყოს აღნიშნულ თვალსაზრისთა შორის, ერთი რამ მათ საერთო აქვთ: უარყოფის მეტაფიზიკური გაგება, ვერც ერთი მათგანი ვერ ხედავს დასტურისა და უარყოფის შინაგან კავშირს. ამიტომ ერთიანი მსჯელობის სხვადასხვა მომენტებს ისინი მეტაფიზიკურად უპირისპირებენ ერთმანეთს, ერთი მათგანი მხოლოდ დადებითია, მეორე მხოლოდ უარყოფითი. ავიღოთ უარყოფითი მსჯელობა: „S არ არის P". თუ აქ სუბიექტი მხოლოდ დადებითია, აბსოლუტურად დადებითი, ასევე პრედიკატი — მხოლოდ დადებითი, აბსოლუტურად დადებითი, ხოლო კოპულა მხოლოდ უარყოფითი, აბსოლუტურად უარყოფითი, მაშინ სუბიექტსა და პრედიკატს შორის აბსოლუტურად გაწყვეტილია კავშირი, როგორ შეიძლება საერთოდ იმ ერთიანობაზე ლაპარაკი, რომელსაც ყოველი მსჯელობა გულისხმობს? ასეთი „მსჯელობის" სუბიექტს პრედიკატი არ გააჩნია და პრედიკატს — სუბიექტი. ტრადიციული ლოგიკის ამ გაგების მიმართ მართებული გამოდის სწორედ ზიგვარტის თვალსაზრისი: აქ გაწყვეტილია ყოველგვარი კავშირი S და P-ს შორის, არა გვაქვს არც სუბიექტი, არც პრედიკატი, არც მათი კავშირი და, მაშასადამე, არც მსჯელობა.

---

[52] ნ. ლ ო ს კ ი , დადებით და უარყოფით მსჯელობათა ლოგიკური და ფსიქოლოგიური მხარეები. («Логос», 1912-1913 г. с. 88-89).

ამიტომ არაა სწორი საკითხის ასე დაყენება: უარყოფითი არის ან კოპულა, ან პრედიკატი. ვინც საკითხს ასე აყენებს, მას არ ესმის მსჯელობის შინაგანი მთლიანობა და მისი მომენტები ერთმანეთის გვერდითა აქვს წარმოდგენილი, როგორც ძაფზე ასხმული მძივის მარცელები: ერთი თეთრია, მეორე შავი, მესამე ყვითელი და ა. შ. პრედიკატი თუ უარყოფითია, ეს სწორედ სუბიექტის საკუთარი უარყოფითობაა, ხოლო კოპულა მხოლოდ დადებითი რომ იყოს, მაშინ საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა სუბიექტიდან პრედიკატზე გადასვლა. უარყოფით მსჯელობაში უარყოფის მომენტი რომელიმე ერთ პუნქტში (კოპულა თუ პრედიკატი) კი არ ზის, არამედ, ასე ვთქვათ, მთელი მსჯელობის გასწვრივ მოძრაობს და მის ყველა ელემენტს გადის.

IV

ყველა მსჯელობა ობიექტურ საფუძველს ეყრდნობა. ამ მხრივ დადებითი და უარყოფითი მსჯელობის დაპირისპირება უაზრობაა, შემეცნებითი ღირებულება ორივეს ახასიათებს, ორივე მათგანი ლოგიკურად სრულუფლებიანი ფორმებია. მაგრამ ამის აღიარება არ კმარა. პირიქით, ამის შემდეგ მთელი სიმწვავით დგება საკითხი მათი ურთიერთობის შესახებ. თუ ერთი მათგანი უბრალოდ მოვიცილეთ, მათი ურთიერთობის პრობლემაც იხსნება. მაგრამ თუ ორივეს შემეცნებითი ფუნქცია ვცანით, მაშინ უნდა გაირკვეს: რა ურთიერთობაა მათ შორის?

ამ საკითხის გადაწყვეტა არსებით კავშირშია ლოგიკური უარყოფის გაგებასთან. ამიტომ უნდა განვიხილოთ, თუ როგორ ესმის დიალექტიკას ლოგიკური უარყოფის ცნება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უარყოფის კატეგორია უდიდეს როლს ასრულებს განვითარების თეორიაში საერთოდ. მეცნიერული დიალექტიკის თანახმად უარყოფა ზოგად-ფილოსოფიური კატეგორიაა და საგანთა და მოვლენათა ობიექტურ არსებაში მონაწილეობს. მოჰყავს რა უარყოფის მაგალითები ბუნებისა და საზოგადოების სფეროდან, ფ. ენგელსი იქვე აღნიშნავს, რომ უარყოფა და უარყოფის უარყოფა მოქმედებს არა მხოლოდ ბუნებისა და საზოგადოების სფეროში, არამედ აგრეთვე აზროვნების სფეროში. ეს ბუნებრივია, ლოგიკური აზროვნება ობიექტური სინამდვილისაგან დამოუკიდებელი და მის გვერდით მოცემული თავისთავადი «სამყაროა» კი არ არის, არამედ

სწორედ ობიექტური სინამდვილის ასახვაა. საგანთა ობიექტურ არსებაში მონაწილე რეალური უარყოფა აზროვნებაში თავის ასახვას პოულობს ლოგიკური უარყოფის სახით. უარყოფის უარყოფის კანონი არა მხოლოდ ბუნებისა და საზოგადოების, არამედ აზროვნების კანონიცაა, ამბობს ფ. ენგელსი. ამიტომ მას მოჰყავს მაგალითები, აგრეთვე, მეცნიერების სფეროდან. საყოველთაოდ ცნობილია, მაგ., თუ რა როლს ასრულებს + და — მათემატიკაში. მათემატიკური ოპერაციები, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვები და ა. შ. არ წარმოიდგინება უარყოფითი მომენტის გარეშე. ამასთან, უარყოფა აზროვნების სფეროში თავისი არსებით ისევე დიალექტიკურია, როგორც ბუნებისა და საზოგადოების სფეროში. რა თქმა უნდა, უარყოფას აზროვნების სფეროში რეალურ უარყოფასთან შედარებით თავისი სპეციფიკა გააჩნია, მაგრამ ეს «სპეციფიკა» იმას როდი ნიშნავს, რომ დიალექტიკის ნიშნებით მხოლოდ რეალური უარყოფა ხასიათდება, ხოლო აზროვნებითი უარყოფა (მაშასადამე, ლოგიკური უარყოფაც) არ არის ასეთი. დიალექტიკურია როგორც რეალური, ისე ლოგიკური უარყოფა, ორივე სფეროში უარყოფის ზოგადი დიალექტიკა ვლინდება, თუმცა თავისებურად. განვითარების მეცნიერული თეორია ლოგიკურ უარყოფას სწორედ რეალური უარყოფის ასახვად თვლის და მის თანმიმდევრულ დიალექტიკურ გაგებას მოითხოვს. «დიალექტიკაში უარყოფა არც უბრალოდ «არას» თქმას ნიშნავს[53], არც საგნის არარსებულად გამოცხადებას, არც მის ამა თუ იმ რიგად ვანადგურებას. ჯერ კიდევ სპინოზა ამბობდა: Omnis determinatio est negatio, ყოველი განსაზღვრა ანუ განმარტება იმავე დროს უარყოფაა»[54].

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, დიალექტიკის თანახმად უარყოფა შიშველი მოსპობა, მექანიკური „გაჭყლეტა“ და გადაგდება კი არ არის, არამედ განვითარებაა. ასეა რეალურ საგანთა ურთიერთობაში. „ი გ ი ვ ე ი თ ქ მ ი ს ყ ო ვ ე ლ ი ს ა ხ ი ს წ ა რ მ ო დ გ ე ნ ე ბ ს ა დ ა ც ნ ე ბ ე ბ ზ ე[55], ამბობს ფ. ენგელსი. ლოგიკური აზროვნება ცნებათა უართიერთობის სფეროა, რომლითაც საგანთა ურთიერთობა აისახება. ცნებათა ამ ურთიერთობაში მონაწილეობს ლოგიკური უარყოფის მომენტი, ისევე როგორც საგანთა ობიექ-

---

[53] შდრ. ზიგვარტის თვალსაზრისი: უარყოფა ნიშნავს რაიმე დადებითი შინაარსისათვის «არას» თქმას.

[54] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტიდიურინგი, გვ. 168.

[55] იქვე, გვ. 169 (ხაზი ჩემია, დ. ქ.).

ტურ ურთიერთობაში მონაწილეობს რეალური უარყოფა. ცნებათა ურთიერთობაში მონაწილე უარყოფა თავისი არსებით ისევე დიალექტიკურია, როგორც რეალური უარყოფა. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ცნებათა ურთიერთუარყოფა უბრალოდ „არას" თქმა, ერთმანეთის მოსპობა, გაბათილება და გადაგდება კი არაა, არამედ განვითარებას, სახელდობრ, ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს, რომლითაც რეალური განვითარება აისახება. ლოგიკური აზროვნების სფეროში ცნებათა უარყოფა უნდა მოხდეს არა ისე, „როგორც მეტაფიზიკა უარყოფს" (ფ. ენგელსი), ე. ი. გარკვეული შედეგის მიუღებლად, არამედ ისე, რომ უარყოფის შედეგი იყოს ჭეშმარიტი ლოგიკური წინსვლა და განვითარება.

«ფილოსოფიურ რვეულებში» ვ. ი. ლენინი ყურადღებას ამახვილებს ლოგიკური უარყოფის დიალექტიკურ გაგებაზე. დიალექტიკის თვალსაზრისით უარყოფა არის არა შიშველი გადაგდება, არამედ კავშირის მომენტი, განვითარების მომენტი, დადებითის შენახვით, ამბობს ვ. ი. ლენინი. ყოველი თვისობრივი გარკვეულობა აუცილებლად მოითხოვს დიალექტიკურ-ლოგიკურ უარყოფას საგნის მეცნიერული შემეცნების პროცესში: «Когда о вещах говорят, что они — конечны — то этим признают, что их небытие есть их натура («Небытие есть их бытие»).[56]

დიალექტიკური უარყოფა გარკვეული უარყოფაა. ამ ურთიერთობაში რაიმეს უპირისპირდება არა გაურკვეველი სხვა, არამედ «თავისი სხვა». ამიტომაა უარყოფა შედეგის მქონე, ამიტომაა იგი განვითარება. იგი ძირეულად განსხვავდება იმ უარყოფისაგან, რომელსაც ტრადიციული ლოგიკა გულისხმობს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონში, როცა, მაგ., A და non-A-ს ურთიერთობაზე ლაპარაკობს. non-A არის A-ს ლოგიკური უარყოფა. აქ, როგორც ვხედავთ, რაიმე ცნების უარყოფა ხდება ისე, რომ მის ადგილს სხვა რამ გარკვეული არ იკავებს. ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი ცნების დიალექტიკურ-ლოგიკური უარყოფის არსებითი თავისებურების შესახებ: არა შიშველი, უშედეგო უარყოფა, არა მოსპობა, არამედ უარყოფა, როგორც განვითარების მომენტი, უარყოფა, რომელსაც წინ მივყევართ. non-A უარყოფს A-ს. რა არის უარყოფის შემდეგ? A-ს უარყოფა! A არის გამოსავალი, მისგან იწყება პროცესი, ხოლო ფორმალურ-ლოგიკური უარყოფის შედეგად გვრჩება გაურკვეველი უარყოფითობა: non-A.

---

[56] В. И. Ленин, Соч. т. 38, с. 98.

non-A-ს მიერ A-ს უარყოფა იმ მაგალითებს მოგვაგონებს, რომლებიც ფ. ენგელსს მოჰყავს მექანიკური უარყოფის საილუსტრაციოდ: თუ მე გავჭყლიტე მწერი, დავწვი ქერის მარცვალი, ამით სათანადო შემდგომი წინსვლის შესაძლებლობა ისპობა. სულ სხვა ვითარებაა, როცა ქერის მარცვალი ხელსაყრელ ნიადაგზე აღმოცენდება, ეს უკვე გარკვეული უარყოფაა, განვითარებაა და არა გამოსავალი პუნქტის უბრალო გადაგდება, შიშველი მოსპობა და მოცილება. როცა ლოგიკური აზროვნების პროცესში ცნების უარყოფის შედეგია არა ნული, არა სიცარიელე, არამედ წინსვლა და განვითარება, ჩვენ საქმე გვაქვს დიალექტიკურ-ლოგიკურ უარყოფასთან.

A და non-A-ს ურთიერთობა არ წარმოადგენს განვითარების ურთიერთობას, მართალია, აქ მოცემულია დადებითისა და უარყოფითის ურთიერთობა: A არის დადებითი, non-A— უარყოფითი, მაგრამ მთელი საქმე ისაა, რომ A გამოდის, როგორც აბსოლუტურად დადებითი, non-A—აბსოლუტურად უარყოფითი. non-A არის A-ს აბსოლუტური უარყოფა. ამიტომ თუ A-ს ლოგიკური უარყოფა non-A-ს იძლევა, non-A-ს ლოგიკური უარყოფა (ე. ი. უარყოფის უარყოფა) ხელახლა A-ს უბრუნდება. მისი თავდაპირველი ფორმით. უარყოფა არ წარმოადგენს განვითარებას: უარყოფის უარყოფა უშუალოდ გამოსავალ პუნქტს იმეორებს, «პროცესის» შედეგია ის, რაც უკვე იყო დასაწყისში.

აბსოლუტური უარყოფა განვითარებას გამორიცხავს. რატომ არის non-A აბსოლუტური უარყოფა? რას ნიშნავს აბსოლუტური უარყოფა? აბსოლუტურ უარყოფას უპირისპირდება შედარებითი უარყოფა. შედარებითი უარყოფა იგივე დიალექტიკური უარყოფაა და მოხსნა-შენახვის პროცესს წარმოადგენს. ის არის, მაშასადამე, არა ცალმხრივი უკუგდების, არამედ თავისებური ორმაგი შინაარსის მქონე პროცესი. არის თუ არა non-A A-ს ისეთი უარყოფა, რომელიც უარყოფილს ერთდროულად ხსნის და ინახავს? non-A A-ს მხოლოდ ხსნის, ცალმხრივად უარყოფს ისე, რომ მისგან არაფერს არ ინახავს. აქედან ჩანს უარყოფის ფორმალურ-ლოგიკური და დიალექტიკურ-ლოგიკური გაგების ძირეული განსხვავება. non-A აბსოლუტური უარყოფაა, რომელსაც არავითარი დადებითი შინაარსი არ გააჩნია. მის შესახებ მხოლოდ ის ითქმის, თუ რა არ არის იგი, მაგრამ არა ის, თუ რა არის იგი.

თავისთავადაც ცხადია, რომ მისი შესატყვისი რეალობა სინამდვილეში არ არსებობს, «აბსოლუტურ უარყოფას» სინამდვილეში ადგილი არა აქვს. ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით, თუ, მაგ., A იქ-

ნება «ჩანასახი», non-A იქნება «არა-ჩანასახი». მეორე პირველის აბსოლუტური, ცალმხრივი, შიშველი უარყოფაა, რაიმე დადებითი შინაარსის გარეშე. ჩანასახის ამგვარ უარყოფას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს რეალურ სინამდვილეში და, მაშასადამე, A და non-A-ს ურთიერთობა ამ მხრივ ობიექტურ საფუძველს მოკლებულია. რეალურ ურთიერთობაში ჩანასახის ნამდვილი უარყოფა არის მცენარე. მცენარე არის ნამდვილი, რეალური «არაჩანასახი», რომელიც უარყოფს ჩანასახს. მაგრამ ეს უკვე გარკვეული უარყოფაა, განვითარების პროცესია. «არაჩანასახი» სხვაა, ვიდრე ჩანასახი, მაგრამ გარკვეული სხვაა, „თავისი სხვაა", რომელშიც რეალურად გადადის იგი. ეს გადასვლა ცალმხრივი მოსპობა კი არაა, არამედ მოხსნა-შენახვას წარმოადგენს. ჩანასახისა და მცენარის რეალური ურთიერთობა თავის ადეკვატურ ასახვას პოულობს სათანადო ცნებათა ლოგიკურ ურთიერთობაში, როცა ერთი ცნებიდან მეორეზე გადასვლა გაგებულია, როგორც დიალექტიკურ-ლოგიკური უარყოფა.

* * *

ლოგიკური უარყოფის დიალექტიკური გაგება იმ ურთიერთობის გასაღებია, რომელიც არსებობს სუბიექტსა და პრედიკატს შორის უარყოფით მსჯელობაში. მსჯელობის სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობა საგნისა და გარკვეულობის ობიექტურ ურთიერთობას ასახავს. გარკვეულობა, ერთი მხრით, საგნის რეალური დადგენაა, მეორეს მხრით, — მისი უარყოფა[57]. საგნისა და გარკვეულობის რეალური ურთიერთობის ამ ორ მხარეს გამოხატავს დადებითი და უარყოფითი მსჯელობა.

ტრადიციულ ლოგიკას არ ესმის საგნისა და გარკვეულობის შინაგანი კავშირი. პრედიკატი, ტრადიციული ლოგიკის თანახმად, როგორც წესი, საგნის ნიშანს გამოხატავს. მაგრამ თვით ნიშნის ცნების კონკრეტული გაგება ძველ ლოგიკას არ ჰქონია. ტრადიციული ლოგიკის განმარტებით ნიშანი არის ის, რაც საგანს საერთო აქვს სხვა საგნებთან, ან განასხვავებს მათგან. მაგრამ ამ განსაზღვრაში არ ჩანს ნიშნის კონკრეტული კავშირი თვით საგანთან.

---

[57] «Всякая конкретная вещь, всякое конкретное нечто стоит в различных и часто противоречивых отношениях ко всему остальному, ergo, бывает самим собой и другим» (В. И. Ленин, Соч., т. 38, с. 127).

საგნისა და გარკვეულობის შინაგანი კავშირის გაგება ნიშნავს გარკვეულობა განვიხილოთ, როგორც საგნის საკუთარი მოძრაობა, მისი თვითმოძრაობა და თვითგანვითარება. ამგვარ ონტოლოგიურ საფუძველზე პრინციპულად ახლებურ ახსნას ღებულობს სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობაც. დიალექტიკური ლოგიკის თანახმად პრედიკატი გარედან კი არ „ემატება“ ან „მიეწერება“ სუბიექტს, არამედ წარმოადგენს თვით სუბიექტის საკუთარ მოძრაობას, მის თვითმოძრაობას და თვითგანვითარებას.

დიალექტიკური ლოგიკა, როგორც ცნობილია, შუალობითი შემეცნების პრინციპს იცავს და გადაჭრით უპირისპირდება ინტუიტივიზმს. ამ თეორიის თანახმად მსჯელობა საგნის მეცნიერული შემეცნების აუცილებელი ფორმაა. მაგრამ მარქსიზმი გადაჭრით უარყოფს თვით შუალობითი შემეცნების მეტაფიზიკურ გაგებას, რაც მსჯელობის ბუნების ტრადიციულ გაგებაშიც ვლინდება. შუალობითი ცოდნის მეტაფიზიკური გაგების საილუსტრაციოდ შეიძლება ავიღოთ მსჯელობათა რიგი:

A არის B
A არის C
A არის D და ა. შ.

A არის მსჯელობის სუბიექტი, რომელიც ირკვევა პრედიკატთა სიმრავლეში. თუ რა არის A, ირკვევა პრედიკატთა საშუალებით (შუალობით): ის არის B, ის არის C, ის არის D და ა. შ. მაგრამ რას წარმოადგენს თ ვ ი თ ო ნ იგი, პრედიკატების გარეშე, ვიდრე ისინი იქნებიან დასახელებული? მის შესახებ ვერაფერს ვერ ვიტყვით, რადგან, რაც ითქმება მის შესახებ, უკვე პრედიკატია. გამოდის, რომ პრედიკატების გარეშე იგი ცარიელი სიტყვაა. მაგრამ თუ ეს მივიღეთ, იქმნება პარადოქსალური ვითარება: იგი სავსებით ზედმეტია. რა საჭიროა „სუბიექტი“, რომელიც საკუთრივ არაფერს არ წარმოადგენს, ცარიელ ბგერად რჩება და მთელ თავის შინაარსს პრედიკატში ათავსებს? პარადოქსს ჰქმნის სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობის მეტაფიზიკური გაგება. მეტაფიზიკას არ ესმის შინაგანი კავშირი მათ შორის, მათი ურთიერთობა მისთვის გარეგანი მიმართებაა. ამიტომ გაშუალება, ანუ გარკვეულობათა მიწერა არ წარმოადგენს თვით სუბიექტის, თვით A-ს საკუთარ მოძრაობას, თვითონ A გაჩერებულია, როგორც მყარი საყრდენი პუნქტი. თუ აქ რაიმე მოძრაობას აქვს ადგილი, ეს არის ამ პუნქტისადმი განსხვავებულ გარკვეულობათა „მიმაგრება“, მაგრამ არა

თ ვ ი თ თ ონ ამ პუნქტის მოძრაობა. გნოსეოლოგიურ-ლოგიკური თვალსაზრისით იგი სრულიად ზედმეტი ჩანს, რადგან მონახული არაა მისი ჭეშმარიტი გამოხატვის ლოგიკური ფორმა.

ლოგიკის ისტორიაში პირველად ჰეგელმა აქცია ასეთი „სუბიექტი" მძაფრი კრიტიკის საგნად. მეტაფიზიკურ ლოგიკაში „სუბიექტი მიჩნეულია მყარ პუნქტად, რომელზეც, როგორც თავის საყრდენზე, მიბმულია პრედიკატები"[58], წერდა ის. სუბიექტი განსხვავდება პრედიკატისაგან. ამ აზრით სუბიექტიდან პრედიკატზე გადასვლა სუბიექტის უარყოფას წარმოადგენს, ამბობს ჰეგელი. მაგრამ უარყოფის ძალა იმაშია, რომ სუბიექტი სწორედ სხვასთან კავშირში იძენს ნამდვილ თავისთავადობას. სიკვდილი შეიძლება ავიღოთ გარეგან დაპირისპირებაში სიცოცხლესთან. მაგრამ მოძრავი საგნის სიცოცხლე არის „არა ის სიცოცხლე, რომელსაც აშინებს სიკვდილი და მხოლოდ ინახავს თავს დანგრევისაგან, არამედ ის, რომელიც მას თვით განიცდის თავის თავში და ინახება მასში"[59]. საგანი არ არის რაღაც მხოლოდ დადებითი, რომელიც უბრალოდ გვერდს უვლის ნეგატიურს, არამედ იგი, როგორც დადებითი, ერთიანობაშია ნეგატიურთან. ეს ერთიანობა აძლევს მას იმ ძალას, „რომელიც ნეგატიურს აბრუნებს არსში"[60].

დიალექტიკური ლოგიკის თანახმად სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი განვითარების ურთიერთობას წარმოადგენს. პრედიკატი სუბიექტს მექანიკურად კი არ „ემატება", არამედ მისი საკუთარი მოძრაობაა. მსჯელობა პრედიკატთა სიმრავლეს უძრავ სუბიექტს კი არ „აწებებს", არამედ შინაგან მოძრაობას წარმოადგენს სუბიექტიდან პრედიკატისაკენ. პრედიცირება გაჩერებულ სუბიექტს კი არ გულისხმობს, არამედ მოძრავ სუბიექტს. სუბიექტი უძრავად კი არ „ატარებს" პრედიკატებს, არამედ გადადის თავის პრედიკატებში და ხორციელდება მათში. პრედიკატი, ამ აზრით, სუბიექტის გაგრძელებაცაა და უარყოფაც. პრედიკატი არის პასუხი კითხვაზე: რა არის სუბიექტი? ამ მხრივ იგი სუბიექტის დადგენაა. მაგრამ პრედიკატი განსხვავდება სუბიექტისაგან. ამ მხრივ იგი მისი უარყოფაა. ეს არ არის აბსოლუტური დადგენა და უარყოფა. ეს არის ისეთი დადგენა, რომელიც უარყოფის მომენტს

---

[58] Г е г е л ь. Сочинения, т. 4, с. 11.
[59] იქვე, გვ. 17.
[60] იქვე.

გულისხმობს და ისეთი უარყოფა, რომელიც დადებით მომენტს გულისხმობს.

განსაზღვრება არის უარყოფა, ამბობდა სპინოზა. როგორ უნდა გავიგოთ ეს დებულება? როცა მე სუბიექტს მივაწერ პრედიკატს, ამით გამოვხატავ სუბიექტის რაიმე გარკვეულობას. მაგ., მსჯელობაში «ივანე არის ადამიანი», პრედიკატი ივანეს გარკვეულობას გამოხატავს. ამით მე სწორედ იმას ვამბობ, თუ რა არის ივანე, ვარკვევ მას. ეს ყველაფერი თითქოს თავისთავად გასაგებია. მაგრამ სპინოზას დებულებით ყოველი გარკვეულობა არის უარყოფა. ამ დებულებას ეთანხმებიან და ხშირად იყენებენ მარქსიზმის კლასიკოსები. რას გულისხმობს იგი? ფილოსოფიურ ლიტერატურაში ამ დებულებას ხშირად ასეთ ინტერპრეტაციას აძლევენ: როცა ჩვენ საგნის შესახებ რაიმე გარკვეულობას ვამტკიცებთ, ამით მოცემულ საგანს ვანსხვავებთ ყველა სხვა საგნისაგან. ამ აზრით არის გარკვეულობა უარყოფა. მაგ., ვამტკიცებთ, რომ „ივანე არის ადამიანი», ეს იმას ნიშნავს, რომ ივანე არ არის ცხენი, არ არის მთა, არ არის მთვარე და ა. შ. აი, აქ გამოყენებული «არ არის» წარმოადგენს სწორედ უარყოფის მომენტს, რომელსაც გულისხმობს გარკვეულობა. ამასთან, ზოგჯერ აღიარებულია ლოგიკური გაპირობებაც, ივანე არის ადამიანი, ი მ ი ტ ო მ, რომ ის არ არის ცხენი, მთა, მთვარე და ა. შ. ამაზე დაიყვანება ლოსკის აზრიც ე. წ. უარყოფითი გარკვეულობის შესახებ, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი. რომელიმე საგნის თვისობრივი გარკვეულობა ნიშნავს, რომ «ის გამორიცხავს თავისი შემადგენლობიდან მ თ ე ლ ს ა მ ყ ა რ ო ს, გარდა თავისი თავისა»[61], წერს ლოსკი. ორი კანონი, იგივეობისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონები უდევს საფუძვლად გარკვეულობას: A არის A და არ არის არა-A. დადებითი და უარყოფითი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კი არ არსებობენ, არამედ განუყრელ კავშირში. «Положительность и отрицательность суть равноправные и неразрывно связанные друг с другом стороны качества, как определенности»[62]. მსჯელობის სფეროში თვისობრივი გარკვეულობის ეს ბუნება ვლინდება იმაში, რომ ყოველი ა ი ამ საგნობრივი ვითარების დადგენა შეიცავს საწინააღმდეგო საგნობრივი ვითარების გამორიცხვასაც.

იქნება თუ არა სწორი სპინოზას დებულების ამგვარი ინტე-

---

[61] იხ. «Логос», 1912-1913, с. 94.

[62] იქვე, გვ. 98.

რპრეტაცია? არა, არ იქნება სწორი. ეს მისი ზერელე, ზედაპირული ინტერპრეტაციაა. სპინოზას მშვენიერი ფორმულა უფრო ღრმა აზრს შეიცავს[63].

ამ ინტერპრეტაციის თანახმად გარკვეულობა მოცემულ საგანს გამოყოფს და განასხვავებს ყველა სხვა საგნისაგან: რაიმე არის ეს და არ არის სხვა, რაიმე, როგორც ამგვარად არსებობა, გამოიყოფა სხვაგვარად არსებობისაგან. ივანე არის ადამიანი, რადგან ის არ არის ცხენი, მთა, მთვარე და ა. შ. ეს მომენტი ესათუოდ იგულისხმება სპინოზას დებულებაში, ჩვენ ამას არ უარვყოფთ. მაგრამ ამაზე არ დაიყვანება მისი აზრი, ეს არც მთავარია. ამიტომ არის ეს ინტერპრეტაცია არაზუსტი, არასრული და ყალბი. ძირითადი, მთავარი, არსებითი სხვა მომენტია.

ამ დებულების დიდი მნიშვნელობა ისაა, რომ იგი საგნისა და გარკვეულობის შინაგან ურთიერთობას ითვალისწინებს. საგნის გარკვეულობა მისი შინაგანი უარყოფაა. პრედიკატი, რომელიც საგნის გარკვეულობას ასახავს, სუბიექტის თავისებური შინაგანი საზღვარია. როცა მე საგნის გარკვეულობას ვასახელებ, ამით მას არა მხოლოდ სხვა საგნებისაგან გამოვყოფ (თუმცა აქ ეს მომენტიც იგულისხმება), არამედ, რაც მთავარია, თავისებურად შემოვსაზღვრავ, შემოვფარგლავ თვით მას. გარკვეულობა საგნის ერთგვარი დაბოლოებაა, უარყოფის მომენტი აქ არა მხოლოდ საგნის სხვა საგნებისაგან განსხვავებას გამოხატავს, არამედ საგნის შინაგან განსხვავებას. გარკვეულობა არ არის საგანი, საგნისა და გარკვეულობის განსხვავება, როგორც შინაგანი უარყოფა,—აი, რა მომენტია დაჭერილი დებულებაში: «Omnis determinatio est negatio». მაგ., რას ნიშნავს ამ თვალსაზრისით მსჯელობა: «ივანე არის ადამიანი?» ა) ივანე არის ადამიანი, რამდენადაც ის არაა «არაადამიანი,» არ არის ცხენი, მთა, მთვარე, და ა. შ. ამდენად, გარკვეულობა საზღვარს აელებს და გამოყოფს საგანს დანარჩენი სამყაროსაგან. აქ გამოყენებულია უარყოფა, მაგრამ არა შინაგანი, არამედ გარეგანი უარყოფა: რაიმე არის A და არ არის არა-A ბ) მაგრამ ამაზე არ დაიყვანება განსახილველი დებულების შინაარსი. უფრო არსებითია ის, რომ იგი ემყარება და იყენებს შინაგანი უარყოფის ცნებას: ადამიანი უარყოფით მიმართებაშია თვით ივანესთან. თუ ივანეს აღვნიშნავთ A-თი, ადამიანი იქნება არა-A, მაგრამ არა ტრადიციული

---

[63] თუმცა თვითონ სპინოზას ბოლომდე დიალექტიკურად არ ესმოდა მისი აზრი, ისევე როგორც მის მიერ ბოლომდე გააზრებული არ არის causa sui-ს დიალექტიკა.

ლოგიკის გაურკვეველი არა-A, არამედ A-ს გარკვეული სხვა, «მისი სხვა», გარკვეული უარყოფა. A არის არა-A,—ასეთია ამ დებულების ძირითადი აზრი და შინაარსი. ივანე ერთეულია, ადამიანი ზოგადი. ერთეული და ზოგადი დიალექტიკური წინააღმდეგობის მხარეებია. წინააღმდეგობის მხარეები ერთმანეთს უარყოფენ, ადამიანი ივანეს უარყოფაა, მაგრამ ეს უარყოფა, ამავე დროს, მისი გარკვეულობაა, გარკვეულობა არის უარყოფა.

კ. მარქსი სპინოზას ამ დებულების მაგალითად თვლის წარმოებისა და მოხმარების ურთიერთობას. აკრიტიკებს რა წარმოებისა და მოხმარების «ზერელე» (როგორც თვითონ უწოდებს) გაგებას, შესავალში შრომისა — «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკასათვის», კ. მარქსი აჩვენებს მათს ღრმა შინაგან კავშირ-ერთიანობას. მოხმარება წარმოების წინააღმდეგობა, მაგრამ ისინი, ერთმანეთს გვერდით კი არ არსებობენ, როგორც იზოლირებული და თავისთავადი მოვლენები, არამედ ერთმანეთში გადადიან, წარმოება არის მოხმარება, მოხმარება არის წარმოება. «წარმოების და მოხმარების ამ იგივეობას მივყევართ სპინოზას დებულებამდე determinatio est negatio»[64]. დებულებას «წარმოება არის მოხმარება» მხოლოდ ის აზრი კი არა აქვს, რომ წარმოება განირჩევა non-A-ს გაურკვეველი სამყაროდან, არამედ იგი გამოხატავს საგნის შინაგან უარყოფას, როგორც მის არსებით მომენტს, მოხმარება წარმოების უარყოფაა, წარმოება არის მოხმარება.

* * *

რა საფუძველს ეყრდნობა უარყოფითი მსჯელობა? უარყოფითი მსჯელობა გარკვეულ საგნობრივ ვითარებას ასახავს, გარკვეულ ობიექტურ საფუძველს ეყრდნობა და ამით მართლდება, ასეთია სწორი მეცნიერული პასუხი ამ კითხვაზე. მაგრამ ეს ზოგადი პასუხია. რაში მდგომარეობს კონკრეტულად მისი ეს „ობიექტური საფუძველი?“ სანიმუშოდ ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს საბჭოთა ლოგიკური ლიტერატურიდან.

1. ნ. ი. კონდაკოვი («Логика», 1954 г.): დადებითი მსჯელობა ასახავს საგნის მიერ რაიმე ნიშნის ქონებას, უარყოფითი კი რაიმე ნიშნის არქონებას;

---

[64] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953 გვ. 266.

2. ა. ვ. დროზდოვი («Вопросы классификации суждений», 1956 г.): დადებითი მსჯელობა ასახავს კავშირის არსებობას მოვლენებს შორის, უარყოფითი კი კავშირის არარსებობას;

3. ბ. ს. პოპოვი («Суждение», 1957 г.): დადებით მსჯელობაში გვაქვს საგნისადმი რაიმე ნიშნის მიკუთვნება, იგი გამოხატავს საგნის მიერ რაიმე ნიშნის ქონებას, უარყოფითი კი საგნის მიერ რაიმე ნიშნის არქონებას;

4. დ. ბ. გორსკი («Логика», 1963 г.): მსჯელობა, რომლის სტრუქტურა გამოიხატება ფორმულით S არის P, დადებითია, მსჯელობა, რომლის სტრუქტურა გამოიხატება ფორმულით S არ არის P, უარყოფითია. «В отрицательных суждениях отрицание какого-либо признака у предмета понимается как о т с у т с т в и е этого признака у него» (с. 103).

დასახელებული ავტორები უარყოფითი მსჯელობის პრობლემას სულ რამდენიმე აბზაცს უთმობენ და ზემოთ მოყვანილი მარტივი, ზერელე პასუხით კმაყოფილდებიან. ეს პასუხი ერთი წინადადებით გამოითქმება: უარყოფითი მსჯელობა ასახავს საგნის მიერ რაიმე ნიშნის არქონებას. ასეთი პასუხი თავისთავად სწორია. მართლაც, არსებობენ უარყოფითი მსჯელობები, რომლებიც უბრალოდ საგნის მიერ რაიმე ნიშნის არქონებას გამოხატავენ. მაგრამ საერთოდ უარყოფითი მსჯელობის ამ ფუნქციამდე დაყვანა სწორედ რომ მისი შემეცნებითი ღირებულების დამცირებაა, რის გამოც ცარიელ ფრაზად რჩება ზიგვარტის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა უარყოფითი მსჯელობის დიდი შემეცნებითი მნიშვნელობის შესახებ. ეს პასუხი გაურკვეველად ტოვებს კითხვებს: ა) რატომ არის საჭირო, ან როგორ შეიძლება საგნის დახასიათება იმ ნიშნით, რომელიც მას არ ეკუთვნის? ბ) რას ნიშნავს უარყოფითი მსჯელობის მჭიდრო შინაგანი კავშირი დადებით მსჯელობასთან?

აღებულია რაიმე საგანი: რა ნიშნები მიეკუთვნება, ახასიათებს, გააჩნია მას? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა დადებითი მსჯელობა. რა ნიშნები არ მიეკუთვნება, არ ახასიათებს, არ გააჩნია მას? ამაზე უარყოფითი მსჯელობა პასუხობს. მაგ., „ივანე არ ეწევა პაპიროსს“, „პეტრეს არ აქვს უმაღლესი განათლება“, „მთვარეზე არ არის სიცოცხლე“ და ა. შ.

«S არ არის P», ასეთია ამ მსჯელობათა ზოგადი სტრუქტურა. მაგრამ რა აზრი აქვს პრედიკატს ასეთ უარყოფით მსჯელობაში? ის

არ შეიძლება განისაზღვროს, როგორც ისეთი რამ, რაც სუბიექტს მიეწერება, პირიქით, ის არ მიეწერება სუბიექტს, «ივანე არ ეწევა პაპიროსს», «მთვარეზე არ არის სიცოცხლე» და ა. შ. მაგრამ შეიძლება თუ არა პრედიკატად იწოდოს ის, რაც «არ მიეწერება» სუბიექტს? ასეთი განმარტება სრულიად გაურკვეველს გახდიდა პრედიკატის ცნებას. მაშინ, მაგ., «ივანეს» პრედიკატად უნდა ჩავთვალოთ ყველაფერი ის, რაც მას არ მიეწერება და არ მიეკუთვნება. მაგრამ უდავოა, რომ ასეთ უარყოფით მსჯელობებს არავინ მიმართავს, მით უფრო დაუშვებელია იგი მეცნიერებაში. მაშ, გვაქვს თუ არა საერთოდ პრედიკატი უარყოფით მსჯელობაში? პრედიკატის გარეშე უარყოფითი მსჯელობა არც იქნებოდა მსჯელობა. სად არის გამოსავალი? როგორც ვნახეთ, არ ვარგა იმის თქმა, რომ «უარყოფით მსჯელობაში პრედიკატი არ მიეწერება სუბიექტს». იქნება თუ არა სწორი ვთქვათ, რომ «უარყოფით მსჯელობაში სუბიექტს მიეწერება ის, რომ მას არ მიეწერება პრედიკატი?» რა აზრი აქვს ასეთ დებულებას? სქემატურად: «S არის ის, რაც არ არის P»; «ივანე არის ის, ვინც არ ეწევა პაპიროსს», «მთვარე არის ის, რომელზეც არ არის სიცოცხლე» და ა. შ. რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ეს ორი ფორმულა: 1. S არ არის P; 2. S არის ის, რაც არ არის P? მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი უშუალოდ მხოლოდ უარყოფის მომენტს შეიცავს ,მეორე კი უარყოფის გარდა დასტურის მომენტსაც ამჟღავნებს. «S არის ის, რაც არ არის P», თავის მხრით ნიშნავს «S არის არა-P».

ამრიგად, თვით უარყოფითი მსჯელობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის არ მოიაზრება დასტურის მომენტის გარეშე. მხოლოდ უარყოფა, შიშველი უარყოფა მსჯელობას შეუძლებელს გახდიდა. ამ აზრით, არ არსებობს აბსოლუტურად უარყოფითი მსჯელობა. ყოველი უარყოფითი მსჯელობა შედარებით უარყოფითი მსჯელობაა, რომელიც გულისხმობს, მოითხოვს და საჭიროებს დადებით მსჯელობას.

აქ საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ უარყოფითი მსჯელობა ყოველი ნიშნის არქონებას როდი ამტკიცებს. რაზეა ეს დამოკიდებული? თვით სუბიექტის დადებით გარკვეულობაზე. ამ მხრივ თვით მსჯელობის სუბიექტი განსაზღვრავს და იქვემდებარებს იმას, თუ რა უნდა იქნეს უარყოფილი მის შესახებ. მსჯელობა „S არ არის P" წინასწარ გულისხმობს სუბიექტისა და პრედიკატის საერთო სფეროს, მათს თავისებურ ერთიანობას. მაგ., სავსებით კანონიერია და მეცნიერება მიმართავს ასეთ უარყოფით მსჯე-

ლობას: „მთვარეზე არ არის სიცოცხლე“, მაგრამ უაზრობად ჩათვლიდნენ, რომ ვინმეს ეთქვა: „მთვარე არ ეწვევა პაპიროსს“, „მთვარეს არ აქვს უმაღლესი განათლება“ და ა. შ.

უარყოფითი მსჯელობა ასახავს საგანთა განსხვავებას, მათს გარეგან წინააღმდეგობას, გარკვეულობის გარეგან მხარეს, საგნის სხვაგვარად არარსებობას. მაგრამ უარყოფითი მსჯელობის ძირითადი საფუძველი საგნისა და გარკვეულობის შინაგან ურთიერთობაში, საგნის შინაგან განსხვავებაში და შინაგან წინააღმდეგობაში უნდა ვეძიოთ.

მსჯელობა სპეციფიკური სახის შინაგანი წინააღმდეგობით ხასიათდება. იგი ორ ლოგიკურ წევრს, S და P-ს შეიცავს და მათს ურთიერთობას გულისხმობს. მსჯელობის ეს ლოგიკური წევრები ანუ ელემენტები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, სუბიექტი არ არის პრედიკატი. ისინი რომ ერთი და იგივე იყვნენ, მსჯელობა უბრალო ტავტოლოგია იქნებოდა: „ცხენი არის ცხენი“, „მაგიდა არის მაგიდა “და ა. შ.[65] ყოველი ნამდვილი მსჯელობა განსხვავებულთა ურთიერთობას გულისხმობს. განსხვავების გარეშე მსჯელობის ორივე მხარე ერთი და იგივე ცნებითი გარკვეულობა იქნებოდა, ხოლო მსჯელობის აზრი შემდეგ სახეს მიიღებდა: „სუბიექტი არის სუბიექტი“ ან „პრედიკატი არის პრედიკატი“. ნამდვილად კი S და P განსხვავებულია, ერთი არ არის მეორე.

მიუხედავად ამისა, დადებითი მსჯელობა ამტკიცებს, რომ „სუბიექტი არის პრედიკატი“. ასეთია ხომ დადებითი მსჯელობის ზოგადი სტრუქტურა. ორი განუსხვავებელი ცნება ნამდვილ მსჯელობას ვერ მოგვცემს. მაგ. „ივანე არის ივანე“, ან „ადამიანი არის ადამიანი“. მსჯელობა გულისხმობს არა ივანეს კავშირს ივანესთან, ან ადამიანის კავშირს ადამიანთან, არამედ განსხვავებულ ლოგიკურ ერთეულებს: „ივანე არის ადამიანი“. „ივანე“ და „ადამიანი“ განსხვავებულნი არიან, ერთი არ არის მეორე, მიუხედავად ამისა დადებითი მსჯელობა ამტკიცებს, რომ „ივანე არის ადამიანი“. განსხვავებულნი იგივეობაში არიან, აი, რას ამტკიცებს მსჯელობა[66].

---

[65] თვით ტავტოლოგიურ მსჯელობამიც (a არის a, ცხენი არის ცხენი) შენარჩუნებულია ერთგვარი განსხვავება S და P შორის. ყოველ შემთხვევაში, ლოგიკური ადგილი მაინც განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან: ერთი მეორეს. სწორედ ეს გარემოება ერთგვარად ამართლებს ტავტოლოგიურ მჯელობათა გამოყენებას ცალკეულ შემთხვევებში.

[66] „ის ფაქტი, რომ იგივეობა შეიცავს განსხვავებას, გამოხატულია ყოველ

დადებით მსჯელობაში გვაქვს ა) განსხვავებული მხარეები და ბ) მათი იგივეობა. მსჯელობაში „ივანე არის ადამიანი“, ერთის მხრით, მოცემულია ორი განსხვავებული ლოგიკური წევრი, მეორეს მხრივ, მტკიცდება, რომ „ივანე არის ადამიანი“.

დადებითი მსჯელობა ამტკიცებს, რომ „სუბიექტი არის პრედიკატი“. მაგრამ ეს წინააღმდეგობის შემცველი მტკიცებაა, სუბიექტი არა მხოლოდ არის პრედიკატი, არამედ აგრეთვე არ არის პრედიკატი. მსჯელობა: „სუბიექტი არის პრედიკატი“ მათს იგივეობას გამოხატავს, S და P-ს ურთიერთობის იმ მხარეს ეხება, რომელიც მათ იგივეობაში მდგომარეობს. თუ აქ „არის“ გაგებული იქნება, როგორც „მხოლოდ არის“, ე. ი. როგორც ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი დადებითობა, მაშინ მსჯელობა წმინდა წყლის ტავტოლოგია იქნებოდა, რომელიც ერთიდაიგივეს იმეორებს. მაგრამ ამ შემთხვევაში თვითონ მსჯელობა იქნებოდა შეუძლებელი. იგივეობის ნამდვილი აზრი განსხვავების გარეშე არ გაიგება, იგივეობა არსებობს სწორედ განსხვავებულთა შორის. ამიტომ დადებითი მსჯელობა—S არის P გულისხმობს და მოითხოვს უარყოფით მსჯელობას: S არ არის P. ასეთი „მოთხოვნა“ უაზრობად მოგვეჩვენება, თუ დადებით და უარყოფით მსჯელობებს ავიღებთ მხოლოდ გარეგან მიმართებაში, თუ მათს კავშირს გავიგებთ, როგორც ურთიერთობას აბსოლუტურად დადებითი და აბსოლუტურად უარყოფითი მხარეებისა. მაგრამ „მხარე“ არ შეიძლება „აბსოლუტური“ იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნებოდა „მხარე“. აბსოლუტურად დადებითი თვით „დადებითის“ უარყოფაა, რადგან მას აზრი აქვს უარყოფითთან მიმართებაში.

დადებითი მსჯელობა „ივანე არის ადამიანი“ გულისხმობს და მოითხოვს უარყოფით მსჯელობას „ივანე არ არის ადამიანი“. პირველი გადადის მეორეში. პირველი მეორეს მოითხოვს და მასში ვადადის იმიტომ, რომ არასრული და ნაკლოვანია. ის, რაც მას აკლია, უარყოფითი მსჯელობით უნდა იქნეს შევსებული. ამიტომ მოითხოვს და გადადის დადებითი მსჯელობა უარყოფითში. მაგრამ უარყოფითი მსჯელობა, თავის მხრით, აგრეთვე, არასრული და ნაკლოვანია. თუ დადებითი მსჯელობა ამტკიცებს „სუბიექტი

წინადადებაში, სადაც შემასმენელი ქვემდებარისაგან აუცილებლად განსხვავებულია. მთის შროშანა არის მცენარე, ვარდი არის წითელი, სადაც ან ქვემდებარეში ან შემასმენელში არის ისეთი რამ, რაც შემასმენლის ან ქვემდებარის მიერ ვერ იფარება» (ფ. ე ნ გ ე ლ ს ი , ბუნების დიალექტიკა, 1950 გვ. 219).

არის პრედიკატი", უარყოფითი — პირიქით, მათს განსხვავებას გამოხატავს: სუბიექტი არ არის პრედიკატი. როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მსჯელობა არასრული და ცალმხრივია. დადებითი მსჯელობა მხოლოდ ნაწილობრივ არის ჭეშმარიტი, შედარებითი ჭეშმარიტებით ხასიათდება. ამიტომ მოითხოვს ის უარყოფითს. მაგრამ უარყოფითი, თავის მხრით, აგრეთვე ცალმხრივი და ნაკლოვანია, ისიც მხოლოდ ნაწილობრივ არის ჭეშმარიტი, შედარებითი ჭეშმარიტებით ხასიათდება. ერთი მოითხოვს მეორეს და პირიქით. უარყოფით მსჯელობას უნდა შეევსო დადებითი, მაგრამ იგი თვითონაც ცალმხრივი და ნაკლოვანი აღმოჩნდება. აქედან ჩანს, რომ ორივე მათგანი, როგორც ცალმხრივნი, ერთმანეთს საჭიროებენ, ერთმანეთს მოითხოვენ და ერთმანეთს აკსებენ უფრო სრულ და კონკრეტულ ერთიანობამდე. ამ ერთიანობაში ისინი ერთდროულად იხსნებიან და ინახებიან, როგორც დიალექტიკური წინააღმდეგობის მოძრავი მხარეები.

დასკვნა

დადებით და უარყოფით მსჯელობათა ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია. მათ აღმოჩენას არ სჭირდება დიდი სიბრძნე. ყველა, ვინც დაუკვირდება აზროვნების თვით ყოველდღიურ პრაქტიკას, ადვილად იპოვის მათ. როგორც ჩვეულებრივი, ისე მეცნიერული შემეცნება „ყოველი ფეხის ნაბიჯზე" მიმართავს და იყენებს ერთსაც და მეორესაც. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ტრადიციულმა ლოგიკამ უკვე შორეული დროიდან შეამჩნია, დაასახელა და თავის შემადგენლობაში შეიტანა ისინი, როგორც ლოგიკური აზროვნების აუცილებელი და საყოველთაო ელემენტები.

მაგრამ ეს როდი ნიშნავდა მათი ურთიერთობის მეცნიერულ კაგებას. ტრადიციულ ლოგიკას აუხსნელი დარჩა თითოეული მათგანის არსებითი ბუნება, ხოლო განსაკუთრებულ სიძნელედ იქცა მათი ურთიერთობის მოგვარება. ეს გასაგები უნდა იყოს: მეტაფიზიკური თვალსაზრისით, დიალექტიკის გარეშე, ამ ურთიერთობის გადაწყვეტა შეუძლებელია.

ამიტომ მეტაფიზიკოსთა ერთმა ნაწილმა თვით პრობლემა თავისებურად გააუქმა იმით, რომ უარი თქვა უარყოფითი მსჯელობის ლოგიკურ ღირებულებაზე. ლოგიკურად მნიშვნელოვანი და

ღირებული მხოლოდ დადებითი მსჯელობაა, ამბობენ ისინი; ე. წ. უარყოფითი მსჯელობა სხვა არაფერია, თუ არ მტკიცება დადებითი მსჯელობის მცდარობის შესახებ, იგი თვითონაც დადებითი მსჯელობაა — დადებითი მსჯელობის მცდარობის შესახებ (ზიგვარტი და სხვ.).

მაგრამ ასეთი პასუხი ვერ ითვალისწინებს პარადოქსალურ ვითარებას, რომელშიც იგი ვარდება. ეს პასუხი ძველი სიძნელის გადაწყვეტად იყო მიჩნეული. მაგრამ თვით იგი უფრო მეტ სიძნელეთა წინაშე აღმოჩნდა. როცა უარყოფით მსჯელობას უარი ეთქვა, დარჩა მხოლოდ დადებითი მსჯელობა. მაგრამ „დადებით მსჯელობას“ აზრი ეკარგება „უარყოფითის“ გარეშე. უარყოფითი მსჯელობის გადაგდება მოსპობით ემუქრება დადებით მსჯელობასაც. ვინც ამბობს „არსებობს მხოლოდ დადებითი მსჯელობა“, სწორედ ამ მტკიცებით უარს ეუბნება არა მხოლოდ უარყოფით, არამედ დადებით მსჯელობასაც. კორელატურ ცნებათა ყოველი ურთიერთობა ამის ცხადი მაგალითია. შეიძლება განა წარმოვიდგინოთ „მამის“ ცნება „დედის“ გარეშე? ვინც იტყვის „არსებობს მხოლოდ მამა“. თვით ამ მტკიცებით აუქმებს თავის დებულებას. ანალოგიური ვითარებაა დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობაში. უარყოფითი მსჯელობის მოცილებით აზრი დაეკარგა დადებით მსჯელობასაც. ამ სიძნელის თავისებური გაგების, მაგრამ უცნაური გადაწყვეტის ცდა იყო იმის მტკიცება, რომ „ნამდვილი ლოგიკური მსჯელობა“ არც უარყოფითია და არც დადებითი, დასტური და უარყოფა მსჯელობა კი არაა, არამედ — შეფასება. წმინდა „თეორიული მსჯელობა“ მხოლოდ კითხვაა, პრობლემაა, რომელიც არც დადებითია და არც უარყოფითი (ვინდელბანდი და სხვ.).

მაგრამ რომც არ მივიღოთ მხედველობაში ამ მტკიცებიდან მომდინარე შედეგები („ღირებულების ფილოსოფია“ და ა. შ.), თვით ეს დებულება მსჯელობის თეორიის თვალსაზრისით ნამდვილ ლოგიკურ უაზრობას შეიცავს. დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობის მეცნიერული გადაწყვეტის მაგიერ „ანალიზის“ ამ პროცესში დაიკარგა... თვითონ მსჯელობა! დასტურისა და უარყოფის მსჯელობიდან გამოტანა შედეგად „ნამდვილ მსჯელობას“ კი არ გვაძლევს, არამედ აუქმებს მას. ზიგვარტის პოზიციიდან დადებითი მსჯელობა მაინც რჩებოდა. აქ კი გვეუბნებიან, რომ მსჯელობა, ამ სიტყვის ლოგიკური მნიშვნელობით, არც უარ-

ყოფითია და არც დადებითი. მაგრამ რა რჩება მსჯელობიდან დასტურისა და უარყოფის გამოკლებით? ამით ისპობა თვითონ მსჯელობა. იგი უიგივდება ტრადიციულად გაგებულ ცნებას ან, უკეთეს შემთხვევაში, კითხვას და პრობლემას („ჰიპოთეზური კავშირი"), რომელშიც არაფერი დასტურდება და უარიყოფა. მაგრამ მსჯელობა კითხვა კი არ არის, არამედ სწორედ კითხვის გადაწყვეტაა.

ასეთია დამახასიათებელი შედეგები (თუ ძირითადსა და არსებითს მივიღებთ მხდველობაში), რომელთაც მარქსამდელმა ლოგიკამ, დიალექტიკის გარეშე, მიაღწია დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობის გაგებაში.

დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობა ნამდვილ მეცნიერულ გადაწყვეტას პოულობს მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკის პოზიციებიდან. თვით პრობლემა „დადებით და უარყოფით მსჯელობათა შესახებ" უკვე შეიცავს ისეთ ცნებათა დიალექტიკურ დაპირისპირებას, როგორიცაა „დადებითი" და „უარყოფითი". ამის შენდეგ მართლაც ბუნებრივია იმის თქმა, რომ ამ მსჯელობათა ურთიერთობის სწორი მეცნიერული გადაწყვეტა შეუძლებელია დიალექტიკის გარეშე. დიალექტიკის არსებას სწორედ იმის გარკვევა შეადგენს, თუ რას ნიშნავს საგნის შინაგანი წინააღმდეგობა და რა ურთიერთობაა წინააღმდეგობის მხარეებს შორის.

დადებითი და უარყოფითი დიალექტიკური წინააღმდეგობის მხარეებია. ყოველი მოძრავი საგანი დადებით და უარყოფით მხარეთა ერთიანობას წარმოადგენს. „რომელიმე დაპირისპირებულობის ორივე პოლუსი, დადებითი და უარყოფითი, ისევე გაუთიშავი არიან ერთიმეორისაგან, როგორც ერთიმეორისადმი დაპირისპირებულნი არიან და ისინი ურთიერთდაპირისპირებულობის მიუხედავად ერთმანეთს მსჭვალავენ"[67]. ამ ობიექტურ („ონტოლოგიურ") საფუძველზე წყდება დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობის საკითხიც. დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობა თავისებურად ასახავს და გამოხატავს ობიექტური საგნის საწინააღმდეგო მხარეთა ურთიერთობას, ისინი 1) ერთმანეთს უპირისპირდებიან და უარყოფენ, 2) ერთმანეთს მოითხოვენ და ერთმანეთზე არიან დამოკიდებული, 3) ერთმანეთში გადადიან.

---

[67] ფ. ენგელსი, ანტიდიურინგი, გვ. 28.

აქ შეიძლება ერთგვარი შედარება გაკეთდეს: ა) ტრადიციული ლოგიკის თანახმად დადებითი და უარყოფითი მსჯელობები დამოუკიდებელი და ერთმანეთის გვერდით არსებული ფორმებია; ეს იგივეა, რომ ფიზიკაში ვინმემ დადებითი და უარყოფითი მოვლენები (მაგ., მუხტები, პოლუსები) ერთმანეთის გვერდით და დამოუკიდებლად აღიაროს; ბ) ზიგვარტის მტკიცებით უარყოფითი მსჯელობა გულისხმობს და მოითხოვს დადებითს, მაგრამ დადებითი არ გულისხმობს უარყოფითს; ეს იგივეა, რომ ფიზიკაში ვინმე დადებით პოლუსს უშვებდეს უარყოფითის გარეშე იმ მოტივით, რომ დადებითი არის დადებითი თავისთავად, უარყოფითთან მიმართების გარეშე ე. ი. დამოუკიდებელი და აბსოლუტური მნიშვნელობით; გ) ამ ფონზე შართლაც ბუნებრივი ჩანს დიალექტიკური ლოგიკის პოზიცია, რომლის თანახმად დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობა ასახავს ყოველი საგნის საწინააღმდეგო (დადებით და უარყოფით) მხარეთა ობიექტურ ურთიერთობას.

საგნის საწინააღმდეგო (დადებითი და უარყოფითი) მხარეები არ შეიძლება ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოვიდგინოთ. ასევე დადებითი და უარყოფითი მსჯელობა არ შეიძლება ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოვიდგინოთ, როგორც ეს ტრადიციულ ლოგიკაში იყო მიჩნეული. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ისინი ერთი და იგივეა, ან ერთი დაიყვანება მეორეზე (ასე ფიქრობს ზიგვარტი). მაშინ არც მათი ურთიერთდამოკიდებულება გვექნებოდა. მაგრამ ისინი აზრს კარგავენ ერთმანეთის გარეშეც. ერთმანეთის გვერდით არსებობა გარეგან მიმართებას გულისხმობს, ერთი შეიძლება ცალკე განვიხილოთ ისე, რომ მეორეს არც კი შევეხოთ. დადებით და უარყოფით პოლუსთა ურთიერთობა კი არ შეიძლება ამგვარად წარმოვიდგინოთ: მაგნიტი რომ შუაზე გაეჭრათ, ყოველი ნაწილი ხელახლა ორ პოლუსს გაიჩენს. ერთიანობის საწინააღმდეგო პოლუსები სწორედ იმას გულისხმობს, რომ ერთი არ შეიძლება მოვიცილოთ და მეორე თავის ადგილზე დარჩეს. რა ურთიერთობაა ერთიანი საგნის შინაგან საწინააღმდეგო მხარეთა შორის? აი, საფუძველი და „ანალოგი" დადებით და უარყოფით მსჯელობათა ლოგიკური ურთიერთობისა.

მაშ, რას ემყარება უარყოფითი მსჯელობა? ა) უარყოფითი მსჯელობის ობიექტურ საფუძველს შეადგენს საგნის მიერ რაიმე გარკვეულობის (ნიშნის, თვისების, მიმართების და ა. შ.) არქონება, ასეთია

ფართოდ გავრცელებული (ჩვენს ლოგიკურ ლიტერატურაშიც) პასუხი ამ კითხვაზე. მაგრამ ეს ზოგადი და ზერელე პასუხია. იგი არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, თუმცა თავისთავად სწორია: არსებობენ უარყოფითი მსჯელობები, რომლებიც უბრალოდ რაიმე ნიშნის არქონებას გამოხატავენ. მაგ., „ივანე არ ეწევა პაპიროსს", „პავლეს არა აქვს უმაღლესი განათლება" და ა. შ.; ბ) არსებითად იგივეა, ან ამაზე დაიყვანება დებულება, რომ უარყოფითი მსჯელობა გამოხატავს საგანთა გარეგან განსხვავებას და გარეგან დაპირისპირებას. თავისთავად ესეც სწორია, უარყოფით მსჯელობას მართლაც აქვს ასეთი ასპექტი, არსებობენ უარყოფითი მსჯელობები, რომლებიც სხვა საგანთაგან განსხვავებაზე, ამ საგნის სხვა საგანთან დაპირისპირებაზე იუწყებიან. მაგ., „ადამიანი არ არის ცხენი". „თევზი არ არის ბაყაყი", „კაპიტალიზმი არ არის ფეოდალიზმი" და ა. შ. ამასვე გამოხატავს ტრადიციული ფორმულა: „A არ არის non-A", როცა „non-A"-ს ქვეშ იგულისხმება ყველაფერი („მთელი სამყარო") გარდა A-სი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც განსხვავება და დაპირისპირება გულისხმობს გარკვეულ ერთიანობას, „საერთო სფეროს"; რის გარეშეც უარყოფითი მსჯელობა უსარგებლო და ზერელე ხდება (მაგ., „ადამიანი არ არის მთვარე", „მთვარე არ ეწევა პაპიროსს", „კაპიტალიზმი არ არის აქლემი" და ა. შ.). როცა ვამბობთ „ივანე არ ეწევა პაპიროსს", ვგულისხმობთ ადამიანთა საერთო სფეროს; „ფეოდალიზმი არ არის კაპიტალიზმი" გულისხმობს, რომ ორივე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციაა და ა. შ.; გ) უარყოფითი მსჯელობის მთავარ ობიექტურ საფუძველს შეადგენს საგნის არსებაში მონაწილე რეალური უარყოფა, საგნისა და გარკვეულობის შინაგანი წინააღმდეგობა. ესაა ძირითადი და არსებითი, რომელიც ნამდვილ ობიექტურ გამართლებას, ლოგიკურ სრულუფლებიანობასა და ღირებულებას ანიჭებს უარყოფით მსჯელობას. მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკის ეს დებულება პრინციპულად ახალია ლოგიკის ისტორიაში და ძირეულად უპირისპირდება პრობლემის ყოველ სხვა გადაწყვეტას. ამ პოზიციებიდან მთელი სიგრძე-სიგანით წარმოგვიდგება უარყოფითი მსჯელობის როლი და ადგილი ლოგიკური აზროვნების სისტემაში. ჰო, არა, არა, ჰო, — აი, ამ სისტემის კლასიკური ფორმულა, მოცემული ფ. ენგელსის მიერ. აქ უკვე შეუძლებელია ლაპარაკი უარყოფითი მსჯელობის შემეცნებითი მნიშვნელობის დამცირების, ან უარყოფის შესახებ, პირიქით, ი გი ისევე საჭირო და აუცილებელი ჩანს, როგორც დადებითი მსჯელობა, ორივე კი უფრო რთული მთლიანობის დაქვემდებარებული მომენტებია.

თავი VI

მსჯელობის ფორმათა მრავალგვაროვნება და მათი სუბორდინაციის პრობლემა

შორეული დროიდან იყო შემჩნეული მსჯელობის განსხვავებული სახეები. ფილოსოფიური და მეცნიერული აზრის განვითარებასთან ერთად მათი რიცხვიც თანდათან იზრდებოდა. მსჯელობის სახეთა მრავალგვარობა დღეს ლოგიკაში საყოველთაოდ მიღებული ფაქტია.

მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა, კამათი და ბრძოლა თავს იჩენს მაშინვე, როგორც კი დაისმება კითხვა ამ ფაქტის ახსნის შესახებ. შორეული დროიდან წარმოებს დავა ამის გამო. საკამათო და სადავოა ძირითადში სამი საკითხი: 1) მსჯელობის რა და რა სახეები არსებობს, 2) რა არის მათი წყარო და საფუძველი, 3) რა ურთიერთობაა მჯელობის განსხვავებულ სახეთა შორის.

* * *

მსჯელობათა პირველი კლასიფიკაცია ეკუთვნის არისტოტელეს. „ყოველი მსჯელობა არის ან მსჯელობა იმაზე, რომ მიეკუთვნება, ან იმაზე, რომ აუცილებლობით მიეკუთვნება, ან იმაზე, რომ შესაძლებლობით მიეკუთვნება, და ამ მსჯელობათაგან, იმის მიხედვით მიეწერება (რაიმე მათში), თუ არ მიეწერება, ერთნი არიან დადებითნი, მეორენი — უარყოფითნი, და შემდეგ, ერთნი დადებითნი და უარყოფითნი არიან ზოგადნი, მეორენი — კერძონი, მესამენი — განუსაზღვრელნი“[1]. როგორც ვხედავთ, აქ დასახელებულია მსჯელობის 3 სახე. მათ არისტოტელე სამ ჯგუფად ანაწილებს:

[1] Аристотель. Аналитики, М. 1952, с. 11.

I

ა) სინამდვილის მსჯელობა,
ბ) აუცილებლობის მსჯელობა,
გ) შესაძლებლობის მსჯელობა.

II

ა) დადებითი მსჯელობა,
ბ) უარყოფითი მსჯელობა.

III

ა) ზოგადი მსჯელობა,
ბ) კერძოობითი მსჯელობა,
გ) განუსაზღვრელი მსჯელობა.

რა უდევს საფუძვლად სამ ჯგუფად ასეთ დანაწილებას? სათანადო კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ს არისტოტელე არ ასახელებს, მაგრამ იძლევა ერთგვარ განმარტებას: ა) მსჯელობის თვით განსაზღვრებიდან გამომდინარეობს მისი დაყოფა დადებით და უარყოფით მსჯელობებად. ბ) სუბიექტის რაოდენობიდან გამომდინარეობს მსჯელობათა დაყოფა ზოგად (ყველა S არის (არ არის) P), კერძოობით (ზოგიერთი S არის (არ არის)P) და განუსაზღვრელ (გაურკვეველი რაოდენობით) მსჯელობებად[2]. გ) მსჯელობებში შეიძლება გამოიხატოს „მიკუთვნების“ სამი სახე: ნამდვილი, აუცილებელი და შესაძლებელი.

არისტოტელემ პირველმა მეცნიერული რეფლექსიის საგნად აქცია მსჯელობის განსხვავებული სახეები, გამოჰყო, აღრიცხა და დააზასიათა ისინი. ეს თავის დროზე დიდი და ძნელი საქმე იყო, არისტოტელეს მსჯელობის თეორიის ღირსებაა, აგრეთვე, რომ მსჯელობის განსხვავებულ სახეებს ის განიხილავს როგორც ობიექტური სინამდვილის შემეცნების ფორმებს. მსჯელობის ყველა 8 სახე,

---

[2] «ზოგადს მე ვუწოდებ მსჯელობას, როცა (A), (მაგ.,), მიეკუთვნება ყველა ან არ მიეკუთვნება არც ერთ (Б-ს), კერძოობითს,—როცა (A) მიეკუთვნება ან არ მიეკუთვნება ზოგიერთ ან მიეკუთვნება არა ყველა (Б-ს), განუსაზღვრელს, როცა რაიმე ერთი მიეკუთვნება ან არ მიეკუთვნება მეორეს, იმაზე მითითების გარეშე მიეკუთვნება თუ არა ყველა ან არაყველა (მეორეს), როგორც, მაგ., (მსჯელობა) საპირისპირონი შეისწავლებიან ერთი და იმავე მეცნიერების მიერ, ან სიამოვნება არაა სათნოება» (Аристотель, Аналитики, С. 9-10).

რომლებიც ზემოთ იყო დასახელებული, რეალური, ობიექტური ვითარების სხვადასხვა მომენტს ითვალისწინებს, ეყრდნობა და გამოხატავს.

მაგრამ მსჯელობათა პირველი კლასიფიკაცია უნაკლო ვერ იქნებოდა. ამ მხრივ ლოგიკურ ლიტერატურაში მრავალჯერ და საგანგებოდ ასაბუთებულია არისტოტელეს მოძღვრების სამი ძირითადი ნაკლი: 1) კლასიფიკაციის უსრულობა, 2) მსჯელობის ცალკეულ სახეთა არასწორი ინტერპრეტაცია, 3) მსჯელობის სახეთა შორის შინაგანი კავშირის უქონლობა. არისტოტელე ჯერ კიდევ არ იცნობს და არ ასახელებს ყველა მსჯელობას, მსჯელობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი სახეები, რომლებიც ჩვეულებრივი აზროვნებისა და მეცნიერების პრაქტიკაში გამოიყენება, გამოტოვებულია. მსჯელობის ფორმათა მრავალფეროვნება სრულებით არ ამოიწურება (არც არისტოტელეს დროს ამოიწურებოდა) იმ 8 სახით, რომელთაც არისტოტელე ასახელებს. დღევანდელი თვალსაზრისით ნაკლოვანი და მიუღებელია, აგრეთვე, თვით დასახელებულ მსჯელობათა არისტოტელესეული ინტერპრეტაცია. ლოგიკის მეცნიერების მრავალსაუკუნოვანი არსებობისა და განვითარების პროცესში შეიცვალა არა მხოლოდ მსჯელობის ძირითად სახეთა რიცხვი, არამედ თითოეული მათგანის გაგებაც. უდავოა, აგრეთვე, რომ არისტოტელეს არა აქვს მოგვარებული იმ მსჯელობათა კავშირ-ერთიანობა, რომელთაც ის ასახელებს. არა თუ მსჯელობათა სამ ჯგუფს შორის, არამედ ცალკეული ჯგუფის მსჯელობებს შორისაც შინაგანი კავშირი გაურკვეველია, არსებითად რომ ვთქვათ, არისტოტელე არც აყენებს საკითხს მათი შინაგანი კავშირ-ერთიანობის შესახებ.

მაგრამ არისტოტელეს მსჯელობის თეორიის აღნიშნული ნაკლოვანებანი გაპირობებულია ერთი ძირითადი და არსებითი ნაკლით, რომელსაც ლოგიკურ ლიტერატურაში, როგორც წესი, არ ექცევა ყურადღება. ეს არის თვით კლასიფიკაციის პ რ ი ნ ც ი პ ი ს უქონლობა. ეს მეტად არსებითი მომენტია და ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ მას. აკვირდება რა აზროვნებისა და მეტყველების საყოველთაო პრაქტიკას, არისტოტელე იწერს და ასახელებს მსჯელობის იმ ფორმებს, რომელთაც, ასე ვთქვათ, ემპირიული ძიების ამ პროცესში აწყდება. ამ აზრით სწორია ჰეგელის ცნობილი გამოთქმა, რომ მსჯელობის სხვადასხვა ფორმები არისტოტელეს მიერ „ცდაშია მოკრეფილიო“. თავისთავად ეს შეცდო-

ნა როდია. ამგვარი ცდა და ინდუქცია ლოგიკის მეცნიერების აუ-ცილებელი მომენტია, მაგრამ მ ხ ო ლ ო დ ამ გზით მსჯელობის მეცნიერული თეორიის აგება შეუძლებელია. არისტოტელე ასა-ხელებს მსჯელობის 8 სახეს. თუ დავსვამთ კითხვას: რატომ 8 და არა 16? პრინციპული პასუხი მისთვის შეუძლებელი იქნება. მაგ-რამ ამგვარი კითხვა მსჯელობის ლოგიკური თეორიის სფეროში კანონიერი და საჭიროა. არისტოტელეს შეეძლო ეთქვა, რომ მსჯე-ლობის მხოლოდ აღნიშნული სახეები გვხვდება აზროვნების პრაქ-ტიკაში და ეს უნდა მივიღოთ როგორც ფაქტი. მაგრამ მსჯელობა ლოგიკური აზროვნების თავისებური ფაქტია, რომლის ახსნა "თა-ვისი თავიდან" არ შეიძლება. იგი მეორადი, წარმოებული, დამოკი-დებული ფაქტია.

ამას არც არისტოტელე უარყოფს, ლოგიკური აზროვნება მისთვის ობიექტური სინამდვილის შემეცნების იარაღია. მით უფრო კანონიერია მის წინაშე კითხვის დასმა მსჯელობის ლოგიკური ფაქ-ტის ახსნის შესახებ: რით განისაზღვრება მსჯელობის ფორმათა მრავალგვარობა? არისტოტელე მსჯელობას განიხილავს ობიექტურ-საგნობრივ ვითარებასთან განუყოფელ კავშირში, ლოგიკურისა და ონტოლოგიურის ერთიანობა მისთვის უდავო ზოგადი პრინციპია. მაგრამ თვით მსჯელობის ფორმათა კლასიფიკაციაში ამ პრინციპის კონკრეტულ განხორციელებას ვერ აღწევს.

აქ ვლინდება წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს „კატეგო-რიების" შესახებ მოძღვრებასა და მსჯელობის თეორიას შორის. დიდი ხანია ცნობილი და აღიარებულია, რომ კატეგორიათა ურ-თიერთობის განხილვისას არისტოტელე მსჯელობის პრინციპს მი-მართავს. მაგ., კატეგორიებს ის უწოდებს „გამოთქმის ზოგად გვა-რებს", ანუ უზოგადეს პრედიკატებს. თვით არსება წარმოდგენი-ლია, როგორც სხვა კატეგორიათა სუბიექტი, რომელსაც ისინი სხვა-დასხვა მხრიდან ახასიათებენ, როგორც პრედიკატები და ა. შ. მაგ-რამ მსჯელობათა კლასიფიკაციის დროს კატეგორიისა და მსჯელო-ბის შინაგანი კავშირი დაეიწყებულია.

არისტოტელე ასახელებს შემდეგ 10 კატეგორიას:

1) არსება,
2) თვისობრიობა,
3) რაოდენობა,
4) მიმართება,
5) ადგილი,

6) დრო,
7) მდგომარეობა,
8) ქონება,
9) მოქმედება,
10) ვნება.

არის თუა არა კატეგორიათა ეს რიცხვი ან მათი თანამიმდევრობა ასახული მსჯელობათა კლასიფიკაციაში? არა, არ არის. კატეგორიათა ცხრილი თავისთვისაა და მსჯელობათა ცხრილიც თავისთვის. მათი კავშირისა და შესაბამისობის რაიმე ცდაც კი არა ჩანს. ერთის მხრით, არისტოტელე ფიქრობს, რომ კატეგორია არსისა და აზრის უზოგადესი გარკვეულობაა და სულ 10 არსებობს: რაიმე არის ან არსება, ან თვისობრიობა, ან რაოდენობა და ა. შ. მეორეს მხრით, მსჯელობა საგნის „გარკვევის" ლოგიკური ფორმაა და სწორედ იმას გვეუბნება, თუ „რა არის" არსებული. ამის შემდეგ კატეგორიათა და მსჯელობათა შესატყვისობა სრულიად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო. მაგრამ არისტოტელე ვერ მაღლდება პრობლემის ამ ფორმით წარმოდგენამდე.

ამით აიხსნება არისტოტელეს კლასიფიკაციის ის ნაკლიც, რომ მსჯელობის ცალკეული სახეები არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ისინი ნებისმიერი რიგით შეიძლება ჩამოთვლილ იქნენ, არისტოტელეს არა აქვს საფუძველი, რათა ხელი შეგვიშალოს ამაში. ჰეგელის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მსჯელობის განსხვავებული სახეები „სულის ტომარაშია" ჩაყრილი, ერთმანეთის გვერდით, კავშირის გარეშეა მოწოდებული და სულ ერთია, ან შემთხვევის საქმეა, რა რიგით და წესით ამოვიღებთ მათ იქიდან.

* * *

მსჯელობათა კლასიფიკაციის ისტორიაში არისტოტელეს შემდეგ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ი. კანტის მოძღვრებას. მსჯელობათა ე. წ. ტრადიციული ფორმალურ-ლოგიკური კლასიფიკაცია ძირითადში ორ მოაზროვნეს, არისტოტელესა და კანტს ეკუთვნის.

კანტი მსჯელობათა რიცხვს 12-მდე ზრდის და მათ 4 კლასად ჰყოფს:

ა) რ ა ო დ ე ნ ო ბ ა
1) ზოგადი,

2) კერძო,
3) ერთეული.

ბ) თ ვ ი ს ო ბ რ ი ო ბ ა
1) დადებითი,
2) უარყოფითი,
3) დაუბოლოვებელი.

გ) მ ი მ ა რ თ ე ბ ა
1) კატეგორიული,
2) პირობითი,
3) გაყოფითი.

დ) მ ო დ ა ლ ო ბ ა
1) პრობლემატური.
2) ასერტორული,
3) აპოდიქტიკური.

არისტოტელესთან შედარებით კანტი დგამს ნაბიჯს უკან, რამდენადაც მსჯელობის ამ სახეებს აშკარა იდეალისტურ ინტერპრეტაციას აძლევს. მსჯელობა, მისი გაგებით, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ, რეალურ-საგნობრივ ვითარებას კი არ ასახავს, არამედ ჩვენი ცნობიერების აპრიორული ფორმაა, რომლის საშუალებით შენდება თვით „ცდის საგანი". ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური სამყარო შეუცნობადია. რჩება ადამიანური სუბიექტი თავისი მარადიული აპრიორული ლოგიკური სტრუქტურით. მსჯელობის განსხვავებული ფორმებით აღჭურვილი სუბიექტი გრძნობადი მასალიდან აკონსტრუირებს ცოდნის სამყაროს. მაგრამ გრძნობადი მასალა „გარედან" როდია მიღებული, ობიექტურ სინამდვილეს („ნივთს თავისთავად") კი არ ასახავს, არამედ თვით სუბიექტის საკუთარი მდგომარეობაა და შინაარსით თავიდან ბოლომდე სუბიექტურია.

ამის შემდეგ ვერავითარი ნიჭი და გულმოდგინება ვერ დაფარავს კანტის კონცეფციის სიყალბესა და უნიადაგობას. სუბიექტი მსჯელობს საგანთა ობიექტური ვითარების შესახებ, ამბობდა არისტოტელე. საგანთა ობიექტური ვითარება მიუწვდომელია, ამბობს კანტი. მაშინ რა საჭიროა მსჯელობის განსხვავებული ლოგიკური ფორმები? ობიექტური სინამდვილისაგან დამოუკიდებელი სუბიექტი, თავისი რთული და მრავალსართულიანი შემეცნებითი აპარატით, დარჩენილია თავისი თავის ამარა, თავისი თავის ფარგლებში.

ფილოსოფიური „სიტყვაობის“ მიღმა აქ არაფერი რჩება არც ასაშენებელი და არც შესამეცნებელი. ამით კი უქმდება თვით ეს „ყოვლადწმინდა დამოუკიდებელი სუბიექტი!“

მაგრამ მსჯელობათა ლოგიკურ კლასიფიკაციაში კანტმა ყურადღება გაამახვილა ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მომენტზე და ამით სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ არისტოტელესთან შედარებით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მსჯელობის განსხვავებულ სახეთა კ ა ტ ე გ ო რ ი ა ლ უ რ ი საფუძვლის ძიება და მსჯელობათა სიმრავლის შესაბამისობა კატეგორიათა სიმრავლესთან. ვერავინ, არისტოტელეს შემდეგ, ლოგიკის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ვერ მოახერხა საკითხის ამ ფორმით წარმოდგენა, თუმცა კანტის დამსახურებაც ამ მხრივ პრობლემის მხოლოდ დაყენებაა და არა გადაწყვეტა.

კანტი ასახელებს 12 კატეგორიას და მათ, ისევე როგორც მსჯელობათა სიმრავლეს, 4 კლასად ჰყოფს:

ა) რ ა ო დ ე ნ ო ბ ა
1) ერთიანობა,
2) სიმრავლე,
3) ზოგადობა

ბ) თ ვ ი ს ო ბ რ ი ო ბ ა
1) რეალობა,
2) უარყოფა,
3) განსაზღვრა.

გ) მ ი მ ა რ თ ე ბ ა
1) სუბსტანციალობა (სუბსტანცია და აქციდენცია),
2) მიზეზობრიობა (მიზეზი და მოქმედება),
3) ურთიერთმოქმედება (მოქმედება და ვნება).

დ) მ ო დ ა ლ ო ბ ა
1) შესაძლებლობა (შეუძლებლობა)
2) არსებობა (არ არსებობა),
3) აუცილებლობა (შემთხვევითობა).

კატეგორიები მსჯელობათა საფუძველში მდებარე კავშირის (ერთიანობის) ფორმებია, განსჯის ზოგადი გარკვეულობებია, წმინდა აზროვნებითი სინთეზის სახეებია და არა ობიექტური საგნის ზოგად-არსებით გარკვეულობათა ასახვა. მაგრამ, ამავე დროს,

ისინი. კანტის წარმოდგენით, „ცდის საგნის“ ზოგად გარკვეულობებს წარმოადგენენ და, ამდენად, „ამართლებენ“ მსჯელობათა შესაბამის ლოგიკურ სახეებს. „ისინი ცნებებია საგანზე საერთოდ, რომელთა საშუალებით მისი განჭვრეტა განიხილება როგორც გარკვეული მსჯელობის ერთ-ერთი ლოგიკური ფუნქციის თვალსაზრისით“[3]. მათი საშუალებით კიდეც შენდება და კიდეც მოიაზრება ცდის საგანი. მაგ., კატეგორიათა ოთხივე კლასი იღებს მონაწილეობას დროის სქემაში, რომლითაც კანტი ცდილობს ფორმისა (განსჯის კატეგორიები) და შინაარსის (ემპირიული მასალა) დაკავშირებას და „ცდის საგნის“ აშენებას.

კანტის მოძღვრებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, კლასის შიგნით კატეგორიათა (და შესაბამისად, მსჯელობათა) შინაგანი კავშირის იდეა. ეს კავშირი მის მიერ წარმოდგენილია, როგორც ტრიადა, რომელშიც პირველი უარიყოფა მეორით, ხოლო მესამე ორიეს ერთიანობას წარმოადგენს: თეზისი, ანტითეზისი და სინთეზი. სიმრავლე ერთიანობის უარყოფაა, ზოგადობა კი ერთიანი სიმრავლე. რეალობისა და უარყოფის შეერთება არის საზღვარი, რომელიც დადებითიცაა და უარყოფითიც. ურთიერთმოქმედება სუბსტანციის მიზეზობრივ დამოკიდებულებას გულისხმობს, ხოლო აუცილებლობა სხვა არაფერია, თუ არ შესაძლებლობით მოცემული არსებობა.

მაგრამ მთლიანად კატეგორიათა და მსჯელობათა შინაგანი კავშირის პრობლემა კანტს საბოლოო ანგარიშში ისევე მოუგვარებელი დარჩა, როგორც არისტოტელეს. ჯერ ერთი, კანტი კავშირს ვერ აბამს კლასებს შორის; რაოდენობა, თვისობრიობა, მიმართება და მოდალობა ერთმანეთის გვერდით არიან მოცემულნი და უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მექანიკურ აგრეგატს თუ შეადგენენ. მეორეც, თვით „კლასის“ ცნება, რომლითაც სამ-სამი მსჯელობა ერთიანდება, არაზუსტი, გაურკვეველი და ხელოვნურია. იგივე უნდა ითქვას 4 კლასად მსჯელობათა გაყოფის საფუძვლის შესახებ. კ. ფიშერი, მაგ., ასეთ განმარტებას იძლევა: რაოდენობა ემყარება მსჯელობის სუბიექტს, თვისობრიობა — პრედიკატს, მიმართება — კოპულას (ე. ი. სუბიექტისა და პრედიკატის კავშირს), ხოლო მოდალობა არის სუბიექტისა და პრედიკატის კავშირის წესი და მნიშვნელობა ჩვენი აზროვნებისათვის: მას მხედველობაში აქვს მთელი მსჯელობა.

---

[3] Кант. Сочинения, т. 3, М., 1964, с. 189.

მაგრამ ამ განმარტებას თვით აკლია სიზუსტე და სიცხადე. ვთქვათ, პირველი კლასი („რაოდენობა") მართლდება სუბიექტის მოცულობით, ანუ „სიდიდით". მაგრამ დანარჩენი სამი კლასი სრულებით არაა შესაბამისად დაკავშირებული მსჯელობის სხვა ელემენტებთან: პრედიკატი, კოპულა და მთელი მსჯელობა. მაგ., თვისობრიობის ქვეშ კანტი გულისხმობს დადებით, უარყოფით და დაუბოლოვებელ მსჯელობებს. რა შუაშია აქ პრედიკატის ბუნება და ხასიათი? თვით კანტის განმარტებით დადებითობა და უარყოფითობა ხომ სწორედ კოპულის თვისებებია. კანტი აქ, როგორც ჩანს, ემყარება ბოეციუსიდან მომდინარე ტრადიციას, რომელიც კოპულას უწოდებდა «Significatio qualitatis». არც „მიმართება" გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტისა და პრედიკატის მიმართების (ე. ი. კოპულის) სფეროს. კიდევ უფრო გაურკვეველია მოდალობის ცნება. კანტი მას მსჯელობის განსაკუთრებულ ფუნქციას უწოდებს, რომელიც არაფერს არ უმატებს მსჯელობის შინაარსს (რაოდენობის, თვისობრიობისა და მიმართების გარდა არაფერია, რაც შეადგენდა მსჯელობის შინაარსს, წერს ის), არამედ ეხება კოპულის მნიშვნელობას ჩვენი აზროვნებისათვის. პრობლემატურ მსჯელობაში გამოითქმება სუბიექტისა და პრედიკატის კავშირის მხოლოდ შესაძლებლობა, ასერტორულში — მისი არსებობა, აპოდიქტიკურში კი აუცილებლობა[4].

აქ შეიძლება გავიხსენოთ „ლოგიკის" შესავალში განვითარებული დებულებები ცოდნის 4 ნიშნის შესახებ:

1) რაოდენობა — ცოდნა უნდა იყოს ზოგადი,
2) თვისობრიობა — ცოდნა უნდა იყოს ცხადი,
3) მიმართება — ცოდნა უნდა იყოს ჭეშმარიტი,
4) მოდალობა — ცოდნა უნდა იყოს სარწმუნო.

მაგრამ ამით ამ „კლასთა" შინაარსის შემდგომი დაზუსტება როდი მიიღწევა.

* * *

არისტოტელეს და კანტის მოძღვრებათა საფუძველზე შეიქმნა მსჯელობის ე. წ. ტრადიციული კლასიფიკაცია, რომელიც ჩვე-

[4] ლათ. modus ნიშნავს სახე (образ), წესი არსის ან აზრის. ტრადიციული გაგებით მსჯელობის მოდალობა ეხება არა იმას, რას ამბობს იგი (შინაარსი), არამედ— როგორ ამბობს, როგორია გამოთქმის მოდუსი (ანუ უეჭველობის გამოთქმის წესი). წინადადებები სიტყვებით «უნდა», «შეიძლება», «ალბათ», «აუცილებლად» და ა. შ. არისტოტელესთან (და შუა საუკუნეებშიც) მოდალურ წინადადებებად ითვლებოდა.

ულებრივ წარმოდგენილია ფორმალური ლოგიკის სახელმძღვანელოებში. იგი, როგორც წესი, იმეორებს მსჯელობათა კანტისეულ ტაბულას, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი: 4 კლასი სამ-სამი მსჯელობით[5]. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ტრადიციული ფორმალურ-ლოგიკური კლასიფიკაცია იზიარებს ყველა იმ ნაკლოვანებას, რომლებიც არისტოტელესა და კანტის მოძღვრებათა განხილვის დროს ზემოთ იყო დასახელებული. მეტიც, იგი სრულიად უმწეო მდგომარეობაში ვარდება, როცა დგება საკითხი მსჯელობის განსხვავებულ ფორმათა ახსნის, ან მათი კავშირ-ურთიერთობის პრინციპების შესახებ. ავიღოთ, მაგ., მსჯელობათა ოთხი კლასი: რაოდენობა, თვისობრივობა, მიმართება და მოდალობა. ფორმალური ლოგიკის სახელმძღვანელოებში მექანიკურად გადმოწერილია ისინი იმ სახით და თანმიმდევრობით, როგორც მოცემული იყო კანტის ლოგიკაში, რაიმე პრინციპული ახსნა-განმარტებისა და გამართლების გარეშე. აქვეთ კი უფლება ფორმალური ლოგიკის ავტორებს, რომლებიც ამ მეცნიერების „ფორმალურობისა" და „ნეიტრალობის" თვალსაზრისს იცავენ, მსჯელობათა კლასიფიკაციაში მიმართონ ისეთ კატეგორიებს (რაოდენობა, თვისობრიობა და ა. შ.), რომელთა ანალიზი ყოველთვის გარკვეულ ზოგად-ფილოსოფიურ, გარკვეულ ონტოლოგიურ კონცეფციას გულისხმობს?!

ძნელია მსჯელობათა კლასიფიკაციის ყველა იმ ვარიანტის ცალ-ცალკე მოტანა, „ფორმალური ლოგიკის" უამრავ ავტორს აქვს მოცემული[6].

ავიღოთ, მაგ., მ. ვლადისლავლევის («Логика», 1881 г.) კლასიფიკაცია. მოჰყავს რა კანტისეული ტაბულა, ვლადისლავლევი აღნიშნავს, რომ მსჯელობათა კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვა თვალსაზრისითაც. ის ასახელებს მსჯელობათა დაყოფის 6 ასეთ საფუძველს:

1) „საგნის რაიმე მნიშვნელობით გარკვევის ხასიათი".

A) ა) დადებითი (დადებითად ირკვევა საგანი),

ბ) უარყოფითი.

B) ა) შესაძლებლობის (საგანი შესაძლებელია)

---

[5] ზოგ შემთხვევაში გამოტოვებულია «თვისობრიობის» მესამე სახე, ე. წ. დაუბოლოებელი მსჯელობა და მხოლოდ ორია დატოვებული: დადებითი და უარყოფითი.

[6] მსჯელობათა კლასიფიკაციაში მრავალი კორექტივი შეიტანა კერძოდ ინდუქციონიზმმა, რომელიც ემპირიზმისა და ნომინალიზმის პრინციპებს ემყარებოდა.

ბ) სინამდვილის,
გ) აუცილებლობის.

2) „მსჯელობის საგნებზე მიყენების ფარგლები“ ანუ რაოდენობა.
ა) ზოგადი,
ბ) კერძოობითი,
გ) ერთეული.

3) „წარმოშობის მიხედვით“.
A) ა) ანალიზური,
ბ) სინთეზური.
B) ა) აპრიორული,
ბ) აპოსტერიორული.

4) „შედგენილობის (состав) მიხედვით“.
A) მარტივი:
ა) უპირობო,
ბ) კატეგორიული.
B) რთული:.
ა) პირობითი,
ბ) გაყოფითი.

5) „მსჯელობათა მიმართების მიხედვით“.
ა) დაქვემდებარების (ერთი მსჯელობა იქვემდებარებს მეორეს),
ბ) დაპირისპირების.

6) „მსჯელობის მნიშვნელობის, საზრისის მიხედვით“[7].
ა) ნომინალური (სიტყვიერი) მნიშვნელობის (სიტყვის ჩვეულებრივ მნიშვნელობას გვიხსნის),
ბ) რეალური მნიშვნელობის (საგნის რეალურ მხარეს წარმოგვიდგენს):

1. ტოლობის ან უტოლობის (2.3=6),
2. მსგავსების,
3. თანაარსებობის,
4. თანამიმდევრობის (преемство явлений, მაგ., „ისტორიული მსჯელობები“).

მ. ვლადისლავლევის თვალსაზრისი ერთგვარი გადახვევაა მსჯელობის ტრადიციული კლასიფიკაციიდან, მაგრამ იგი კიდევ უფრო ხელოვ-

[7] ეს ყველაზე მთავარია მსჯელობათა კლასიფიკაციაში, ამბობს ვლადისლავლევი.

ნური და დაბნეულია,[ვიდრე ეს უკანასკნელი. ვლადისლავლევი არ მიჰყვება მსჯელობათა დაყოფას რაოდენობის, თვისობრიობის, მიმართებისა და მოდალობის მიხედვით და კლასიფიკაციის სხვა „თვალსაზრისებს" («точки зрения»), სხვა „საფუძვლებს" აყენებს. 6 ასეთი საფუძველია მოწოდებული, მაგრამ ერთმანეთის გვერდით! რატომ ექვსი და არა მეტი ან ნაკლები? რატომ ასეთი და არა სხვანაირი თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ მსჯელობას? ვლადისლავლევს არ შეუძლია პასუხი გასცეს ამ კითხვებზე. ის არც აცნობიერებს მათ.

მსჯელობათა კლასიფიკაციის ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შიუძღვის გამოჩენილ რუს ლოგიკოსს მ. ი. კარინსკის (1840—1917 წწ.). კარინსკი ემპირისტია და ახალი დროის ემპირისტული ლოგიკის დადებით მონაპოვართა შემოქმედებითი ათვისების გზით იძლევა მსჯელობის თავისებურ, ტრადიციულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ, კლასიფიკაციას. კარინსკის მოძღვრება აღსანიშნავია, აგრეთვე იმიტომ, რომ მან განსაკუთრებული გავლენა მოახდინა საბჭოთა ლოგიკოსებზე (იხ. ქვემოთ).

კარინსკი აღიარებს ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური სინამდვილის არსებობას და მისი შემეცნების შესაძლებლობას. მსჯელობა სწორედ ის ფორმაა, რომლითაც გამოიხატება ჩვენი შემეცნება, წერს ის. მსჯელობათა კლასიფიკაციას კარინსკი საფუძვლად უდებს პრედიკატის ხასიათს: საგნის რა მხარეა შემეცნებული, რა მხრით არის იგი ვარკვეული? ამ მხრივ მსჯელობათა სიმრავლეს ის სამ დიდ ჯგუფად („რუბრიკად") ჰყოფს: 1) საგნის არსებობის გამომხატველი მსჯელობა, 2) საგნის თავისთავად გამომხატველი მსჯელობა, 3) საგანთა მიმართების გამომხატველი მსჯელობა; „ყველაზე ზოგადი და ყველაზე ჩვეულებრივი თვალსაზრისები მსჯელობაზე, არსებული საგნების შესახებ, შეიძლება დავიყვანოთ სამზე: 1) ჩვენ შეგვიძლია მსჯელობაში გამოვხატოთ რწმენა საგნის ნამდვილი არსებობის შესახებ, 2) ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ საგანი ისე, როგორც ის არის თავისთავად, სხვა საგნებთან მიმართების გარეშე, 3) სხვა საგნებთან მიმართებაში"[8]. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის 1) არსებობის, 2) თვისობრიობის და 3) მიმართების მსჯელობები.

მთლიანად მსჯელობათა კლასიფიკაცია კარინსკის მოძღვრებაში ასეთ სახეს ღებულობს:

---

[8] Избранные труды русских логиков XIX века (1956 г.) с. 184.

ა) ა რ ს ე ბ ო ბ ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ა

1) საერთოდ არსებობის (მაგ., „არსებობის ატომი“),

2) გარკვეულ დროსა და სივრცეში არსებობის (მაგ., „სიცოცხლე არსებობს დედამიწაზე“).

ბ) თ ვ ი ს ო ბ რ ი ო ბ ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ა

1) შედგენილობის (მაგ., „ევროპაში შედის რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი“, და ა. შ.),

2) თვისების:

ა) აუცილებელი თვისების („ადამიანი ცოცხალია“),

ბ) შემთხვევითი თვისების („ივანე უვიცია“),

გ) მდგომარეობის („ივანე ზის“).

გ) მ ი მ ა რ თ ე ბ ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ი

1) სივრცითი მიმართების,

2) დროული მიმართების,

3) დამოკიდებულების (зависимость) მიმართების (მიზეზობრიობის),

4) იგივეობის ან განსხვავების მიმართების.

თავის კლასიფიკაციას კარინსკი იქვე უკეთებს ორ შენიშვნას: ჯერ ერთი, საგნის მხარეთა რიცხვი უსასრულოა და ჩვენ ვერ შევძლებთ ყველა მათგანის ჩამოთვლას, მეორეც, მსჯელობათა სიმრავლის სამ ძირითად რუბრიკად დაყოფა შედარებითია და არა აბსოლუტური, რადგან საგნის ერთი მხარე „ირევა“ მეორეში და მათი გამოყოფისათვის საჭიროა რაღაცნაირი განსაკუთრებული მახვილი. მაგ., არსებობის მსჯელობა სხვა თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ, როგორც აგრეთვე დრო-სივრცეში მიმართების მსჯელობა. ეს დამოკიდებულია ჩვენს მ ი ზ ნ ე ბ ზ ე, თუ რა გვაინტერესებს ჩვენ ამ მომენტში.

კარინსკიმ თითქმის მთლიანად აუარა გვერდი ტრადიციულ კლასიფიკაციას. მაგრამ ის თავის კლასიფიკაციას უფრო განიხილავს, როგორც დამატებას, ასე ვთქვათ, ახალ რუბრიკს ტრადიციულის გვერდით. კარინსკის კლასიფიკაციაში აღსანიშნავია მსჯელობათა სიმრავლის დაკავშირება საგნის გარკვეულობათა („მხარეთა“) სიმრავლესთან. სხვანაირად ამას შინაარსეულ კლასიფიკაციას უწოდებენ: მსჯელობათა სიმრავლის დაყოფა პრედიკატის ხასიათის (შინაარსის) მიხედვით. ეს იდეა ზოგადად საღი და სამართლიანია, თუმცა მისი ავტორი კარინსკი როდია, როგორც ამას

ზოგიერთი ფიქრობს[9]. ეს იდეა უფრო ადრე ჰეგელის მიერ იყო განვითარებული, რომელსაც უეჭველია, იცნობს და იყენებს კარინსკი.

* * *

მსჯელობათა კლასიფიკაციის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჰეგელს. ჰეგელმა მკაცრად გააკრიტიკა კანტის „კატეგორიათა სისტემა". რაოდენობა, თვისებრიობა, მიმართება და მოდალობა კატეგორიათა მხოლოდ სათაურებია კანტის მოძღვრებაში, — ამბობს ის, მაშინ როდესაც ისინი თვითონაც კატეგორიებია, მხოლოდ უფრო ზოგადი სახის. კატეგორიათა ამ „გვარებს" შორის შინაგანი კავშირიც არა ჩანს. ჰეგელმა დაარღვია მათი რიგი და თანამიმდევრობა, რის შედეგად მის შეუდარებლად უფრო მდიდარ სისტემაში სხვადასხვა ადგილებზე მოხვდნენ ისინი, თუმცა თვისებრიობა, რაოდენობა და მიმართება სხვა ფორმითა და შინაარსით რჩება ჰეგელის „ლოგიკის" საკვანძო და სახელმძღვანელო მომენტებად. საკმარისია გავიხსენოთ „ლოგიკის" I და II განყოფილების კატეგორიათა თანამიმდევრობა.

ამასთან ჰეგელმა აითვისა და შემდგომ განავითარა კანტის მოძღვრების დადებითი იდეა, რომლის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი. ჰეგელი ობიექტური იდეალიზმის საფუძველზე აიგივებს ლოგიკურსა და ონტოლოგიურს. მსჯელობაც მისთვის აბსოლუტური იდეის განვითარების საფეხურია და არა ობიექტური, მატერიალური საგნის ასახვა ადამიანის აზროვნებაში. მაგრამ ყალბი, დამახინჯებული, ასე ვთქვათ, შებრუნებული ფორმით ჰეგელი მაინც ცდილობს დაამყაროს თავისებური შესაბამისობა „ნამდვილ სინამდვილესა" და მსჯელობას შორის. ეს არის სწორედ განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი პრობლემის ისტორიის თვალსაზრისით. „ნამდვილი სინამდვილე" მისთვის მსოფლიო იდეის განვითარების პროცესია, ხოლო მსჯელობა, მისი განსხვავებული ფორმებით, თავისებურად იმეორებს „მსოფლიო იდეის ისტორიას".

ტრადიციული ლოგიკის მსგავსად ჰეგელიც მსჯელობათა სი-

---

[9] იხ., А. В. Дроздов. Вопросы классификации суждений (1956 г.).

მრავლეს 4 დიდ ჯგუფად ჰყოფს, მაგრამ სრულიად სხვა სახელწოდებას აძლევს მათ:

1. არსი,
2. რეფლექსია,
3. აუცილებლობა,
4. ცნება.

რა არის ამის საფუძველი? ჰეგელს გააჩნია გარკვეული პასუხი და ამაშია მისი უპირატესობა ტრადიციული ფორმალური ლოგიკის მიმართ, რომელსაც „ჰაერში აქვს მოკრეფილი" რაოდენობის, თვისობრიობის, მიმართებისა და მოდალობის ურთულესი ზოგად-ფილოსოფიური კატეგორიები და არ იცის როგორ მოუაროს მათ. ჰეგელისათვის მსჯელობათა 4 ჯგუფი „შეესაბამება" იდეის განვითარების საფეხურებს: არსი, არსება და ცნება. რამდენადაც „არსება" გაორებულია, მსჯელობათა ორი ჯგუფიც (რეფლექსიისა და აუცილებლობის მსჯელობები) მას შეესაბამება. „მსჯელობის ამ სისტემატიკის შინაგანი საფუძველი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ რამდენადაც ცნება არის არსისა და არსების იდეალური ერთიანობა, მისმა განვითარებამ, რომელიც მსჯელობაში ხდება, აგრეთვე თავდაპირველად უნდა აღადგინოს ეს ორი საფეხური ცნების შესაბამისად გარდაქმნილი სახით, ხოლო თვით ცნება გვეელინება იმად, რასაც არკვევს ჭეშმარიტი მსჯელობა"[10].

მსჯელობათა სიმრავლე ჰეგელის მოძღვრებაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ა) მუნარსის (თვისობრივი) მსჯელობები
   1) დადებითი
   2) უარყოფითი,
   3) დაუბოლოებელი.

ბ) რ ე ფ ლ ე ქ ს ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ი.
   1) სინგულარული,
   2) პარტიკულარული,
   3) უნივერსალური.

გ) ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ი
   1) კატეგორიული,
   2) ჰიპოთეტური,
   3) გაყოფითი.

---

[10] Г е г е л ь. Соч., т. 1, М., 1929, с. 278.

დ) ცნების მსჯელობები

1) ასერტორული,

2) პრობლემატური,

3) აპოდიქტიკური.

ჰეგელის მსჯელობის თეორიის შემდეგი ძირითადი ნიშანია მსჯელობის შინაგანი მოძრაობისა და განვითარების პრინციპი. ამ მხრივაც ის მკაცრად აკრიტიკებს ტრადიციული ფორმალური ლოგიკის მსჯელობის თეორიას, რომლისთვისაც აბსოლუტურად უცხო და უცნობია შინაგანი მოძრაობის იდეა. ტრადიციულ ლოგიკაში მსჯელობის სხვადასხვა სახეები დაყრილია ერთმანეთის გვერდით, თუ ცალკეულ შემთხვევაში მათ შორის რაღაც კავშირი სიტყვიერად მაინც ივარაუდება — მოძრაობისა და განვითარების შესახებ ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია. „გარდა იმისა, რომ ჩვეულებრივი ჩამოთვლა სავსებით შემთხვევითი გამოიყურება, მსჯელობის სახეთა განსხვავების დროს იგი წარმოგვიდგება როგორც რაღაც ზედაპირული, რაღაც უაზრო და ველურიც კი"[11]. ჰეგელი მოითხოვს მსჯელობის განხილვას განვითარებაში. სწორედ განვითარების საშუალებით მყარდება ნამდვილი კავშირი მსჯელობის განსხვავებულ სახეთა შორის და მათი სიმრავლეც გარკვეულ მთლიანობად ერთიანდება. „მსჯელობის განსხვავებული სახეები უნდა განვიხილოთ არა როგორც ერთმანეთის გვერდით მდგომნი, არა როგორც ერთნაირი ღირებულების მქონენი, არამედ, პირიქით, როგორც საფეხურების თანმიმდევარი რიგი"[12].

როგორია მსჯელობის განვითარების სურათი? განვითარება საერთოდ ჰეგელს ესმის, როგორც არსიდან ცნებისაკენ მიმართული პროცესი. არსი განვითარების პირველი საფეხურია, ცნება — უკანასკნელი. ამ პრინციპით არის აგებული მთელი „ლოგიკაც": არსი→არსება→ ცნება. იგივეს იმეორებს თავისებური ფორმით მსჯელობის განვითარებაც, იგი არსიდან ცნებისაკენ მიმართული პროცესია. ამით აიხსნება მსჯელობის 4 ძირითადი ჯგუფის თანმიმდევრობა: არსი→რეფლექსია → აუცილებლობა → ცნება. მსჯელობის განვითარების პირველი საფეხური უშუალო არსის („მუნარსის") მსჯელობაა, ხოლო უმაღლესი და უკანასკნელი — ცნების მსჯელობა. ჰეგელი ამას ხსნის აგრეთვე შემდეგი გარემო-

---

[11] Гегель. Соч., т. 1, с., 277.

[12] იქვე, გვ. 278.

ებით. მსჯელობამ უნდა გაარკვიოს: რა არის სუბიექტი? მსჯელობის პირველი ფორმები მის შესახებ გამოთქვამენ უაღრესად მარტივ, უშუალო და გარეგან გარკვეულობებს, როგორიცაა, მაგ., გრძნობადი თვისება, რომლის დასადასტურებლად ხშირად გრძნობადი აღქმაც საკმარისია. მაგრამ მსჯელობის სხვა ფორმები სულ უფრო და უფრო ღრმა გარკვეულობებს გვაწოდებენ საგნის შესახებ, ვიდრე არ იქნება გამოთქმული ისიც, თუ რა უ ნ დ ა იყოს საგანი. ის, რაც უნდა იყოს საგანი, არის მისი ცნება. სწორედ აქეთკენ, ე. ი. თავისი ცნებისაკენ, ისწრაფვის საგნის განვითარება და ცნების მსჯელობაც მსჯელობის განვითარების უმაღლესი საფეხურია.

მსჯელობას ოდითგანვე მიაწერენ ჭეშმარიტების თვისებას და ჰეგელი ამაში სიმართლის ნაწილს ხედავს. მაგრამ მსჯელობის ჭეშმარიტების პრობლემას ის სრულიად თავისებურ ასპექტში აყენებს. მსჯელობის ფორმათა განვითარების პროცესი მისთვის თვით ჭეშმარიტების განვითარების პროცესია. მსჯელობის პირველი უმარტივესი სახეები ჭეშმარიტების თვალსაზრისითაც მარტივი და ღარიბი ფორმებია, რომელიც (ჭეშმარიტება) მსჯელობის ფორმათა განვითარებაში თვითონაც, ასე ვთქვათ, სულ უფრო სრული და განვითარებული ხდება. ჰეგელს ამის სხვა ახსნაც აქვს: მსჯელობის განვითარება, როგორც ითქვა, იმას გამოხატავს, თუ როგორ ვითარდება საგანი არსიდან ცნებისაკენ. სხვანაირად, ეს არის ცნებამდე ამაღლების პროცესი, საგნის თავის ცნებასთან მიახლოების პროცესი, რეალობისა და ცნების დამთხვევის პროცესი. ჭეშმარიტებაც ჰეგელის განსაზღვრით სწორედ ამას ჰქვია, იგი „მდგომარეობს საგნის თანხმობაში თავის თავთან, ე. ი. თავის ცნებასთან"[13].

მსჯელობის ფორმათა განვითარება რეალობისა და ცნების დამთხვევისაკენ მიისწრაფვის და ცნების მსჯელობის მაღალი ფორმებით მთავრდება. აქ ჰეგელი ანსხვავებს მსჯელობის სისწორესა და ჭეშმარიტებას. რეალობისა და ცნების სრული შესაბამისობა, ე. ი. ნამდვილი ჭეშმარიტება მოძრაობის შედეგად ხორციელდება და პროცესის ბოლოს მიიღწევა. ამიტომ და ამ აზრით მსჯელობის უმარტივეს ფორმებს არ შეიძლება მივაწეროთ ჭეშმარიტება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მათ მიეწერებათ მხოლოდ სისწორე. სისწორე და ჭეშმარიტება აბსოლუტურად

---

[13] Гегель. Соч., т. 1, с. 279.

მოწყვეტილი როდია ერთმანეთს. სისწორე სწორედ ჭეშმარიტების საკუთარი მომენტია და ისინი ერთმანეთში გადადიან. მაგრამ მათ შორის ზემოაღნიშნული აზრით ერთგვარი განსხვავებაც აუცილებელია, ფიქრობს ჰეგელი. სისწორე თავისებური სახის ჭეშმარიტებაა, ასე ვთქვათ, შეცდომის შემცველი ჭეშმარიტებაა. თუ მსჯელობის სახეთა თანმიმდევრობა განვითარების პროცესია, იგი საფეხურების რიგი უნდა იყოს, სადაც მომდევნო საფეხური წინამავალს უარყოფს. უარყოფს იმ აზრით, რომ მსჯელობის მაღალი ფორმა დაბალი ფორმის მცდარობას გამოაშკარავებს. მომდევნო საფეხური გამოდის როგორც სწორედ წინამავლის ჭეშმარიტება, წინა საფეხური კი ამ პოზიციიდან მხოლოდ სწორია და არა ჭეშმარიტი.

მსჯელობის ფორმათა სუბორდინაციის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ „თვისობრივი მსჯელობის" მაგალითი.

„თვისობრივი მსჯელობა", ჰეგელის მიხედვით, მსჯელობის განვითარების პირველი საფეხურია, რომელიც, თავის მხრივ, სამ მსჯელობად იშლება:

1. დადებითი მსჯელობა,
2. უარყოფითი მსჯელობა,
3. დაუბოლოებელი მსჯელობა.

„თვისობრივი მსჯელობა", როგორც მსჯელობის განვითარების პირველი საფეხური, ჯერ კიდევ მარტივი, აბსტრაქტული და უშუალოა, რომელშიც რაღაც უშუალოდ ერთეულზე გამოითქმება რაღაც აბსტრაქტული თვისება („მწვანეა", „თბილია" და ა. შ.). ასეთივე სიმარტივითა და სიღარიბით ხასიათდება მისი ჭეშმარიტებაც, რადგან „მასში სუბიექტი და პრედიკატი არ იმყოფებიან რეალობისა და ცნების მიმართებაში"[14]. პირიქით, მისი სუბიექტი და პრედიკატი, ასე ვთქვათ, მხოლოდ ერთ წერტილში ეხებიან ერთმანეთს. მათს ნამდვილ „თანხმობაზე" და „შესაბამისობაზე" ლაპარაკი ჯერ კიდევ შეუძლებელია. სულ სხვა ვითარებაა ცნების მსჯელობაში, მაგ., „ეს ქცევა კარგია". აქ სუბიექტსა და პრედიკატს შორის გარეგანი მიმართება როდი გვაქვს, როგორც უშუალო მსჯელობაში. „იმ დროს, როცა უკანასკნელში პრედიკატი შეადგენს რომელიღაც აბსტრაქტულ თვისებას, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს, მაგრამ შეიძლება აგრეთვე არ ეკუთვნოდეს სუბიექტს, ცნების მსჯელობაში, პირიქით, პრედიკატი არის, ასე ვთქვათ,

[14] Гегель. Соч., т. 1, с. 279.

სული სუბიექტისა, რომელიც მთლიანად თითქოს წარმოადგენს ამ სულის სხეულს, მთლიანად განისაზღვრება იმით"[15].

„თვისობრივი მსჯელობის" პირველი საფეხურია დადებითი მსჯელობა. დადებით მსჯელობაში შინაგანი წინააღმდეგობა და შინაგანი შეუსაბამობა მეღავნდება, რასაც იგი გადაჰყავს უარყოფითში. უარყოფითი, თავის მხრით, იმავე ლოგიკით გადადის დაუბოლოებელ მსჯელობაში. უარყოფითი მსჯელობა დადებითის მცდარობას აჩვენებს, დაუბოლოებელი მსჯელობა კი უარყოფითის მცდარობას, დადებითის ჭეშმარიტება აღმოჩნდება უარყოფითი მსჯელობა, უარყოფითისა — დაუბოლოებელი მსჯელობა. ხშირად დაუბოლოებელი მსჯელობა ლოგიკაში მოჰყავთ, როგორც უაზრო მსჯელობის მაგალითი, მაგრამ იგი დადებითი და უარყოფითი მსჯელობის აუცილებელი შედეგია და სწორედ იმ შინაგან „ხაკლოვანებათა" გამომეღავნება, რაც უკანასკნელთ ახასიათებთ.

ა) დ ა დ ე ბ ი თ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ა

დადებითი მსჯელობის ზოგადი ფორმულა ასეთია: „ერთეული არის ზოგადი". ამ ფორმულიდან უკვე ჩანს, რომ დადებით მსჯელობაში, ერთის მხრით, ერთეული გადადის ზოგადში, ასე ვთქვათ, მაღლდება ზოგადამდე (ლაპარაკია ხომ სწორედ იმაზე, რომ ერთეული არის ზ ო გ ა დ ი), ხოლო, მეორეს მხრით, ზოგადი ხდება ერთეული, ზოგადობა თავის თავს აქცევს, ასე ვთქვათ, აქვეითებს ერთეულობად (ლაპარაკია ხომ იმაზეც, რომ ე რ თ ე უ ლ ი არის ზოგადი). მსჯელობა თავისი არსებით ზოგადისა და ერთეულის ერთიანობისაკენ ფიისწრაფვის. მსჯელობის ეს ზოგადი არსება ვლინდება დადებით მსჯელობაშიც, რომელიც ამტკიცებს, რომ „ერთეული არის ზოგადი".

მაგრამ დადებითი მსჯელობა მსჯელობის განვითარების მხოლოდ დასაწყისია და ერთეულისა და ზოგადის ნამდვილ ერთიანობამდე ჯერ კიდევ შორსაა. დადებითი მსჯელობა მსჯელობათა თანმიმდევარი „რიგის" მხოლოდ პირველი წევრია, და, ცხადია, ჯერ კიდევ მოკლებულია განვითარუბას. სიმარტივე, უშუალობა და აბსტრაქტულობა, აი მისი ნიშნები. განუვითარებელია ამ მსჯელობის როგორც კიდურა წევრები, ისე მათი კავშირი: ა) პრედიკატი

---

[15] Гегель. Соч., т. I, с. 280.

აბსტრაქტული ზოგადია, ბ) სუბიექტიც აბსტრაქტული ერთეულია, გ) კოპულაც „არის“ აბსტრაქტული და ღარიბია.

ყოველივე ამის გამო დადებით მსჯელობაში შინაგანი ნაკლი და შეუსაბამობა, ანუ შინაგანი წინააღმდეგობა მეღავნდება, რომელიც ამოძრავებს მას და სხვაში გადასვლას აიძულებს. ავიღოთ, მაგ., მსჯელობა „ეს ვარდი არის წითელი“. კოპულა „არის“ სწორედ იმას გულისხმობს, რომ სუბიექტი და პრედიკატი თანხმობაში არიან ერთმანეთთან. მაგრამ ვარდი არა მხოლოდ წითელია, არაშედ აგრეთვე მრავალი სხვა გარკვეულობის მქონე, მაგ., კეთილსურნელოვანია, ასეთი და ასეთი ფორმისაა და ა. შ., რომლებიც არ შედიან პრედიკატში „წითელი“. მეორეს მხრით, პრედიკატი „წითელი“ რაღაც აბსტრაქტული ზოგადია, რომელიც ეკუთვნის არა მხოლოდ ამ სუბიექტს, არსებობენ სხვა ფერებიც, და საერთოდ სხვა საგნები, რომლებიც აგრეთვე წითელია. სუბიექტი და პრედიკატი ამ მსჯელობაში ერთმანეთს ეხებიან მხოლოდ ერთ წერტილში და არ ფარავენ ერთმანეთს.

დადებითი მსჯელობა ამბობს: „ერთეული არის ზოგადი“; მაგრამ ეს ერთეული განუვითარებელი ერთეულია, ამ აზრით უშუალო და არა ზოგადია. მისი პრედიკატი უფრო ფართო მოცულობისაა და არ შეესაბამება ერთეულ სუბიექტს. პრედიკატიც აბსტრაქტული გარკვეულობაა და არ ფარავს სუბიექტს, რომელიც გამოდის, როგორც თვისებათა ტოტალობა. აბსტრაქტული პრედიკატი ამ ტოტალობის მხოლოდ ერთი მომენტია სხვების გამორიცხვით. იგი ზოგადი უნდა იყოს, მაგრამ ფაქტიურად გამოდის, როგორც ერთ-ერთი თვისება, რომელიც იზოლირებული და გამოყოფილია სუბიექტის სხვა თვისებათაგან, მაშინ როცა თვით სუბიექტში შერწყმულია (сращено) სხვებთან.

ერთი სიტყვით, სუბიექტი და პრედიკატი არ შეესაბამება ერთმანეთს. ეს ერთეული არაა ასეთი ზოგადი და ეს ზოგადი არაა ასეთი ერთეული. ამიტომ დადებითი მსჯელობა უარიყოფა და გადადის უარყოფით მსჯელობაში.

ბ) უ ა რ ყ ო ფ ი თ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ა

დადებითი მსჯელობის („ერთეული არის ზოგადი“) ანალიზი აჩვენებს, რომ იგი შინაგან შეუსაბამობას შეიცავს და ამ აზრით არაა ჭეშმარიტი. აღმოჩნდა, რომ მისი ჭეშმარიტებაა სწორედ უარ-

ყოფითი მსჯელობა: „ერთეული არ არის აბსტრაქტული ზოგადი". დადებითი მსჯელობა თვითონ შეიცავს უარყოფის მომენტს და ამას გადაჰყავს უარყოფით მსჯელობაში. „დადებითი მსჯელობა არის უშუალოდ ერთეულისა და ზოგადის თანაფარდობა, მაშასადამე, თანაფარდობა ისეთებისა, რომელთაგან ერთი იმავე დროს არ არის ის, რაც მეორე. ეს თანაფარდობა არის ამიტომ ასევე არსებითად გაყოფა ანუ უარყოფითი თანაფარდობა; ამდენად, დგინდება დადებითი მსჯელობა უარყოფითად"[16].

აქ ჰეგელი თავისებურად დღის წესრიგში აყენებს კოპულის პრობლემას. დადებითი მსჯელობა დადებითია იმდენად, რამდენადაც სუბიექტისა და პრედიკატის თანაფარდობა გამოიხატება საკავშირებით აბსტრაქტული არსით: „არის". „ამ თანაფარდობიდან, რომელიც ჯერ კიდევ თავის თავში არ შეიცავს არავითარ გაშუალებას ან უარყოფას, ეს მსჯელობა ღებულობს სახელწოდებას „დადებითი"[17]. მაგრამ უარყოფითი მსჯელობის განხილვის დროს ჰეგელი ამბობს, რომ დადებითი მსჯელობიდან უარყოფითზე გადასვლა ხდება თვით დადებითში აღმოჩენილი უარყოფითი თანაფარდობის საშუალებით. მართლაც, დადებითი მსჯელობა თვითონ შეიცავს თავის თავში უარყოფის მომენტს და ამდენად გადადის უარყოფით მსჯელობაში. „სხვანაირად რომ ვთქვათ, მსჯელობა უნდა განვიხილოთ თანაბრად როგორც აგრეთვე უარყოფითი"[18].

დადებითი მსჯელობა იყო ისეთი ორი წევრის თანაფარდობა, რომელთაგან იმავე დროს ერთი არაა მეორე. „ეს თანაფარდობა არის ამიტომ ასევე არსებითად (ebense wesentlich) გაყოფა ანუ უარყოფითი თანაფარდობა. ამდენად, დგინდება დადებითი მსჯელობა უარყოფითად»[19]. ჰეგელის აზრით სწორი არაა საკითხის ისე დაყენება, თითქოს ერთია კოპულის ხასიათი და მეორე კიდურა წევრებისა. ამის გამო იყო ატეხილი ფუჭი ხმაური ლოგიკოსთა მიერ, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ უარყოფითი მსჯელობის „არა" მიეკუთვნებიათ კოპულისათვის, ამბობს ის. ნამდვილად, რა გარკვეულობაც აქვთ კიდურა წევრებს, იგივე ახასიათებს კოპულას. თუ ისინი აბსტრაქტულია, კოპულაც აბსტრაქტულია. „მსჯელობის თანაფარდობა (ე. ი. კოპულა დ. ქ.) არის იგივე გარკვეულობა, რაც ახასიათებს კიდურა წევ-

---

[16] Гегель. Соч., т. VI, с. 74-75.
[17] იქვე, გვ. 68.
[18] იქვე, გვ. 74.
[19] იქვე, გვ. 74-75.

რებს, რადგან ისინი არიან სწორედ ეს ზოგადობა და გაგრძელება მათი ერთმანეთში. რამდენადაც კიდურა წევრებს შორის გვაქვს განსხვავება, მსჯელობის თანაფარდობაც თავისში შეიცავს უარყოფითობას"[20]. ეს კერძოდ, ნიშნავს, რომ უარყოფითი მსჯელობის „არა" იმავე ზომით მიერთვის პრედიკატს („არა-P"), რა ზომითაც კოპულას.

უარყოფითი მსჯელობის ზოგადი ფორმულა ასეთია: „ერთეული არ არის აბსტრაქტული ზოგადი". დავაკვირდეთ ახლა ამ ფორმულას.

მსჯელობის პრედიკატმა ერთგვარი განვითარება განიცადა, ის არ არის აბსტრაქტული ზოგადი. ირკვევა, რომ დადებითი მსჯელობის პრედიკატი აბსტრაქტულია. ამით თვითონ ეს პრედიკატი ხდება უფრო გარკვეული (ის ხომ სწორედ აბსტრაქტული ზოგადია), ხოლო უფრო გარკვეული ზოგადი, რომელიც ამავე დროს ერთეულისაგან განსხვავებულია, იქნება განსაკუთრებული. ამიტომ უარყოფითი მსჯელობა „ერთეული არ არის აბსტრაქტული ზოგადი", თავის მბრივ, ნიშნავს — „ერთეული არის რაღაც განსაკუთრებული". ჰეგელს ასეთი ახსნაც აქვს: კოპულის ბუნების ზამოაღნიშნული გაგებიდან ჩანს, რომ „არ" მიეკუთვნება არა მხოლოდ კოპულას, არამედ პრედიკატსაც. ამიტომ უარყოფითი მსჯელობა „ერთეული არ არის აბსტრაქტული ზოგადი", სხვანაირად ნიშნავს „ერთეული არის არა-ზოგადი". არა-ზოგადი კი, რომელიც ერთეულს პრედიკატად მიეწერება, არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა განსაკუთრებული. ასე მიიღება ფორმულა: „ერთეული არის რაღაც განსაკუთრებული". ეს არის უარყოფითი მსჯელობის დადებითი ფორმულა, მისი დადებითად გამოხატვა, მაგრამ ეს არ არის იგივე დადებითი მსჯელობა, რადგან აქ პრედიკატი ისე მარტივი და უშუალო როდია, როგორც დადებით მსჯელობაში (ის ხომ უკვე „განსაკუთრებულია") და არც კოპულა დარჩა მარტივი და აბსტრაქტული. მასში ხომ უარყოფის მომენტიც აღმოჩნდა. „მცირე ლოგიკაში" უფრო გარკვევითაა აღნიშნული, უარყოფითი მსჯელობა ამბობს, რომ სუბიექტი არ არის პრედიკატი. მაგრამ ეს არაა ს რ უ ლ ი უარყოფა, თანაფარდობა სუბიექტსა და პრედიკატს შორის მაინც რჩება. აბსტრაქტული პრედიკატი უარყოფილ იქნა, მაგრამ ამით პრედიკატი იქცა შედარებით ზოგადად, რომელიც საერთოდ ან სრულიად კი არაა უარყოფილი, არამედ უარ-

---

[20] Г е г е л ь. Соч,, т. VI, с. 75.

ყოფილია მისი მხოლოდ აი ეს გარკვეულობა. მაგ., „ვარდი არ არის წითელი“, ნიშნავს, რომ მას მაინც აქვს ფერი, კერძოდ, სხვა ფერი.

აქ ჰეგელი ჩერდება „უარყოფის“ ცნების გაგებაზე. მისთვის უარყოფითი (მაგ. „არა-ზოგადი“) არ ნიშნავს ცარიელ უარყოფითს, მხოლოდ უარყოფითს, წმინდა უარყოფითს. მაგ., „არა-ზოგადი“, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნიშნავს „განსაკუთრებულს“. მსჯელობა „ერთეული არის არა-ზოგადი“ ნიშნავს «ერთეული არის რაღაც განსაკუთრებული“. ამიტომ ჰეგელი აკრიტიკებს „უარყოფითის“ იმ გაგებას, თითქოს მის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სავსებით აბსტრაქტული უშუალო არარსი (небытие). ამ შემთხვევაში სავსებით გაურკვეველია თუ რა არის, მაგ., «არა-ზოგადი». ფორმალური ლოგიკიდან ამის მაგალითია ე. წ. კონტრადიქტორულ ცნებათა მიმართება, ცნების უარყოფა აქ ნიშნავს მ ხ ო ლ ო დ უარყოფას, რაღაც სხვის გაურკვეველ მოცულობას: non-A. მაგ., „არა-თეთრი“ არის ყველაფერი, გარდა „თეთრისა“. ამ შემთხვევაში „არა თეთრი“, „არა წითელი“, „არა სამკუთხედი“ მხოლოდ უარყოფითია და არ არის რაიმე დადებითი. ასეთ გაგებას უპირისპირდება უკვე, მაგ., საზღვრის ცნება, ამბობს ჰეგელი, რაიმე საზღვრის საშუალებით მიმართებაშია რაღაც სხვასთან და არა ცარიელ არარაობასთან. ასევე რეფლექსიის სფეროში უარყოფითი გ ა რ კ ვ ე უ ლ ი უარყოფითია, არის არა გაურკვეველი არ არის (небытие), არამედ დადგენილია ისე, რომ იგი არის იმდენად, რამდენადაც მას უპირისპირდება დადებითი, ხოლო ორივე იხსნება ს ა ფ უ ძ ვ ე ლ შ ი. „ამით უარყოფითი შეკავებულია ერთგვარ დახურულ სფეროში, რომელშიც ის, რასაც ერთი ა რ წარმოადგენს, არის რაღაც გარკვეული“[21]. მსჯელობის სფეროშიც „არა“ უშუალოდ არის რაღაც დადებითი, ისე, რომ, მაგ., „არა ზოგადი“ განსაკუთრებულია.

ყოველივე ამით ჰეგელს სურს დაამტკიცოს, რომ მსჯელობა „ერთეული არ არის აბსტრაქტული ზოგადი“ ნიშნავს „ერთეული არის რაღაც განსაკუთრებული“. სწორედ ეს აზრი აქვს უარყოფით მსჯელობას და ამით „მართლდება“ იგი.

უარყოფით მსჯელობაში რაიმე კავშირი, რაიმე კოპულა რომ არ იყოს, იგი არც იქნებოდა მსჯელობა. რამდენადაც იგი მსჯელობაა, მასში ადგილი აქვს სუბიექტისა და პრედიკატის მიმართებას და მათს

---

[21] Г е г е л ь. Соч., т. VI, с. 76.

თანაფარდობას. სუბიექტი რჩება სუბიექტად, ე. ი. იმად, რასაც აქვს მაინც რაღაც პრედიკატი. უარყოფილია არა პრედიკატი საერთოდ, არამედ აბსტრაქტული პრედიკატი, პრედიკატის აბსტრაქტულობა, მისი აი, ეს გარკვეულობა. ამდენად უარყოფითი მსჯელობა არაა ტოტალური უარყოფა. ის საერთო სფერო (die allgemeine Sphäre), რომელსაც პრედიკატი შეიცავს, შენარჩუნებულია. ამ აზრით და ამ მხრივ სუბიექტის თანაფარდობა პრედიკატთან ჯერ კიდევ რჩება არსებითად დ ა - დ ე ბ ი თ ი. მაგ., როცა ამბობენ „ვარდი არ არის წითელი" საერთო სფერო, ფერი შენარჩუნებულია. ამიტომ «ვარდი არ არის წითელი» გულისხმობს, რომ მას აქვს ფერი, კერძოდ, სხვა ფერი. ამ საერთო სფეროს თვალსაზრისით მსჯელობა რჩება დადებითი.

ამრიგად, უარყოფითი მსჯელობა თავისი არსებით ნიშნავს „ერთეული არის განსაკუთრებული", მაგრამ იგი თვითონაც (ისევე როგორც თავის დროზე დადებითი მსჯელობა) შინაგან ნაკლს, შინაგან შეუსაბამობას და წინააღმდეგობას ამჟღავნებს, რის ძალითაც უარიყოფა და სხვა მსჯელობაში გადადის. საქმე ისაა, რომ ერთეული იმავე დროს არაა განსაკუთრებული, განსაკუთრებული უფრო ფართო მოცულობისაა, ვიდრე ერთეული და არ შეესაბამება სუბიექტს, ამდენად, არც ზოგადია და არც განსაკუთრებული. რჩება მხოლოდ ის, რომ იგი არის ერთეული. უარყოფითი მსჯელობა უარყოფდა დადებითი მსჯელობის აბსტრაქტულ ზოგადს, რის შედეგად მივიღეთ განსაკუთრებული. განსაკუთრებულის უარყოფა კი მეორე უარყოფაა და ამდენად ერთეულის დატოვებაა თავისი თავის ამარა, თავისი თავის ფარგლებში. ამ პროცესში სუბიექტი და პრედიკატი (ერთეული და ზოგადი) მთლიანად მოწყდა ერთმანეთს და მსჯელობა, ასე ვთქვათ, დაიშალა ორ იგივეობრივ მსჯელობად: „ერთეული არის ერთეული" და „ზოგადი არის ზოგადი". (მაშინ როცა უფრო ადრე მტკიცდებოდა, რომ „ერთეული არის ზოგადი"). უარყოფით მსჯელობაში ჯერ კიდევ რჩებოდა სუბიექტის დადებითი თანაფარდობა პრედიკატთან და მათი საერთო სფერო. ახლა კი უარყოფაში მოჰყვა პრედიკატის მთელი მოცულობა და აღარ რჩება არავითარი დადებითი თანაფარდობა სუბიექტსა და პრედიკატს შორის. ასეთია დაუბოლოებული მსჯელობა.

გ) დაუბოლოებელი მსჯელობა

უარყოფითი მსჯელობა დაიშალა ორ ნაწილად: 1) მსჯელობად, რომელშიც ერთიდაიგივეა სუბიექტი და პრედიკატი („ერთეული არის ერთეული") და 2) მსჯელობად, რომელშიც ადგილი აქვს სრულ შეუსაბამობას სუბიექტსა და პრედიკატს შორის — დაუბოლოებელი მსჯელობა.

დაუბოლოებელი მსჯელობის მაგალითია „სული არაა სპილო", „ლომი არაა მაგიდა" და ა. შ. ასეთი მსჯელობა თავისთავად სწორია, მაგრამ ისევე უაზროა, როგორც იგივეობრივი მსჯელობა „ლომი არის ლომი", „სული არის სული". მივიღეთ მეტად თავისებური შედეგი, მსჯელობა, რომელიც არაა მსჯელობა, ასე ვთქვათ, მომაკვდავი მსჯელობა. „იგი უნდა იყოს მ ს ჯ ე ლ ო ბ ა და თავის თაეში უნდა შეიცავდეს სუბიექტის ერთგვარ თანაფარდობას პრედიკატთან, მაგრამ, ამავე დროს, მასში არ აუნდა იყოს ასეთი თანაფარდობა"[2].

აქ ჰეგელს მოჰყავს საინტერესო მაგალითი: ავადმყოფობა არის ორგანიზმის უარყოფითი მსჯელობა, სიკვდილი კი დაუბოლოებელ-უარყოფითი მსჯელობა. რა განსხვავებაა მათ შორის? ავადმყოფობა უარყოფს ორგანიზმის მხოლოდ ამა თუ იმ სასიცოცხლო ფუნქციას, მაგრამ არა სიცოცხლეს, როგორც ასეთს, ისევე, როგორც, მაგ., მსჯელობაში „ეს ყვავილი არაა წითელი", უარიყოფა აი ეს ფერი და არა ფერი საერთოდ, კერძოდ, სხვა ფერი. სიკვდილი ნიშნავს სულისა და სხეულის (ე. ი. სუბიექტისა და პრედიკატის) სრულ გათიშვას ერთმანეთისაგან. მკვდარი ორგანიზმი უკვე არცაა ორგანიზმი, ისევე, როგორც დაუბოლოებელი მსჯელობა არაა მსჯელობა.

უარყოფით-დაუბოლოებელ მსჯელობაში სუბიექტისა და პრედიკატის განსხვავება, ასე ვთქვათ, მეტისმეტად დიდია, რათა ის კიდევ რჩებოდეს მსჯელობად. დადებით-დაუბოლოებელ მსჯელობაში („ზოგადი არის ზოგადი", „ერთეული არის ერთეული") კი პირიქით, გვაქვს მხოლოდ იგივეობა და ამის გამო არც ისაა მსჯელობა. ამდენად, მსჯელობამ თითქოს მოსპო და გააუქმა თავისი თავი. მაგრამ ეს ასე როდია, ამბობს ჰეგელი. ის, რაც აქ დამთავრდა და დასრულდა, საერთოდ მსჯელობა კი არაა, არამედ

---

[2] Гегель. Соч., т. VI, с. 79.

მსჯელობის პირველი საფეხური, თვისობრივი მსჯელობა. აქედან იწყება მეორე საფეხური, რეფლექსიის მსჯელობა.

„თვისობრივი მსჯელობის" მაგალითი ჩვენ მოვიყვანეთ მხოლოდ სანიმუშოდ. კრიტიკის სახით ზემოთქმულთან ერთად განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი.

ჰეგელი აკრიტიკებს მსჯელობათა კლასიფიკაციას ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკაში. მაგრამ თვითონ მსჯელობის მხოლოდ იმ სახეებს გვაწოდებს, რომელთაც იცნობდა ტრადიციული ლოგიკა. გამოდის, რომ ტრადიციულ ლოგიკას ამ მხრივ მიზანი უკვე მიღწეული ჰქონდა, მსჯელობის ლოგიკურად გამართლებული ყველა სახე უკვე არის ცნობილი და წარმოდგენილი მის მიერ. ძველი ლოგიკის ნაკლი ისაა, ამბობს ჰეგელი, რომ ეს მსჯელობები ჩამოთვლილია უძრავი და გაყინული სახით, შინაგანი კავშირის, შინაგანი სიცოცხლისა და განვითარების გარეშე. შესაბამისად, თავის ამოცანასაც ჰეგელი იმაში ხედავს, რომ „აამოძრაოს" ძველი ლოგიკის ეს „გაქვავებული მასალა", მოძრაობისა და განვითარების თვლსაზრისით განიხილოს ტრადიციული ლოგიკის მსჯელობები. მსჯელობათა შინაგანი დიალექტიკური მოძრაობის იდეა სწორი და რაციონალურია, მაგრამ ტრადიციული ლოგიკის 12 მსჯელობის პირდაპირ გადმოწერა და მით დაკმაყოფილება ჰეგელის მსჯელობის თეორიის არსებითი ნაკლია. ამაში თავისებურად ვლინდება დათმობა და კომპრომისი ძველი ლოგიკის მიმართ, რომლის დაძლევას თვითონ ჰეგელი ლოგიკის მეცნიერების შეშმარიტი განვითარების აუცილებელ პირობად თვლიდა. დღეს უკვე უბრალო ფაქტია, რომ მსჯელობათა სიმრავლე არ ამოიწურება 12 მსჯელობით, რომელთაც იცნობდა ტრადიციული ლოგიკა[23].

* * *

იმის გასაგებად, თუ როგორ დგას მსჯელობათა კლასიფიკაციის პრობლემა საბჭოთა ლოგიკურ ლიტერატურაში, ჩვენ ავირჩევთ

---

[23] ჩვენ არ შევჩერდებით ჰეგელისეული კლასიფიკაციის სხვა ნაკლოვანებებზე, როგორიცაა, მაგ., მსჯელობის ცალკეულ სახეთა არასწორი ინტერპრეტაცია, მსჯელობათა შორის კავშირისა და გადასვლის ხელოვნური ხასიათი, სქემატიზმი და ფორმალიზმი და ა. შ.

ფორმალური ლოგიკის სამ სახელმძღვანელოს: პროფ. ვ. ფ. ასმუსის (1947 წ), პროფ. კ. ბაქრაძის (1955 წ). და დ. პ. გორსკის (1963 წ.), აგრეთვე პ. ვ. ტავანეცის სპეციალურ მონოგრაფიას მსჯელობათა კლასიფიკაციის შესახებ[24].

1. პროფ. ვ. ფ. ასმუსი თავის „ლოგიკაში" არსებითად იმეორებს ტრადიციული ლოგიკის კლასიფიკაციას:

1) თვისობრიობა (დადებითი და უარყოფითი),

2) რაოდენობა (ზოგადი, კერძო და ერთეული),

3) მიმართება (კატეგორიული, პირობითი და გაყოფითი),

4) მოდალობა (პრობლემატური, ასერტორული და აპოდიქტიკური).

ამასთან ერთად და ამის გვერდით ასმუსი ანსხვავებს მსჯელობის სამ ძირითად „ლოგიკურ ტიპებს":

1) საგნისადმი თვისების მიკუთვნების,

2) საგნის ან კლასის კლასში შეტანის,

3) მიმართების.

2. პროფ კ. ბაქრაძე («Логика», 1951 г. „ლოგიკა", 1955 წ.) აკრიტიკებს მსჯელობათა ე. წ. ტრადიციულ კლასიფიკაციას და ასეთ დაყოფას იძლევა:

A) მარტივი:

1) კატეგორიული

ა) შინაარსის მიხედვით

ა) არსებობის

ბ) თვისების

c) კლასის კლასში შეტანის

d) მიმართების

ბ) თვისობრიობის მიხედვით

ა) დადებითი

ბ) უარყოფითი

1) უარმყოფელი.

გ) რაოდენობის მიხედვით

ა) ზოგადი

1) ზოგად-გამოყოფითი („მხოლოდ...")

2) ზოგად-გამომრიცხავი („ყველა..., გარდა...")

ბ) კერძობითი

---

[24] ქვემოთ სხვა კონტექსტში აგრეთვე განხილული იქნება ა. ვ. დროზდოვის მონოგრაფია: «Вопросы классификации суждений» (1956 г.).

1) კერძოობით-გამოყოფითი („მხოლოდ ზოგიერთი...“)
2) ჩვეულებრივი კერძოობითი („ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი...“)

c) ერთეული
1) ერთ საგანზე
2) საგანთა კრებულზე, როგორც მთელზე.

d) მოდალობის მიხედვით
ა) პრობლემატური
ბ) ასერტორული
გ) აპოდიქტიკური

B) რთული:
1) პირობითი
2) კონიუნქციური („A არის B და C“)
3) კოპულატიური („A და B არის C“)

4) გაყოფითი
ა) ალტერნატიული (ერთი მაინც ახასიათებს)
ბ) საკუთრივ გაყოფითი (გამომრიცხავი „ან“)
გ) დისიუნქციური (ერთი მაინც არ ახასიათებს)

5) გამყოფი („ყველა A არის ნაწილობრივ B, ნაწილობრივ C“).

3. დ. ბ. გორსკი მსჯელობას ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს: მარტივი და რთული.

A) მარტივი: ატრიბუტული და მიმართების ატრიბუტული:
1) თვისობრიობა (დადებითი, უარყოფითი)
2) რაოდენობა (ზოგადი, კერძოობითი, ერთეული)
3) მოდალობა: ა) ალბათური (вероятное)
ბ) სარწმუნო (достоверное)
გ) სინამდვილის
დ) აუცილებლობის

B) რთული:
1) კონიუნქციური (შემაერთებელი — „A და B“ ან „A ∧ B“)
2) დისიუნქციური (გაყოფითი,—„A ან B“ ან „A ∨ B“)
ა) მკაცრი დისიუნქცია (მკაცრად გამყოფი)
ბ) სუსტი დისიუნქცია (შემაერთებელ-გამყოფი).
ვ) იმპლიკაციური (პირობითი) „თუ... მაშინ“, „A→B“.

4. ბ. ვ. ტავანეცმა ორი სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა მსჯელობათა კლასიფიკაციის პრობლემას: «Суждение и его виды»

(1953 г.) და «Вопросы теории суждения» (1955 г.). ამასთან უკანასკნელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს პირველში. მაგ., პირველ ნაშრომში (1953 წ.) მარტივი მსჯელობის 4 ასეთი კლასი იყო წარმოდგენილი:

1) კოპულის ხასიათი (დადებითი, უარყოფითი),

2) მსჯელობის საგნის ხასიათი (ერთეული, კერძოობითი, ზოგადი),

3) პრედიკატის შინაარსის ხასიათი (არსებობის, თვისების, მიმართების, შეტანის),

4) ნიშნისა და საგნის მიმართების ხასიათი (სინამდვილის, შესაძლებლობის, აუცილებლობის).

უკანასკნელ ნაშრომში (1955 წ.) კი ტავანეცი უარს ამბობს „კლასის" ასეთ სახელებზე დ მარტივ მსჯელობებს ჰყოფს „ხუთი რუბრიკის" მიხედვით, ისე რომ, ერთგვარი მერყეობით ტრადიციული ლოგიკის სახელებს უბრუნდება. მთლიანად აქ მსჯელობათა კლასიფიკაცია ასეთია:

A) მარტივი:

1) კოპულის თვისობრიობის მიხედვით:

ა) დადებითი

ბ) უარყოფითი

2) რაოდენობის მიხედვით:

ა) ერთეული

ბ) კერძოობითი

в) განუსაზღვრელ-კერძოობითი

в) განსაზღვრულ-კერძოობითი („მხოლოდ...")

გ) ზოგადი:

ა) მარეგისტრირებელი (განსაზღვრული „ყველა")

ბ) არა მარეგისტრირებელი

3) პრედიკატის შინაარსის მიხედვით:

ა) არსებობის

ბ) თვისების

გ) მიმართების

4) მოდალობის მიხედვით

ა) სინამდვილის

ბ) შესაძლებლობის

გ) აუცილებლობის

5)

ა) მიკუთვნების (ნიშნისა საგნისადმი)

ბ) შეტანის („არამარტო S არის (არ არის) P“)
გ) გამომყოფი („მხოლოდ...“)
B) რთული:
1) უპირობო მსჯელობები
ა) შემაერთებელი
ბ) გაყოფითი
გ) გამყოფი
დ) მრავლობითი (შედგენილი S-ით: „A, B, C... არის Д“)
2) პირობითი:
ა) არ გამომყოფი
გ) გამომყოფი („მაშინ და მხოლოდ მაშინ...“)

* * *

მსჯელობის ფორმათა მრავალგვარობა საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტია. საკითხი დგას მხოლოდ მისი ახსნის შესახებ. ლოგიკის ისტორიაში მრავალი განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი გამოითქვა ამ მიზნით. ყოველ, მეტნაკლებად მნიშვნელოვან, ლოგიკოსს თავისი განსაკუთრებული მიდგომა და თვალსაზრისი გამოპყოფს სხვებისაგან ამ პრობლემის გაგებაშიც.

პრობლემის გადაწყვეტის საფუძველს ჩვენთვის შეადგენს ლოგიკურის ზოგადი გაგება, რომლის თანახმად იგი ასახული საგნობრივია. მსჯელობა, როგორც აზროვნების ლოგიკური ფორმა, ობიექტურ საგანს ასახავს და თავისი არსებით მასზეა დამოკიდებული. მსჯელობის ფორმათა მრავალგვარობაც რეალურ საგანს ემყარება და მასში პოულობს თავის ახსნას. ამ დებულებით „საგნობრივი ლოგიკის“ თეორია უპირისპირდება კანტიანურ აგნოსტიციზმს, რომელიც პრინციპულად თიშავს ერთმანეთისაგან ადამიანის ლოგიკურ აზროვნებას და ნამდვილ, რეალურ, ობიექტურ სამყაროს. ჩვენი აზროვნების ლოგიკური სტრუქტურა და აგებულება თავისთავადი და დამოუკიდებელი ფაქტია კანტისათვის. მსჯელობის განსხვავებულ სახეთა საფუძველს ის ეძებს ისევ და ისევ ჩვენი ცნობიერების თავისებურ ბუნებაში და არა ნამდვილ, რეალურ, ობიექტურ საგანში, რომელიც „მიღმურად“ არის გამოცხა-

ლებული. ამ აზრით, კანტს არ გააჩნია მსჯელობის განსხვავებულ სახეთა ობიექტური საფუძველი. თუ რა სახის მსჯელობები არსებობენ, ობიექტური საგნით როდი განისაზღვრება, არამედ „პირველადი“ და დამოუკიდებელი ფაქტია. ამით მოხსნილია ამ ფაქტის ახსნის თვით პრობლემა, ან უკანონოდ არის გამოცხადებული.

ამ გზით მიდის კანტთან ასე თუ ისე დაკავშირებული „ფორმალური ლოგიკა“. მას „ფორმალური“ სწორედ იმიტომ ეწოდა, რომ აზროვნების ლოგიკურ ფორმებს, კერძოდ, მსჯელობის განსხვავებულ ფორმებს ის არ უკავშირებს რეალურ, ნამდვილ, ობიექტურ საგანს და საერთოდ არც ცდილობს „გავიდეს“ აზროვნების „წმინდა ფორმის“ სამყაროდან. რა და რა სახის მსჯელობები არსებობენ და რა არის მათი წყარო? კანტიანურ ფორმალურ ლოგიკას არ შეუძლია უპასუხოს, რომ ეს დამოკიდებულია რეალური, ობიექტური საგნის ბუნებაზე, რადგან ასეთი საგანი ან მიუწვდომლად არის გამოცხადებული, ან საერთოდ უარყოფილია. თუ რა სახის მსჯელობები არსებობენ, ეს საერთოდ არაა „დამოკიდებული“ რაიმეზე, არამედ თავისთავადი ფაქტია, რომელიც მხოლოდ უნდა აღმოვაჩინოთ და შევისწავლოთ. ფაქტია, რომ ესა და ეს მსჯელობები არსებობენ, ლოგიკას მხოლოდ ეს ფაქტი აინტერესებს, ასეთია ფორმალურ ლოგიკაში გავრცელებული პასუხი ამ კითხვაზე.

მაგრამ უკვე ამ პასუხში იმალება გარკვეული ფილოსოფიური პოზიცია: იგი გულისხმობს ჩვენი აზროვნების ლოგიკური ფორმის დამოუკიდებლობას. აზროვნების პრაქტიკაში სხვადასხვა მსჯელობათა კონსტანტაცია თავისთავად საკმარისი როდია. ლოგიკას მსჯელობა აინტერესებს არა როგორც თავისთავადი ფსიქიკური ფენომენი, არამედ როგორც ობიექტის სუბიექტური სახე. ფსიქოლოგიზმი სუბიექტური იდეალიზმის გამოვლენაა ლოგიკაში. მსჯელობის განხილვა ობიექტური საფუძვლის გარეშე საორიენტაციო ხაზს ჰკარგავს ლოგიკაში. ლოგიკური მსჯელობა არ გაიგება თავისთავად. იგი სპეციფიკური სახის ფაქტია, რომელსაც აზრი არა აქვს ობიექტური საფუძვლის გარეშე.

ამიტომ არის მიუღებელი ე. წ. აბსოლუტური ნეიტრალიზმი ლოგიკური ფორმების განხილვაში. ამ პრინციპის თანახმად ლოგიკა ნეიტრალური მეცნიერებაა, ის აღმოაჩენს და შეისწავლის, მაგ., მსჯელობის სხვადასხვა სახეებს, როგორც ასეთს, მათს ურთიერთობას და თავისებურებებს. რაც შეეხება „საფუძველს“,

ზოგად-ფილოსოფიური კონცეფციის საქმეა, თუ რა „ინტერპრეტაცია“ მიეცემა ლოგიკის მიერ მიღებულ და დადგენილ შინაარსს, მას შეიძლება მიეცეს იდეალისტური ან მატერიალისტური. მეტაფიზიკური ან დიალექტიკური ინტერპრეტაცია, მაგრამ თვით ლოგიკური შინაარსი უცვლელი რჩებაო.

ასეთი არგუმენტაციის საპირისპიროდ საკმარისია ითქვას, რომ მისი საკუთარი მოთხოვნაა პრაქტიკულად განუხორციელებელი: მსჯელობის ფორმების აბსოლუტურად ნეიტრალური განხილვა[25]. როგორც კი დავიწყებთ მსჯელობის ლოგიკური ბუნების ანალიზს, ჩვენ უკვე მივმართავთ და ვიყენებთ ზოგად-ფილოსოფიურ კატეგორიებს. მაგ., ლოგიკა განიხილავს ზოგადი და კერძო, პირობითი, შესაძლებლობის და ა. შ., მსჯელობის სახეებს, მაგრამ „ზოგადი და კერძო“, „პირობა“ და „შესაძლებლობა“ ხომ ზოგადფილოსოფიური კატეგორიებია. მათი გაგება და გარჩევა ლოგიკისათვის შეუძლებელი იქნებოდა, რომ იგი გარკვეულ ზოგადფილოსოფიურ თვალსაზრისს არ ემყარებოდეს.

ამიტომ საკითხი იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე უნდა მოხდეს მსჯელობათა კლასიფიკაცია, თუ რა არის მსჯელობის განსხვავებულ სახეთა წყარო, მსჯელობის თეორიის რაღაც გარეგანი და „დამატებითი“ მომენტი როდია. იგი არსებითი მნიშვნელობის საკითხია, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტა განსაზღვრავს მსჯელობის ლოგიკური თეორიის საკუთარ შინაარსს.

მარქსისტული ლოგიკის თვალსაზრისით მსჯელობის სხვადასხვა ლოგიკური ფორმები შემეცნების ისტორიული განვითარების პროცესში აღმოცენდნენ და ჩამოყალიბდნენ. ლოგიკური აზროვნება თავისთავადი და დამოუკიდებელი ფაქტი კი არაა, არამედ შემეცნების ხანგრძლივი ისტორიული პროცესის „შედეგი, ჯამი, დასკვნა“. მსჯელობა ობიექტურ საგანს ასახავს და მისი განსხვავებული სახეები თვით ამ საგნის გარკვეულ ობიექტურ თავისებურებებს უკავშირდება. მსჯელობა საგნის იდეალური სურათია და მისი მეცნიერული გაგება მხოლოდ საგნის თეორიის საფუძველზეა შესაძლებელი. საგანი არის მსჯელობის ობიექტური საფუძველი, მისი დედანი, მისი ორიგინალი, რომლის ცნობიერი რეპროდუქცია ლოგიკური მსჯელობის შინაგანი არსებაა და არა რაღაც მეორეხარისხოვანი და დამატებითი მომენტი, რომელსაც

---

[25] ტრენდელენბურგმა თავის დროზე სამართლიანად მიაქცია ყურადღება ამ მომენტს.

ჯინდა მიიღებ მხედველობაში, გინდა არა. ცხვანაირად წარმოუდგენელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ინტერპრეტაცია“ თავისთავად უკვე მიღებულ ლოგიკურ შინაარსს გარედან კი არ „ეხვევა თავს“, არამედ თვით ამ შინაარსის მიღების პროცესს მოიცავს. იგი ხომ თავიდანვე „ნასესხები“ და არადამოუკიდებელი შინაარსია.

ამრიგად, საგანი დგას მსჯელობის წინ, როგორც პირველადი და გამოსავალი მხარე, როგორც დედანი, როგორც „ნიმუში“. ლოგიკური მსჯელობა სხვა არაფერია, თუ არ მისი ასახვა. საგანი შეადგენს მსჯელობის განსხვავებულ სახეთა ობიექტურ წყაროსა და საფუძველს.

მაგრამ ეს ზოგადია. მსჯელობა საგანს ასახავს გარკვეულობათა შუალობით. საგანი არსებობს არა „შიშველი“, წმინდა სახით, როგორც ასეთი, არამედ განსხვავებულ გარკვეულობებს გულისხმობს. იგი საერთოდ შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც განსხვავებულ გარკვეულობათა ერთიანობა.

დიალექტიკის თეორია უარყოფს საგნისა და გარკვეულობის მეტაფიზიკურ დაპირისპირებას. მაგრამ არც მათი უშუალო იგივეობის თვალსაზრისს იცავს. ყოველ საგანში გაირჩევა გარკვეულობათა სიმრავლე. ამ აზრით საგანი და გარკვეულობა არაა ერთიდაიგივე. მაგრამ გარკვეულობა იმავე დროს რაღაც გარეგანი კი არაა საგნისათვის, არამედ მისი საკუთარი შინაგანი მომენტია. იგი საგნობრივი ვითარებაა, ასე ვთქვათ, საგნის საქმის ვითარებაა (გერმ. Sachverhalt).

ზოგჯერ „საქმის ვითარება“ გაგებულია, როგორც სტატიკური ფაქტი, ცალმხრივი ამგვარად ყოფნა (Sosein), რომელიც მეტაფიზიკურად უპირისპირდება სხვაგვარად ყოფნას (Anderssein), განსხვავებით ე. წ. კინეტიკური ფაქტისაგან („ხდომილობა“). მაგრამ „გარკვეულობას“, როგორც „საქმის ვითარებას“, ჩვენ ვიღებთ ფართო აზრით, რომელიც თავის თავში ორივე ზემოაღნიშნულ მომენტს გულისხმობს და არ დაიყვანება ერთ-ერთ მათგანზე ცალ-ცალკე.

დიალექტიკური გაგებისათვის ასევე უცხოა Sein-ისა და Sosein-ის მეტაფიზიკური დაპირისპირება, რომელზეც უახლოესი ბურჟუაზიული ფილოსოფიის ბევრი წარმომადგენელი პარაზიტობს. მართალია, გარკვეული აზრი აქვს „არსებობისა“ (Existieren, Dasein, Vorhandensein (наличие), Bestehen) და „არსების“ (Washeit, Wesen, Sosein) განსხვავებას, საგანი არსებობს და გარკვეული სახით არსებობს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს Sosein-ის დამოუკიდებლობას Sein-ისაგან.

გარკვეულობაც დამოკიდებულია საგანზე. იგი სწორედ საგნის გარკვეულობაა და აზრს კარგავს მის გარეშე. მსჯელობის ასახვის ობიექტიც არის არა „წმინდა“ გარკვეულობა საგნის გარეშე, ან საგანი გარკვეულობის გარეშე, არამედ საგნისა და გარკვეულობის რეალური კავშირ-ერთიანობა.

ყოველ საგანს გარკვეულობათა სიმრავლე ახასიათებს. საგნის ობიექტურ გარკვეულობათა ეს სიმრავლე ედება საფუძვლად მსჯელობის განსხვავებულ სახეთა მრავალგვარობას. ასეთია მსჯელობათა კლასიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი დიალექტიკურ ლოგიკაში. მსჯელობამ პასუხი უნდა გასცეს კითხვაზე: „რა არის საგანი?“ ეს კი საგნის განსხვავებულ გარკვეულობათა საშუალებით მიიღწევა. მსჯელობაში გარკვეულობა წარმოდგენილია პრედიკატის ფორმით. მსჯელობა არ დაიყვანება პრედიკატზე, ყოველ მსჯელობაში პრედიკატი სუბიექტთან განუყრელ კავშირში გამოდის. მაგრამ ეს მხოლოდ იმ რეალურ ვითარებას ასახავს, რასაც ეწოდება გარკვეულობის განუყრელი კავშირი საგანთან. პრედიკატი პასუხია კითხვაზე: რა არის სუბიექტი? სხვადასხვა სახის პრედიკატი საგნის განსხვავებულ გარკვეულობებს გამოხატავს. ამიტომ მსჯელობათა კლასიფიკაციას პრედიკატთა შინაარსი უნდა დაედოს საფუძვლად. რა და რა გარკვეულობა შეიძლება გამოითქვას საგნის შესახებ? ასეთია კითხვა, რომელსაც უპასუხებს მსჯელობის განსხვავებულ სახეთა სიმრავლე.

საგანი გარკვეულობათა ობიექტური სისტემაა, რაც ფილოსოფიაში აისახება კატეგორიათა სისტემის სახით. ამიტომ მსჯელობის განსხვავებულ სახეთა კატეგორიალური საფუძვლის ძიება მსჯელობათა კლასიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია დიალექტიკურ ლოგიკაში. ეს გარემოება სუბიექტური სურვილი და მოთხოვნა კი არაა, არამედ მსჯელობის ლოგიკური თეორიის, ასე ვთქვათ, ნამდვილი აუცილებლობა. სხვადასხვა ზომით და ფორმით იგი ვლინდება ყველა ლოგიკურ თეორიაში მსჯელობათა კლასიფიკაციის შესახებ. მაგრამ, ამავე დროს, ეს ფაქტი ყოველთვის როდია შეგნებული და გაცნობიერებული, პირიქით, ლოგიკოსთა მხოლოდ მცირე ნაწილი შეგნებულად აყენებს საკითხს მსჯელობის სახეთა შესაბამისობის შესახებ კატეგორიათა სისტემასთან. ხოლო ფილოსოფოსთა ის ნაწილი, რომელიც პრინციპულად უარყოფს საერთოდ კატეგორიათა სისტემას (თანამედროვე პოზიტივიზმი), ცხადია, მსჯელობის განსხვავებულ სახეებს შეგნებულად უპირის-

პირებს კატეგორიალურ საფუძველს. მაგრამ ესეც ხდება, საბოლოო ანგარიშში, მხოლოდ სიტყვიერად, რადგან მსჯელობის განსხვავებულ სახეთა ფაქტიური გარჩევისას ეს მიმართულება თვითონაც იყენებს კატეგორიალურ შინაარსს.

ავიღოთ სანიმუშოდ ტრადიციული ფორმალური ლოგიკის მაგალითი. შესძლო თუ არა მან მსჯელობათა კლასიფიკაციის დროს გვერდი აეცილა კატეგორიალური საფუძვლისათვის? ჯერ ერთი, ტრადიციული ფორმალური ლოგიკა სიტყვა-სიტყვით იმეორებს კანტისეულ კლასიფიკაციას, კანტი კი მსჯელობათა სახეებს პირდაპირ უკავშირებდა კატეგორიათა გარკვეულ სიმრავლეს და უშუალო შესატყვისობას ხედავდა მათ შორის. მეორე, ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკას მიღებული აქვს მსჯელობათა 4 კლასის ცნობილი სახელები: რაოდენობა, თვისებრიობა, მიმართება და მოდალობა. მაგრამ ესენი ხომ ზოგად-ფილოსოფიური კატეგორიებია! მესამე, მსჯელობის ცალკეულ სახეთა ფაქტიური ახსნა-განმარტების დროს ტრადიციული ფორმალური ლოგიკა თვითონ ემყარება და იყენებს ზოგად-ფილოსოფიურ, კატეგორიალურ შინაარსს. მაგ., ლაპარაკობს ერთეული და ზოგადი მსჯელობების, ანდა პირობითი და უპირობო, სინამდვილისა და შესაძლებლობის და ა. შ. მსჯელობათა შესახებ, მაგრამ შეუძლებელია რომელიმე მათგანი გავიგოთ და დავახასიათოთ, თუ არ იქნა გამოყენებული ზოგად-ფილოსოფიური კატეგორიები, როგორიცაა ერთეული და ზოგადი, პირობა და მიზეზობრიობა, შესაძლებლობა და სინამდვილე და ა. შ.[26].

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე პოზიტივიზმი სწორედ ამის გამო აკრიტიკებს ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკას. მისი ერთ-ერთი ძირითადი საბუთი დ საყვედური ტრადიციული ფორმალური ლოგიკის მიმართ ისაა, რომ იგი არ იყო საკმაოდ „ფორმალური" და თანმიმდევარი. ამ აზრით, თანამედროვე პოზიტივისტები

---

[26] «Формальная логика хочет понять формы мышления сами по себе, не касаясь проявляющегося в них содержания, წერდა ტრენდელენბურგი, она хочет уразуметь понятие, суждение, умозаключение из одной чистой деятельности мышления, по отношению ее к себе самой». მაგრამ ამ ამოცანას ის ვერ ანხორციელებს თავის საკუთარ პრაქტიკაში და ყოველი ფეხის ნაბიჯზე საოცრად ეწინააღმდეგება თავის თავს, იძულებულია რა განუწყვეტლივ საგნობრივ შინაარსს (მაგ., არსებითი ნიშანი, პირობა, შესაძლებლობა აუცილებლობა და ა. შ.) მიმართოს. (იხ. А. Тренделенбург. Логические исследования, ч. 1, 1868, с. 18).

უარყოფენ ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკას. მათი ლოგიკური კრიტიციზმი კლასიკური კატეგორიებისაგან ძველი ლოგიკის „გაწმენდის“ დროშით წარიმართა. პოზიტივისტები თავიანთ ლოგიკას „თანამედროვე ფორმალურ ლოგიკად“ თვლიან, რომელიც ტრადიციულისაგან განსხვავებით, ფორმალიზაციის ახალ ეტაპს, ახალ საფეხურს მოასწავებს. ამიტომ თავიანთ ლოგიკაში მათ უკვე აღარ შეაქვთ მსჯელობათა ის ტაბულა, რომელიც ტრადიციული კლასიფიკაციის სახელით არის ცნობილი.

ჯერ კიდევ მ. ი. კარინსკი შეგნებულად აყენებდა საკითხს: „ყველაზე ზოგადი და ყველაზე ჩვეულებრივი თვალსაზრისები მსჯელობაზე, არსებული საგნების შესახებ, შეიძლება დავიყვანოთ სამზე: 1) ჩვენ შეგვიძლია მსჯელობაში გამოვხატოთ რწმენა საგნის ნამდვილი არსებობის შესახებ; 2) ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ საგანი ისე, როგორც ის არის თავისთავად, სხვა საგნებთან მიმართების გარეშე, და 3) — სხვა საგნებთან მიმართებაში“[27]. მაშასადამე, კარინსკი გარკვეულ კატეგორიალურ საფუძველზე (არსებობა, თვისობრიობა, მიმართება) ჰყოფს მსჯელობებს სხვადასხვა კლასებად; სხვა საკითხია, ამოიწურება თუ არა დასახელებული სამი ძირითადი კატეგორიით საგნის გარკვეულობათა სიმრავლე. ამაში დიალექტიკის თეორია, ცხადია, ვერ დაეთანხმება კარინსკის, მაგრამ ზოგადად მასთან მაინც დგას საკითხი მსჯელობათა კლასიფიკაციის კავშირისა კატეგორიალურ შინაარსთან.

საბჭოთა ავტორების კლასიფიკაციებშიც ჩვენ ვხედავთ ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა არსებობა, თვისება, მიმართება, სინამდვილე, შესაძლებლობა, აუცილებლობა, პირობა, ერთეული, ზოგადი და ა. შ. ავიღოთ, მაგ., ა. დროზდოვის კლასიფიკაცია მისი შრომიდან «Вопросы классификации суждений» (1956 г.). დროზდოვი მსჯელობათა 6 კლასს გამოჰყოფს:

1) შედგენილობა (მარტივი და რთული),
2) დასტურისა და უარყოფის ხასიათი (კატეგორიული და პირობითი),
3) შინაარსი,
4) რაოდენობა,
5) თვისობრიობა,
6) მოდალობა.

---

[27] Избранные труды русских логиков XIX века, с. 184.

თითოეული მათგანი შემდეგ მსჯელობებს შეიცავს.

1) შედგენილობის (состав) მიხედვით:

A) მარტივი:

ა) კატეგორიული (ერთი S და P-თი)

ბ) გაყოფითი:

1) რთული S და მარტივი P-თი

2) მარტივი S და რთული P-თი

3) რთული S და რთული P-თი.

გ) შედგენილობის („წყალი შედგება H და O-საგან“)

დ) გამომყოფი („მხოლოდ...“)

ე) შემაერთებელ-გამყოფი („სტუდენტი, რომელიც ფრიადზე სწავლობს, ან ნიჭიერია, ან ბეჯითი“).

ვ) პირობითი

B) რთული:

ა) შემაერთებელი

1) კონიუნქციური („ეს კაცი ღონიერია და ამტანია“)

2) კოპულატიური („ივანოვი და პეტროვი სტუდენტებია“)

3) კონიუნქციურ-კოპულატიური („ივანოვი და პეტროვი უნივერსიტეტში სწავლობენ და საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ“).

ბ) გამყოფი (კლასიფიკაციური) („მეცნიერება არის საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი“).

გ) გამომრიცხავი („ჯგუფის ყველა სტუდენტი, პეტროვის გამოკლებით, ფრიადოსანია“).

2) დასტურისა და უარყოფის ხასიათის მიხედვით

a) კატეგორიული (უპირობო):

ა) კატეგორიული ერთი S და P-თი

ბ) შემაერთებელი

გ) შედგენილობის

დ) კლასიფიკაციის

ე) შემაერთებელ-გამყოფი

ვ) გაყოფითი

ზ) გამომყოფი

თ) გამომრიცხავი

B) პირობითი

ვ) შინაარსის მიხედვით:

ა) არსებობის
ბ) თვისების
გ) მიმართების
დ) შეტანის (საგნის, ან კლასისა კლასში)
4) თვისობრიობის მიხედვით:
ა) დადებითი
ბ) უარყოფითი
5) რაოდენობის მიხედვით:
ა) ერთეული:
1) საკუთრივ-ერთეული
2) გამომყოფი ერთეული
ბ) კერძოობითი:

1) განსაზღვრულ-კერძოობითი	a) საკუთრივ-კერძოობითი
2) განუსაზღვრლ-კერძოობითი	b) გამომყოფი კერძოობითი

გ) ზოგადი

1) საკუთრივ-ზოგადი	a) არსების მსჯელობა
2) ზოგად-გამომრიცხავი	b) რეგისტრაციის მსჯელობა

3) ზოგად-გამომყოფი
6) მოდალობის მიხედვით:
ა) შესაძლებლობის
ბ) სინამდვილის
გ) აუცილებლობის

როგორც ვხედავთ, კლასიფიკაციის დროს დროზდოვი იყენებს კატეგორიებს; არსებობა, თვისება, მიმართება, რაოდენობა, თვისობრიობა, პირობა, სინამდვილე, შესაძლებლობა, აუცილებლობა, ერთეული, ზოგადი და ა. შ. მაგრამ მას, ისევე როგორც ტრადიციული კლასიფიკაციის ავტორებს (მცირე გამონაკლისის გარდა), შეგნებულად არა აქვს დასმული და გარჩეული კატეგორიალური საფუძვლის აუცილებლობა. ეს კატეგორიები მის კლასიფიკაციაში თავს იჩენენ, ასე ვთქვათ, სტიქიურად, როგორც თეორიის თავისებური „ბუნებრივი აუცილებლობა"... ერთია, კატეგორიალურ საფუძველზე შეგნებული დგომა და, მეორე, — ამ კატეგორიათა უნებური არეკვლა თეორიაში, რომელშიც, საბოლოო ანგარიშში, მაინც საგნის გარკვეულობათა სიმდიდრე „გადმოიღვრება".

დროზდოვისეული კლასიფიკაცია ტიპიურია ამჟამად ჩვენს ლოგიკურ ლიტერატურაში. მისი ზოგადი შეფასების მიზნით ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: იგი არ მიჰყვება ტრადიციულ კლა-

სიფიკაციას, რომელიც 4 კლასის 12 მსჯელობას შეიცავდა. ტრადიციულიდან შენახულია სამი კლასი: რაოდენობა, თვისობრივობა და მოდალობა. ტრადიციული კლასიფიკაციის მეოთხე კლასი: „მიმართების მსჯელობები" დაშლილია და მის ადგილზე წამოყენებულია ორი კლასი: „შედგენილობა" (მარტივი და რთული) და „დასტურისა და უარყოფის ხასიათი" (კატეგორიული ანუ უპირობო და პირობითი). მეექვსე რუბრიკს შეადგენს შინაარსის მიხედვით კლასიფიკაცია, რაც უშუალოდ კარინსკის გავლენითაა გამოყოფილი. პირველივე შეხედვით თვალში გვეცემა წარმოდგენილი კლასიფიკაციის ეკლექტიკური ხასიათი. დროზდოვს არ აკმაყოფილებს ტრადიციული კლასიფიკაცია. მაგრამ როგორ ცვლის მას? სამ ტრადიციულ კლასს მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ა დ ემატება სამი ახალი კლასი, ისე რომ, ისინი სრულებით არაა მოაზრებული და გაერთიანებული ერთი პრინციპის საფუძველზე. ზუსტად თუ ვიტყვით, აქ არც კი ჩანს საზოგადოდ რაიმე პრინციპი, შეკრებილი და ერთმანეთის გვერდით თავმოყრილია ყველაფერი, რაც აზროვნების პრაქტიკაში ძველი და ახალი ავტორების მიერ ინდუქციით იქნა „ნაპოვნი". ეს თავისთავად ცხადი ხდება ზემოთ მოყვანილი 6 კლასის ურთიერთობის გააზრებისას. ყოველი მათგანი სრულიად შემთხვევითი და დაუფუძნებელია, მათ შორის კი არ არის არავითარი კავშირი.

უდავო და მნიშვნელოვანია, რომ აქ ბევრი ახალი მსჯელობაა წარმოდგენილი, რომელთაც არ იცნობდა ტრადიციული ლოგიკა. ტრადიციული ლოგიკის 12 მსჯელობის ადგილზე (უკეთ, 11 მსჯელობის ადგილზე, დაუბოლოვებელი მსჯელობა საერთოდ გამოტოვებულია), 21 მსჯელობაა დასახელებული. მათ შორის ახალია:

1. შედგენილობის
2. გამომყოფი
3. შემაერთებელ-გამყოფი
4. კონიუნქციური (მრავალპრედიკატიანი)
5. კოპულატიური (მრავალსუბიექტიანი)
6. კონიუნქციურ-კოპულატიური
7. გამყოფი (კლასიფიკაციის)
8. გამომრიცხავი
9. არსებობის
10. მიმართების

ამას გარდა, შენიშნული და გამოყოფილია მსჯელობის ბევრი ქვესახე:

1. გაყოფითი—რთული S და მარტივი P-თი
2. გაყოფითი—მარტივი S და რთული P-თი
3. გაყოფითი—რთული S და რთული P-თი
4. საკუთრივ-ერთეული („ივანე მეცნიერია“)
5. გამომყოფი ერთეული („მხოლოდ ივანე...“)
6. განსაზღვრულ-კერძოობითი („უმრავლესობა“, „აბსოლ. უმრავლესობა“, „უმცირესობა“, „უმნიშვნელო ნაწილი...“)
   ა) საკუთრივ-კერძოობითი
   ბ) გამომყოფი-კერძოობითი
7. განუსაზღვრელ-კერძოობითი („ზოგიერთი კომკავშირელი მასწავლებელია“)
   ა) საკუთრივ-კერძოობითი
   ბ) გამომყოფი-კერძოობითი.
8. საკუთრივ-ზოგადი („ყველა...“)
   ა) არსების (განუსაზღვრელი ყველა)
9. ზოგად-გამომრიცხავი („ყველა... გარდა...“)
   ბ) რეგისტრაციის (განსაზღვრული „ყველა“)
10. ზოგად-გამომყოფი („მხოლოდ ყველა...“)

მაგრამ მსჯელობათა ეს სიმრავლე ტრადიციული ლოგიკის მსჯელობებს მექანიკურად ემატება. მთლიანად 21 მსჯელობა შინაგანი კავშირ-ერთიანობის გარეშეა წარმოდგენილი. კლასიფიკაციას აკლია ძირითადი გამაერთიანებელი პრინციპი, რომლითაც მსჯელობათა სიმრავლე უნდა „მოწესრიგდეს“. რაში მდგომარეობს ეს პრინციპი? ზემოთ უკვე ითქვა, რომ ასეთი პრინციპია საგანი, როგორც გარკვეულობათა ობიექტური სისტემა.

* * *

მსჯელობის ფორმათა ქუბორდინაციის საკითხს ეხება ფ. ენგელსი: „დიალექტიკური ლოგიკა, წინააღმდეგ ძველი, წმინდა ფორმალური ლოგიკისა, არ კმაყოფილდება ამ უკანასკნელის მსგავსად იმით, რომ ჩამოთვალოს და ყოველგვარი კავშირის გარეშე ერთმანეთის გვერდით დააწყოს აზროვნების მოძრაობის ფორმები,

ე. ი. მსჯელობათა და დასკვნათა სხვადასხვა ფორმები. მას, პირიქით, ეს ფორმები ერთი მეორედან გამოჰყავს, იგი მათ შორის ნაცვლად კოორდინაციისა სუბორდინაციის დამოკიდებულებას ამყარებს და დაბალი ფორმებიდან უფრო მაღალ ფორმებს ანვითარებს"[28].

აკრიტიკებს რა ჰეგელის მოძღვრების იდეალისტურ პრინციპებს, ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ზოგადად სწორი და მნიშვნელოვანია მსჯელობათა სიმრავლის სისტემატიზაცია ისეთი კატეგორიების საფუძველზე, როგორიცაა ერთეული→განსაკუთრებული→ზოგადი. ამის სისწორე გაპირობებულია არა „აბსოლუტური იდეის" თავისებურებით, როგორც ამას ჰეგელი ამტკიცებს, არამედ ადამიანის შემეცნების ისტორიული განვითარებით. ლოგიკური ამ აზრითაც ეფუძნება და გამოხატავს ისტორიულს, იგი სხვა არაფერია, თუ არა ისტორიული, აღებული ზოგადი ფორმით.

მსჯელობის განსხვავებული სახეები ისტორიული წარმოშობისაა, შემეცნების ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში ჩამოყალიბდნენ და განვითარდნენ. მსჯელობის განსხვავებულ სახეთა ურთიერთობაც არ შეიძლება არ ასახავდეს შემეცნების ისტორიული განვითარების ზოგად კანონზომიერებას. შემეცნების ისტორიული განვითარების პროცესიც ერთეულიდან განსაკუთრებულის გზით ზოგადისაკენ მიდის.

სამაგალითოდ ფ. ენგელსს მოჰყავს ფიზიკის ერთი კანონის, ენერგიის გარდაქმნის კანონის ისტორია. მოძრაობის ცალკეულ ფორმათა და მათი ურთიერთობის ისტორია ფიზიკის მეცნიერების (ე. ი. ფიზიკური შემეცნების) ერთ-ერთი არსებითი ასპექტია. თუ ავიღებთ მსჯელობათა სიმრავლეს, რომელიც ისტორიულად ამ საკითხზე გამოითქვა და ზოგადი ლოგიკური ფორმის მხრით დავახასიათებთ, — იგი სამ ძირითად ჯგუფად წარმოგვიდგება, რომლებიც ერთმანეთს მისდევენ, როგორც მარტივიდან რთულისაკენ მიმართული საფეხურების რიგი:

1) ერთეული მსჯელობა მოძრაობის ფორმათა შესახებ,

2) განსაკუთრებული მსჯელობა მოძრაობის ფორმათა შესახებ,

3) ზოგადი მსჯელობა მოძრაობის ფორმათა შესახებ.

აქ ენგელსი გამოდის არა აზროვნების „იმანენტური" ლოგიკური სტრუქტურიდან, არამედ იღებს ფიზიკის ისტორიის ფაქ-

---

[28] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 229.

ტიურ პროცესს. თვით ფიზიკის ფაქტიურ ისტორიაში ზოგად მსჯელობას უსწრებდა განსაკუთრებული მსჯელობა, განსაკუთრებულს — ერთეული მსჯელობა. აღნიშნული კანონის შემეცნების თვით ისტორიაა სამსაფეხურიანი, — მიმდინარე მრავალი საუკუნის მანძილზე:

1) „ხახუნი სითბოს წყაროა“,

2) „ყველა მექანიკურ მოძრაობას უნარი აქვს ხახუნის საშუალებით სითბოდ გარდაიქმნას“,

3) „მოძრაობის ყოველი ფორმა იმდენადვე უნარიანია, რამდენადაც იძულებულია თითოეული შემთხვევისათვის გარკვეულ პირობებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გარდაიქმნას მოძრაობის ყოველ სხვა ფორმად“.

პირველი მუნარსის დადებითი მსჯელობაა, მეორე — რეფლექსიის უნივერსალური მსჯელობა, მესამე კი ცნების აპოდიქტიკური მსჯელობა, ამბობს ფ. ენგელსი. მათი მიმართება, ზოგადად აღებული, ერთეულის, განსაკუთრებულისა და ზოგადის მიმართებაა.

მათი სუბიექტების შედარება თავისთავად აჩვენებს ერთეულიდან ზოგადისაკენ მიმართულ პროცესს: 1) „ხახუნი“, 2) „ყველა მექანიკური მოძრაობა“, 3) „მოძრაობის ყველა ფორმა“.

შემეცნების ისტორიული პროცესი მარტივიდან რთულისაკენ მიმართული პროცესია. შემეცნება მხოლოდ თანდათანობით, ისტორიული განვითარების პროცესში აღწევს თავისი ობიექტის სულ უფრო სრულ, ყოველმხრივ დახასიათებას. ამ აზრითაა შემეცნების ისტორიული პროცესი თანდათანობითი გართულების, დაბალიდან მაღლისაკენ სვლის პროცესი. ეს გარემოება მკაფიოდაა გამოხატული ზემოთ განხილული სამი მსჯელობის ურთიერთობაში. პირველი მათგანი („ხახუნი სითბოს წყაროა“) თავისი შინაარსით ბევრად მარტივია, ვიდრე მეორე („ყველა მექანიკურ მოძრაობას უნარი აქვს სითბოდ გარდაიქმნას“), მეორე — მარტივი, ვიდრე მესამე. მათი თანმიმდევრობა განვითარების თანმიმდევრობაა, რადგან ყოველი მომდევნო საფეხური თავის საკუთარ მომენტად გულისხმობს წინამავალს. ამის გარეშე არც გვექნებოდა განვითარება, ამის გარეშე არც ფიზიკას ექნებოდა ისტორია, მისი ყოველი მსჯელობა შემეცნების, ასე ვთქვათ, თავიდან დაწყება იქნებოდა და მათი სიმრავლეც — თანაარსებული ერთეულების თავმოყრა ნამდვილად კი მეორე მსჯელობა იცნობს და ითვალისწინებს პირველს, ასე იყო შემეცნების თვით ემპირიულ პროცესში, ისტორიულად და

ფაქტიურად. მესამე მსჯელობაც, ცხადია, ითვალისწინებს და თავის საკუთარ მომენტად გულისხმობს მეორეს.

ერთეული, განსაკუთრებული და ზოგადი მსჯელობა ისტორიულად ისეთ მიმართებაშია, რომ პირველი გადადის მეორეში, მეორე — მესამეში, პირველი იხსნება მეორით, მეორე — მესამით. ერთეულიდან ზოგადისაკენ სვლის ამ პროცესში ადგილი აქვს არა ერთმანეთის მექანიკურ გამორიცხვასა და უკუგდებას, არამედ ერთმანეთში გადასვლას, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ცოდნის სრულყოფა და გამდიდრება, ე. ი. ფიზიკის ამ კანონის შემეცნების თვით ისტორია. მესამე ზემოთ მოყვანილი მსჯელობა არ მხოლოდ ზოგადობით განირჩევა, არამედ უფრო მდიდარიცაა თავისი შინაარსით, ვიდრე ერთეული და განსაკუთრებული მსჯელობები. ამ აზრით უნდა იქნეს გაგებული ფ. ენგელსის სიტყვები: „მოძრაობის ფორმის ცვალებადობის ზოგადი კანონი ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე ამის თითოეული ცალკე „კონკრეტული „მაგალითი“[29].

* * *

მსჯელობათა სისტემატიკის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს საგნის შემეცნების პროცესი შეადგენს. ლოგიკური აზროვნება, მარქსისტული გაგებით, შემეცნების ისტორიის პროდუქტია, ციდან კი არ ვარდება, არამედ შემეცნების ბუნებრივ-ისტორიულ პროცესში საზოგადოებრივი პრაქტიკის საფუძველზე ისახება, ფორმდება და ვითარდება.

პირველყოფილი ადამიანი თანამედროვე ადამიანისაგან განსხვავდება არა მხოლოდ ცოდნის მოცულობით, შემეცნების ასე ვთქვათ, წმინდა შინაარსეული მარაგით, არამედ თვით ლოგიკური აზროვნების უნარითა და აგებულებით. ცნების, მსჯელობის, დასკვნის მაღალგანვითარებული ფორმები, რომელთაც თანამედროვე მეცნიერი მიმართავს, სრულიადაც არ გვხვდება პირველყოფილ საფეხურზე, როცა მსჯელობაც ისევე მარტივი, პრიმიტიული და განუვითარებელია, როგორც ცოდნის მარაგი. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ლოგიკური აზროვნება, მისი რთული შინაგანი

---

[29] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 228.

აგებულებით, „ერთ დღეს“, ერთბაშად ჩამოყალიბდა იმ ფორმით, რაც მას თანამედროვე პერიოდში ახასიათებს. ეს, ცხადია მთლიანად შეეხება აგრეთვე აზროვნების ერთ-ერთ ლოგიკურ ფორმას, მსჯელობას. აზროვნებისა და ენის ისტორიული განვითარების პირველყოფილი პერიოდის შესწავლა უნიშვნელოვანეს მასალას იძლევა ლოგიკის თეორიულ პრობლემათა მეცნიერული გადაწყვეტისათვის.

მაგრამ ლოგიკურისა და ისტორიულის ერთიანობა გულისხმობს არა მხოლოდ ამ ასპექტს. როგორც ზემოთ ვნახეთ, ფ. ენგელსი მსჯელობის ლოგიკურ ფორმათა კავშირს შემეცნების ისტორიასთან სხვა ასპექტში იღებს და აშუქებს. ესაა ცოდნის, შემეცნების, მეცნიერების ისტორიული განვითარების ასპექტი. ნებისმიერი მეცნიერების, ან მისი რომელიმე ზოგადი კანონის თუ კატეგორიის ისტორია დაბალიდან მაღლისაკენ და მარტივიდან რთულისაკენ მიმართული პროცესია. მსჯელობის სახეთა თანმიმდევრობის, მათი სისტემატიკის პრინციპი ამ მხრივაც უნდა იყოს იმის გათვალისწინება, თუ როგორია მთლიანად მეცნიერების, ან მისი ცალკეული ცნების თუ მსჯელობის ისტორიული აღმოცენების, ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. ფ. ენგელსის მაგალითი ტიპიურია, რამდენადაც მეცნიერების საერთო ისტორიის არსებით კანონს გამოხატავს. მეცნიერების ისტორია ერთეული მსჯელობებიდან გამოდის და საგნის სულ უფრო ღრმა, აუცილებელ, არსებით, ზოგად კანონზომიერებათა გაგებისაკენ მიისწრაფვის. მეცნიერებათა ისტორიის შესწავლა ასევე უმნიშვნელოვანეს მასალას იძლევა მსჯელობის განსხვავებულ სახეთა სისტემატიკის თვალსაზრისით. «Чрезвычайно благодарной кажется задача проследить сие конкретнее, подробнее, на истории отдельных наук. В логике история мысли должна, в общем и целом, совпадать с законами мышления»[30]. სხვა ადგილზე „ფილოსოფიურ რეფულებში“ ვ. ი. ლენინი პირდაპირ აღნიშნავს: «Продолжение дела Гегеля и Маркса должно состоять в диалектической обработке истории человеческой мысли, науки и техники»[31].

მსჯელობის განსხვავებულ ფორმათა სისტემატიკის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ინდივიდუალური შემეც-

---

[30] В. И. Ленин. Соч., т. 38, с. 314.

[31] იქვე, გვ. 136.

ნების ისტორია, პიროვნების აზროვნებითი განვითარების შესწავლა ბავშვობიდან მოწიფულობამდე. „ამა თუ იმ ცნების, ან ცნებათა დამოკიდებულების (დადებითი და უარყოფითი, მიზეზი და მოქმედება, სუბსტანცია და აქციდენცია) განვითარება აზროვნების ისტორიაში ისე შეეფარდება მის განვითარებას ცალკეული დიალექტიკოსის თავში, როგორც პალეონტოლოგიაში რომელიმე ორგანიზმის განვითარება— მის განვითარებას ემბრიოლოგიაში (ანუ, უკეთ თუ ვიტყვით, ისტორიასა და ცალკეულ ჩანასახში)"[32]. ეს კავშირი და შესაბამისობა შემეცნების ფილოგენეზსა და ონტოგენეზს შორის უმნიშვნელოვანეს მასალას იძლევა იმის გასაგებად, თუ რა კავშირია მსჯელობის განსხვავებულ სახეთა შორის და როგორ ვითარდებიან ისინი.

უდავოა, რომ ბავშვის გონებრივი ჩამოყალიბების პროცესი განვითარების პროცესს წარმოადგენს. განვითარებას განიცდის არა მხოლოდ აზროვნების შინაარსი, არამედ თვითონ აზროვნება, როგორც ლოგიკური ფორმა და უნარი. უნარიანად წარმართულ ფსიქოლოგიურ კვლევას ბავშვის გონებრივი განვითარების შესახებ ძვირფასი მასალის მოცემა შეუძლია მსჯელობის ლოგიკური თეორიის ძირეული პრობლემების გასაგებად. ზოგადად და ძირითადად აქაც მეორდება შემეცნების ისტორიის ზემოაღნიშნული კანონი: მოძრაობა გარეგანი და უშუალოდან საგნის სულ უფრო ღრმა, შინაგანი, არსებითი და ზოგადი გარკვეულობებისაკენ. ბავშვის მსჯელობა მეცნიერის მსჯელობისაგან განსხვავდება არა მხოლოდ შინაარსეული სიმდიდრით, არამედ აგრეთვე ლოგიკური ფორმითა და აგებულებით. ბავშვის პირველი აზრისა და მსჯელობის დაბადებიდან თანამედროვე მეცნიერული აზროვნების რთული აპარატის დაუფლებამდე დიდი მანძილია გასავლელი. პიროვნების გონებრივი განვითარების ისტორია, თუ მას გავანთავისუფლებთ შემთხვევითობათა ზიგზაგებიდან და წარმოვიდგენთ ზოგად-აუცილებელი ფორმით, ბუნებრივია, გასაღებს იძლევა ლოგიკური აზროვნების მეცნიერული თეორიისათვის. არა თუ ბავშვის, არამედ ე. წ. საღი ადამიანური აზროვნებაც არ იცნობს მსჯელობის ყველა იმ ფორმას, რომელიც მეცნიერული აზროვნების უმაღლეს დონეს ახასიათებს. მსჯელობის განსხვავებულ ფორმათა აღმოცენების პროცესი, მათი თანმიმდევრობა, ასაკისა-და შესაბამისად, ამა თუ იმ ფორმათა ადგილი და როლი ინდივიდუალური აზროვნების ისტორიაში, — ეს ყოველივე აუცილებელი მასალაა მსჯელობის ფორ-

---

[32] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 229.

მათა სისტემატიზაციისათვის. ფილოსოფიის ისტორია, შემეცნების ისტორია საერთოდ, ისტორია ცალკეულ მეცნიერებათა, ბავშვის გონებრივი განვითარების ისტორია, ფსიქოლოგია, გრძნობის ორგანოთა ფიზიოლოგია, ენის ისტორია, — «вот те области знания, из коих должна сложиться теория познания и диалектика»[33], წერს ვ. ი. ლენინი.

საგნის შემეცნება რთული თანდათანობითი პროცესია და არა წამიერი ან ერთდროული აქტი, რომლითაც „ერთბაშად" დაინახება იგი. საგნის ერთბაშად „დანახვის" პრინციპი ინტელექტუალური ინტუიციის მისტიკური პრინციპია, რომლის თანახმად შემეცნება წარმოდგენილია გაშუალებათა გარეშე, საერთოდ პროცესის გარეშე, ინტელექტუალური ინტუიცია ერთბაშად ანათებს საგანს, როგორც მზე სიბნელეს. ფილოსოფიის ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, თუ რას აღწევს ეს პრინციპი, იგი ბოლოს და ბოლოს პირდაპირ უერთდება ღვთაებრივი „გამოცხადების" რელიგიურ თვალსაზრისს. მარქსიზმის თანახმად, საგნის შემეცნება არის არა უშუალო ჭვრეტა, რაც არსებითად არც კი მოითხოვს მსჯელობას, მის განსხვავებულ სახეებს, საგნის შემეცნება გაშუალებათა რთული თანმიმდევარი პროცესია. სწორედ ამან განაპირობა მსჯელობის განსხვავებულ სახეთა საჭიროებაც და წარმოშობაც. მსჯელობის ყოველ ფორმას თავისი ადგილი და დანიშნულება აქვს ამ პროცესში, რომელსაც სხვა ფორმა ვერ დაიკავებს და ვერ შეასრულებს. მსჯელობის განსხვავებულ ფორმათა სისტემატიზაცია ნიშნავს ამ ადგილების მონახვას. თვით საგანი განსხვავებულ გარკვეულობათა რთული სისტემაა, თავისებური საფეხურების რიგია. სწორედ ეს გარემოება აქცევს მის შეცნებას პროცესად. მსჯელობის ყოველი ფორმა არის თავისებური ეტაპი, საფეხური, ნაბიჯი ამ პროცესში.

მსჯელობათა სისტემატიკის საბოლოო საფუძველი თვით ობიექტურ საგანში უნდა ვეძიოთ, შემეცნების პროცესის თავისებურებებსაც, რომელთა შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი, საგნის ობიექტური ბუნება და ხასიათი განაპირობებს. შემეცნების „პროცესულობაც" განისაზღვრება იმით, რომ თვით საგანი განსხვავებულ გარკვეულობათა რთულ ობიექტურ სისტემას წარმოადგენს.

შემეცნება გულისხმობს საგანს, გამოდის მისგან და მის იდე-

---

[33] В. И. Ленин. Соч. ,т. 38, с. 350.

ალურ რეპროდუქციას იძლევა. შემეცნების საგანი, თავის მხრივ, გარკვეული მოძრაობისა და განვითარების შედეგია და გამოდის, როგორც განსხვავებულ მხარეთა, ნიშანთა, გარკვეულობათა რთული ორგანული სისტემა, რთული დიფერენცირებული მთლიანობა. გამოდის რა უშუალოდ მოცემული კონკრეტულობიდან, შემეცნება საგნის ბუნების ახსნას გვაძლევს მის შინაგან გარკვეულობათა თანმიმდევრული ანალიზის გზით. სწორედ აქ ვლინდება მსჯელობის განსხვავებულ სახეთა საჭიროება და აუცილებლობა. შემეცნება არის უშუალოდ მოცემული და გამოსავალი კონკრეტულობის აზროვნებითი რეპროდუქცია მის მდიდარ გარკვეულობათა განვითარების გზით, რაც მარტივიდან რთულისაკენ და დაბალიდან მაღლისაკენ მიიმართება.

საგნის მრავალფეროვანი გარკვეულობანი კავშირში არიან ერთმანეთთან. ისინი არსებობენ არა ერთმანეთის გარეშე, აბსტრაქტულად და იზოლირებულად, არამედ ერთად, ერთიან სისტემაში. მაგრამ კავშირი უბრალო მოსაზღვრეობას, ერთმანეთის გვერდით არსებობას როდი ნიშნავს. კავშირი გულისხმობს მოძრაობასა და განვითარებას. საგნის სხვადასხვა გარკვეულობანი ერთიმეორეში გადადიან, ერთიმეორეში ირწყმებიან და მხოლოდ ამ გზით ქმნიან იმ ერთიანობასა და მთლიანობას, რასაც საგანი წარმოადგენს.

საგნის განსხვავებულ გარკვეულობათა ერთიანობა განვითარების საშუალებით მყარდება, რომელიც დაბალიდან მაღალისაკენ და მარტივიდან რთულისაკენ მიმართული პროცესია. განვითარება არის როგორც ექსტენსიური, ასევე ინტენსიური წინსვლა, დიფერენციაციისა და ინტეგრაციის ერთიანობა. საგნის გარკვეულობათა განვითარება იმავე დროს შინაგანი არსების, ამ გარკვეულობათა საკუთარი კავშირ-ურთიერთობის განვითარებაცაა. საგანი არ გაიგება გარკვეულობათა გარეშე. მაგრამ გავიგებთ თუ არა მას, თუ ჩვენ უბრალოდ ჩამოვთვლით მის გარკვეულობებს? ეს იქნება საგნის აღწერა და არა მეცნიერული გაგება, რადგან საგანი არაა განსხვავებულ გარკვეულობათა გროვა, საგანი მათი მთლიანობაა. საგნის ახსნა მოითხოვს გარკვეულობათა შინაგანი კავშირის გაგებას. კავშირი კი გარკვეულობათა მექანიკური მოსაზღვრეობა არ არის, არამედ მოძრაობა და განვითარება ერთიდან მეორისაკენ.

ამაში ვლინდება ტრადიციული ლოგიკის არსებითი სიძნელე მსჯელობის განსხვავებულ სახეთა კლასიფიკაციის დროს. მას გა-

მოუდის ამ სახეთა მექანიკური ჩამოთვლა ერთმანეთის გვერდით, მათი მხოლოდ აღწერა და არა ახსნა. ტრადიციული ლოგიკა მსჯელობას შლის სიმრავლედ, შემდეგ კი ვერ აერთიანებს ამ სიმრავლეს. არსებითად, ამას არც კი შეიძლება ეწოდოს „დაშლა", ნაწილი „დაყოფა". მართლაც, მსჯელობის განსხვავებული სახეები ტრადიციულ ლოგიკას არ მიუღია ერთიანის მეცნიერული დაყოფის („კლასიფიკაცია") გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მათს „გამთლიანებასაც" შეეცდებოდა. ნამდვილად კი ტრადიციული ლოგიკა ამის საჭიროებას არ გრძნობს.

მაინც ფაქტია, რომ ტრადიციული ლოგიკა მსჯელობათა გარკვეულ სიმრავლეს ასახელებს. ეს სიმრავლე, როგორც ითქვა, არაა ანალიზის შედეგი და შესაბამისად, მოკლებულია სინთეზურ მთლიანობას. საიდანაა ის აღებული? მსჯელობის განსხვავებული სახეები „მოკრეფილია" ემპირიულ ცდაში, შემთხვევითი ძიების საფუძველზეა ნაპოვნი და დასახელებული.

ჩვენის აზრით, მსჯელობის განსხვავებულ სახეთა სისტემატიკის საფუძველია ობიექტური საგანი, როგორც განსხვავებულ გარკვეულობათა კონკრეტული სისტემა. მსჯელობას ჩვენ განვსაზღვრავთ, როგორც საგნისა და მისი გარკვეულობის უშუალო ერთიანობის ასახვას. თუ საგნის ცნებას ავიღებთ ზოგად-ფილოსოფიური მნიშვნელობით, მის ცალკეულ გარკვეულობებს ფილოსოფიური კატეგორიები გამოხატავენ. საგნის განსხვავებული გარკვეულობები, როგორც ზემოთ ითქვა, ობიექტურ სისტემას ჰქმნიან. ამ საფუძველზე შენდება კატეგორიათა სისტემაც ფილოსოფიაში. საგანი გარკვეულობათა ობიექტური სისტემაა. მისი ასახვა, მისი იდეალური რეპროდუქცია ნიშნავს კატეგორიათა სისტემის შექმნას. ამის გარეშე შეუძლებელია საგნის მეცნიერული შემეცნება, ამის გარეშე არც მოძღვრება კატეგორიების შესახებ იქცევა მეცნიერებად, თვით ფილოსოფიას ეკარგება აზრი და საგანი. განვითარების თეორია ძირეულად უპირისპირდება პოზიტივისტურ თვალსაზრისს, რომელიც კატეგორიის პრობლემას ყალბ პრობლემად თვლის და აცხადებს, რომ კატეგორიოლოგია არ შეიძლება იყოს მეცნიერება. მარქსიზმში დადებითად წყდება კატეგორიათა სისტემის შესაძლებლობის საკითხი. მსჯელობის განსხვავებულ ფორმათა სისტემატიზაციაც კატეგორიალურ საფუძველზე უნდა განხორციელდეს და კატეგორიათა სისტემის ლოგიკური „ანალოგი" უნდა იყოს.

მსჯელობის დიალექტიკისათვის

ლოგიკური აზროვნება ერთიანი, მთლიანი პროცესია. მაგრამ მთლიანობა ნიშნავს არა „წმინდა“ მთლიანობას, რომლის წიაღში არაფრის გარჩევა არ შეიძლება; მთლიანობა ნიშნავს განსხვავებულთა მთლიანობას. აზროვნების მთლიანობაც განსხვავებული მომენტებისაგან შენდება. ამ მომენტებს, ზოგადად აღებულთ, აზროვნების ფორმები ეწოდებათ. ერთიანი, მთლიანი აზროვნების განსხვავებული ფორმებია ცნება, მსჯელობა და დასკვნა.

თვით ეს ფორმები თვისობრივად განსხვავდებიან. არ შეიძლება მათი ერთმანეთზე დაყვანა. ეს იქნებოდა აზროვნების სინამდვილის ხელოვნური გაღარიბება და არა მისი მეცნიერული გაგება. თავის მოტყუებაა, თუ ჩვენ აზროვნების ფორმათა ახსნის სიძნელეებს მოვხსნით მათი ერთმანეთზე დაყვანით, მათ შორის თვისობრივი განსხვავების უარყოფით. პირიქით, ყოველი მათგანი გაგებულ უნდა იქნეს მათი თვისობრივი თავისებურების, სპეციფიკური ადგილის თვალსაზრისით.

მაგრამ თვისობრივი განსხვავების მიუხედავად ისინი მჭიდრო შინაგან კავშირში არიან ერთმანეთთან. ლოგიკური აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა სწორედ მათი კავშირი და ერთიანობა. კავშირი კი მოძრაობის საშუალებით ხორციელდება. აზროვნების დასახელებული ფორმების ურთიერთობაც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ „გაჩერებული კავშირის“ სახით. იგი წარმოადგენს დინამიკურ მთლიანობას, რომლის მომენტები ერთმანეთში „იძირებიან“. ლოგიკური აზროვნება თავისი ამ დინამიკით უმაღლესი საშუალებაა, რომლითაც ხორციელდება საგნის მეცნიერული შემეცნება მის არსებით გარკვეულობათა ერთიანობაში.

ამ საფუძველზე განვსაზღვრავთ ჩვენ „ლოგიკურის“ ცნებასაც: ლ ო გ ი კ უ რ ი ა რ ი ს ა ს ა ხ უ ლ ი ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი. ლოგიკური

არ უდრის საგნობრივს და ობიექტურს (ჰეგელიანიზმი), არც აპრიორულ-სუბიექტურს (კანტიანიზმი), არც კონვენციონალურ-სუბიექტურს (პოზიტივიზმი). ლოგიკური რთული ცნებაა, რომლის შინაარსს ჰქმნის სუბიექტში „გადმოტანილი" ობიექტი. ლოგიკური შეუძლებელია, თუ არ არის საგანი, მაგრამ ლოგიკური არც მაშინაა, თუ არ არის სუბიექტი, რომელიც ასახავს ამ საგანს. ლოგიკური არის საგნობრივის იდეალური რეპროდუქცია, მის შინაარსს იძლევა სუბიექტისა და ობიექტის ისეთი ერთიანობა, რომელიც მათ განსხვავებას არ აუქმებს და ასახვით ხორციელდება. არა საგნობრივი, როგორც ასეთი, თავისთავად, მოაზროვნე სუბიექტის გარეშე და არა სუბიექტი, როგორც ასეთი, თავისთავად, საგნობრივის გარეშე, არამედ ასახული საგნობრივი, სუბიექტში „გადმოტანილი" ობიექტი, ობიექტი, რომელიც „მეორდება" სუბიექტში, მათი ერთიანობა, ასეთია ლოგიკური აზროვნების მეცნიერული ცნება.

ზემოთქმულიდან ჩანს, აგრეთვე, აზროვნების დიალექტიკურ-ლოგიკური თეორიის ორი არსებითი მომენტი:

1) ლოგიკური აზროვნება დიფერენცირებული მთლიანობაა,

2) ლოგიკური აზროვნება დინამიკური მთლიანობაა.

ტრადიციული ლოგიკა შორეული დროიდან ხმარობს „აზროვნების ფორმის" ცნებას, მაგრამ მისი ნამდვილი შინაარსის გაუხსნელად. რამდენადაც ცდილობდნენ მის მოაზრებას, იმდენად მცდარ ინტერპრეტაციას აძლევდნენ, უახლოებდნენ რა „სახის" ცნებას. „ფორმა" არ უდრის „სახეს". აზროვნება არაა გვარი, რომლის სახეებია ცნება, მსჯელობა და დასკვნა. სახეები თანაარსებული ერთეულების ჯგუფია, რომლებიც, ამ აზრით, გარეგან კავშირში არიან ერთმანეთთან. ერთი სახე მეორეს არ საჭიროებს და არ მოითხოვს, ერთი მეორიდან არ წარმოიშობა და არ გამოდის, ისინი გამორიცხავენ ერთმანეთს, როგორც გვარის გაყოფის წევრები. გვარისა და სახის ურთიერთობას მთელისა და ნაწილის ურთიერთობასაც უწოდებენ, მაგრამ მხოლოდ მოცულობითი კავშირის აზრით, სახე შედის გვარის მოცულობაში. „შესვლა" გაგებულია, როგორც ერთის მიერ მეორის რაოდენობრივი მოცვა. ამ სიტყვის ნამდვილი შინაარსი აუხსნელი დარჩა ტრადიციულ ლოგიკაში, ისევე როგორც გვარში შესული სახეების კ ა ვ შ ი რ ი ს ხასიათი.

ტრადიციული ლოგიკა აზროვნების ფორმებს იხილავს ერთ-

ბანეთის გვერდით ისე, რომ ერთის აუცილებლობა მეორისათვის, ერთის აუცილებელი კავშირი მეორესთან არა ჩანს. ამიტომ ძველ ლოგიკას, ჰეგელის სამართლიანი მითითებით, მხედველობის გარეშე დარჩა სწორედ მთავარი: ცნების მსჯელობისა და დასკვნის მთლიანობა, ე. ი. თვითონ ლოგიკური აზროვნება, როგორც ასეთი[1].

დიალექტიკური ლოგიკა, პირიქით, აზროვნების ფორმებს იხილავს მთლიანობის ისეთ მომენტებად, რომლებიც ერთმანეთს მოითხოვენ, ერთმანეთს საჭიროებენ, ერთმანეთს ავსებენ მთლიანობამდე.

მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. უფრო მთავარი მდგომარეობს იმაში, რომ თვით ეს მთლიანობა გაგებულ იქნეს, როგორც პროცესი. აზროვნება პროცესია ისტორიულ ასპექტში, რომელიც თაობიდან თაობამდე იცვლება და ვითარდება. აზროვნება პროცესია ფსიქოლოგიურ ასპექტში, როგორც ფსიქიკური ფენომენი და გარკვეული პიროვნული მდგომარეობა, სულიერი აქტი და განცდა. ამის გამო არავინ დავობს. მაგრამ პრინციპული დავის საგნად იქცა „ლოგიკური პროცესის" ცნება. ლოგიკოსთა დიდი ნაწილი ამ ცნებას უკანონოდ აცხადებს: „ლოგიკური პროცესი" არის contradictio in adjecto, თუ პროცესია, არ შეიძლება ლოგიკური იყოს, თუ ლოგიკურია, არ შეიძლება პროცესი იყოსო[2].

ამ ცნების მიღება, მისი კანონიერების შეგნება და ამ საფუძველზე ლოგიკის მთლიანი შენობის აგება დიალექტიკის ისტორიას უკავშირდება. უწინარეს ყოვლისა ჩვენ მოვიტანთ რამდენიმე ზოგად საბუთს მის დასაცავად:

---

[1] «Дедукция так называемых правил и законов, в особенности законов и правил умозаключения, немногим лучше, чем перебирание палочек неравной длины в целях их сортирования и соединения сообразно их величине или чем служащее игрой детей подбирание подходящих частей разнообразно разрезанных картинок» (Гегель, Соч., т. V, с. 21).

[2] აი, რას ამბობდა, მაგ., ს. კირკეგორი, რომელსაც უაზრობად მიაჩნდა «...столь превозносимое открытие Гегеля — введение в логику движения... которое как раз и означает запутывание логики. И весьма странно принимать движение за основу той сферы, где движение немыслимо, или пытаться объяснить движение логикой, тогда как логика не в состоянии объяснить движение... В логике не может становиться (werden) никакое движение, ибо логика есть (ist) и все логическое только есть... понятие движения... не может иметь места в логике» (ციტირებულია ბიხოვსკის სტატიიდან, იხ. «Вопросы философии», 1971, №11, с. 81-82, 86).

1) ლოგიკური აზროვნება განსხვავებული ფორმების, ცნების, მსჯელობისა და დასკვნის შინაგან კავშირ-ერთიანობას გულისხმობს, მათი ორგანული მთლიანობაა. მაგრამ კავშირი და მთლიანობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ის აბსოლუტურად გაჩერებული იყოს. შინაგანი კავშირი მოძრაობის საშუალებით ხორციელდება. მაგ., ადამიანი კავშირშია ბუნებასთან. მაგრამ ეს კავშირი გაჩერებულ მხარეთა სტატიკურ მოსაზღვრეობას როდი ნიშნავს. იგი წარმოუდგენელია მოძრაობის გარეშე; საკმარისია აღინიშნოს, რომ ა) ადამიანი ბუნების მოძრაობის პროდუქტია, ბ) ადამიანისა და ბუნების კავშირი მათი ორგანული ურთიერთმოქმედების პროცესია, მათ შორის „ნივთიერებათა ცვლის", ე. ი. შრომის პროცესია და ა. შ. აზროვნების განსხვავებული ფორმებიც ერთმანეთს მოძრაობის საშუალებით უკავშირდებიან და ავსებენ მთლიანობამდე.

ზოგიერთი აღშფოთებას გამოთქვამს, რა უნდა მოძრაობას ლოგიკურში, მოძრაობა რეალურ საგნებს ახასიათებსო. უდავოა, რომ მოძრაობა რეალურ საგნებს ახასიათებს, მაგრამ რეალური მოძრაობა კი არ გამორიცხავს, არამედ აპირობებს ლოგიკურ მოძრაობას. აღნიშნული მოსაზრებით უარი უნდა ვთქვათ „ლოგიკური კავშირის" ცნებაზეც. კავშირი რეალურ საგნებს ახასიათებს, მაგრამ არც ერთი ლოგიკოსი რეალური კავშირის გვერდით „ლოგიკური კავშირის" ცნებას არ უარყოფს. ჩვენი საბუთი ნათელია. რეალური კავშირი შეუძლებელია რეალური მოძრაობის გარეშე. ასევე, ლოგიკური კავშირი შეუძლებელია ლოგიკური მოძრაობის გარეშე.

2) პროცესის გარეშე ლოგიკური აზროვნება უძრავად უნდა წარმოვიდგინოთ. მაგრამ უძრაობა მოძრაობის საკუთარი მომენტია და აზრს იღებს მასთან მიმართებაში. თუ იტყვიან, რომ ეს განსაკუთრებული უძრაობაა, ასე ვთქვათ „ზეუძრაობაა", რომელიც ჩვეულებრივი მოძრაობა-უძრაობის დაპირისპირებაზე მაღლა დგას, მაშინ პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვცილდებით მეცნიერების ფარგლებს. აბსოლუტური უძრაობა დღეს უკვე განდევნილია მეცნიერებიდან. ასეთი იყო პლატონის იდეათა სამყარო, ასეთი იყო ორთოდოქსალური რელიგიის ღმერთი...

3) ლოგიკური პროცესია ყოველი დასკვნა, რამდენადაც იგი გულისხმობს საფუძვლიდან შედეგის გამოყვანას, წანამძღვრებიდან დანასკვის გამომდინარეობას. დანასკვი წანამძღვრებიდან

განსხვავებული უნდა იყოს და იმავე დროს მათგან უნდა გამომდინარეობდეს. „გამოყვანა“, „გამომდინარეობა“ აქ სხვა არაფერია, თუ არ „ლოგიკური პროცესის“ სინონიმები. „გამომდინარეობა“ ფსიქოლოგიური პროცესი კი არაა, რომლის დროს ფსიქოლოგიური სუბიექტი გადადის წანამძღვრებიდან დასკვნაზე. დასკვნა გულისხმობს აზრიდან აზრზე ლოგიკურ გადასვლას, აზრიდან აზრის ლოგიკურ გამოყვანას. დასკვნა ჩემი ნება-სურვილით კი არ მიიღება, არამედ საფუძვლიდან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს[3]. პროცესი და მოძრაობა თუ გამოვრიცხეთ, წანამძღვრებიდან დასკვნაზე გადასვლაც (გადასვლა ხომ მოძრაობაა!); შეუძლებელი გახდება, ლოგიკური დასკვნის მარტივი აღწერაც შეუძლებელი იქნება.

4) პროცესის გარეშე ლოგიკური აზროვნება უნდა განვიხილოთ, როგორც უძრავი და გაჩერებული. მაგრამ ეს ხომ პირდაპირ ეწინააღმდეგება დიალექტიკური მეთოდის მოთხოვნას, რომლის თანახმად არაფერია უძრავი და გაჩერებული. როგორ შეიძლება გამონაკლისი აღმოჩნდეს თვით ლოგიკური აზროვნება? საბჭოთა ლოგიკოსებიდან არავინ უარყოფს, რომ ლოგიკური აზროვნება გაგებულ უნდა იქნეს დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით; აღიარებულია ისიც, რომ ლოგიკური აზროვნების გაგებაში ერთმანეთს ძირეულად უპირისპირდება დიალექტიკური და მეტაფიზიკური თვალსაზრისები. მაგრამ რას ნიშნავს ლოგიკური აზროვნების მეტაფიზიკური გაგება? ეს ნიშნავს, განვიხილოთ იგი, როგორც უძრავი და გაჩერებული! თავისთავად ცხადია, რომ დიალექტიკა ვერც კი შესძლებს მასთან დაპირისპირებას, თუ ლოგიკური აზროვნება არ იქნება გაგებული მოძრაობისა და განვითარების თვალსაზრისით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლოგიკური აზროვნების წარმოდგენა მოძრაობისა და განვითარების გარეშე შეგნებით თუ შეუგნებლად მეტაფიზიკური მეთოდის გამოვლენაა ლოგიკის მეცნიერებაში.

5) რეცენზიაში კ. მარქსის შრომაზე „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ ფ. ენგელსი პირდაპირ მიუთითებს „ლოგიკური განვითარების“ შესახებ. „ჰეგელის სიკვდილის შემდეგ ძნელად

---

[3] «Нет никакой необходимости мыслить, без воли умозаключать», წერს პრაგმატისტი ფ. შილერი, чувство необходимости есть только состояние ума тех, кто умозаключает, т. е. психологический факт, и должен быть отнесен к психологии».

თუ ჰქონია ადგილი იმის ცდას, რომ მოცემული ყოფილიყო რომელიმე მეცნიერების განვითარება მის საკუთარ, დამახასიათებელ შინაგან კავშირში"[4]; ეხება რა ისტორიული და ლოგიკური მეთოდების ურთიერთობას, ფ. ენგელსი აღნიშნავს: „რადგან ისტორიაში, ისევე როგორც მის ლიტერატურულ ასახულობაში, განვითარება საერთოდ და მთლიანად ისე მიმდინარეობს, რომ ადგილი აქვს უფრო მარტივიდან უფრო რთულ ურთიერთობაზე გადასვლას, ამიტომ პოლიტიკური ეკონომიის ლიტერატურულ-ისტორიული განვითარება იძლეოდა ბუნებრივ სახელმძღვანელო ძაფს, რომელსაც კრიტიკა შეიძლებოდა მიჰყოლოდა. და ეკონომიკური კატეგორიებიც ამასთან ერთად და მთლიანად ისეთივე თანამიმდევრობით გამოვლინდებოდა, როგორც ლოგიკურ განვითარებაში"[5]. ლოგიკური განვითარება ისტორიულ განვითარებას ასახავს, მაგრამ შემთხვევითობათაგან თავისუფალი ფორმით: „საიდანაც ისტორია იწყებს, იქიდან უნდა იწყებოდეს აზრთა მსვლელობაც, და მისი შემდგომი განვითარება სხვა არაფერი იქნება, თუ არა ისტორიული პროცესის ასახვა აბსტრაქტული და თანამიმდევრული ფორმით"[6]. როგორც ვხედავთ, ლოგიკური აზროვნება არა თუ პროცესია, ეს პროცესი განვითარებას წარმოადგენს, რაც ბუნებრივია: დიალექტიკური ლოგიკა მოითხოვს ვაღიაროთ ლოგიკურის დიალექტიკური ხასიათი, დიალექტიკა კი განვითარების თეორიაა, მაშასადამე, ლოგიკურის დიალექტიკას აზრი არა აქვს ლ ო გ ი კ უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გარეშე. გავიხსენოთ ცნობილი ადგილი „ბუნების დიალექტიკიდან": „დიალექტიკური ლოგიკა, წინააღმდეგ ძველი, წმინდა ფორმალური ლოგიკისა, არ კმაყოფილდება ამ უკანასკნელის მსგავსად იმით, რომ ჩამოთვალოს და ყოველგვარი კავშირის გარეშე ერთმანეთის გვერდით დააწყოს აზროვნების მოძრაობის ფორმები, ე. ი. მსჯელობათა და დასკვნათა სხვადასხვა ფორმები. მას, პირიქით, ეს ფორმები ერთიმეორიდან გამოჰყავს, იგი მათ შორის ნაცვლად კოორდინაციისა სუბორდინაციის დამოკიდებულებას ამყარებს და დაბალი ფორმებიდან უფრო მაღალ ფორმებს ანვითარებს"[7]. როგორც ვხედავთ, აქაც ლაპარაკია ლოგიკური განვითარების შესახებ, მსჯელობებსა და დასკვნებს ფ. ენ-

---

[4] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 306.
[5] იქვე, გვ. 310.
[6] იქვე, გვ. 311.
[7] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 229.

გელსი „აზროვნების მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ფორმებს“ უწოდებს, ლოგიკური სუბორდინაციაც ლოგიკური განვითარების საშუალებით მყარდება.

დიალექტიკურ-ლოგიკური განვითარების კონკრეტული მაგალითია კ. მარქსის მთელი „კაპიტალი“, რომელშიც მოცემულია კაპიტალიზმის ეკონომიკური ურთიერთობათა ანალიზი ამ საზოგადოების არსებით გარკვეულობათა ერთიმეორიდან განვითარების გზით. იწყება ეს ანალიზი „საქონლის“ ცნებით და მთავრდება „კლასებით“, რომელიც „კაპიტალის“ მესამე ტომის უკანასკნელი თავია. კ. მარქსი აკრიტიკებს ა. სმიტისა და დ. რიკარდოს მეთოდს სწორედ იმისათვის, რომ მათ არ ესმოდათ კაპიტალიზმის ეკონომიკურ გარკვეულობათა დიალექტიკური კავშირი. ამიტომ კონკრეტული ეკონომიკური ორგანიზმის ახსნის მაგიერ მათ ხელში შერჩათ ფორმალურ-აბსტრაქტული სქემები. „რიკარდოს ცალმხრივობა იქიდან წარმოსდგება, ამბობს კ. მარქსი, რომ მას სურს საერთოდ დაამტკიცოს, რომ სხვადასხვა ეკონომიკური კატეგორიები ანუ ურთიერთობანი ღირებულების თეორიას არ ეწინააღმდეგებიან, ნაცვლად იმისა, რომ მან ისინი, პირიქით, ყველა თავიანთი მოჩვენებითი წინააღმდეგობებითურთ ამ საფუძვლიდან გ ა ნ ა ვ ი თ ა რ ო ს ანდა თვით ამ საფუძვლის განვითარება გადმოგვცეს“[8].

ასეთია ზოგიერთი ზოგადი საბუთი ლოგიკური პროცესის, ლოგიკური განვითარების სასარგებლოდ.

მეტაფიზიკოსებს ლოგიკური აზროვნება წარმოდგენილი აქვთ, როგორც „გაჩერებული აპარატი“, რომელზეც შეიძლება ახალ-ახალი შინაარსი „დაილექოს“, მაგრამ თვითონ მოკლებულია შინაგან დინამიკას, პროცესს, განვითარებას. და ეს იმ დროს, როცა აზროვნება, როგორც უმაღლესად ორგანიზებული მატერიის, ტვინის ფუნქცია, უფრო მეტი დინამიურობით ხასიათდება, ვიდრე ყოველი სხვა მოვლენა ბუნების წიაღში. შინაგანი მოძრაობის გარეშე იგი ისევე წარმოუდგენელია, როგორც, მაგ., კინოსურათის დემონსტრაცია ეკრანზე ცალკეული კადრების უსწრაფესი მონაცვლეობისა და შეუწყვეტელი გადასვლების გარეშე.

რას ნიშნავს მოძრაობა გამორიცხო აზროვნებიდან? ეს ნიშნავს შეაჩერო იგი. მოძრაობის გარეშე აზროვნება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ერთი და იგივე სიტყვის განმეორება უც-

---

[8] კ. მ ა რ ქ ს ი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ტ. 2, ნაწ. 2, გვ. 272 (ქართ. გამოცემა).

ელელად: „მაგიდა“, „მაგიდა“, „მაგიდა“... მაგრამ ამით ის სწყვეტს ნორმალურ ფუნქციონირებას როგორც მოშლილი გრამოფონი! უკვე მსჯელობა „მაგიდა არის შავი“ თავისებური შინაგანი მოძრაობის შემცველია. რა მოხდება, თუ კადრების მონაცვლეობას შევახერებთ ეკრანზე? მხატვრული სახე გაქრება და სტატიკურ მდგომარეობაზე გადასვლით კინოსურათიც დაკარგავს თავის თვისობრიობას. მთელი კინოლენტის წარმოსახვითი წარმოდგენა მოძრაობის გარეშე, ასე ვთქვათ, ჰორიზონტალურ ასპექტში, — სტატიკურ მდგომარეობათა თანაარსებულ სიმრავლედ, — ესეც უფრო შესაძლებელია, ვიდრე „გაჩერებული აზროვნება“. მეტაფიზიკოსებს უძნელდებათ ლოგიკური აზროვნების წარმოდგენა მოძრაობაში. მაგრამ უფრო ძნელია წარმოვიდგინოთ იგი მოძრაობის გარეშე.

უკვე შეგნებული რეფლექსია იმაზე, რასაც კარგა ხანია ლოგიკური დისკურსია ეწოდება, გარდუვალად აწყდება პროცესის მომენტს აზროვნებაში. არაფერი არ გაიგება „უშუალოდ“, ყველაფერი გასაგები ხდება მხოლოდ პროცესში. «Нельзя понять вне процесса понимания»...[9], წერს ვ. ი. ლენინი. ყოველი ცნების გარკვევა შესაძლებელი ხდება საკითხის მხოლოდ ლოგიკური განვითარების პროცესში. მოითხოვო რაიმე ცნების წინასწარ გარკვევა, მისი განვითარების პროცესის გარეშე, ნიშნავს, მოითხოვო მეცნიერება მეცნიერებაზე ადრე, ამბობს კ. მარქსი.

დისკურსიული აზროვნების, ე. ი. გაშუალებათა რიგის, გარეშე, მეცნიერება არც იქნებოდა საჭირო, შემეცნება უნდა წარმოგვედგინა, როგორც გენიოსების „პროექტორული ხედვა“, ან „უცაბედი ინტელექტუალური აღმაფრენა“, რის შედეგად ერთბაშად იხსნება „ცის ყველა კარი“ ინტუიციის წინაშე[10]. ეს უკვე ნიშნავს არა მარტო მოძრაობის უარყოფას ლოგიკურ აზროვნებაში, არამედ საერთოდ ლოგიკური აზროვნების უარყოფას.

[1] დისკურსიული აზროვნება გაშუალებათა რიგში შიმდინარე, ე. ი. თანდათანობითი წინსვლის ლოგიკური პროცესია. ზოგს ჰგონია, რომ თუ პროცესია, იქვე უთუოდ მდინარის ხმაური უნდა ისმოდეს... ეს, ცხადია, პროცესის პრიმიტიული გაგებაა. პროცესი

---

[9] В. И. Ленин, Соч. т. 38, М., 1958, с. 197.

[10] ძველ ინდოელთა რელიგიური წარმოდგენით ერთ მშვენიერ საღამოს სწორედ ასე „დაემართა“ ბუდას, რომლის გონებაში უცებ აენთო ჭეშმარიტების წმინდა ლამპარი და მან ქვეყნის ყველა საიდუმლოება ერთბაშად გაიგო!

სხვადასხვაგვარია, დაწყებული მექანიკურით და დამთავრებული აზროვნებით. თუ მეცნიერებას უხეშად წარმოვიდგენთ წიგნის ფორმით, ყველა მიხვდება, თავიდან ბოლომდე რა მანძილია გასავლელი, რათა გაეცნოთ მას. ეს მანძილი იზომება წიგნის ყოველი სტრიქონით პირველიდან უკანასკნელამდე[11], ხოლო ერთადერთი საშუალება, რომლითაც იგი იფარება, ლოგიკური მოძრაობაა (თუ წიგნი ასოციაციებით არაა დაწერილი და მეცნიერული ხასიათს ატარებს, თუმცა ასოციაციაც თავისებური მოძრაობაა)[12].

ამრიგად, ლოგიკური აზროვნება დიფერენცირებული და დინამიკური მთლიანობაა, რომელიც ცნების, მსჯელობისა და დასკვნის განსხვავებულ ფორმებად ყალიბდება და მიმდინარეობს[13]. ერთიდაიგივეა ის, რაც მოძრაობს განსხვავებულ ფორმებში და განსხვავებულია ის, რაც ეტევა და თავსდება მთლიანობის ფარგლებში, არ ანგრევს რა მას. ცალ-ცალკე ვერც ერთი ვერ ამოსწურავს ლოგიკური აზროვნების მთლიანობას; წინაალმდეგ შემთხვევაში დანარჩენი ზედმეტი იქნებოდა; ყოველ მათგანს სპეციფიკური ფუნქცია და ადგილი აქვს აზროვნების მდინარებაში. ყველა ერთად კი სავსებით ავლენს და ითავსებს აზროვნების მთლიანობას. ამ აზრით, ლოგიკური აზროვნება დაბოლოებული პროცესია. მაგრამ ეს არ არის სწორხაზობრივი დაბოლოება:



ამ პროცესის თავი და ბოლო ერთმანეთს ისეთ მთლიანობად უკავშირდება, რომელიც დაუბოლოებლად ბრუნავს თავის თავში. ამ აზრით, ლოგიკური აზროვნება დაუბოლოებელი პროცესია[14]

---

[11] გადავაბათ ერთმანეთს ეს სტრიქონები, თუ გვსურს ამ მანძილის მექანიკური წარმოდგენა.

[12] პროცესია არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ მხატვრული აზროვნებაც. აბა რას ნიშნავს „ეფეფხისტყაოსნის" შინაგანი **დ ი ნ ა მ ი კ ა**, მისი მხატვრული სიუჟეტის უბადლო ოსტატობით **გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა დ ა ა.** შ.

[13] შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ზემოთქმული ლოგიკური პროცესისა და ლოგიკური განვითარების შესახებ თავისთავად ცხადია და ყველასათვის ცნობილია. სრულიადაც არა! ლოგიკური განვითარების ცნება შეგნებული რეფლექსიის საგნად იქცა პირველად დიალექტიკურ ლოგიკაში. სხვა საქმეა, რომ იგი ყოველი ადამიანის ლოგიკური აზროვნების ჩვეულებრივი ფაქტია. ბ-ნი ეურდენიც მთელი სიცოცხლე პროზით ლაპარაკობდა, მაგრამ გვიან (ისიც სხვისგან) გაიგო ეს ამბავი!

[14] „ზოგადობის ფორმა შინაგანი დასრულებულობის და, მაშასადამე, უსასრულობის ფორმაა", წერს ფ. ენგელსი („ბუნების დიალექტიკა", გვ. 240.)

მისი მოძრაობის ფორმა არც სწორი ხაზია და არც წრეხაზი. მაგრამ არსებობს კია სხვა რაიმე ფორმა, რომელიც დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის მომენტებს აერთიანებს? დიალექტიკის თეორიამ მონახა იგი: ესაა სპირალი[15]. აზროვნება მოძრაობას იწყებს ცნებით, აგრძელებს მას მსჯელობაში და დასკვნით ამთავრებს. შემდეგ? დასკვნის შედეგი ისევ ცნებაა, მოძრაობის ბოლო საწყისს უბრუნდება, ე. ი. ციკლი თავიდან იწყება. ცნება→ მსჯელობა→ დასკვნა, ცნება→მსჯელობა→დასკვნა და ა. შ., ასეთია ლოგიკური აზროვნების სიცოცხლის რიტმი, როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიული განვითარების ასპექტში.

* * *

ლოგიკური აზროვნება ჩვენ განვსაზღვრეთ ობიექტური საგნის საშუალებით, ლოგიკური არის ასახული საგნობრივი. აზროვნების ცალკეული ფორმებიც ლოგიკაში გაგებულ და განსაზღვრულ უნდა იქნეს იმის მიხედვით, თუ როგორია მათი ადგილი და როლი საგნის შემეცნების პროცესში. ამ საფუძველზე გაირკვა ცნების, მსჯელობისა და დასკვნის როგორც სპეციფიკა, ისე შინაგანი კავშირი და ერთიანობა.

ასეთი მიდგომა პრინციპულად ახლებურ შედეგებს იძლევა იმასთან შედარებით, რაც ცნობილია ტრადიციულ ლოგიკაში ცნების, მსჯელობისა და დასკვნის ურთიერთობის შესახებ. ცნების, მსჯელობისა და დასკვნის ერთიანობის საფუძველია ერთიანი საგანი; მათი განსხვავების საფუძველიც საგანია, რომელიც თავის თავში განსხვავებულ მომენტებს აერთიანებს. ამით ჩვენ ვიმეორებთ დებულებას, რომელიც ზემოთ მრავალჯერ იყო აღნიშნული: ლოგიკური აზროვნება თავისი აგებულებით ობიექტური საგნის „ანალოგია“, მისი ასახვა, მისი განმეორება, მისი იდეალური რეპროდუქციაა. ამ ნიადაგზე იბადება და იზრდება აზროვნების ყო-

---

[15] მოძრაობის „ბუნებრივი“ (ე. ი. სრულყოფილი) ფორმა სფერული (წრიული) მოძრაობაა, ამბობდნენ ძველი ბერძნები. დიალექტიკის თეორიას „კორექტივი“ შეაქვს ამ დებულებაში: მოძრაობის „ბუნებრივი“ ფორმა სპირალია, რომელიც კიდეც ჰგავს წრეხაზს და არც ჰგავს მას, რადგან მისი ბოლო საწყისს მაღალ საფუძველზე უბრუნდება და პროცესს ჩაკეტილ მოძრაობად არ აქცევს...

ველი ფორმა, ყოველი მათგანი ამით ამართლებს თავის არსებობას, ლოგიკურად სხვა აზრი, ფუნქცია და მნიშვნელობა მათ არ გააჩნიათ.

ამგვარი მიდგომა პრინციპულ სიახლეს იძლევა თითოეული მათგანის არსებისა და სპეციფიკის განსაზღვრისათვის. კერძოდ, აღმოჩნდება, რომ ჭეშმარიტება-მცდარობის, ისევე როგორც დასტურისა და უარყოფის ნიშნებით აზროვნების სამივე ფორმა ხასიათდება. ამით ინგრევა აზროვნების ფორმათა კავშირის ტრადიციული ფორმალურ-ლოგიკური სქემა და სრულიად თავისებურად წარმოგვიდგება იგი (ეს კავშირი). ტრადიციული ფორმალური ლოგიკა, ერთის მხრით, სტიქიურად ასახავს ლოგიკური ფორმების საგანთან აუცილებელი მიმართების (ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით) ბუნებრივ მოთხოვნებს, მეორეს მხრივ, ვერ იცავს და ვერ ატარებს (ბოლომდე ვერც აცნობიერებს) ამ მოთხოვნებს. ამის შედეგად კონკრეტული ანალიზის დროს ტრადიციული თვალსაზრისი განსაკუთრებულ ლოგიკურ ადგილსა და ფუნქციას აკისრებს მსჯელობას. ტრადიციული გაგებით ცნება არაფერია მსჯელობის გარეშე ან დაიყვანება მასზე (თუ კი განსაზღვრება მსჯელობად ჩაითვლება), დასკვნა კი, თუმცა მსჯელობათა შუალობითი კავშირია, მაგრამ შედეგად ყოველთვის ისევ მსჯელობას იძლევა და მის ფარგლებს ვერ სცილდება; ეს ყოველივე კონცენტრირებულად ვლინდება ტრადიციულ განსაზღვრებაში, რომლის თანახმად აზროვნების ფორმებიდან მხოლოდ მსჯელობა ხასიათდება ჭეშმარიტება-მცდარობის (ასევე ჰოყოფა-უარყოფის) ნიშნით. ასეთი გაგება შემთხვევითი როდი იყო ტრადიციული ფორმალური ლოგიკის წარმომადგენელთათვის, იგი აბსოლუტურად გაბატონებული თვალსაზრისია ამ ლოგიკის მთელი ისტორიის მანძილზე.

სრულიად სხვა კუთხით და საფუძველზე უნდა დაისვას აზროვნების ფორმათა ურთიერთობის საკითხი დიალექტიკურ ლოგიკაში. როგორც უკვე ითქვა, ცნება, მსჯელობა და დასკვნა ლოგიკას, ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით, აინტერესებს შემეცნებით მიმართებაში ობიექტურ საგანთან, როგორც მისი აზროვნებითი ასახვის ფორმები. ამიტომ შეუძლებელია დავუშვათ, რომ ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი მხოლოდ მსჯელობას ახასიათებს. მაშინ ლ ო გ ი კ უ რ ა დ რა აზრი აქვთ დანარჩენ ფორმებს, ან რა საჭიროა ისინი? სამივე მათგანს საგნის ასახვის ზოგადი ფუნქცია აკისრია. სწორედ ამიტომ ჰქვია მათ ლ ო გ ი კ უ რ ი აზროვნების

ფორმები, ამ მხრივ ისინი არ განსხვავდებიან. ამ ნიშნის მსჯელობის სპეციფიკად მიჩნევა სხვანაირად ნიშნავს დაშვებას, რომ მსჯელობა საგნის აზროვნებითი ასახვის ერთადერთი ფორმაა. მაგრამ ეს უკვე ახალი სიძნელის წინაშე გვაყენებს, ამით მსჯელობა ბუნებრივად გამოიყოფა აზროვნების სხვა ფორმებიდან და პრინციპულად უპირისპირდება მათ, რაც ანგრევს ლოგიკური ფორმების ერთიანობას, ე. ი. თვითონ აზროვნების ლოგიკურ მთლიანობას.

მაგრამ წარმოვიდგინოთ ცნება, მსჯელობა და დასკვნა მთლიანობის ისეთ მომენტებად, რომლებიც ერთიანი საგნის სხვადასხვა მხარეებს გამოხატავენ. პრინციპულად სულ სხვა ვითარება გვექნება. ცხადი გახდება, რომ საგნის ასახვის (ე. ი. ჭეშმარიტება-მცდარობის) ფუნქცია სამივეს აკისრია, მაგრამ ყოველი მათგანი, იმავე დროს, თავის საკუთარ ამოცანას ანხორციელებს და არ ირევა სხვაში, ან არ დაიყვანება სხვაზე. მსჯელობა რომ კმაროდეს ჭეშმარიტების გამოსათქმელად, მაშინ დანარჩენი ფორმები ზედმეტი იქნებოდა. მათი შინაგანი კავშირი სწორედ იმას ნიშნავს, რომ მათ „ერთმანეთი აკლიათ", ამდენად ისინი ერთმანეთს საჭიროებენ და ავსებენ; ერთის ნაკლი იხსნება მეორით, მეორისა მესამით, რაც მთლიანობაში ნიშნავს ერთიანი ჭეშმარიტების მოძრაობას თავის საკუთარ ფორმებში, მის სრულყოფასა და განვითარებას.

თუ ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანს მსჯელობის სპეციფიკად ჩავთვლით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ იგი საკმარისი ლოგიკური ფორმაა საგნის ამომწურავი შემეცნებისათვის. ეს კი, ჩვენის აზრით, ერთ-ერთი პრინციპული შეცდომაა, რომელიც მრავალსაუკუნოვანი არსებობის მთელს მანძილზე მოუხსნელი დარჩა ფორმალურ ლოგიკაში. მსჯელობას არ შეუძლია ამოსწუროს საგანი. მარტო ის, სინამდვილის ასახვის სხვა ლოგიკური ფორმების დაუხმარებლად, საკმარისი არაა ამისათვის. თუ სხვა ფორმა გამოვრიცხეთ, ლოგიკურ-დისკურსიული აზროვნების ცნობილი კრიტიკა (მაგ., იაკობისა და სხვების მიერ) გამართლებული იქნება, საგნის არსება ვერასოდეს ვერ მოხვდება ლოგიკური დისკურსიის მოძრაობის ორბიტში[16].

---

[16] ერთადერთი მოაზროვნე ლოგიკის ისტორიაში, რომელმაც სცადა აზროვნების ფორმები მათი ჭეშმარიტების მიხედვით განეხილა და შეეფასებია, ჰეგელი იყო. ჰეგელი ფაქტიურად დღემდე რჩება ერთადერთ ლოგიკოსად, რომელიც ჭეშმარიტება-მცდარობისა და ჰოყოფა-უარყოფის ნიშნებს არ თელის მსჯელობის სპეციფიკად. მაგრამ მისი თვალსაზრისი ფორმალურმა ლოგიკამ არა თუ არ მიიღო,

ცხადია, ლაპარაკია არა იმაზე, რომ ცალკეული მსჯელობა ვერ გამოხატავს საგნის ყველა მხარეს, ვერ შესძლებს მის სრულად წარმოდგენას. ლაპარაკია საერთოდ მსჯელობის, როგორც ლოგიკური ფორმის, ადგილზე ჭეშმარიტების შემეცნების თვალსაზრისით. ამ მხრივ მილიონი მსჯელობაც ვერ შესძლებს იმას, რაც არ შეუძლია ერთ მსჯელობას თავისი ბუნებით, თავისი არსებით, თავისი ლოგიკური ფუნქციით. მსჯელობა საგნის გარკვეულ მხარეს ასახავს, მაგრამ რაც არ უნდა გაიზარდოს მისი რიცხვი, საგანში ყოველთვის დარჩება სხვა მხარე, რომლის ასახვა მსჯელობას არც აკისრია და არც შეუძლია; სწორედ ამიტომაა სხვა ფორმები საჭირო, ამაშია მათი შინაგანი აუცილებლობა.

იგივე უნდა ითქვას მეორე ცნობილი განსაზღვრების შესახებ: მსჯელობა არის ჰოყოფა-უარყოფა. ასეთი განსაზღვრება ბუნებრივად გულისხმობს, რომ აზროვნების სხვა ლოგიკური ფორმები ამ ნიშნით არ ხასიათდებიან. მაგრამ ლოგიკური აზრით ჰოყოფა და უარყოფა ხომ საგნის ობიექტური გარკვევის ფორმებია. თუ ცნებაში და დასკვნაში ჰოყოფა-უარყოფის მომენტები არა გვაქვს, მაშინ გამოდის, რომ ისინი არაფერს ამბობენ საგნის შესახებ. მაგრამ ამის დაშვება შეუძლებელია.

როგორც ცნობილია, ცნება საგანთა ობიექტური არსების ასახვის ლოგიკური ფორმაა. გავიხსენოთ თუნდაც ტრადიციული განსაზღვრება: ცნება არის აზრი საგანზე მისი არსებითი ნიშნების მიხედვით. უკვე აქედან ჩანს დასტურისა და უარყოფის მომენტები ცნებაში. თუ ცნება არსებით ნიშნებს გვაწოდებს, ცხადია, იგი არ უდრის ცალკე აღებულ სიტყვას, რომელიც არაფერს არ ადასტურებს და არ უარყოფს საგნის შესახებ. ცნების წარმოდგენა ცალკე აღებული სიტყვის სახით („ადამიანი", „ცხენი", „ცხოველი" და

საერთოდ გაუგებარი დარჩა! პარადოქსალური ფაქტია, რომ ჰეგელის მოძღვრება ცნების, მსჯელობისა და დასკვნის ურთიერთობის შესახებ ბურჟუაზიულ ლოგიკაში ვერც კი გახდა სერიოზული მეცნიერული შესწავლისა და კრიტიკის საგანი. მას საერთოდ აუარეს გვერდი, როგორც გაუგებარ უცნაურობას, იმის მაგიერ, რომ, ყოველ შემთხვევაში, სწორად გაეგოთ და შეეფასებინთ იგი. დაარღვია რა ტრადიცია, ჰეგელმა პირველმა სცადა ცნების, მსჯელობისა და დასკვნის ურთიერთობა განეხილა სრულიად თავისებურ ასპექტში, როცა ყურადღება ექცევა ლოგიკური კ ა ვ შ ი რ ი ს ბუნებას და არა დასტურისა და უარყოფის სპეციფიკურობას მსჯელობაში. ეს ერთადერთი სწორი გზაა თუნდაც გრამატიკიზმის საბოლოო დაძლევისათვის ცნებისა და მსჯელობის ურთიერთობის გაგებაში.

ა. შ.) გრამატიციზმის შედეგია ტრადიციულ ლოგიკაში, რომელმაც ჩვეულებად აქცია თავისებური კორელაცია:

1. სიტყვა—→ცნება.

2. წინადადება—→მსჯელობა.

ცნება თავისი ნამდვილი ლოგიკური ფორმით წარმოდგენილია განსაზღვრებაში. განსაზღვრების გარეშე ჩვენ არა გვაქვს „აზრი საგანზე მისი არსებითი ნიშნების მიხედვით" და, მაშასადამე, არც ცნება გვაქვს. განსაზღვრება კი, ჩვენის აზრით, არაა მსჯელობა, ტრადიციულ ლოგიკაში აბსოლუტურად გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ განსაზღვრება მსჯელობაა, წინადადების ენობრივი ფორმიდან გამოდის, რაკი განსაზღვრებაც, მსჯელობის მსგავსად, წინადადების ფორმით გამოითქმება, მათ შორის ლოგიკურ განსხვავებას ვერ ხედავენ. მაგრამ განსაზღვრების მსჯელობად ჩათვლა ვერ ითვალისწინებს შემდეგ საბუთს: ცნება, როგორც აზროვნების ერთ-ერთი ლოგიკური ფორმა (მსჯელობისა და დასკვნის გვერდით), გაუქმებული გამოდის. განსაზღვრების მსჯელობად მიჩნევა იგივეა, რომ ვთქვათ, ცნება არის მსჯელობა. ეს კი უაზრობაა. მსჯელობის სხვადასხვა სახეები არსებობენ, მაგრამ თვით ცნების მსჯელობაში შეყვანა და მის ერთ-ერთ სახედ (ე. წ. ცნებითი მსჯელობა!) გამოცხადება ცნების, როგორც დამოუკიდებელი ლოგიკური ფორმის, უარყოფაა. ამას არ ეთანხმება თვით ტრადიციული ლოგიკის პრაქტიკა, რომელიც ცნების თეორიას ცალკე განიხილავს და არ თვლის მას მსჯელობის თეორიის ნაწილად.

ჩვენის აზრით, განსაზღვრება თვისობრივად სხვა ლოგიკური ნიშნებით ხასიათდება, ვიდრე მსჯელობა. რაც შეეხება ჰიპოფა-ფარყოფის მომენტებს, იგი ორივეს ახასიათებს, ამ საფუძველზე მსჯელობის სხვა ფორმებიდან გამოყოფა დაუსაბუთებელია. მივმართოთ მაგალითს: „იმპერიალიზმის" ცნება წარმოდგენილია მის განსაზღვრებაში, „იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმი განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ჩამოყალიბდა მონოპოლიებისა და ფინანსური კაპიტალის ბატონობა, უაღრესი მნიშვნელობა მიიღო კაპიტალის გატანამ, დაიწყო მსოფლიოს გადანაწილება საერთაშორისო ტრესტებს შორის და დამთავრდა დედამიწის მთელი ტერიტორიის განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის"[17]. რაც შეეხება მსჯელობას, იგი გამოხატავს იმპერიალიზმის ცალკეულ

---

[17] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 22, გვ. 335.

გარკვეულობებს, მაგ., ფინანსური ოლიგარქიის წარმოშობა, კაპიტალის გატანა და ა. შ.

ცნება საგნის არსებას ასახავს. მსჯელობას კი არა აქვს საგნის არსების ასახვის პრეტენზია. წინააღმდეგ შემთხვევაში ცნება და მსჯელობა ერთმანეთს დაემთხვეოდა! მსჯელობა გამოხატავს ობიექტური საგნის ცალკეულ გარკვეულობებს. აქ ვლინდება მისი თვისობრივი თავისებურება. საგნის მეცნიერული შემეცნება ნიშნავს გავიგოთ იგი გაწსხვავებულ გარკვეულობათა ერთიანობაში, როგორც კონკრეტული. აზროვნების ყოველი ლოგიკური ფორმა ამ მიზანს ემსახურება, ყოველი მათგანი ერთიანი საგნის გარკვევის ფორმაა. ცნება ასახავს საგნის არსებით გრკვეულობათა შინაგან ერთიანობას, როგორც არსებას, მსჯელობა ასახავს საგნისა და გარკვეულობის უშუალო ერთანობას, დასკვნა კი ცნებისა და მსჯელობის ერთიანობაა და საგნისა და გარკვეულობის შუალობით კავშირს გამოხატავს.

უშუალო და შუალობითი კავშირის კატეგორია უაღრესად მნიშვნელოვანია დიალექტიკის თეორიაში. აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ უშუალო კავშირი ორი მომენტის ურთიერთობაა მესამის გარეშე, შუალობითი კავშირი კი უსათუოდ სამ მომენტს მაინც გულისხმობს: ორი მათგანი ერთმანეთს მესამის საშუალებით უკავშირდება. კავშირი ორ საგანს ან ორ ლოგიკურ ერთეულს შორის შეიძლება იყოს უშუალო ან გაშუალებული. მაგ.,

1) A
2) A→B
3) A→B→C

პირველში თავისთავად არ დგას კავშირის საკითხი, მეორე ორი მომენტის უშუალო კავშირს გამოხატავს, მესამე კი შუალობით კავშირს.

* * *

არისტოტელედან მომდინარეობს მსჯელობის ტრადიციული თეორია, რომლის თანახმად ყოველ მსჯელობას სუბიექტ-პრედიკატული აგებულება აქვს და გამოიხატება ზოგადი სქემით: „S არის (არ არის) P". მსჯელობის სტრუქტურის ეს გაგება სუბსტანციის ონტოლოგიურ კატეგორიას ემყარება და სწორად ასახავს საგნის შე-

მეცნიერული აზროვნების ერთ-ერთ ზოგად ლოგიკურ თავისებურებას. მაგრამ იგი არსებითი ხასიათის სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს შეიცავს, რომელთა დაძლევა ძველი ლოგიკის პრინციპებით შეუძლებელია.

მსჯელობა საგნობრივი ვითარების ასახვაა. ამიტომ მსჯელობის სტრუქტურის გაგება დამოკიდებულია თვით საგნობრივი ვითარების გაგებაზე (ე. ი. ლოგიკური აქაც ონტოლოგიურს ემყარება). შეიძლება ვაღიაროთ თეზისი საგნობრივი ვითარების ობიექტური არსებობის შესახებ, მაგრამ ეს საკმარისი როდია, თუ არ გვესმის საგნისა და გარკვეულობის ობიექტური დიალექტიკა. ტრადიციულ ლოგიკას აკლდა არსების, საგნის, გარკვეულობის დიალექტიკური გაგება. ამიტომ მან ვერ შესძლო ვერც მსჯელობის ლოგიკური სტრუქტურის დიალექტიკური ახსნა. ტრადიციულ ლოგიკას არადიალექტიკურად, ე. ი. მეტაფიზიკურად ესმის სუბიექტი, პრედიკატი, კოპულა და მთლიანად მსჯელობა, როგორც აღნიშნული მომენტების ერთიანობა.

1) ტრადიციული თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ვლინდება სუბიექტის გაგებაში. ტრადიციულ ლოგიკაში „სუბიექტი მიჩნეულია მყარ პუნქტად, რომელზეც, როგორც თავის საყრდენზე, მიბმულია პრედიკატები"[18]. იგი არის ლოგიკური გამოსახულება და „ანალოგი" კლასიკური „სუბსტანციისა", რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც ცვალებად მოვლენათა მყარი, უცვლელი, უძრავი „სათავე". მაგრამ ეს წარმოდგენა აშკარად ეწინააღმდეგება მეცნიერების რევოლუციური განვითარების საყოველთაო ტენდენციებს. მეცნიერებათა განვითარებამ ცხადჰყო, რომ ცოდნის არც ერთ დარგში არ დასტურდება ამგვარი „სუბსტანცია", ამგვარი არსება და საგანი. ამის გამო სუბსტანციის ცნების საერთოდ უარყოფა, რასაც პოზიტივიზმი მიმართავს, ცხადია, ახალი სიყალბეა, მაგრამ თანამედროვე მეცნიერების მონაცემებმა საბოლოოდ შეარყიეს მეტაფიზიკური სუბსტანციალიზმის პოზიციები. ერგვე ემართება ტრადიციული ლოგიკის მყარ სუბიექტს. იგი „წარმოდგენილი კაუჭის სახით, რომელზეც ჩამოკიდებულია პრედიკატები, არავის არ სჭირდება და პროტესტს იწვევს" (ბ. რასელი).[19]

---

[18] Гегель. Сочинения т. 4, с. 11.

[19] პოზიტივისტები თავის დამსახურებად თვლიან ტრადიციული სუბიექტის (resp, პრედიკატის) კრიტიკას და მსჯელობის თეორიაში მუდამ გულმოდგინედ უსვამენ ამას ხაზს. მაგრამ, ჩვენის აზრით, პირველობა ამ მხრივ ჰეგელს ეკუთვნის. ტრადიცი-

2) ტრადიციული თეორიის მეორე ძირითადი ნაკლი პრედიკატის გაგებას უკავშირდება. ტრადიციული პრედიკატი საგნის ნიშანს გამოხატავს. მაგრამ თვით „ნიშნის“ ცნების კონკრეტული გაგება ძველ ლოგიკას არ ჰქონია. ფაქტიურად იგი წარმოდგენილია მისი უშუალო და ზოგად-აბსტრაქტული ფორმით: „ის, რაც საერთო აქვს საგანს სხვა საგნებთან, ან განასხვავებს მათგან“. ამ განსაზღვრებაში არ ჩანს ნიშნის კონკრეტული კავშირი საგანთან, რაც მთავარია, თვით მისი (ნიშნის) არსებითი თავისებურება, რაც გარკვეულობის წინააღმდეგობრივ ხასიათში გამოიხატება. დავუკვირდეთ „ნიშნის“ ცნების თვით ამ განსაზღვრებას, რომელიც ტრადიციული ლოგიკის თითქმის ყოველ სახელმძღვანელოში შოჰყავთ დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე, თითქოს იგი თავისთავად ნათელი და გასაგები იყოს: „ნიშანი არის საერთო ან განმასხვავებელი საგნებს შორის“. უკვე აქ არის დარღვეული თვით ტრადიციული ლოგიკის ერთ-ერთი წესი განსაზღვრებისა: ნიშანი არ შეიძლება გაყოფითი მსჯელობის ფორმა ჰქონდეს: „ან—ან“.

სუბიექტი მსჯელობის ის მხარეა, რომელიც საგანს, არსებას გამოხატავს, პრედიკატი კი სუბიექტს მიეწერება და ახასიათებს, ასეთია ზოგადად და ძირითადად ტრადიციული ლოგიკის თვალსაზრისი.

საგანი—ნიშანი (რეალური, ობიექტური, საგნობრივი ვითარება).

სუბიექტი—პრედიკატი (მსჯელობის ლოგიკური აგებულება).

სუბიექტისა და პრედიკატის ლოგიკური ბუნების გაგება, როგორც ვხედავთ, გარდუვალად უკავშირდება თვით საგნისა და ნიშნის ამა თუ იმ თეორიას. ტრადიციული ლოგიკა საგნისა და ნიშნის გაგებაში „კლასიკური“ ფილოსოფიის თვალსაზრისს ემყარებოდა, იგი, ბუნებრივია, ძირითადი წყარო იყო მისთვის. „კლასიკურ“ ფილოსოფიას აკლდა საგნის, არსების, ნიშნის დიალექტიკური გაგება. მაგ., „საგანი“ გაგებული იყო, როგორც ცვალებად თვისებათა უცვლელი მატარებელი, „არსებას“ განსაზღვრავდნენ, როგორც საგნის შინაგან იგივეობას. ისინი წარმოდგენილი იყო აბს-

---

ული თეორიის ნაკლოვანებანი და სიძნელეები, რომელთა შესახებ პოზიტივიზმი ლაპარაკობს, თავის არსებით მომენტებში გამომღავნებულია ჰეგელის მიერ, მაგრამ მას ან არ იცნობენ, ან არ ასახელებენ. მაგ., ბ. რასელის ციტირებული სიტყვები ჰეგელის დებულების ამკარა განმეორებაა, თუმცა ბ. რასელი საერთოდ სუბიექტის უარყოფამდე მიდის, ჰეგელი კი მის ახლებურ გაგებას მოითხოვს.

ტრაქტული ფორმით, როგორც მყარი, უძრავი, გაჩერებული. მათი ნიშნები ბუნებრივად გავრცელდა მსჯელობის სუბიექტზე, სუბიექტიც წარმოდგენილი იყო აბსტრაქტული ფორმით, როგორც მყარი, უძრავი, გაჩერებული. თავის თავთან უშუალო იგივეობა, რომლის წიაღში შინაგანი სხვაობა, მით უფრო, შინაგანი წინააღმდეგობა არ დაიშვება, — აი, რა იყო მიჩნეული მის ძირეულ თავისებურებად, მის არსებად, მის „ძირითად კანონად". იგივე ითქმის ტრადიციული პრედიკატის შესახებ, საგნის ნიშანი თუ გარკვეულობა, რომელსაც პრედიკატი გამოხატავს, წარმოდგენილი იყო როგორც თავის არსებაში იგივეობრივი, მყარი, უძრავი და გაჩერებული. გარკვეულობის შინაგანი ანტინომია და დინამიკა, რომლის შესახებ დიალექტიკის თეორია ლაპარაკობს, პრინციპულად გამორიცხული იყო. ბუნებრივია ისიც, რომ მსჯელობის ორი ასეთი გზა — მზა მზარე მხოლოდ გ ა რ ე გ ა ნ მიმართებაში შეიძლება იდგეს ერთმანეთთან. ის, რაც მათი „გაერთიანებით" მიიღება, მხოლოდ მექანიკური აგრეგატია, რომელიც თვითონაც მოკლებულია შინაგან სიცოცხლესა და დინამიკას.

3) ტრადიციული თეორიის შემდეგი ძირითადი ნაკლი კოპულის გაგებაში მდგომარეობს. ტრადიციული ლოგიკა კოპულის ორ სახეს ასახელებს ერთმანეთის გვერდით: „არის", „არ არის". მისთვის სრულიად უცხოა თვით ამ ცნებათა („არის", „არ არის") კავშირის დიალექტიკა. იყენებდა რა ამ ცნებებს, ტრადიციული ლოგიკა, ცხადია, გარკვეულ შინაარსს სდებდა მათში. ბუნებრივია, რომ ეს შინაარსი აღებული იყო ტრადიციული ფილოსოფიიდან, რომელსაც მეტაფიზიკურად ესმოდა ისინი. რაიმე ან არის, ან არ არის, მესამე გამორიცხულია, ასეთია თვალსაზრისი, რომელსაც იზიარებს ყველა მეტაფიზიკოსი, მიუხედავად იმისა იდეალისტია ის თუ მატერიალისტი. მაგრამ აქედან გარდუვალად გამომდინარეობს დასკვნა, რომლის გაკეთება და თანმიმდევრული დაცვა მხოლოდ ელეატელებმა გაბედეს: მოძრაობის უარყოფა! თუ რაიმე ან არის, ან არ არის, მაშინ მისი მოძრაობა აბსოლუტურად გამორიცხულია, რადგან მოძრაობა არსისა და არარსის ცოცხალი ერთიანობაა და აზრს კარგავს მათი შინაგანი კავშირისა და ურთიერთგადასვლის გარეშე.

ნამდვილი სინამდვილე სავსეა წმინდა არსით, ამბობდნენ ელეატები, მის წიაღში არარსის დაშვება შეუძლებელია. არსი, რომელსაც არ ურევია არარსი, ე. ი. არსი აბსოლუტური მნიშვნე-

ღობით აღებული, ასეთია მათი პრინციპი. აქედან არც ისე შორსაა ყოველი თვალსაზრისი, რომელიც უარყოფის ობიექტური არსებობის წინააღმდეგია. უარყოფა, უარყოფითი რეალურ სამყაროს არ ეკუთვნის, ამბობენ, მაგ., თანამედროვე პოზიტივისტები. იგი, უკეთეს შემთხვევაში, ფსიქოლოგიური კატეგორიაა და ჩვენს სუბიექტურ მდგომარეობას ახასიათებს, მაგრამ არა თვით საგანს, ობიექტს, სინამდვილეს.

მაგრამ ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს მსჯელობის სტრუქტურაში მონაწილე „არის" და „არ არის", მათი ტრადიციული გაგება. არსისა და არარსის ურთიერთობა ონტოლოგიური ასპექტია, რომელსაც მსჯელობის თეორიაში (ე. ი. ლოგიკურ ასპექტში) ასახავს კოპულის ბუნების ასე თუ ისე გაგება. იგივე ვლინდება დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობის საკითხში.

დამახასიათებელია შედეგები, რომელსაც ამ მხრივ ფორმალური ლოგიკა ისტორიამ თავის განვითარებაში მიაღწია; არისტოტელე, როგორც ცნობილია, იბნეოდა არსისა და არარსის რთული დიალექტიკური ურთიერთობის გაგებაში. მაგრამ გამოდის რა დადებითი და უარყოფითი მსჯელობის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტიდან, ის თავის ლოგიკაში კოპულის ორ სახეს („არის", „არ არის") ასახელებს, რაკი მსჯელობას განსაზღვრავს როგორც „რაიმეს შესახებ რაიმეს ჰოყოფას ან უარყოფას". ორივე მათგანი მისთვის ობიექტური ღირებულების შემცველი და თანაბარმნიშვნელოვანია. ამ მხრივ მათი დაპირისპირება მისთვის უცხოა. ახალ დროში, როცა კოპულას ამ ორ სახეს უფრო ახლო დააკვირდნენ, აღმოჩნდა, რომ მათი („არის", „არ არის") კავშირი და ბუნება არც ისე მარტივი და თავისთავად გასაგებია, როგორც ტრადიციულად ეჩვენებოდათ. პირველ იერიშს შეეწირა კოპულა „არ არის". კოპულის ერთადერთი სახეა „არის", ამტკიცებს, მაგ., ქ. ზიგვარტი. რაც შეეხება მეორეს („არ არის"), იგი ლოგიკურად სრული უაზრობაა, აბსოლუტურად მოკლებულია მნიშვნელობას. რატომ? პირველ რიგში იმიტომ, რომ უარყოფას რეალურ სამყაროში ადგილი არა აქვს, თუ რა არ არის საგანი, ცხადია, საგანს არ ეკუთვნის და აბსურდია მის შესახებ გამოითქვას!

შემდეგ იერიში წარიმართა თვით კოპულა „არის" წინააღმდეგ. რას უნდა ნიშნავდეს იგი? „არის" ბნელი, გაურკვეველი, მეტაფიზიკური კატეგორიაა, აი, ძირითადი თეზისი, რომელსაც იცავს უახლესი პერიოდის ბურჟუაზიული ლოგიკა. ხოლო „მიმართება-

თა ლოგიკამ", როგორც ცნობილია, მთლიანად განდევნა იგი მსჯელობიდან. მსჯელობას საერთოდ არა აქვს კოპულა („არის — არ არის"), ყოველი მათგანი ზიმართების მსჯელობაა და მიმართების დადგენაში გამოიხატებაო. არსებითად აქამდე მიდის ნეოპოზიტივიზმიც.

4) როგორც ვხედავთ, ტრადიციულ ლოგიკას არადიალექტიკურად ესმის მსჯელობის სუბიექტი, პრედიკატი და კოპულა. ბუნებრივია, რომ მას მეტაფიზიკურად ესმის მთლიანად მსჯელობაც, როგორც აღნიშნული მომენტების ერთიანობა. ტრადიციული ლოგიკის მეთოდი ამ მხრივ არ ღალატობს თავის თავს. თვალსაზრისი, რომლითაც ის იხილავს მთლიანად ლოგიკურ აზროვნებას, თავს იჩენს, აგრეთვე, აზროვნების ერთი ფორმის, მსჯელობის გაგებაში. მართლაც, ტრადიციული ლოგიკა ვერ ხედავს შინაგან კავშირსა და მთლიანობას ა) აზროვნების ცალკეულ ფორმებს (ცნება, მსჯელობა, დასკვნა) შორის, ბ) მსჯელობის ცალკეულ სახეებს შორის, გ) მსჯელობის თვით შინაგან ლოგიკურ წევრებს (სუბიექტი. პრედიკატი) შორის. სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობა წარმოდგენილია, როგორც ორი მხარის გარეგანი მიმართება, სადაც ერთი „შეიწერება" მეორეს, მაშინ, როდესაც პრედიკატი ჭეშმარიტად გაგებულ უნდა იქნეს, როგორც სუბიექტის საკუთარი მოძრაობა, მისი თვითმოძრაობა და თვითგანვითარება. მსჯელობას ხშირად უწოდებენ ცოდნის „უჯრედს" და ამ შედარებას ღრმა აზრი აქვს, თუ იგი სწორად იქნება გაგებული. ხოლო თუ შედარებას გავაგრძელებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი ლოგიკის ეს უჯრედი „მკვდარია". აქ კარგად ჩანს ძირეული განსხვავება მსჯელობის ტრადიციულ-ლოგიკურ გაგებასა და დიალექტიკურ გაგებას შორის, ვისაც სურს იგი თვალსაჩინოდ წარმოიდგინოს, მკვდარი უჯრედი ცოცხალ უჯრედს უნდა შეადაროს.

ტრადიციულ ლოგიკაში აზროვნება მოძრაობის გარეშეა წარმოდგენილი. იგივე ითქმის აზროვნების ერთ-ერთი ფორმის, მსჯელობის შესახებ. შინაგანი მოძრაობა, შინაგანი გადასვლები, შინაგანი სიცოცხლე, აი, რა აკლია მას. უძრავია ლოგიკური აზროვნების მთლიანი ორგანიზმი, უძრავია მისი „უჯრედიც"[20].

---

[20] უჯრედი რთული შინაგანი მოძრაობის გარეშე! ვინ წარმოიდგენს დღეს ამას ბიოლოგიაში, რომელიც მას სიცოცხლის ლაბორატორიად თვლის, მდიდარი შინაგანი მეურნეობით, რომლის რთული ორგანიზაცია ჯერ მთლიანად გახსნილიც არაა. ლოგიკაში კი მსჯელობის შინაგანი მოძრაობის პრინციპი ჯერ კიდევ «გაუგებარია» და დავას იწვევს!

სულ სხვა თვალსაზრისს ანვითარებს დიალექტიკური ლოგიკა. მაგრამ მსჯელობის სტრუქტურის ტრადიციულ გაგებას უპირისპირდებიან მთელი რიგი სხვა ლოგიკოსებიც.

აქ შეიძლება დავასახელოთ თვალსაზრისი ბ. ბოზანკეტისა, რომელიც ამჩნევს ტრადიციული თეორიის არსებით ნაკლოვანებებს, აკრიტიკებს მათ და მსჯელობის სტრუქტურის სხვანაირ გაგებას იძლევა. მისი აზრით, სუბიექტი, პრედიკატი და კოპულა თვით მსჯელობას კი არ ახასიათებს, არამედ იმ წინადადებას, რომლითაც მსჯელობა გამოითქმება. ისინი გამოთქმული მსჯელობის (ე. ი. წინადადების) ნაწილებია. რაც შეეხება მსჯელობას, იგი „იდეალური მთლიანობაა" და არა განსხვავებული ნაწილებიდან შედგენილი ერთეული. ბოზანკეტი პირველ რიგში ემყარება ე. წ. ერთწევრიანი წინადადების ფაქტებს (მაგ., „ყინავს", „თოვს" და ა. შ.), თვლის რა მათ „უსუბიექტო მსჯელობებად", რომლებშიც მთელი შინაარსი პრედიკატშია გადატანილი. მსჯელობა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორი იდეის შეერთება, ამბობს ბოზანკეტი, რადგან ასეთი გაგება გულისხმობს, რომ მისი ნაწილები ცალკეული და ერთმანეთის მომდევნო შინაარსებია, ხოლო მსჯელობა ნიშნავს მოძრაობას ერთიდან მეორისაკენ. „მსჯელობის ნაწილები ცალ-ცალკე არ მოსდევენ ერთმანეთს, მსგავსად გამოთქმის ნაწილებისა...."[21] მსჯელობაში ჩვენ ყოველთვის საქმე გვაქვს ერთ იდეალურ შინაარსთან, მისი მთლიანობა შექმნილი კი არაა, ჩვენი შეერთების შედეგი კი არაა, არამედ თვით არის პირველადი და გაგამოსავალი მომენტი. მსჯელობა საერთოდ არაა შედგენილი. „მაგრამ თუ მთელი მსჯელობა არის ერთიანი შინაარსი, მაშინ რა განსხვავებაა სუბიექტსა და პრედიკატს შორის და აუცილებელია თუ არა საერთოდ განვასხვავოთ სუბიექტი პრედიკატისაგან?"[22] ბოზანკეტი ფიქრობს, რომ ყველა მსჯელობა დაიყვანება უსუბიექტო მსჯელობის ფორმაზე, მსჯელობა თავისი არსებით იგივე პრედიკატია, რომლის სუბიექტს თვით „მოცემული სინამდვილე" შეადგენს. „გამოთქმაზე უმნიშვნელო ძალდატანების გზით ყოველი მსჯელობა შეიძლება გამოიხატოს ფორმით, რომელშიც გაურკვეველი სინამდვილე არის ზოგადი სუბიექტი, ხოლო მთელი მასა მსჯელობისა არის პრედიკატი"[23].

---

[21] Б. Бозанкет. Основания логики, с. 108.

[22] იქვე, გვ. 114.

[23] იქვე.

როგორც ვხედავთ, ბოზანკეტი სამართლიანად აკრიტიკებს მსჯელობის სტრუქტურის ტრადიციულ გაგებას, რომელსაც იგი მექანიკურ აგრეგატად მიიჩნია, მაგრამ თვითონ მეორე უკიდურესობაში ვარდება. ტრადიციული სტრუქტურის კრიტიკა სრულებით არ მოითხოვს საერთოდ უარვყოთ მსჯელობის რაიმე სტრუქტურა და განვიხილოთ იგი, როგორც „განუყოფელი მთლიანობა". გარდა ამისა, მსჯელობის პრედიკატთან გაიგივება ლოგიკურ სიყალბეს ჰქმნის, რაკი პრედიკატი სუბიექტთან მიმართებით ნაწარმოები ცნებაა, სუბიექტის გარეშე არც პრედიკატია შესაძლებელი[24].

აქ შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ჰ. ჰეფდინგი, რომელიც ტრადიციული თეორიის არსებით ნაკლად თვლის სუბიექტისა და პრედიკატის გარეგან კავშირს. ორი ცნება იმდენად ერთიანდება მსჯელობად, წერს ის, რამდენადაც ერთს ხელახლა ვპოულობთ, ან ხელახლა შევიცნობთ მეორეში: „Wenn ich sage: A ist B, muß ich B in A gefunden haben"[25]. მსჯელობა როდი მიიღება სუბიექტისა და პრედიკატის ვარეგანი გაერთიანებით: „იმ დროს, როცა მსჯელობა განჭვრეტიდან ან ასოციაციიდან თანდათან ვითარდება, თვით მთელი, რომლიდანაც მსჯელობის წევრები მიიღება, მუდამ ცნობიერების წინ დგას. ამ მთელის შიგნით ყურადღება გადადის გამოსავალი წარმოდგენიდან, რომელიც მსჯელობის სუბიექტია, მომდევნო წარმოდგენაზე, რომელიც მსჯელობის პრედიკატია"[26]. არსებითად მოძრაობას აქ ორი მიმართულება აქვს: S→P და P→S. ასე რომ, მსჯელობაში S ისევე ირკვევა P-თი, როგორც P S-ით. ისინი „ურთიერთს განსაზღვრავენ". ამიტომ ცალმხრივია როგორც სუბსუმციის თეორია, რომლის მიხედვით S ირკვევა P-თი, ასევე შინაარსის თეორია, რომლის

---

[24] მართლაც, ხომ გაჩნდა თეორია, რომელმაც უარი თქვა სუბიექტისა და პრედიკატის განსხვავებაზე მსჯელობაში, საბოლოოდ კი ორივე მათგანი გადაგდო („მიმართებათა ლოგიკა").

[25] H. Höffding, Der Menschliche Gedanke. Seine Formen und seine Aufgaben, Leipzig, 1913. S. 78.

[26] იქვე, გვ. 99 ამავე აზრს იცავს ი. ლაპშინი. ის ამბობს, რომ ფორმალურ ლოგიკური განსაზღვრება „მსჯელობა ორი ცნების შეერთებაა", შეეხება არა თვით ცოცხალ მსჯელობას, არამედ მსჯელობის მკვდარ პროდუქტს. მსჯელობის ნამდვილი ცოცხალი აქტი მდგომარეობს ყურადღების სინთეზურ მოქმედებაში. «Когда я высказываю суждение: «Этот стол протяжен», я не связываю с внешним образом два понятия, но подчеркиваю вниманием один елемент в интуиции стола» (И. Лапшин, Законы мышления и формы познания, 1906, с. 60).

თანახმად P ირკვევა S-ით. განიხილავს რა სუბიექტისა და პრედიკატის შინაგანი კავშირის იდეას, ჰეფდინგი ბოლოს და ბოლოს მიდის ყალბ დასკვნამდე, თითქოს სუბიექტისა და პრედიკატის განსხვავებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ფსიქოლოგიისათვის და არა ლოგიკისათვის. „საბოლოო ანგარიშში ლოგიკისათვის საინტერესო არაა, თუ რა არის მსჯელობის შექმნისას გამოსავალი წარმოდგენა ან მომდევნო წარმოდგენა. სუბიექტისა და პრედიკატის განსხვავება კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც კი მსჯელობა სრულყოფილ ფორმულირებას მიიღებს, და ეს მიიღწევა, როცა ის ერთგვარი ტოლობის ფორმით გამოიხატება, როგორც იგივეობრივი მიმართების თავისებური დამოკიდებულება“[27]. ამ გზით მიდიოდა ჯერ კიდევ ლაიბნიცი, წერს ჰეფდინგი, ხოლო უფრო გვიან ამ თვალსაზრისს ამუშავებენ ვ. ჰამილტონი, დე-მორგანი, ბული, ჯევონსი და მათი მიმდევრები.

თუ ანალიზი აღმოაჩენს, რომ A ცნება შეიცავს B-ს, ლაიბნიცის კვალად შეიძლება ვთქვათ: A=A+B. ე. ი. თუ მოცემულია A, მოცემულია B; მსჯელობის შექმნის პროცესში B მომდევნო წარმოდგენაა (Schlußvorstellung) და პრედიკატი მსჯელობისა: „A არის B“. მაგრამ მას შემდეგ, რაც ლოგიკური ტოლობა შედგენილია, საწყისისა და ბოლოს განსხვავებას არავითარი საფუძველი არა აქვს, იგი ისევე შეიძლება წავიკითხოთ მარცხნიდან მარჯვნივ, როგორც მარჯვნიდან მარცხნივ: „A=B“.

ტრადიციული თეორიის კრიტიკა უკიდურეს ზომას აღწევს „მიმართებათა ლოგიკაში“, რომელიც მთლიანად უარყოფს სუბიექტის, პრედიკატისა და კოპულის ცნებებს, ყოველ მსჯელობას მიმართების მსჯელობად აცხადებს და გამოხატავს ზოგადი საქმით: aRb. ზემოთ უკვე იყო გარჩეული ამ ლოგიკის ძირითადი პრინციპები. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ წინააღმდეგობის მიუხედავად, ორივე ამ თეორიას საერთო აქვთ მეტაფიზიკა. მსჯელობა, მისი ელემენტები და მათი ურთიერთობა „მიმართებათა ლოგიკას“ ისევე მეტაფიზიკურად ესმის, როგორც ტრადიციულ ლოგიკას. „aRb“ სამი ელემენტის კავშირია. მაგრამ თვით შინაარსი ცნებისა, რომელიც აქ „მიმართების“ (R) სახით იგულისხმება, თავისთავად ცხადჰყოფს ამ კავშირის გარეგან ხასიათს. a და b გაგებულია, როგორც ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი, ორი თავისთავადი საგანი, რომელთა შორის სუბიექტი ადგენს მიმართებას. თავისთავად ისინი ერთმანეთს არ საჭირო-

---

[27] H. Höffding, Der Menschliche Gedanke, S. 101.

ებენ და არ გულისხმობენ[28]. მსჯელობა შეიძლება დავშალოთ, სამი-ვე მისი ელემენტი a, R და b ერთმანეთისაგან გამოვყოთ და ცალ-ცალკე წარმოვიდგინოთ: არც ერთი მათგანი ამის გამო თავის არსებაში არაფერს არც იძენს და არც კარგავს. aRb მართლაც მოგვაგონებს ორ რკინიგზის ვაგონს, შეერთებულს მისაბმელი რგოლით. ყოველი ელემენტი დამოუკიდებელი და გარეგანია დანარჩენისათვის. მსჯელობაც გაჩერებულია, როგორც მექანიკური აგრეგატი.

მსჯელობა „პეტრე პავლეზე მაღალია" — გულისხმობს ორი საგნის გარეგან კავშირს. პეტრე და პავლე შეიძლება არსოდეს არ შეხვედრია ერთმანეთს, ერთი შეიძლება პირველ საუკუნეში ცხოვრობდა, მეორე — მეოცეში. მიმართებაც „მაღალი" ჩემი ცნობიერების ფორმაა, პეტრე თავისთავად არც მაღალია და არც დაბალი. მე ვადგენ მიმართებას ორ დამოუკიდებელ საგანს შორის, აი, მსჯელობის არსება „მიმართებათა ლოგიკის" თავლსაზრისით. ძნელი არაა დავინახოთ, რომ „მიმართებათა ლოგიკის" სქემა (aRb) უთუოდ გულისხმობს თავისებურ ონტოლოგიურ ასპექტს, თვით საგანთა სამყაროს თავისებურ სტრუქტურას. ამ სამყაროს „პირველად ნიმუშს", ჩვენის აზრით, წარმოადგენს არითმეტიკა, თუ მის ცნებებს, ოპერაციებსა და მიმართებებს თავისებურად გავასაგნებთ.

დიალექტიკის თეორია ძირეულად უპირისპირდება და უარყოფს „მიმართებათა ლოგიკის" ანტისუბსტანციალიზმსა და რელატივიზმს. დიალექტიკა სუბსტანციის თვალსაზრისს იცავს. ცხადია, ამ საფუძველზე წყდება მსჯელობის სტრუქტურული აგებულების საკითხიც დიალექტიკურ ლოგიკაში. დიალექტიკური ლოგიკა აღიარებს მსჯელობის სუბიექტ-პრედიკატულ აგებულებას, მაგრამ თვით სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის ტრადიციულ გაგებას ისევე უარყოფს, როგორც არსებისა და საგნის ძველ გაგებას.

* * *

მსჯელობა ორწევრიანი ლოგიკური ერთეულია. იგი არ შეიძლება დავიყვანოთ ერთ წევრზე (ბოზანკეტი და სხვ.). ჩვენ უარ-

---

[28] „საგანთა" ამ სამყაროს მიუდგება ვიტგენშტეინის სიტყვები «Мир есть совокупность фактов... Любой факт может иметь место или не иметь места, а все остальное останется тем же самым» (А. Витгенштейн, Логико-философский трактат, с. 31).

ვეოფთ, აგრეთვე, თვალსაზრისს, რომელიც მსჯელობას სამი ელემენტის კავშირად წარმოიდგენს („მიმართებათა ლოგიკა"). ასევე ყალბია თეორია, რომელიც ყოველ მსჯელობაში ოთხ ელემენტს ეძებს[29] (ვინდელბანდი და სხვ.).

მსჯელობის აუცილებელი ლოგიკური ელემენტებია სუბიექტი და პრედიკატი, რომლებიც ერთმანეთს კოპულით უკავშირდებიან. მსჯელობა ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც საგნისა და გარკვეულობის უშუალო ერთიანობის ასახვა. მსჯელობის ამ არსებას გამოხატავს მისი შინაგანი ლოგიკური სტრუქტურა. საგანი მსჯელობაში ასახული და წარმოდგენილია სუბიექტის ფორმით, გარკვეულობა — პრედიკატის ფორმით, ხოლო მათს უშუალო ერთიანობას გამოხატავს კოპულა.

მსჯელობის სუბიექტია ის, რაც ირკვევა მასში, რაზეც ლაპარაკია მსჯელობაში, რასაც მიეწერება პრედიკატი. მისი ობიექტური დედანია საგანი, რომელსაც ასახავს და წარმოგვიდგენს ის მსჯელობაში. ამით განისაზღვრება მისი ლოგიკური ადგილი, ფუნქცია და ხასიათი.

საგანი პირველია, გარკვეულობა მეორე, საგანი საფუძველია, გარკვეულობა შედეგი, საგანი მთელია, გარკვეულობა ნაწილი, მხარე, მომენტი. იგივე მეორდება იდეალური ფორმით მსჯელობაში, რომელიც საგნისა და გარკვეულობის ობიექტურ დიალექტიკას ასახავს. სუბიექტით იწყება მსჯელობის ლოგიკური სისტემა. სუბიექტი პირველია, პრედიკატი მეორე, სუბიექტი საფუძველია, პრედიკატი შედეგი, სუბიექტი მთელია, პრედიკატი ნაწილი, მხარე, მომენტი.

მსჯელობის პრედიკატია ის, რაც გამოითქმება პრედიკატზე, მიეწერება მას, რითაც ირკვევა იგი. მისი ობიექტური დედანია საგნის გარკვეულობა, რომელსაც ასახავს და წარმოგვიდგენს ის მსჯელობაში. პრედიკატი არკვევს სუბიექტს, ამ აზრით, იგი სუბიექტის გარკვეულობაა.

სუბიექტი და პრედიკატი ერთმანეთის საშუალებით განისაზღვრებიან. ერთს აზრი არა აქვს მეორის გარეშე, თუ არის სუ-

---

[29] ამ გაგებით მსჯელობაში გამოიყოფა: ა) სუბიექტი, ბ) პრედიკატი, გ) კოპულა და დ) დასტური და უარყოფა. ნამდვილად კი კოპულა სუბიექტისა და პრედიკატის კავშირია. ხოლო დასტური და უარყოფა კოპულის გვერდით როდი თავსდება როგორც „მისი შეფასება". ლოგიკურად კოპულა თვით გამოდის, როგორც დასტური და უარყოფა.

ბიექტი, არის პრედიკატი, თუ არ არის სუბიექტი, არც პრედიკატია. ამიტომაა მიუღებელი მსჯელობის მხოლოდ სუბიექტზე ან მხოლოდ პრედიკატზე დაყვანის თვალსაზრისები. სუბიექტი კავშირშია პრედიკატთან. ისინი გულისხმობენ, მოითხოვენ და საჭიროებენ ერთმანეთს. ამიტომ მიუღებელია მათი მექანიკური თანაარსებობის თვალსაზრისიც. სუბიექტი პრედიკატის სუბიექტია და პირიქით, პრედიკატი — სუბიექტის პრედიკატი; თავის საკუთარ განსაზღვრას ერთი მეორეში ღებულობს და პირიქით.

მათი ეს კავშირი და დამოკიდებულება, თავის მხრით, მოძრაობის საშუალებით ხორციელდება. სუბიექტი და პრედიკატი ერთიანობის პოლუსებია. მაგრამ იმგვარად, რომ თვით ეს ერთიანობა შინაგანი მოძრაობის გზით მყარდება. ამიტომ ისინი „სტატიკური წონასწორობის“ მხარეები კი არ არიან, არამედ ერთიანი მოძრაობის საპირისპირო მომენტები, რომლებიც ერთმანეთისაკენ მოძრაობენ და ერთმანეთში გადადიან. სუბიექტი არის პრედიკატი, გარდამავალი სუბიექტში (S : P→S), პრედიკატი არის სუბიექტი, გარდამავალი პრედიკატში (P : S→P). მთლიანად, მსჯელობის მოძრაგი სხეული ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: S⇄P.

სუბიექტისა და პრედიკატის გარეგანი კავშირის თვალსაზრისი ლოგიკური აუცილებლობით მიდის სუბიექტის უარყოფამდე. ამის მაგალითია ტრადიციული ლოგიკის სუბიექტი და მისი ისტორია. პოზიტივიზმის მიერ სუბიექტის ცნებაზე უარის თქმა, სხვა მიზეზთა შორის, განაპირობა, აგრეთვე, ტრადიციული თეორიის ნაკლოვანებებმა და სიძნელეებმა, რომლებიც შემჩნეულ იქნა, მაგრამ მეცნიერულად დაძლეული კი არა! ანტისუბსტანციალიზმიც ბევრის მხრით ემყარება და იყენებს სწორედ ტრადიციული თეორიის შინაგან სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს. აქ შეიძლება ანალოგია გავატაროთ: პოზიტივიზმი (კერძოდ, „ფიზიკური იდეალიზმი“) აკრიტიკებს მატერიის ტრადიციულ გაგებას, იყენებს რა ამ გაგების სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს. მაგრამ ეს კრიტიკა დიალექტიკურ მატერიალიზმს სრულებით არ ხვდება, ამბობს ვ. ი. ლენინი, დიალექტიკური მატერიალიზმი თვითონაც ავლენს და აკრიტიკებს აღნიშნულ ცნებათა ტრადიციული გაგების ნაკლოვანებებს. იგივე ითქმის მსჯელობის სუბიექტის შესახებ.

სუბიექტისა და პრედიკატის გარეგანი კავშირის ტრადიციული თვალსაზრისი თავისებურად გულისხმობს და ემყარება საგნისა და გარკვეულობის გარეგანი კავშირის თვალსაზრისს. ტრადიციუ-

ლად საგანი წარმოდგენილი იყო, როგორც თვისებათა უცვლელი მატარებელი, განსხვავებულ გარკვეულობათა უძრავი „სათავე“, აბსტრაქტული და იგივეობრივი შინაგანი არსებით. სამი მთავარი სიძნელე და ნაკლი ახლდა ამ გაგებას, რომელთაც შემდეგ იყენებს და ემყარება ანტისუბსტანციალიზმი: 1) როგორ ვიმეცნებთ ამგვარ არსებას? 2) როგორ უკავშირდება იგი თავის საკუთარ თვისებებს 3) არსებითი იგივეობა და უძრაობა როგორ იწვევს მოვლენათა სიმრავლეს და ცვალებადობას?[30].

პირველად ემპირისტებმა დაშალეს საგანი და გადაჭრით გამოაცხადეს, რომ მასში თვისებების გარდა არაფერია, მის წიაღში „არსება“ არ ჩანს. საგანი თვისებათა კომპლექსია, — ამტკიცებს ბერკლი; თვისებათა „მატარებლიდან“ არაფერი რჩება, თუ ამ თვისებებს მოვაცილებთ, — ამბობს ბ. რასელი. მოვლენათა „მიღმა“ ან „უკან“ საერთოდ სხვა რაიმეს („არსების“, „მიზეზის“, „აუცილებლობის“ და ა. შ.) ძიება „მეტაფიზიკური“ ილუზიაა, — აცხადებენ პოზიტივისტები. თუ საგანი თვისებათა ჯამია და უნაშთოდ იშლება თვისებებზე, მის გამოსათქმელად მსჯელობის „სუბიექტი“ ზედმეტი ხდება, ამისათვის პრედიკატთა (თვისებათა) სიმრავლე საკმაოთ საკმარისია, აი, შედეგი, რომელსაც ლოგიკაში ბუნებრივად ღებულობს ანტისუბსტანციალიზმი.

სქემატურად ეს საგანი (S) შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გარეგან მიმართებაში მყოფი ერთეულების (P_1, P_2, P_3 და ა. შ.) სიმრავლე წრეში:

$$S. \begin{matrix} P_1, P_2, P_3, \\ P_4, P_5 \text{ და ა. შ.} \end{matrix}$$

აქ S გამოდის როგორც ნიშანთა (P_1, P_2, P_3, ...) ჯამი. ჩვენ შეგვიძლია იგი დავახასიათოთ მსჯელობათა რიგში:

S არის P_1
S არის P_2
S არის P_3 და ა. შ.

მაგრამ S პრედიკატთა ჯამია და ლოგიკურად თვით მისგან ბოლოს და ბოლოს არაფერი რჩება, იგი ზედმეტია.

---

[30] იგივე კითხვები თავისებურად იდგა რელიგიაში ღმერთისა და ბუნების ურთიერთობის შესახებ: ღმერთი თუ ბუნების ტრანსცენდენტური „სათავე და წყაროა“, (რომელიც „ზის“ სადღაც ქვეყნის დასაწყისში!), როგორია მათი კავშირის ფორმა? რა გზა არსებობს ღმერთიდან ბუნებისაკენ და ბუნებიდან (და ადამიანიდან) ღმერთისაკენ?

სულ სხვა გზით მიდის საგნისა და გარკვეულობის შინაგანი კავშირის დიალექტიკური თეორია. საგანი არაა „თვისებათა ჯამი", რგი განისაზღვრება, როგორც განსხვავებულ გარკვეულობათა დიალექტიკური ერთიანობა. მესაბამისად, არც ცნებაა ნიშანთა ჯამი და მსჯელობის სუბიექტი — პრედიკატთა ჯამი. საგანი გულისხმობს გარკვეულობას და მის გარეშე არ არის, მაგრამ გარკვეულობათა სიმრავლე თავისთავად საგანს არ იძლევა, თუ არ ვიცით მათი შინაგანი კავშირის დიალექტიკა[31].

სუბიექტით იწყება მსჯელობის ლოგიკური პროცესი. მაგრამ ეს „საწყისი" უძრავი და გაშეშებული როდი დგას პროცესის თავში, რომელიც აბსოლუტურად გულგრილია მომდევნო ვითარებისადმი. სუბიექტი მთლიანობის (ე. ი. მსჯელობის) დასაწყისია, რომელსაც აზრი აქვს სწორედ მომდევნო მომენტთან მიმართებაში. მომდევნო კი პრედიკატია, როგორც სხვა, რომლის გარეშე არც სუბიექტია შესაძლებელი. სუბიექტი ჯერ კიდევ არაა მსჯელობა, იგი საჭიროებს გაშლას, „გამქლავნებას", განვითარებას. იგი ირკვევა პრედიკატთა სიმრავლეში, მათი ფორმით, მათ რიგში, მათი საშუალებით.

პრედიკატი გვაძლევს პასუხს კითხვაზე: „რა არის სუბიექტი?" ამიტომ სუბიექტიდან პრედიკატზე გადასვლა უნდა გავიგოთ, როგორც სუბიექტის საკუთარი მოძრაობა. თვით იგი არ უნდა „დაიკარგოს", ან ადგილზე არ უნდა დარჩეს გადასვლის პროცესში, იგი თუ შეიძლება ითქვას, თვითონ უნდა იყოს მოქცეული პროცესში, თვითონაც უნდა „მოჰყვებოდეს" პროცესს. სხვანაირად არც „გადასვლას" ექნებოდა ადგილი.

აქ უნდა ითქვას, რომ ლოგიკური აზროვნების ზერელე გაგება ძალიან ხშირად ვლინდება „გადასვლისა" და „გამომდინარეობის" ისეთ წარმოდგენაში, თითქოს ლოგიკური სისტემა აბსოლუტურად უძრავია და მე, როგორც შემმეცნებელი, გადადის მისი ერთი მომენტიდან მეორეზე. მაგ., დასკვნის შესახებ ხშირად ფიქრობენ, რომ იგი თავისთავად გაჩერებული სქემაა:

---

31 თვით მექანიკური სისტემა, მაგ., რაიმე მანქანა, გულისხმობს განსხვავებულ ნაწილებს და არ წარმოიდგინება მათ გარეშე, ერთი ნაწილიც არ უნდა აკლდეს. მაგრამ არც ყველა ნაწილი შეადგენს მანქანას. თუ ისინი ერთმანეთის გვერდით ჩაყრილია ყუთში, მათი გაერთიანებაა საჭირო.

$$\frac{\begin{matrix} S—M \\ M—P \end{matrix}}{S—P}$$

მოძრაობას კი თითქოს მხოლოდ მე აწარმოებს, მხოლოდ ის გადადის პირველი მსჯელობიდან მეორეზე და ორივედან მესამეზე[32]. ასეთი გაგება აშკარა ფსიქოლოგიზმია. წინამძღვრებიდან დანასკვი გამოდის ისეთი აუცილებლობით, რომელიც ჩემს ნებაზე როდია დამოკიდებული. აქაც ჩანს ლოგიკურის შინაგანი კავშირი საგნობრივთან. ლოგიკური „გადასვლა" დასკვნაში ნიშნავს თვით წანამძღვარის მოძრაობას დანასკვისაკენ. „გამომდინარეობას" სხვა აზრი ლოგიკურად არ შეიძლება ჰქონდეს; იგივე ითქმის მსჯელობაზე: სუბიექტიდან პრედიკატზე გადასვლა ფსიქოლოგიური ოპერაცია როდია, როცა მე სქემის („S→P") ჯერ პირველ ნაწილს ვუყურებ, შემდეგ მეორეს, თვითონ იგი კი გაჩერებულია. სუბიექტიდან პრედიკატზე მოძრაობა ჩემი ნებისაგან დამოუკიდებელი ლოგიკური პროცესია, მსჯელობის თვით ლოგიკური ელემენტებია მოძრაობაში[33].

ავიღოთ მსჯელობები:

S არის P^1

S არის P_2

S არის P_3 და ა. შ.

დაეუშვათ, რომ მათში სუბიექტიდან პრედიკატზე გადასვლა არ წარმოადგენს სუბიექტის საკუთარ მოძრაობას. მაშინ იგი გამოდის როგორც მყარი, გაჩერებული პუნქტი, რომელზეც აბამენ პრედიკატებს (ჰეგელი), ან ემსგავსება კაუჭს, რომელზეც ჩამოკიდებულია პრედიკატები (ბ. რასელი). თუ აქ რაიმე მოძრაობას აქვს ადგილი, ესაა ამ პუნქტისადმი პრედიკატების მიმაგრება, მაგრამ არა თ ვ ი თ თ ო ნ ამ პუნქტის მოძრაობა. ეს კი ჰქმნის ლოგიკურ სიძნელეს, ერთგვარ პარადოქსალურ ვითარებას. ლოგიკურად გა-

---

[32] ზოგიერთი აღშფოთებას გამოთქვამს: როგორ შეიძლება აზრის აზრში გ ა დ ა ს ვ ლ ა, ფეხები ხომ არა აქვსო! ცხადია, ეს უკვე პრიმიტივიზმია. ვინც უარყოფს აზრის აზრში გადასვლას და აზრთა გამომდინარეობას, ის უარყოფს საერთოდ ლოგიკას!

[33] ვინ არ იცის რომ, მაგ., «ნედლეულიდან» მზა პროდუქტის წარმოება გულისხმობს მოძრაობათა სერიას. მოძრაობს, ცხადია, არა მხოლოდ მწარმოებელი. ასე რომ იყოს, იგი პროცესის ბოლოს ხელცარიელი მივიდოდა! მოძრაობაში ექცევა თვითონ მასალა, რომლის გარდაქმნის სტადიები ერთიდაიგივეს საკუთარი საფეხურებია.

მოუთქმელი რჩება თვით სუბიექტი, თავისთავად იგი ცარიელი სიტყვაა და სრულიად ზედმეტი ჩანს, რაკი პრედიკატთა სიმრავლე არ გამოდის, როგორც თვით სუბიექტის მოძრაობა, მისი თვითმოძრაობა. პარადოქსი აქ მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტი იკარგება სწორედ მისი გარკვევის პროცესში. მსჯელობის მიზანია სუბიექტის გამოთქმა, მისი გარკვევა, ამ მიზნით ხდება გადასვლა სუბიექტიდან პრედიკატზე, მაგრამ როცა პრედიკატზე გადავედით, სუბიექტი არა ჩანს, თვით იგი გამოუთქმელი რჩება.

თუ სუბიექტს უძრავად წარმოვიდგენთ, მაშინ პრედიკაცია გარეგანი მიწერის სახეს იღებს. მსჯელობათა რიგი აქ წარმოგვიდგება, როგორც მხოლოდ შემმეცნებლის „მოძრაობა" პრედიკატიდან პრედიკატზე, სუბიექტი კი ყოველთვის „მიღმა" რჩება და ვერასოდეს ვერ ხვდება „დისკურსიის" მოძრაობის ორბიტში. სუბიექტი ხომ პრედიკატთა ჯამი არაა, ყველა პრედიკატიც რომ იყოს სახეზე, თავისთავად ეს სუბიექტს არ შეადგენს[34].

პრედიკატი განსხვავდება სუბიექტისაგან, სხვაა მისთვის, ე. ი. ბოლოანობის ფარგლებში ერთი არ არის მეორე: ამ აზრით, პრედიკატი სუბიექტის უარყოფაა.

სუბიექტისათვის აუცილებელია პრედიკატი. პრედიკატის გარეშე „წმინდა სახით" იგი წარმოგვიდგება, როგორც „აბსტრაქტული სიცარიელე", რომელიც გაურკვეველი და გაუგებარია. სუბიექტი ირკვევა სხვით, რომელშიც გადადის იგი თავის მოძრაობაში.

სუბიექტი არის სხვა,—აი რას ამბობს (ამ ერთ ასპექტში) მსჯელობა. თვით იგი შეიცავს უარყოფის მომენტს თავისთავში. ამის გარეშე ის მართლაც „აბსოლუტურად დადებითი", უძრავი საწყისი იქნებოდა, რომელიც ვერასოდეს ვერ შეეა კავშირში სხვასთან, ე. ი. პრედიკატთან. მაგრამ სხვაში გადასვლა მისი მექანიკური უარყოფა როდია, პრედიკატი არის სხვა, მაგრამ არა სრულიად სხვა, აბსოლუტურად სხვა, რომელშიც იკარგება სუბიექტი.

სხვაში გადასვლით იგი თავის თავს ანხორციელებს, სხვაში თავის თავს აგრძელებს. პრედიკატი მისი უარყოფაცაა და ვაგრძელებაც. სუბიექტი არ არის პრედიკატი, განსხვავდება მისგან, „აკლია" იგი მას; ამაში გამოიხატება, როგორც ჰეგელი იტყოდა, მისი ნაკლი, რაც „აწუხებს" და ამოძრავებს მას. სუბიექტი მოძრა-

---

[34] ისევე როგორც მექანიზმის ყველა ნაწილი ჯერ კიდევ მექანიზმი არაა, თუ ისინი ერთმანეთის გვეერდით ალაგია საწყობში.

ობს იმდენად, რამდენადაც ნაკლოვანია (ე. ი. თავისთავში შეიცავს ნეგატიურს) და სისრულისაკენ მიისწრაფვის.

პრედიკატის მიერ სუბიექტის დიალექტიკური უარყოფა სწორედ იმას ნიშნავს, რომ იგი (სუბიექტი) სხვასთან კავშირში აღწევს თავის, ასე ვთქვათ, სინამდვილეს. სუბიექტი არ არის ისეთი დადებითი, რომელიც უბრალოდ გვერდს უქცევს უარყოფითს. პირიქით, იგი ერთიანობაშია მასთან. პრედიკატის მიერ სუბიექტის უარყოფა სუბიექტის თავის თავთან დაბრუნებაცაა.

სუბიექტი „იძირება" პრედიკატთა სიმრავლეში, მაგრამ ამით აბსოლუტურად როდი იკარგება. ამის მაგალითია საწინააღმდეგო მხარეთა ყოველი ურთიერთობა. მაგ., სიკვდილი უპირისპირდება სიცოცხლეს და მისი უარყოფაა. მაგრამ ნამდვილი სიცოცხლე სწორედ ისაა, რომელიც „უძლებს" სიკვდილთან დაპირისპირებას, ასე ვთქვათ, „თვით განიცდის მას" და ამ აზრით გადადის მასში[35].

სუბიექტი გაშუალებულია პრედიკატით, მაგრამ ეს გაშუალება სუბიექტის საკუთარი მოძრაობაა. ამ აზრით, სუბიექტი თვით აშუალებს თავის თავს სხვით, პრედიკატი მისი თვითგაშუალებაა.

ფილოსოფიის ისტორიიდან ცნობილია ბრძოლა ე. წ. უშუალო და შუალობითი ცოდნის დამცველთა შორის. შუალობითი ცოდნის დამცველები ლოგიკურ-დისკურსიულ აზროვნებას შემეცნების უმაღლეს ფორმად აცხადებენ. მათი აზრით სუბსტანცია (ან დაუბოლოებელი) შეიმეცნება მსჯელობის საშუალებით, მსჯელობათა რიგში, მსჯელობათა სიმრავლეში. ყოველი მსჯელობა გამოთქვამს მის შესახებ ამა თუ იმ პრედიკატს, გვაცნობს მის ამა თუ იმ გარკვეულობას და ამ გზით (პრედიკატიდან პრედიკატზე მოძრაობით) ბოლომდე ირკვევა იგი. სუბსტანცია უშუალოდ და ერთბაშად კი არ „დაინახება", არამედ თანდათანობით ირკვევა.

მათ წინააღმდეგ გამოდის ინტუიტივიზმი, რომლის თანახმად პრედიკატთა სიმრავლე (საერთოდ პრედიკაცია, როგორც ლოგიკური დისკურსია) ვერასოდეს ვერ აღწევს თვით სუბსტანციამდე, ვერ გამოთქვამს და ვერ წვდება მას. იაკობი და სხვები, რომლებიც

---

[35] მაგ., რკოდან მუხის განვითარება რკოს უარყოფაა, როცა მუხა ამოვიდა, რკო არ არის. მაგრამ არ შეიძლება მხედველობაში მივიღოთ ამ პროცესის მხოლოდ ნეგატიური მხარე და არ დავინახოთ მისი დადებითი მხარეც. ასევე პირიქით: საწყისის დადებითი განხორციელება არის, იმავე დროს, ნეგატიური დამოკიდებულება მისადმი.

სუბსტანციის უშუალო ინტუიციის პრინციპს იცავენ. ამ შემთხვევაში იყენებდნენ შუალობითი ცოდნის თვით ტრადიციული (ე. ი. მეტაფიზიკური) გაგების სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს. საქმე იმაშია, რომ მეტაფიზიკოსებს არ ესმით პრედიკატის შინაგან- კავშირი სუბიექტთან; სუბიექტი მხოლოდ სუბიექტია, პრედიკატი მხოლოდ პრედიკატია, აი, მეტაფიზიკური ლოგიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი (S=S, P=P). სუბსტანციაც წარმოდგენილია, როგორც შუალობათა „თავში" ცალკე და უშუალოდ მოცემული საწყისი, რომელიც უძრავად „ზის" სიმრავლის დასაწყისში. თუ პრედიკატი მხოლოდ სხვაა სუბიექტისათვის, თვით სუბიექტი პრედიკატთა ნებისმიერი სიმრავლის მიღმა პრინციპულად მიუწვდომელი რჩება. შუალობითი შემეცნება ამ შემთხვევაში სუბიექტამდე ვერასოდეს ვერ მიდის, რაკი პრედიკატი არაა გაგებული, როგორც სუბიექტის საკუთარი შუალობა, მისი თვითგაშუალება, რომელიც თვითონ მოძრაობს პრედიკატთა სიმრავლეში და „დგას" მათში, მათი ფორმით, მათი შუალობით (საშუალებით). დიალექტიკის თეორია უარყოფს მოვლენათა დაყოფას ორ ჯგუფად, რომელთაგან ერთი მხოლოდ უშუალოა, მეორე კი მხოლოდ გაშუალებული. რაიმე უშუალოა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გაშუალებულია, ასეთია დიალექტიკური მეთოდის ერთ-ერთი უნაშენელოვანესი დებულება. დიალექტიკურ ლოგიკაში პრედიკატი გაგებულია, როგორც სუბიექტის თვითგაშუალება. ამიტომ იგი არ შეიძლება შუალობათა მიღმა დარჩეს და არ მოხვდეს დისკურსის მოძრაობის ორბიტაში.

სუბიექტი ირკვევა პრედიკატის საშუალებით. სუბიექტთან მისასვლელი სხვა გზა შემეცნებას არა აქვს. გარკვეულობათა შუალობის უარყოფა და სუბიექტის უშუალო ინტუიციის მისტიკური პრინციპი მეცნიერებისა და ლოგიკის თვით ცნებას გამორიცხავს. სუბიექტის მეცნიერული შემეცნება გულისხმობს მის მდიდარ და მრავალფეროვან გარკვეულობათა „გავლას" და არა მათთვის გვერდის აქცევას.

მაგრამ თვით „გარკვეულობა", როგორც პრედიკატი, შეიძლება გაგებულ იქნეს მეტაფიზიკურად და დიალექტიკურად. გარკვეულობისა და პრედიკატის მეტაფიზიკური გაგების მაგალითია ტრადიციული ლოგიკის მსჯელობის თეორია. პრედიკატი ვერ გამოთქვამს სუბიექტს, თუ იგი წარმოდგენილია შინაგანი დიალექტიკის გარეშე, როგორც იგივეობრივი, მყარი და გაჩერებული. ტრა-

დიციული თეორია სწორედ ამიტომაა მოკლებული არსების შემეცნების ლოგიკურ საშუალებებს. ინტუიტივიზმიც ამ სიძნელეს იყენებდა ლოგიკური დისკურსიის წინააღმდეგ[36].

ჰეგელმა თავის დროზე კარგად გახსნა ეს მომენტი დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის განსჯისეული გაგების მაგალითზე. განსჯა მათ განიხილავს ერთმანეთისაგან იზოლირებულად და დამოუკიდებლად. რაიმე ან დაბოლოებულია ან დაუბოლოებელი, ამბობს ის. განსჯისეული პრედიკატებიც დაბოლოებული პრედიკატებია, შინაგანი საწინააღმდეგო და უარყოფითი მომენტის გარეშე. დაბოლოებული მხოლოდ დაბოლოებულია და არ გულისხმობს დაუბოლოებელს, ისევე როგორც პირიქით. მაგრამ დაბოლოებულსა და დაუბოლოებელს აზრი აქვთ მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში, ამბობს ჰეგელი, დაუბოლოებელი, თუ ის მოწყვეტილია დაბოლოებულისაგან, თვით გამოდის როგორც ამ უკანასკნელით დაბოლოებული, რომელიც გარედან ქსაზღვრება მას. განსჯისეული პრედიკატები დაბოლოებული პრედიკატებია, ამიტომ განსჯა ვერ წვდება დაუბოლოებელს. მისთვის საგანი ან მიზეზია ან შედეგი, ან ძალაა, ან გამოვლენა და ა. შ. ასევე მეტაფიზიკურად უპირისპირებს ის ერთმანეთს შემთხვევითობასა და აუცილებლობას, თავისუფლებასა და აუცილებლობას, არსებასა და მოვლენას, ფორმასა და შინაარსს, კეთილსა და ბოროტს, რეალობასა და უარყოფას და ა. შ. ყოველი ეს პრედიკატი განსაზღვრულია (beschränkte) და ვერ გამოთქვამს დაუბოლოებელ სუბიექტს. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დოგმატური მეტაფიზიკის კრახისა, აბობს ჰეგელი. დიალექტიკური ლოგიკისათვის ყოველი პრედიკატი წინააღმდეგობრივია, ხოლო სუბიექტი ქეშმარიტად გაიგება, როგორც წინააღმდეგობათა ერთიანობა.

ლოგიკური აზროვნების მეტაფიზიკური თეორია უთუოდ აწ-

---

[36] ჰუსერლის თვალსაზრისი კარგი მაგალითია იმისა, თუ რა დასკვნამდე მიდის ა რ ს ე ბ ი ს შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ლ ო გ ი კ უ რ საშუალებათა უქონლობა: „ფილოსოფია თავის მეცნიერულ მუშაობაში იძულებულია იმოძრაოს პირდაპირი ინტუიციის ატმოსფეროში, და დიდი ნაბიჯი, რომელიც ჩვენმა დრომ უნდა გააკეთოს, გამოიხატება იმის აღიარებაში, რომ ქეშმარიტი ფილოსოფიური ინტუიცია, არსების ფენომენოლოგიური წვდომა კარს უღებს უსაზღვრო სამუშაოს და ისეთ მეცნიერებას, რომელსაც შუძლია მოგვცეს მასა უფაქიზეს და ყოველი შემდგომი ფილოსოფიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე შემეცნებისა, ყოველგვარი ირიბ-სიმბოლური და მათემატიკური მეთოდების გარეშე, დასკვნათა და დასაბუთებათა აპარატის გარეშე („ფილოსოფია, როგორც ზუსტი მეცნიერება“, იხ. «Логос», 1911, кн. 1, с. 56).

ყდება იმ სიძნელეს, რომელიც თავის დროზე ინტუიტივისტებმა (იაკობი და სხვ.) შეამჩნიეს, მეტაფიზიკურად გაგებული ლოგიკური აზროვნება (ე. წ. „განსჯა“) ვერ წვდება, ვერ გამოხატავს არსებას და დაუბოლოებელს. ‘ოვიყვანოთ იაკობის საბუთი[73]. დისკურსიული აზროვნებით ღმერთის შემეცნება ნიშნავს მას (როგორც სუბიექტს) მიაწერო გარკვეულობები და, მაშასადამე, გააშუალო იგი. მაგრამ ღმერთი დაუბოლოებელი, უშუალო და უპირობოა, ხოლო შემეცნებას (თუ შემეცნების ერთადერთი ფორმა „ლოგიკური დისკურსიაა“) არ შეუძლია წარმოიდგინოს იგი სხვანაირად, თუ არ როგორც დაბოლოებული, გაშუალებული და გაპირობებული. დისკურსიული შემეცნება — ეს ხომ აზროვნებითი გადასვლაა გაპირობებულიდან გაპირობებულისაკენ, მოძრაობაა ჯაჭვში დაბოლოებულიდან დაბოლოებულისაკენ. მაშასადამე, დისკურსიული აზროვნებით შეიმეცნება მხოლოდ დაბოლოებული. ამ რიგში („ჯაჭვში“) ყოველი წევრი გაპირობებულია და ამავე დროს პირობაა სხვა წევრებისა, ასე რომ შემეცნება მოძრაობს ერთი განპირობებული პირობიდან მეორისაკენ. ამ თვალსაზრისით საგნის გაგება და ახსნა ნიშნავს იმის ჩვენებას, რომ ის გაშუალებული და გაპირობებულია რაღაც სხვით. მაგრამ, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მიიღება რაღაც შეუსაბამო და არაადეკვატური ღმერთის შემეცნების თვალსაზრისით, ღმერთი ხომ ყველა სხვის უპირობო საფუძველია. გამოდის, რომ თვით ღმერთი და დაუბოლოებელი ამგვარი შემეცნების გარეთ რჩება. მხოლოდ შუალობაში მოძრაობით შემეცნება ვერ გამოდის დაბოლოებულის ფარგლებიდან. აქედან დასკვნა: დაუბოლოებელი შეიმეცნება არა დისკურსიული აზროვნებით, არამედ „უშუალო ინტუიციით“.

ეს კრიტიკა მიზანს ხვდება, როცა ის მიმართულია „განსჯითი მეტაფიზიკის“ და „განსჯითი ლოგიკის“ წინააღმდეგ. მაგრამ

---

37 იაკობს ღმერთის შემეცნების მიზანი ამოძრავებს, მაგრამ ჩვენ სხვა მომენტი გვაინტერესებს. ამ კამათში თავისებურად დგას არსების, დაუბოლოებელის (ამ კატეგორიებს დიალექტიკური მატერიალიზმი როდი უარყოფს!) შემეცნების ლოგიკურ საშუალებათა საკითხი. ძველი ლოგიკა არ ეარგა ამ საქმისათვის, აი, რას ამტკიცებს იაკობი. აქედან ის ასკვნის, რომ ლოგიკა საერთოდ არ გამოდგება ამ საქმისათვის, დაუბოლოვებელი შეიმეცნება არა ლოგიკურ-დისკურსიული აზროვნებით, არამედ უშუალო ინტუიციით. სულ სხვა გზით მიდის დიალექტიკის თეორია, რომელიც ლოგიკას არ აიგივებს „ძველ ლოგიკასთან“ და პრობლემის გადაწყვეტას ახალი ლოგიკის შექმნაში ხედავს.

„ანჯითი ლოგიკა“ სრულებით არაა ლოგიკის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა. ლოგიკურ-დისკურსიული აზროვნება შეიძლება გავიგოთ არა მხოლოდ ისე, როგორც ეს მეტაფიზიკოსებს ესმოდათ. დიალექტიკა ლოგიკურ-დისკურსიულ აზროვნების პრინციპს იცავს და მას შემეცნების უმაღლეს ფორმად თვლის, მაგრამ ძირეულად უარყოფს თვით ლოგიკურ-დისკურსიული აზროვნების მეტაფიზიკურ გაგებას, უპირისპირებს რა მას ლოგიკის დიალექტიკურ თეორიას. იგივე ითქმის მსჯელობის თეორიის შესახებ. მსჯელობის ტრადიციული გაგება ძირეულ სიძნელეებს აწყდება, საიდანაც გამოსავალი მსჯელობის შემეცნებითი როლისა და მნიშვნელობის დამცირება კი არაა, არამედ მსჯელობის ტრადიციული თეორიის შეცვლა ახალი თეორიით.

ტრადიციულ ლოგიკას არ ესმის პრედიკატის დიალექტიკა. ტრადიციული გაგებით იგი „ემატება“ სუბიექტს და მხოლოდ სხვაა მისთვის. ამდენად არის სუბიექტიდან პრედიკატზე გადასვლა სუბიექტის დაბოლოება. მაგრამ სულ სხვა ვითარება იქმნება, თუ სუბიექტიდან პრედიკატზე გადასვლა გაგებულია, როგორც სუბიექტის საკუთარი მოძრაობა. ამ გაგებით სუბიექტი მხოლოდ სხვაში კი არ გადადის და არა მხოლოდ დაბოლოებულია, არამედ თავის თავს თვითონ აშუალებს და ამით ნამდვილ დაუბოლოებლობას აღწევს.

ტრადიციული თეორია პრედიკატს განიხილავს, როგორც მყარს, უძრავსა და იგივეობრივს, რომელიც, ამდენად, შინაგან კავშირში ვერ შევა ვერც სუბიექტთან და ვერც სხვა პრედიკატებთან. სულ სხვა გაგებას იძლევა დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც ამგვარ პრედიკატებს ართმევს დამოუკიდებელი და იზოლირებული მნიშვნელობის ხარისხს და უფრო ფართო მთლიანობის მ ო მ ე ნ ტ ე ბ ა დ აქვეითებს. პრედიკატის ჭეშმარიტი გაგება ნიშნავს, განვიხილოთ იგი, როგორც ერთიანობის ისეთი მხარე, რომელსაც აზრი არა აქვს მეორე მხარის გარეშე, რომელიც თავის ბუნებაში მთლიანობისაკენ შინაგანი მოძრაობის მომენტს გულისხმობს და თვითონაც „ქრება“, თუ არ იქნება მეორე მხარე[38]. ყოველი პრედიკატი, რაკი „მხარეა“ და არა დამოუკიდებელი მთლიანობა, ცხადია,

---

[38] უხეში შედარება: ქაღალდის ფურცელს ორი მხარე აქვს, მაგრამ ყოველი მათგანი მეორის საშუალებით მოიაზრება და აზრს კარგავს („ავტომატურად ქრება“), როგორც კი დამოუკიდებელი და იზოლირებული არსებობის ნიშანს მივანიჭებთ.

სხვას გულისხმობს და მასთან შეერთებას მოითხოვს. ამაშია მისი შინაგანი დიალექტიკის, შინაგანი მოძრაობის აუცილებლობა, პრედიკატიდან პრედიკატზე „იმანენტური გადასვლის“ საჭიროება. მაგ., წყალბადისა და ჟანგბადის გარკვეული კავშირი იძლევა წყალს. მაგრამ თვით წყალში H და O კარგავენ დამოუკიდებლობას, ცალ-ცალკე მათ სულ სხვა თვისებები აქვთ, ვიდრე მთლიანობაში, რომელშიც ისინი მოხსნილნი არიან და სრულებით არ შედიან, როგორც H და O. კიდევ უფრო რთულია სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობა. წყალბადი და ჟანგბადი კავშირში შესვლამდეც მოიაზრებიან, S და P კი ერთმანეთის გარეშე საერთოდ კარგავენ არსებობას და მნიშვნელობას. ცალმხრივი ანალიზი გამოყოფს მათ მსჯელობაში, თუ ამ უკანასკნელს „მოვკლავთ“ და დავანაწილებთ, მაგრამ მთლიანობაში ისინი არ გამოიყოფიან, როგორც მექანიკური თანაარსებობის მხარეები, რომლებიც ერთმანეთის გარეშეც თავიანთი დამოუკიდებელი შინაარსებით იზოლირებულად მოიაზრებიან. სუბიექტი გადადის პრედიკატში, პრედიკატი გადადის სუბიექტში, მათ თითქოს ერთმანეთი აკლიათ, ერთმანეთისაკენ ისწრაფვიან და ერთმანეთს ევსებენ. მაგრამ თვითონ ეს სრული, ე. ი. S და P-ს ერთიანობა, ა ხ ა ლ ი თვისებრიობაა, რომელშიც ისინი მონაწილეობენ მხოლოდ როგორც მოხსნილი მომენტები.

* * *

სუბიექტი და პრედიკატი ერთმანეთს კოპულით უკავშირდებიან, რომლის გარეშე არ არის მსჯელობა. კოპულა ლოგიკური კატეგორიაა, ლოგიკური კავშირია და არა გრამატიკული. მის ქვეშ იგულისხმება არა სიტყვა „არის“ (ან სხვა რომელიმე მისი შემცველი სიტყვა, მაგ., „წარმოადგენს“ და ა. შ.), არამედ აზრი, ცნება, რომელიც ამ სიტყვით აღინიშნება. ცნობილია, რომ სხვადასხვა ენები მრავალ თავისებურებას ამჟღავნებენ ამ მხრივ. ენაში კოპულა გამოიხატება არა მხოლოდ სიტყვით „არის“, არამედ სხვა ფორმითაც: ზმნის პირითი დაბოლოებით, სიტყვათა რიგით, ტირეთი (წერითში), ინტონაციით, პაუზით (ზეპირში) და ა. შ. როგორც ცნობილია, „გრამატიკული კავშირის“ ცნება ენათმეცნიე-

რებაში სხვა შინაარსს შეიცავს, ვიდრე ლოგიკური კავშირი „არის“. გარდა ამისა, ზოგ ენაში (მაგ., უნგრულში) მსჯელობის ენობრივი გამოთქმის დროს საერთოდ არ იხმარება ზმნა „არის“. აქედან იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს კოპულა არა ყოველთვისაა სავალდებულო მსჯელობაში, უთუოდ მცდარია, როგორც გრამატიციზმის თავისებური გამოვლინება. კოპულა S და P-ს ლოგიკური კავშირია და ისევე აუცილებელია მსჯელობაში, როგორც თვით S და P.

აქედან ჩანს, აგრეთვე, რომ კოპულა არ შეიძლება იყოს არც განცდა (ფსიქოლოგიური კატეგორია) და არც თვით რეალური კავშირი საგნებს შორის (ონტოლოგიური კატეგორია). კოპულა არის არა რეალური კავშირი, არამედ მისი ასახვა.

1. ლოგიკაში დიდი ხანია არჩევენ საკითხს: კოპულა მსჯელობის ცალკე წევრია, თუ პრედიკატს ეკუთვნის? კოპულა არ უნდა ჩაითვალოს მსჯელობის ცალკე (მესამე) წევრად, თუნდაც იმიტომ, რომ იგი კავშირია სწორედ მსჯელობის წევრებს შორის! თვითონაც რომ მსჯელობის წევრად ჩავთვალოთ, მაშინ ისევ საჭირო იქნება მისი კავშირი სხვა წევრებთან და. ა. შ. უსასრულოდ.

ლოგიკოსთა ერთი ჯგუფი კოპულას პრედიკატის ნაწილად მიიჩნევს. მაგ., არისტოტელე, როგორც ფიქრობენ, კოპულას არ გამოყოფდა პრედიკატისაგან[39]; პრედიკატია არა თვისება თავისთავად, არამედ „საგნისადმი მიკუთვნებული თვისება“, მაგ., არა „თეთრი“, „ცხოველი“ და ა. შ., არამედ „თეთრია“ („არის თეთრი“), „ცხოველია“ და ა. შ. ამაში არის სიმართლე. კოპულა არის არა მსჯელობის ცალკე წევრი, არამედ კავშირი სუბიექტსა და პრედიკატს შორის. მაგრამ ეს კავშირი მათ „შუა“ როდი „დგას“, ორიეესაგან გამოყოფილი სახით. მიუხედავად ამისა, არ იქნება ზუსტი, თუ ჩვენ მას პრედიკატის ნაწილად ჩავთვლით. სწორია, რომ პრედიკატს აზრი ეკარგება სუბიექტთან კავშირის (ე. ი. კოპულის) გარეშე, პრედიკატი იმდენადაა პრედიკატი, რამდენადაც ის აღებულია კოპულის მომენტთან ერთად; სწორედ კოპულა გვიჩვენებს მის „პრედიკატულობას“: „არის თეთრი“, „არის ცხოველი“ და ა. შ. მაგრამ აქედან ჩვეულებრივ ასკვნიან, რომ კოპულა არ ეკუთვნის მსჯელობის სუბიექტს. ეს კი არ არის მართალი. კოპულის გარეშე არც სუბიექტია სუბიექტი. მას აზრი აქვს სწორედ რო-

---

[39] ამ მხრივ კოპულის ცალკე გამოყოფას ბოეციუსის სახელს უკავშირებენ, რომელიც მას უწოდებს «Significatio gualitatis» და ყოველი მსჯელობის მესამე წევრად მიიჩნევს.

გორც პრედიკატის სუბიექტს, პრედიკატთან გარკვეულ კავშირში. ეს კავშირი კი კოპულაა. „თოვლი“ მსჯელობის სუბიექტია არა თავისთავად, არამედ მის კავშირში პრედიკატთან, „თოვლი არის...“ ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოპულა ცალ-ცალკე არც პრედიკატს ეკუთვნის და არც სუბიექტს. იგი მათი ურთიერთკავშირია და ამ აზრით ორივეს თანაბრად ახასიათებს, ორივეს ეკუთვნის, ორივეს „ნაწილია“[40].

2. რას ამტკიცებს კოპულა — კავშირს თუ არსებობას? ეს საკითხიც მწვავე კამათის საგანია. ლოგიკოსთა ერთი ნაწილი (მაგ., მილი, ჰერბარტი, ზიგვარტი) ფიქრობს, რომ კოპულის ფუნქცია მხოლოდ კავშირია სუბიექტსა და პრედიკატს შორის. მეორენი, პირიქით, კოპულას ართმევენ დაკავშირების ფუნქციას, იგი „ნამდვილობა-არანამდვილობის“, „მნიშვნელოვნობის“ (მოწონება-არმოწონება) გამომხატველად მიაჩნიათ (ვინდელბანდი და სხვ.). მესამენი კოპულაში ორ ფუნქციას არჩევენ: ა) კავშირი S და P-ს შორის, ბ) სუბიექტის არსებობის მტკიცება; „მიმართებათა ლოგიკა“, როგორც ცნობილია, ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად სწორედ ამას უყენებს კოპულას, იგი მრავალმნიშვნელოვანი და გაურკვეველია, რომელსაც ლოგიკაში „არსებობის“ მეტაფიზიკური კატეგორია შემოყავსო და ა. შ.

უდავოა, რომ კოპულა აკავშირებს სუბიექტსა და პრედიკატს. კავშირის ამ ფუნქციას ლოგიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს. მაგრამ კავშირი არ გამორიცხავს არსებობას. აქ მართლაც ისმება პრინციპული საკითხი. კოპულა ლოგიკური კავშირია, ამბობდა ტრადიციული ლოგიკა. კავშირი (ან მიმართება) არაა კოპულა, რადგან ეს უკანასკნელი არსებობის მომენტს გულისხმობს, ამბობს „მიმართებათა ლოგიკა“, დაკავშირების ფუნქცია, მიმართებათა დადგენა ჩვენი აზროვნების „იმანენტური“ თავისე-

---

[40] კოპულის პრობლემის ყალბი გაგების მაგალითია ვუნდტის პოზიციაც: «Manche Logiker betrachten die Kopula neben Subjekt und Prädikat als einen d r i t t e n Bestandteil der Urteils. Dies ist in doppelter Hinsicht falsch. Erstens ist die Kopula Keineswegs ein notwendiger Bestandteil... Zweitens gehört die Kopula ihrer ganzen Entwicklung nach dem Prädikat an. Sie bleibt als der letzte Rest jener verbalen Bedeutung zurück, die ursprünglich das ganze Präbikat bessesen hat; sie gehört aber auch insofern schon zum Prädikat, als sie es eben ist, welche anzeigt, dass der mit ihr verbundene Begriff in prädikativem Sinne gedacht werden soll» («Allgemeine Logik und Erkenntnistheorie», 1906, S. 153-154).

ბერებაა და არსებობის გარეშე, წმინდა „იდეალურ სამეფოში“ ხორციელდება, აზროვნება კავშირებს ამყარებს ისეთ პლანში, რომელიც მუდამ არიდებულია არსებობის „სიბნელეს“[41].

ჩვენს წინაშეა თვალსაზრისი, რომელიც ლოგიკურ კავშირს სწყვეტს რეალური კავშირისაგან. სხვანაირად რომ ვთქვათ, კოპულის ამ „წმინდა“ ლოგიკურ პრობლემაშიც აშკარად იჩენს თავს პრინციპული დაპირისპირება. დიალექტიკა აღიარებს, ერთის მხრით, რეალურ საგნებსა და რეალურ კავშირებს, მეორეს მხრით, — მათი ლოგიკური ასახვის შესაძლებლობას. „კავშირი“ არა მხოლოდ ლოგიკურია. პირიქით, ლოგიკური კავშირი რეალური კავშირით განისაზღვრება, „ლოგიკური დაკავშირების“ ფუნქცია სხვა არაფერია, თუ არ რეალური კავშირების ასახვის ფუნქცია. „კავშირისა“ და „არსებობის“ პრინციპული დაპირისპირება, მათ შორის უფსკრული მიუღებელი თეზისია.

რეალურ საგანთა ურთიერთობაში კავშირი გულისხმობს არსებობას. ეს იმდენად უდავოა, რამდენადაც ტავტოლოგიას წარმოადგენს, არარსებულ საგნებს შორის არც კავშირია[42]. არსებობის მომენტის გარეშე „წმინდა“ კავშირი არც კოპულას შეუძლია ამტკიცოს. ვიმეორებთ, მთელი საქმე იმაშია, რომ „კავშირი“ გულისხმობს „არსებობას“. მათი პრინციპული მოწყვეტის შემდეგ ვერც დაკავშირებას შევძლებდით. „თოვლი არის თეთრი,“ ნიშნავს თოვლისა და მისი თვისების დაკავშირებას. კოპულას „არის“ აქ დაკავშირების ფუნქციას ვერავინ წაართმევს. მაგრამ თვით კავშირის მტკიცებაში იგულისხმება არსებობის მომენტიც, თოვლი, რომელიც არ არსებობს, არც თეთრი შეიძლება იყოს! აქ არსებითია დებულება, რომ „თოვლის სითეთრე“ და „თოვლის არსებობა“ ერთმანეთის გვერდით კი არაა მოცემული, არამედ შინაგან განუყოფელ კავშირში.

ჯ. სტ. მილს მოჰყავდა მაგალითი: „კენტავრი არის პოეტების მოგონილი“. ცხადია, აქ კენტავრის არსებობა როდი მტკიცდება, „არის“ მხოლოდ პრედიკატულობის ნიშანია, ამბობდა ის. „A არის

---

[41] აქედან მოდის Sein-ისა და Sosein-ის ყალბი, ხელოვნური დაპირისპირება.

[42] სხვა კონტექსტში არისტოტელემ სწორად შენიშნა თავის დროზე: „აუცილებელია, რომ იმან, ვინც იცის, რა არის ადამიანი, თუ სხვა რაიმე, იცოდეს, აგრეთვე, რომ ის არის, ვინაიდან იმის შესახებ, რაც არ არის, არავინ იცის, რაც ის არის, არამედ იცის მხოლოდ ის, თუ რას ნიშნავს მოცემული სიტყვა ან სახელწოდება“ (მაგ., თხზერმი) (იხ. II ანალიტიკა, წ. 2, თ. 7).

B" სრულებით არ შეიცავს მტკიცებას, რომ „A არის", ეს უკანასკნელი სულ სხვა მსჯელობაა. წერდა პერბარტი (იმოწმებდა რა ფიხტეს). მას ეთანხმება ზიგვარტიც: „ეს „არის" ფუნქციონირებს საკუთრივ ერთნაირად, ეხება საქმე არსებულ თუ არარსებულ ნივთებს",[43] წერს ის. მსჯელობა — „პეგასი ფრთოსანია", სრულებით არ ამტკიცებს პეგასის არსებობა-არარსებობას, საქმე მხოლოდ იმას ეხება, თუ რა წარმოდგენას უკავშირდება იგი. მსჯელობაში: „A არის დამნაშავე", საქმე A-ს არსებობას როდი ეხება. ასე რომ იყოს „A არ არის დამნაშავე", A-ს არსებობასაც უნდა უარყოფდეს!

ასეთია საბუთები, რომელთაც ლოგიკოსთა ერთი ნაწილი მიმართავს. მაგრამ მთელი ეს არგუმენტაცია თავის მიზანს მაინც ვერ აღწევს. მოტანილი მაგალითები სრულებით არაა საკმაო საბუთი კოპულაში არსებობის მტკიცების წინააღმდეგ, იმ აზრით, რომლითაც ზემოთ იყო ლაპარაკი. როცა ვამბობთ „პეგასი არის ფრთოსანი", ჩემს ნებაზე როდია დამოკიდებული მისი შინაარსის ჭეშმარიტება. „პეგასი" ჩემს მსჯელობაში ფუნქციონირებს მაინც, როგორც ბერძნული მითოლოგიის ფაქტი. თუ ვიტყვით: „პეგასი არის ცხენკაცი", ჩემი მსჯელობა მცდარი იქნება. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი „პეგასი" არ ყოფილა ბერძნულ მითოლოგიაში!

კოპულაში არსებობის მომენტი თუ არ იგულისხმება, მაშინ გაუგებარია, რა აზრი აქვს მსჯელობის ჭეშმარიტება- მცდარობას. მაგ., „თეთრი თოვლი" მსჯელობად არ ითვლება, ხოლო „თოვლი თეთრია" მსჯელობაა. რაში მდგომარეობს მათი განსხვავება? არსებითია ორი მომენტი: 1) პირველი ო რ ლ ო გ ი კ უ რ წევრს არ შეიცავს, რაც აუცილებელია მსჯელობისათვის, 2) „თოვლი არის თეთრი" ორი წევრის ისეთი კავშირია, რომელსაც ჭეშმარიტების პრეტენზიაც აქვს, რაც არსებობის მომენტს გულისხმობს.

3. კოპულის პრობლემის სწორი გადაწყვეტა წანამძღვრად გულისხმობს არსის ზოგად-ფილოსოფიურ კატეგორიას. ანალიზი ცნებისა „არის" უნდა ავიყვანოთ ფილოსოფიური კატეგორიის კვლევის ხარისხამდე[44]. რას ნიშნავს „არის", რა აზრი აქვს მას საერთოდ, როგორც ფილოსოფიურ კატეგორიას და რა სახით ვლინდება იგი აზროვნების სფეროში, ე. ი. როგორც ლოგიკური კატეგორია?

---

[43] З и г в а р т, Логика, т. 1, с. 110

[44] ეს იქნება ზოგად-ფილოსოფიური თემა—„არსისა და არარსის კატეგორია მატერიალისტური დიალექტიკის თეორიაში", რომელიც ჯერჯერობით მივიწყებულია.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ „არის“ ის ცნებაა, რომელსაც „ყოველი ფეხის ნაბიჯზე“ ხმარობს ჩვეულებრივი ცნობიერება და მეტყველება. მის გარეშე „ბუნებრივი“ თვალსაზრისი არც კი წარმოიდგინება, წაართვით ადამიანს მისი მოხმარების უფლება და მას მოუწევს საერთოდ შეაჩეროს და შეწყვიტოს აზროვნება.

ამის დადასტურება შეიძლება ჩვეულებრივი აზროვნების ემპირიული გამოცდით, იგი იმდენად შეიპრა და „შეეზარდა“ ჩვეულებრივი აზროვნებისა და მეტყველების ბუნებრივ მიმდინარეობას, რომდენად ფართოდ და ღრმად არის მის წიაღში ფესვგადგმული, რომ მისი აუცილებლობა, ასე ვთქვათ, უშუალოდ იგრძნობა არამეცნიერული და არაკრიტიკული ცნობიერების დონეზეც. თუ ჩვენ, თუნდაც ფსიქოლოგიური ცდის სახით, გავაანალიზებთ ჩვეულებრივი აზროვნების რაიმე შინაარსს, ვნახავთ, რომ „არის“ (მხედველობაშია არა სიტყვა, არამედ აზრი) ის კატეგორიაა, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება მასში. ასევე იცნობს და იყენებს მას ყოველი კერძო მეცნიერება თავისი კონკრეტული საგნის შესწავლისა და დახასიათების პროცესში. თუ გადავხედავთ ნებისმიერი კერძო მეცნიერების შინაარსს, აქაც „ყოველი ფეხის ნაბიჯზე“ წავაწყდებით მას. ეს ბუნებრივია, ამით ხომ ჩვენ იმ დებულებას ვიმეორებთ, რომელიც მრავალჯერ იყო აღნიშნული: კოპულა („არის“) მსჯელობის აუცილებელი მომენტია. მეცნიერება არ არსებობს მის გარეშე, ყოველი მეცნიერება მიმართავს მას, მისი საჭიროება და გამოყენება საგნის შემეცნების „ბუნებრივ“ მოთხოვნილებად ივარაუდება, ასე ვთქვათ, აზროვნების „ჩვეულებად“ მიიჩნევა.

მაგრამ არც ერთი კერძო მეცნიერება არ იკვლევს თვით ამ კატეგორიას. მართალია. მას თითქოს ყველა იცნობს, მაგრამ, როგორც ჰეგელი იტყოდა, ცნობილი არ ნიშნავს შეცნობილს: „არსი არის აზრის წმინდა გარკვეულობა, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ მოგვდის თავში აზრი, ვაქციოთ „არის“ ჩვენი განხილვის საგნად“[45].

ამ კატეგორიის შესწავლა ფილოსოფიის საქმეა, რომელიც მას სპეციალური რეფლექსიის საგნად იხდის. არსის და არარსის პრობლემა დიდი ხანია დგას კიდეც ფილოსოფიაში, დაწყებული ძველი ინდური „ნირვანა“-თი და დამთავრებული ბ. რასელის „მე-20 ს-ის ოკამის სამართებლით“. იგი ფართო განხილვის საგნად ერთ-

---

[45] Гегель. Сочинения, т. 1, с. 56.

ხელ კიდევ აქცია ნეოპოზიტივიზმმა, რომელიც ფილოსოფიური და ლოგიკური „რევოლუციის“ პირობად თვლის „არსის“ კატეგორიისაგან მეცნიერული აზროვნების „განთავისუფლებას“, მეცნიერების ენიდან მის სრულ და საბოლოო განდევნას[46].

„არსისა და არარსის ურთიერთობა“ დიდი თემაა და ცალკე მეცნიერულ გამოკვლევას საჭიროებს. ჩვენ აქ მხოლოდ ერთ მომენტს გავხაზავთ.

დიალექტიკის თეორია არსსა და არარსს იხილავს ისევე განუყრელ კავშირში, როგორც ყოველ სხვა „წყვილად“ (რეფლექსურ, კორელატურ) კატეგორიებს: მიზეზი და შედეგი, ზოგადი და ერთეული, აუცილებლობა და შემთხვევითობა და ა. შ. არსი და არარსი ყოველი საგნის განუყრელი შინაგანი მომენტებია, ყოველ მათგანს აზრი აქვს მეორესთან კავშირში. თუ ჩვენ მათ თავიდანვე გავთიშავთ და ერთმანეთის გარეშე წარმოვიდგენთ, შემდეგ შეუძლებელი იქნება მათი გაერთიანება. ნამდვილად, ისინი ერთიანობაში არიან, ერთმანეთს მოითხოვენ და ერთმანეთში გადადიან. ფილოსოფიის ისტორია ამ მხრივაც სანიმუშო მაგალითებს იძლევა. არსი არარსის მომენტის გარეშე იგივეა, რაც ელეატელთა „აბსოლუტური ერთიანობა“. ხოლო არარსი არსის მომენტის გარეშე მოგვაგონებს ბუდისტების „ნირვანას“. არარსი აბსოლუტური არარსია, რომელიც არ არის და არ მოიაზრება, ამბობდა პარმენიდე, ის, რაც არის, არსია, „მხოლოდ“ არსია, „წმინდა“ არსია, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავს თავისი თავიდან არარსის მომენტს.

დიალექტიკის თეორია უარყოფს არსისა და არარსის მეტაფიზიკური დაპირისპირებას და მათი შინაგანი კავშირ-ერთიანობის თვალსაზრისს იცავს. მაგრამ რა „უძლებს“ არსისა და არარსის დაპირისპირებას, როგორ შეიძლება მათი გაერთიანება? აი, „ყოფნა-არყოფნის“ დრამატული კითხვა ფილოსოფიაში, რომელიც აწვალებდა მას მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

ამ კითხვის პასუხს დიალექტიკა იძლევა: არსისა და არარსის ნამდვილი ერთიანობა მოძრაობაა, რომელშიც „იხსნება“ მათი წინააღმდეგობა, სწორედ მოძრაობა „უძლებს“ მათს შეხვედრას და გადასვლას ერთმანეთში, სწორედ იგია არსისა და არარსის განხორციელებული წინააღმდეგობა, მათი მთლიანობა.

---

[46] ასევე სპეციალურად იკვლევს მას და საინტერესო მომენტებს ხედავს ეგზისტენციალიზმში.

ელეატებმა თავის დროზე თავისებურად დაინახეს ეს ამბავი. წმინდა არსი, არარსის გარეშე, აბსოლუტურად უძრავი აღმოჩნდა. არსი გაჩერებულია, მოძრაობა და ცვალებადობა არ არის, ამბობდნენ პარმენიდე და მისი მიმდევრები (მაგ., მეგარელები), რადგან მოძრაობა-ცვალებადობა ნიშნავს გადასვლას ან ა) არსიდან არარსზე, ან ბ) არარსიდან არსზე. და ეს მართალია, რადგან არსისა და არარსის ურთიერთგადასვლის გარეშე შეუძლებელია წარმოშობა და მოსპობა, შეუძლებელია რაიმე პროცესი,[47] მოძრაობა და ცვალებადობა[48].

არსისა და არარსის რეალური დიალექტიკა საფუძვლად ედება კოპულის ლოგიკურ დიალექტიკას მსჯელობაში. მსჯელობის ყოველი „არის" გულისხმობს „არ არის", განუყრელ კავშირშია მასთან და მასში გადადის. ხოლო მათი ურთიერთგადასვლა შედეგად იძლევა იმ შინაგან მოძრაობას სუბიექტიდან პრედიკატისაკენ, რომლის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი. კოპულის შინაგანი დიალექტიკის უარყოფა ნიშნავს მსჯელობის შეჩერებას, რომლის ილუსტრაციას ლოგიკის ისტორიაში ე. წ. სოკრატული სკოლები იძლევიან: ა) იგივეობაში არაა განსხვავება, მხოლოდ ზოგადი არსებობს, ამბობდნენ მეგარელები, ბ) განსხვავებაში არაა იგივეობა, მხოლოდ ერთეული არსებობს, ამბობდნენ ცინიკოსები. შედეგად ორივე უარყოფდა „ჩვეულებრივ" მსჯელობას, რომელშიც სუბიექტს მისგან განსხვავებული პრედიკატი მიეწერება.

* * *

მსჯელობა სპეციფიკური შინაგანი წინააღმდეგობით ხასიათდება. „S არის P", — ამტკიცებს დადებითი მსჯელობა; ეს ნიშნავს იგივეობის კავშირს S და P-ს შორის. მაგრამ S და P განსხვავებულია, განსხვავების გარეშე მსჯელობა უაზრო ტავტოლოგია იქნებოდა. მაგრამ ეს განსხვავება არაა გამოთქმული მის მიერ, იგი უშუალოდ მოცემულია მასში, რამდენადაც მსჯელობა ორ წევრს (S და P) ასახე-

---

[47] „მხოლოდ სხვანაირ არსებობაში არის უსაზღვრო მოძრაობის დიდი მიზეზი", ამბობს ურიელ აკოსტა.

[48] «Изменение есть соединение противоречаще-противоположных определений в существовании одной и той же вещи» («Критика чистого разума»).

ლებს, მაგრამ არაა გამოხატული, არაა, ასე ვთქვათ, ლოგიკურად გაფორმებული მის მიერ. აქ ვლინდება დადებითი მსჯელობის შინაგანი ნაკლი: ა) რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც განსხვავების მომენტი არაა გამოხატული, იმდენად დადებითი მსჯელობა მხოლოდ იგივეობას ამტკიცებს; ბ) რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც იგი მაინც ორ წევრს (S და P-ს) ასახელებს, ამდენად განსხვავების მომენტი მოცემულია მასში.

ამ ნაკლის დაძლევა მოითხოვს დადებითი მსჯელობიდან უარყოფითზე გადასვლას: „S არ არის P". უარყოფით მსჯელობაში უკვე მტკიცდება არა იგივეობა, არამედ განსხვავება S და P-ს შორის. თუ დადებითში იგივეობა იყო ლოგიკურად გაფორმებული და გამოთქმული („არის"), აქ, პირიქით, განსხვავებაა ფიქსირებული („არ არის"). მაგრამ იგივეობის მომენტი მაინც მოცემულია თავისებურად, რაკი S და P-ს „საერთო სფერო" იგულისხმება (წინააღმდეგ შემთხვევაში, არც გვექნებოდა მსჯელობა). ამდენად „აფორმებს" რა განსხვავებას, უარყოფითი მსჯელობა თითქოს ხსნის დადებითის ნაკლს, მაგრამ თვითონ იგივე ბუნების, იგივე ხასიათის ნაკლს ამჟღავნებს, რაკი მასში უკვე იგივეობას აკლია ფიქსირება.

ამდენად, ორივეში მსჯელობის საერთო შინაგანი სიძნელე და წინააღმდეგობრივი ბუნება ვლინდება. ერთი S და P-ს იგივეობას აფიქსირებს, მეორე—განსხვავებას. მაგრამ „S და P-ს შორის არც მხოლოდ იგივეობაა და არც მხოლოდ განსხვავება. იგივეობისა და განსხვავების ერთიანობა კი მსჯელობას არ შეუძლია გამოხატოს, იგი არ ეტევა მსჯელობის ფორმაში. იგივეობისა და განსხვავების ერთიანობა გამოიხატება აზროვნების სხვა, უფრო რთული ლოგიკური ფორმით, რომელიც ხსნის და თავის დაქვემდებარებულ მომენტად აქცევს თვით მსჯელობას. ასეთია დასკვნა.

სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი საგნისა და გარკვეულობის ობიექტურ დიალექტიკას ასახავს. საგნისა და გარკვეულობის ნამდვილი კავშირი არ ამოიწურება დადებითი მსჯელობით: „S არის P". მასთან ერთად საჭირო ხდება მათი განსხვავების ფიქსირება, რასაც გამოხატავს უარყოფითი მსჯელობა: „S არ არის P". მაგრამ როცა ორივე ეს მსჯელობა გამოთქმულია, იბადება ახალი სიძნელე—თვით მათ შორის კავშირის საკითხი. ამის გარეშე გვექნება მხოლოდ ანტინომია, ორი დაუკავშირებელი და ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობა. საგნისა და გარკვეულობის რეალურ დიალექტიკას ადეკვატურად ასახავს აღნიშნული ორი მსჯელობის ისეთი სინთეზი, რომელშიაც არსი და არარსი (იგივეობა და განსხვავება) ერთიანი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მომენტებად ქვეითდებიან.

დიალექტიკური ლოგიკის თანახმად საგნის შემეცნების უმაღლესი ლოგიკური ფორმა არის არა მსჯელობა, არამედ დასკვნა (რომლის შედეგია ცნება). საგანი განსხვავებულ გარკვეულობათა ერთიანობაა. მის ცალკეულ გარკვეულობებს მსჯელობა გვაცნობს, მაგრამ თვით საგანი (როგორც კონკრეტული ერთიანობა) არ ეტევა მსჯელობის ფორმაში. ლაპარაკია არა იმაზე, რომ ცალკეული მსჯელობა არ კმარა ამისათვის: საგნობრივი მთლიანობის წარმოდგენა საერთოდ აღემატება მსჯელობის, როგორც გარკვეული ლოგიკური ფორმის, უნარს.

სხვანაირად ეს ნიშნავს, რომ მსჯელობით არ ამოიწურება „ლოგიკურის" ცნება, ლოგიკური კავშირის რთული დიალექტიკური ბუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში აზროვნების სხვა ლოგიკური ფორმები ზედმეტი იქნებოდა. მსჯელობა ლოგიკურის მხოლოდ ერთი მომენტია, რომელსაც თავისი სპეციფიკური ფუნქცია და ადგილი აქვს მთლიანობაში.

მსჯელობა აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი საგნის ასახვისათვის. ეს „არასაკმარისობა" ამჟღავნებს მის შინაგან ნაკლს და წინააღმდეგობას, რომლის დაძლევა მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლის აუცილებლობას უკავშირდება. საილუსტრაციოდ მივმართოთ მაგალითს: როგორია აღქმის ადგილი და როლი შემეცნების პროცესში? აღქმა საგნის ასახვის ერთ-ერთი ფორმაა, ამტკიცებს მარქსიზმი, მაგრამ იგი საკმარისი არაა, რადგან ვერ ამოსწურავს საგნის ყველა მხარეს, ვერ ასახავს, მაგ., საგნის არსებას. „ნაკლია" თუ არა ეს? გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ ეს მისი ნაკლია, რომელიც შევსებულ უნდა იქნეს შემეცნების სხვა ფორმების საშუალებით. აღქმა რომ საგნის ასახვის სრულყოფილი (ე. ი. უნაკლო) ფორმა იყოს, მაშინ დანარჩენი ფორმები (წარმოდგენა, ცნება და ა. შ.) ზედმეტი იქნებოდა, ან მას დაექვემდებარებოდა. დიალექტიკური ლოგიკა (განსხვავებით ტრადიციულისაგან) ანალოგიურად სვამს საკითხს მსჯელობის თეორიაშიც. მსჯელობა შინაგანი ნაკლოვანებით ხასიათდება, რის გამოც ის არ უნდა გამოცხადდეს საგნის ჭეშმარიტი შემეცნების უმაღლეს ფორმად. მით უფრო დაუშვებელია, მხოლოდ მას მივაწეროთ ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი, მის სპეციფიკად გამოვაცხადოთ იგი. ეს პრინციპში იგივეა, რაც ჭეშმარიტების დაყვანა მსჯელობის ფორმაზე, მაგრამ ჭეშმარიტება არ ამოიწურება მსჯელობით, არ ეტევა მასში. დიალექტიკური ლოგიკა ისტორიაში პირველად ადგენს მსჯელობის

ნამდვილ ადგილს საგნის ჭეშმარიტი შემეცნების პროცესში და აქვით პირველად არკვევს მის ნამდვილ შინაგან არსებასაც.

ტრადიციული ლოგიკა აზროვნების ძირითად ლოგიკურ ფორმად თელის მსჯელობას. ცნებას აზრი არა აქვს მსჯელობის გარეშე, ამტკიცებს ის, ხოლო დასკვნა მსჯელობათა ისეთი შეერთებაა, რომელიც უნაშთოდ იშლება მსჯელობებზე: ცნება—მსჯელობა—დასკვნა. სულ სხვანაირად გაიგება ცნების, მსჯელობისა და დასკვნის ურთიერთობა დიალექტიკურ ლოგიკაში. ცნება უფრო რთული მთლიანობის, მსჯელობის ელემენტია და აზრს კარგავს მის გარეშე, ამბობენ ტრადიციულ ლოგიკაში. თუ ეს ასეა, მსჯელობაც უფრო რთული ლოგიკური მთლიანობის, დასკვნის მომენტია და თავის ნამდვილ აზრს მასში პოულობს. ეს კი ნიშნავს ცნების, მსჯელობისა და დასკვნის წარმოდგენას მთლიანი ლოგიკური მოძრაობის საფეხურებად: ცნება—მსჯელობა— დასკვნა.

მთლიანი ლოგიკური მოძრაობა საგნის სახვის ამოცანას ემორჩილება. საგანი მისი ჭეშმარიტი ფორმით აისახება მთლიანი ლოგიკური აზროვნების მიერ. ამ აზრით, მსჯელობაზე, როგორც ლოგიკურის ერთ-ერთ ფორმაზე, არ ითქმის, რომ ჭეშმარიტია. მსჯელობის ჭეშმარიტების საკითხი სრულიად თავისებურად ისმება დიალექტიკურ ლოგიკაში. მსჯელობას ოდითგან მიაწერენ ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანს და ამაში უდავოდ არის სიმართლის ნაწილი. მაგრამ „ჭეშმარიტება-მცდარობა“ არ შეიძლება მსჯელობის სპეციფიკად გამოცხადდეს. ჭეშმარიტება ცნების, მსჯელობისა და დასკვნის მთლიანობაში გამოიხატება. ცნების, მსჯელობისა და დასკვნის სამი სხვადასხვა ჭეშმარიტება კი არ არსებობს, არამედ იგი ერთი მთლიანი აზრია, რომლის „აგებაში“ აღნიშნული განსხვავებული ფორმები მონაწილეობენ. ცნება, მსჯელობა და დასკვნა სწორედ ჭეშმარიტების, როგორც მთლიანობის, მომენტებია. რა ადგილი უჭირავს მსჯელობას ჭეშმარიტების ამ მთლიანობაში? ამის გარკვევა ნიშნავს მისი, როგორც ლოგიკური ფორმის, შეფასებას ჭეშმარიტების თვალსაზრისით. ამ მხრივ დიალექტიკური ლოგიკა ტრადიციული ლოგიკისაგან განსხვავებულ, სრულიად თავისებურ თვალსაზრისს ანვითარებს[49]. თუ ჭეშმარიტება ის ერთიანი აზრია, რომელსაც ცნების, მსჯელობისა და დასკვნის მთლიანობა იძლევა,

---

[49] «Не только описание форм мышления..., но и соответствие с истиной...“ (В. И. Ленин, Сочинения, т. 38, с. 165).

ეაშინ მსჯელობას როგორც ასეთს, არ შეიძლება ჭეშმარიტების ნიშანი მიეწეროს. ძველი ლოგიკა კი ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანს არა თუ მიაწერს მსჯელობას, არამედ მის სპეციფიკურ თავისებურებად თვლის[50].

როგორც ზემოთ ითქვა, S და P-ს შორის არც მხოლოდ იგივეობაა, არც მხოლოდ განსხვავება. იგივეობისა და განსხვავების ერთიანობა კი არ ეტევა მსჯელობის ფორმაში.

დადებითი მსჯელობა ა) რამდენადაც იგივეობას გამოთქვამს, ჭეშმარიტია,

ბ) რამდენადაც განსხვავებას არ გამოთქვამს, მცდარია.

უარყოფითი მსჯელობა ა) რამდენადაც განსხვავებას გამოთქვამს, ჭეშმარიტია.

ბ) რამდენადაც იგივეობას არ გამოთქვამს, მცდარია.

ჭეშმარიტება კონკრეტულია, ე. ი. განსხვავებულ გარკვეულობათა ერთიანობაში მდგომარეობს. მსჯელობა კი მის მხოლოდ „ცალ მხარეს" გამოხატავს და, ამდენად, აბსტრაქტულია, ცალმხრივია და ასე ეთქვათ, ნაწილობრივი ჭეშმარიტებით ხასიათდება, მხოლოდ „სანახევროდ" არის ჭეშმარიტი.

დადებითი მსჯელობა საგნის ამგვარადყოფნას (Sosein) ამტკიცებს, მაგრამ ამგვარადყოფნა („არის") ნამდვილი საგნობრივი ვითარების ერთი მომენტია, რომელიც სხვაგვარადყოფნას გულისხმობს. ორივე კი უფრო რთული მთლიანობის მომენტებია, რომელშიც ისინი მხოლოდ მოხსნილი ფორმით მონაწილეობენ. ამგვარადყოფნისა და სხვაგვარადყოფნის ერთიანობა არის მოძრაობა.

ლოგიკური აზროვნება ცნების, მსჯელობისა და დასკვნის მთლიანობაა, მაგრამ თვით ეს მთლიანობა, როგორც ზემოთ ით-

---

[50] პირველად ჰეგელმა გამოავლინა და აჩვენა ამ გაგების შინაგანი სიყალბე. ჭეშმარიტება შენდება სამივე ლოგიკური ფორმის საშუალებით და მსჯელობა არაა საკმარისი ამისათვის,—წერდა ის. ამ აზრით, ჰეგელი ანსხვავებდა სწორსა და ჭეშმარიტს: მსჯელობა სწორია და არა ჭეშმარიტი, ამბობდა ის. სისწორე და ჭეშმარიტება არ უნდა მოვწყვიტოთ ერთმანეთს, სისწორე ჭეშმარიტების საკუთარი მომენტია და ისინი ერთმანეთში გადადიან, მაგრამ მათი განსხვავებაც აუცილებელია, ამბობს ჰეგელი. სისწორე თავისებური ჭეშმარიტებაა, ასე ეთქვათ შეცდომის შემცველი ჭეშმარიტებაა. მსჯელობაც უფრო რთული მთლიანობის დაქვემდებარებული მომენტია და მასთან შედარებით სწორია და არა ჭეშმარიტი. «Форма предложения, или, выражаясь более определенно, форма суждения неподходяща для выражения конкретного — а истина конкретна— и спекулятивного; суждение, благодаря своей форме односторонне и постольку ложно» (Гегель, Соч., т. 1, с. 69).

ქცა, გაჩერებული როდია, არამედ „ბრუნავს თავის თავში“, როგორც შინაგანი დინამიკით დატვირთული სისტემა. „პროცესის“ ცნება აზროვნების ყოველგვარ განსაზღვრებაში მონაწილეობს: „აზროვნება არის პროცესი...“ მის გარეშე იგი არ წარმოიდგინება „არც ერთი წუთით“ არა მარტო ისტორიულ, არამედ ლოგიკურ ასპექტშიც. აზროვნების „გაჩერება“ მისი სიკვდილია. უძრავი აზროვნება უარესია, ვიდრე „გაჩერებული მდინარე“. შინაგანი დინამიკა, შინაგანი მდინარება, აი, რა შეადგენს მის არსებას.

იგივე ითქმის მსჯელობაზეც, აზროვნების მთლიანი ორგანიზმი თუ მოძრაობს, მისი უჯრედი გაჩერებული ვერ იქნება. მსჯელობა აუცილებლად გულისხმობს ლოგიკურ მოძრაობას სუბიექტიდან პტედიკატისაკენ: „S არის P“.

თუ ვიტყვით: „S“ და აქ წერტილს დავსვამთ, ჯერ კიდევ არ გვექნება მსჯელობა. რომ ვიმეოროთ: „S“, „S“, არც ეს მოგვცემს მსჯელობას. თუ ვიტყვით: „S არის S“, უკვე გავდივართ გაჩერებული S-დან, რაკი სახეზეა ერთგვარი კავშირი და გადასვლა S და P-ს შორის. მაგრამ ის, რისგანაც გამოვდივართ და ის, რასთანაც მივდივართ უშუალოდ ერთიდაიგივეა. ამიტომ წრეში ასეთი მოძრაობაც ისევე უაზროა, როგორც ერთიდაიგივე სიტყვის განმეორება. არსებითად რომ ვთქვათ, არც აქ არის ნამდვილი გადასვლა და მოძრაობა. ასეთი მოძრაობა ვერ გამოთქვამს აზროვნების, როგორც პროცესის თავისებურებას, მით უფრო ვერ გამოთქვამს იგი აზროვნების არსებას ან კანონს, თუმცა თავისთავად ახასიათებს მას, როგორც მეტად არარსებითი, მისი ნამდვილი ბუნებისათვის გარეგანი მომენტი.

მაგრამ ყოველი ნამდვილი მსჯელობა რაიმედან სხვისკენ, სუბიექტიდან პრედიკატისაკენ მოძრაობის პროცესია. პრედიკატი სხვაა, ვიდრე სუბიექტი, მათ შორის განსხვავებაა. მაგრამ იმავე დროს პრედიკატი მხოლოდ სხვა როდია სუბიექტისათვის. ასე რომ იყოს, პრედიკატზე გადასვლა სუბიექტის დაკარგვა იქნებოდა. პრედიკატი სუბიექტის საკუთარი მოძრაობაა, „მისი სხვაა“, რომელშიც „გადმოდის“ იგი (და არა უძრავად რჩება თავის ადგილზე). S გადადის P-ში და, ასე ვთქვათ, „იძირება“ მასში, მაგრამ თვით P-ს ანალიზი ისევ „ამოატივტივებს“ მას, რამდენადაც P-ში სწორედ S ვლინდება და ხორციელდება. ამდენად, S და P-ს ნამდვილი კავშირი თავისებურ რთულ მოძრაობას გულისხმობს, რომელიც არც სწორხაზობრივია და არც წრეხაზობრივი: $S \rightarrow P \rightarrow S^1$. მას სპირალის ფორმა აქვს, რომლის მხო-

ლოდ ცალკეული მხარეები გამოითქმება მსჯელობაში: „S→P“ ან „P→S“, მაგრამ არა მათი შინაგანი მთლიანობა. როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ეს შეადგენს მსჯელობის არსებას და სპეციფიკას. იგი ჭეშმარიტების, ასე ვთქვათ, „ნახევარს“ გამოთქვამს და, ამ აზრით, რამდენადაც ჭეშმარიტია, იმდენადვე მცდარი. ამაში მდგომარეობს მისი ღირსებაც და ნაკლიც. ეს ნაკლი რომ არ ჰქონდეს, მსჯელობა ჭეშმარიტების ლოგიკური გამოხატვის ადეკვატური ფორმა იქნებოდა და დასკვნის საჭიროებაც არ იარსებებდა.

პრედიკატზე გადასვლა განსხვავების აღმოჩენაა სუბიექტში: «S→P“ [51]. მაგრამ ამ სხვაში ის თავის თავს როდი კარგავს, მასში ისევ თავისთავს უბრუნდება: „P→S“. მოძრაობა S-დან P-ს გავლით S-ს უბრუნდება, მაგრამ ეს არაა ჩაკეტილი წრე, რამდენადაც მოძრაობის შედეგი გამდიდრებულია გზით და არ ემთხვევა მის საწყისს[52]. როცა ვამბობთ „S არის P“, მსჯელობის ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ წევრს ვასახელებთ, S და P-ს. მაგრამ კოპულა პირდაპირ ამტკიცებს, რომ ერთი არის მეორე, ე. ი. თითქოს უშუალოდ სპობს მათს განსხვავებას: „P არის S“. აქ ჩვენს წინაშეა თავისებური ორმაგი მოძრაობა, S-დან P-ზე გადასვლა იწვევს ამავე დროს საპირისპირო მოძრაობას P-დან S-კენ. მაგრამ მთლიანი მოძრაობის ეს „ორმაგობა“ მსჯელობას არ შეუძლია ლოგიკურად გააფორმოს და გამოთქვას, თუნდაც იმიტომ, რომ იგი სამი ელემენტის კავშირს გულისმობს, მაშინ როცა მსჯელობა ორწევრიანი ლოგიკური ერთეულია-მსჯელობა ისეთი მოძრაობის მომენტია, რომელიც შინაგანად უპირისპირდება ფორმას: „S→P“, მოითხოვს რა, რომ S-დან P-ზე მოძრაობა იმავე დროს იყოს მოძრაობა P-დან S-კენ, ე. ი. P-ში არ დაიკარგოს თვითონ სუბიექტი, ცხადია, არც P უნდა დაიკარგოს! ჩვენს წინაშეა რთული მოძრაობა, რომელიც განსხვავებაში იგივეობას არ კარგავს, მაგრამ არც იგივეობაში კარგავს განსხვავებას. მთლიანი ლოგიკური პროცესი სპირალია, რომლის სისრულით გამოხატვა მსჯელობას არ შეუძლია, იგი მის მხოლოდ ცალკეულ მომენტებს გამოთქვამს.

მსჯელობის შინაგანი მოძრაობის იდეა, აი ის ახალი და არსებითი, რომელიც დიალექტიკურ ლოგიკას უკავშირდება მსჯელობის თეორიაში. მსჯელობა განსხვავებული ელემენტებიდან შედგე-

---

[51] ეს მისი თავისებური ვაუოფა და გაორებაა, მისთვის საზღვრის დადებაა („დასაზღვრებაა“): „გარკვეულობა არის უარყოფა“.

[52] ამ განსხვავებას გამოხატავს ნიშანი: «'»

ნილი სტრუქტურული მთლიანობაა, რაც შორეული დროიდან ცნობილია ლოგიკაში. ახალი და მნიშვნელოვანი ის იქნება, რომ თვით ეს სტრუქტურა გავიგოთ მოძრაობაში, როგორც „დინამიკური სტრუქტურა". დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისით ეს ყავსებით ბუნებრივია. არაბუნებრივი ჩანს სწორედ ძველი ლოგიკის თვალსაზრისი, რომელმაც ვერ შესძლო მოძრაობის შეტანა მსჯელობის სტრუქტურაში. მაგრამ სტატიკური სისტემის, უძრავი სტრუქტურის იდეა დღეს ყველა მეცნიერებიდან იდევნება. სისტემის, სტრუქტურის და დინამიკის მეტაფიზიკური დაპირისპირება შეუთავსებელია თანამედროვე მეცნიერების სულთან, რომ არაფერი ვთქვათ მეცნიერული დიალექტიკის ძირეულ პრინციპებზე. შინაგანი მოძრაობის გარეშე მსჯელობის სტრუქტურა იგივეა, რომ, მაგ., ვცადოთ მზის სისტემის გაგება მოძრაობის გარეშე: მზის სისტემის გაჩერება ხომ მისი „სტრუქტურის" დანგრევაც იქნებოდა! სისტემაა ატომიც, მაგრამ ვინ იფიქრებს დღეს მის განხილვას შინაგანი მოძრაობის გარეშე?! სისტემაა უჯრედიც, მაგრამ სტატიკაში წარმოდგენა მის სიკვდილს ნიშნავს. ასეთ „მკვდარ უჯრედს" წარმოადგენს ძველი ლოგიკის მსჯელობა, შინაგანი მოძრაობის გარეშე.

მრავალი თეორია შეიქმნა ტრადიციულ ლოგიკაში S და P-ს კავშირის შესახებ. S არის P-ს ნაწილი, ამბობდა ერთი, P არის S-ის ნაწილი, ამბობდა მეორე, S და P ტოლია, ამბობდა მესამე და ა. შ. მაგრამ გაუგებარი დარჩა მათი შინაგანი კავშირის დიალექტიკური იდეა, რომლის თანახმად P განიხილება, როგორც S-ის საკუთარი მოძრაობა, მისი თვითმოძრაობა და თვითგანვითარება[53].

როგორც ცნობილია, ყოველი მეცნიერება მსჯელობათა უსაზღვრო სიმრავლეს გულისხმობს. მეცნიერების მთლიანი სხეული რომ დავშალოთ და დავანაწილოთ, უდავოა, რომ მსჯელობათა დიდი რიცხვი დაგროვდება. მაგრამ მეცნიერება დასაპუთებული სისტემაა და არა ცალკეულ მსჯელობათა მექანიკური გროვა. მსჯელობათა აღნიშნული სიმრავლე ერთმანეთის გვერდით რომ დავ-

---

[53] ეს აზრი თავისებური ფორმით პირველად ჰეგელმა განავითარა. მაგრამ პარადოქსალური ფაქტია, რომ იგი არა თუ არ იქნა გაზიარებული, არმედ ვერც გაიგეს, ვერც ამოიკითხეს ჰეგელის შრომებში! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჰეგელის მოძღვრების შიგნიდან ლ ო გ ი კ უ რ ი ასპექტი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გახსნილი, რაც ერთ-ერთი მიზეზია იმ ჩამორჩენისა, რომელიც შეინიშნება დიალექტიკური ლოგიკის პრობლემათა კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი შესწავლის და დამუშავების საქმეში.

ყაროთ. ეს, ცხადია, ჯერ კიდევ არ მოგვცემს მეცნიერებას. დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისით არც ის იქნება ზუსტი, რომ მეცნიერება შევადაროთ ტყეს, რომლის ელემენტები, ე. ი. ცალკეული ხეები, ურთიერთკავშირში, მაგრამ ერთმანეთის გვერდით იზრდებიან. სწორია, რომ ყოველი მსჯელობა შედარებით დამოუკიდებელი სისტემაა მეცნიერების სხვა მსჯელობათა „ტყეში". მაგრამ მთლიანად მეცნიერება მსჯელობათა გარკვეულ თანმიმდევრობას გულისხმობს. ამიტომ, როგორც ზემოთ ითქვა, უფრო სწორი და ზუსტია შევადაროთ იგი მდინარეს, რომელსაც სრულიად გარკვეული მიმართულება აქვს. მეცნიერების მსჯელობათა სიმრავლე ერთიანი მიზნისაკენ მიმართულ პროცესს ჰქმნის, რომლის წევრები ერთმანეთს აგრძელებენ.

მაგრამ შევიხედოთ ყოველი ამ წევრის შიგნით: ყოველი მსჯელობა, როგორ ითქვა, თვითონაც დინამიკური სისტემაა, რომელიც გულისხმობს შინაგან მოძრაობას S-დან P-კენ. ეს მოძრაობა თავის მხრით, წინსვლითი პროცესია და არა მექანიკური გაგრძელება და გადაადგილება. ამიტომ მსჯელობა არ უნდა იქნეს გაგებული და „წაკითხული" მხოლოდ ჰორიზონტალურ პლანში: S→P. მსჯელობის ჭეშმარიტი მეცნიერული გაგება ნიშნავს S-დან P-ზე გადასვლა „წავიკითხოთ" ვერტიკალურ პლანში, როგორც ამაღლების, გამდიდრებისა და განვითარების მიკროპროცესი. სწორედ ეს გაგება აღწევს „მომენტის" იმ ცნებას, რომლის შესახებ დიალექტიკის თეორია ლაპარაკობს, მსჯელობის ელემენტები, მისი S და P განხილულ უნდა იქნეს არა როგორც ჩვეულებრივი „ნაწილები", არამედ როგორც დინამიკური მთლიანობის მ ო მ ე ნ ტ ე ბ ი. მომენტი განვითარების საფეხურია. მაგ.. კვირტი, ყვავილი და ნაყოფი ერთიანი ორგანული მოძრაობის მომენტებია. რა ურთიერთობაა მათ შორის? ერთი მეორით იხსნება და უარიყოფა, მაგრამ, იმავე დროს, ერთი მეორეში გადადის, ინახება და გრძელდება. მსჯელობაც აზროვნების ცოცხალი, შინაგანად მოუსვენარი მიკროერთეულია, რომლის განსხვავებულ მომენტთა რთული ურთიერთმოქმედება, მათი კავშირი და გადასვლები, მთელი მისი დინამიკური მექანიზმი გასაგები ხდება მხოლოდ და მხოლოდ განვითარების თეორიის საფუძველზე, დიალექტიკური ლოგიკის პოზიციებიდან.

ВОПРОСЫ ТЕОРИИ СУЖДЕНИЯ

Резюме

Суждение — форма логического мышления. Бесспорно, что и теория суждения предоставляет собой одну из важнейших частей науки логики. В особенностях суждения можно и нужно найти объяснение многих существенных моментов из того, что обычно именуется логическим строем мышления в целом. Суждение — «атом знания», «клеточка» его, оно представляет собой «микромир» мышления, проникновение внутри которого, выяснение и раскрытие его тайн — трудная, но нужная и необходимая задача. Научное исследование особенностей суждения, выяснение проблематики теории суждения, дает ключ для многих существенных аспектов всей логической проблематики в целом. Поэтому, бесспорно, что тема данной работы — «Вопросы теории суждения» — принадлежит к числу актуальных задач логики.

Но это одна сторона дела. Весьма существенным предстает, так сказать, вопрос о позициях. И здесь действительно поднимается серьезный спор, да и давно ведется непримиримая борьба между двумя основными направлениями логики. Спор этот имеет существенное значение и, видимо, будет вестись еще долго. Вспомним историю философской мысли в нашей стране. Сколько чего было сказано и написано до войны и после войны о взаимоотношениях диалектической и формальной логики! Без преувеличения можно сказать, что спор о взаимоотношениях указанных двух направлений логики представляет собой одну из коренных и ведущих сторон нашей философско-логической литературы, весьма характерный ее аспект. Спор и борьба мнений — это ведь форма развития науки, источник и основа ее продвижения вперед, если, конечно, они ведутся с дозволенными с научной точки зрения приемами и методами!

Проблема суждения, как известно, имеет продолжительную историю со времени Аристотеля. Известно и то, что, несмотря на продолжительную историю, в традиционной

формальной логике, на протяжении многих веков, логическое содержание теории суждения в своей основе сохранило первоначальный вид. История традиционной теории суждения, ее особенности, конечно, вместе с относительным застоем также и в других частях логики, стали поводом для заключения, классическая формула которого принадлежит И. Канту: после Аристотеля логика не сделала ни одного шага назад, но она не сделала ни шага и вперед, «как видно, она вполне совершенная и завершенная наука».

Непомерный догматизм господствовал в теории суждения традиционной логики и после Канта. Достаточно перечесть учебники традиционной формальной логики и сравнить между собой их положения по вопросам теории суждения. За отдельными разногласиями по десятистепенным вопросам, одно и то же, в сущности, содержание кочует из века веков, из страны в страну, из книги в книги.

Это создало своего рода предрасположение, проникшее даже в учебники формальной логики, изданных в нашей стране в 50-ые годы: теория суждения формальной логики— единственно возможная теория суждения вообще и искать в этой отрасли иной путь, тем более, радикальное новшество — бесполезное дело!

Предлагаемая работа от первой до последней страницы направлена против такого настроения. Теоретическая позиция и главный пафос нашей работы можно выразить словами, высказанными в свое время Гегелем в ответ Канту: «если со времени Аристотеля логика не подвергалась никаким изменениям... то мы отсюда должны сделать скорее тот вывод, что она тем больше нуждается в полной переработке» (Гегель, соч., т. V, М., 1937, с. 30).

Мы не думаем излагать здесь содержание работы, выделим те положения, которые являются основными и специфическими с точки зрения диалектики суждения.

ГЛАВА I. СУЖДЕНИЕ КАК ФОРМА ЛОГИЧЕСКОГО МЫШЛЕНИЯ

а) Общее определение «логического»: суждение — логическая форма мышления. Нельзя правильно ставить проблему суждения в логике, не имея определенный ответ на более общий вопрос: что такое «логическая форма»?. В связи с этим в первой главе работы дается общая характеристика понятия логического, которое определяется следующим образом: «Логическое — это отраженное предметное»;

б) Понятие гносеолого-логического субъекта: данное понятие само по себе отнюдь не ново, однако до последнего периода ему не уделялось должного внимания. Особо распространенное мнение отождествляет «субъект» с психологическим субъектом. В нашей работе утверждается, что понятия «психологического» и «субъективного» отнюдь не тождественны, их отождествление представляет собой своеобразное проявление психологизма. Если «психологическое» отождествляется с «субъективным», то различение логики от психологии непременно потребует «онтологизации» логического; в работе защищается точка зрения, согласно которой «субъект» представляет собой именно специфическую гносеологическую категорию, а фундаментальным для психологии следует считать понятие личности;

в) Тождество гносеологического и логического моментов в теории суждения: существует довольно распространенное мнение, согласно которому суждение может рассматриваться двояко, с двух сторон, с двух точек зрения: гносеологической и логической. В нашей работе утверждается, что в теории суждения (так же как и в теории логических форм мышления вообще) гносеологическое и логическое — это одно и то же, они совпадают. Тем самым отрицают «две теории» суждения рядом, друг возле друга, отдельно в гносеологии и отдельно в логике.

ГЛАВА 2. СУЖДЕНИЕ И ПРЕДЛОЖЕНИЕ

а) Предложение как символ суждения: в работе прослеживается различие между такими понятиями, как слово, значение, смысл и предмет. Соответственно, взаимоотношение суждения и предложения в работе рассматривается и понимается в плане сложной иерархии таких понятий, как предметное обстояние, смысл, значение и предложение: предложение имеет значение, но смысл предложения отнюдь не значение его (предложения), а то, что обозначается им, однако то, что обозначается предложением,— не предметное обстояние, а отражение предметного обстояния. Распространенное мнение рассматривает суждение, как целое, одну из сторон которого, в частности, семантическую сторону составляет суждение. Конечно, всякое предложение имеет как морфолого-синтаксическую, так и семантическую стороны. Семантическая сторона предложения — это его значение, без которого оно не мыслимо. Однако так же как значение слова не есть понятие, так и значением предложе-

ния не является суждение. Значение — сторона либо часть предложения, суждение же, по нашему мнению, не есть сторона или часть предложения. Их взаимоотношение нельзя понимать как взаимоотношение целого и части. Значением предложения выступает не суждение, а обозначительное отношение к нему;

б) О существенном различии семантики и логики: проблема «значения» предполагает условный знак, символ. Нечто значит в качестве условного знака чего-то другого. Как бы ни говорили, остается фактом, что семантика является учением о знаке. Однако ни одна из логических форм мышления, ни понятие, ни суждение, ни умозаключение, с точки зрения теории отражения, нельзя считать символом, условным знаком. В этом смысле в работе ставится под вопрос законность понятия «логической семантики». Кто считает логику семантикой или частью семантики, тот фактически непременно доходит до «теории символов», такова позиция автора. На самом деле, слово и предложение являются лингвистическими, а не логическими категориями. Больше того, согласно теории отражения, ни одну науку (в том числе и математику) нельзя понимать и рассматривать как «язык» (будь это даже «искусственный язык»!).

ГЛАВА 3. ОПРЕДЕЛЕНИЕ СУЖДЕНИЯ

В работе в отдельности, с разных сторон разбираются известные в истории логики определения суждения, в систематической форме выявляются недостатки этих определений и дается следующее его определение: «Суждение есть форма логического мышления, в котором отражается непосредственное единство предмета и его определенности».

ГЛАВА 4. О СТРУКТУРЕ СУЖДЕНИЯ

а) Грамматицизм, как существенный признак неопозитивистской логики: неопозитивизм сущностью философии считает логику. Но это одна сторона дела, которой он не довольствуется. С другой стороны, логика у него сводится к «анализу языка». Такое утверждение провозглашается «обновляющим» философии тезисом. Деятельность логики достигает подлинной точности лишь

тогда, если она изучает не суждение, а предложение, пишет Р. Карнап;

б) Своеобразное понимание истинности в неопозитивизме: в понимании понятия истинности неопозитивизм противостоит не только материализму, но и классическому идеалистическому эмпиризму. С точки зрения неопозитивизма, истина означает не соответствие суждения с объективным обстоянием, как это понимается у материалистов, и не соответствие суждения с «чувственными фактами», с нашими ощущениями, как это понималось в классическом идеалистическом эмпиризме и в Эмпириокритицизме. По мнению неопозитивистов, истину следует искать во взаимоотношениях чувственности и языка: истинность предложения означает «однозначное обозначение им факта». В нашей работе, наоборот, подчеркивается, что истинность ложность нельзя считать не то что специфическим признаком предложения, — ее нельзя считать признаком предложения вообще! Множество доводов приведено в работе в пользу данного тезиса. Назовем один из них: разговор об истинности-ложности предложения неверен так же, как и разговор об истинности-ложности языка вообще. Язык ведь представляет собой материальную «оболочку» мышления (т. е. идеального), а разговор об истинности-ложности самой данной «материальной оболочки», «чувственной материи» не может иметь смысла!

в) Три основные точки зрения в понимании структуры суждения: проблема структуры суждения имеет длительную историю. Множество разных точек зрения противостоят друг другу на протяжении этой истории. Но основными и существенными, как утверждается в работе, являются три точки зрения: 1) традиционная точка зрения, исходящая от Аристотеля, согласно которой всякое суждение имеет субъектно-предикатное строение, 2) точка зрения «Логики отношений», согласно которой всякое суждение является «суждением отношения» и 3) точка зрения диалектической логики. Взаимоотношение указанных трех точек зрения представляет собой своего рода отрицание отрицания, утверждается в работе и проводится следующая параллель: субстанциализм классической философии—позитивистской антисубстанциализм—диалектический субстанциализм, таковы онтологический источник и основа, своеобразно отображаемые историей структуры суждения в логике;

г) Суждение как динамическая структура: диалектическая логика, утверждается в работе, «признает субъектно-предикатное строение суждения, но отрицает

традиционное его понимание так же, как и—старое понимание «сущности» и «предмета». Взаимоотношение элементов суждения она рассматривает как «раздвоение единого», чем и своеобразно отражается объективная диалектика предмета и его определенности. Своеобразие это —в непосредственном единении элементов суждения, но указанное единство все же представляет собой форму единства противоречий, вследствие чего данная «клеточка» знания предстает перед нами не как «статическая система», а как «динамическая структура».

д) О различении между собой элемента, части и момента: Различая такие понятия, как элемент, часть и момент, в работе подчеркивается, что выдвигая на передний план понятие момента, теория научной диалектики в совершенно новом аспекте осветила мир, чем это казалось раньше сквозь призму метафизики. Момент определяется в работе как ступень развития. Этим отличается он от обычной части. Для иллюстрации можно сравнить «статическую систему» с «динамической». Например, почка, цветок и плод сменяют друг друга как ступени определенного органического движения, однако обыкновенное понятие «части», либо «элемента», тут неуместно;

е) Эклектична и неверна и точка зрения «двух структур»: согласно традиционной теории все суждения имеют субъектно-предикатную структуру (S есть (не есть) P), согласно же «Логике отношений» все суждения, — «суждения отношения» (aRb); но существует и третья точка зрения, сущность которой своего рода «примирение» первых двух. Она считает их односторонними и утверждает, что следует признать не какую-либо указанную схему суждения отдельно, а обоих их вместе! Автор не соглашается с такого рода решением проблемы. Приведем два аргумента из работы:

1. Сама проблема о структуре суждения предполагает искать всеобщее и существенное в бесконечном многообразии отдельных суждений. Признание же «двух, структур» не решение проблемы, а подменение ее. Можно ли, напр., оправдать разговор о «двух анатомиях» человека друг возле друга?!

2. Если существует всеобщая схема выражения сущности суждения, то она не может быть больше одной. Если допустить, что она больше одной, то потребуется связать между собой и эти различные структуры суждения, что, в конечном счете, приводит к бессмыслице;

ж) «Отношение» как внешняя связь предметов: если понятие «отношения» берется в узком смысле, как «многоместное понятие», под которым в основном подразумевают пространственные, временные и количественные отношения, то его, по мнению автора, можно понимать, как один из видов связи. Связи могут быть внутренними и внешними. Отношение — внешняя связь предметов, в том смысле, что она не встречается в пределах одного предмета; отношение имеет место непременно между предметами.

ГЛАВА 5. О ВЗАИМООТНОШЕНИЯХ УТВЕРДИТЕЛЬНОГО И ОТРИЦАТЕЛЬНОГО СУЖДЕНИЙ

а) Парадокс позиции Зигварта: Зигварт, как известно, не признает логическую ценность отрицательного суждения, логически ценным и значимым для него является только утвердительное суждение. Отрицательное суждение не что иное, как суждение об утвердительном суждении, оно и само является утвердительным суждением о ложности утвердительного суждения, говорит Зигварт. Напр., «А не есть В» — значит: «Ложно, что А есть В». В нашей работе определенными конкретными аргуметами выявляется ложность позиции Зигварта. Приведу два аргумета: 1) само утвердительное суждение о ложности утвердительного суждения («Ложно, что А есть В») неявно предполагает момент логического отрицания, ибо невозможно различение друг от друга «ложного» и «истинного», если не используются при этом логическое противопоставление и отрицание. 2) Основным же является следующее: ответ Зигварта не предусматривает парадоксальность его позиции. Если устраняется отрицательное суждение, то остается только утвердительное. Однако «утвердительное суждение» теряет смысл без отрицательного суждения, утверждение и отрицание суть коррелятивные понятия;

б) Взаимоотношение утвердительного и отрицательного суждений, как отражение взаимоотношения противоположных сторон объективного предмета: автор полагает, что проблему отрицательного суждения нельзя решить без диалектики, для подтверждения которого в работе приведен пространный материал из истории проблемы. Дело в том, что сама проблема о взаимоотношениях утвердительного и отрицательного суждений уже содержит в себе диалектическое противоречие таких понятий, как «положительное» и «отри-

цательное». Они суть стороны диалектического противоречия, так как согласно материалистической диалектике всякий движущийся предмет представляет собой единство положительной и отрицательной сторон. Каково взаимоотношение внутренне противоположных сторон единого предмета, вот основа и «аналог» логического взаимоотношения между утвердительным и отрицательным суждениями;

в) Внутреннее противоречие предмета и определенности, как главная объективная основа отрицательного суждения: взаимоотношение предмета и его определенности имеет две стороны. Утверждение и отрицание отражают объективное тождество и различие предмета и его определенности.

ГЛАВА 6. МНОГООБРАЗИЕ ФОРМ СУЖДЕНИЯ И ПРОБЛЕМ ИХ СУБОРДИНАЦИИ

В шестой главе автор исследует основу систематики различных видов суждения. Сущность суждения, как уже отмечалось, в работе связывается с объективной диалектикой предмета и его определенности. Рассматривать суждение без предметной основы, значит потерять ориентировочную линию в логике, — утверждается в работе. Суждение— идеальная картина предмета и научное его понимание возможно лишь на основе теории предмета. Предмет — объективная основа суждения, его «подлинник», его оригинал, сознательная репродукция которого составляет сущность суждения. Предмет же представляет собой единство различных определенностей. И вот именно в этом контексте выдвигается положение: основой систематики различных видов суждения является Предмет, как объективная система различных определенностей. Положение это, на наш взгляд, заслуживает особого внимания. Различные определенности предмета составляют объективную систему. На этой основе строится, по мнению автора, система категорий в философии. Следовательно, систематизацию различных видов суждения следует осуществлять на категориальной основе и она должна быть логическим «аналогом» системы категорий.

ГЛАВА 7. К ДИАЛЕКТИКЕ СУЖДЕНИЯ

Данную главу можно рассматривать, как суммирование всего содержания монографии, включающую узловые момен-

ты и основные результаты исследования проблемы. Идея внутреннего движения суждения, —вот то новое и существенное, что связывается с диалектической логикой в теории суждения, всякое суждение «представляет собой динамическую систему, содержащую внутреннее движение от субъекта к предикату. Движение это, в свою очередь, поступательный процесс, а не механическое продолжение и перемещение. Поэтому нельзя понимать и «читать» суждение только лишь в горизонтальном плане: S—P. Истинное научное понимание суждения требует «прочесть» переход от субъекта к предикату в вертикальном плане, как своего рода микропроцесс возвышения, обогащения и развития. Именно при таком подходе достигается то понятие «момента», о котором речь идет в теории диалектики, элементы суждения, его субъект и предикат должны рассматриваться не как обыкновенные «части», а как моменты динамической целостности. Момент представляет собой ступень развития. Например, почка, цветок и плод представляют собой моменты единого органического движения. Каково отношение между ними? Каждый из них снимается и отрицается другим, но, в то же время, каждый из них переходит, сохраняется и продолжается в другом. И суждение — живая, внутренне «беспокойная» микроединица мышления, сложное взаимодействие различных моментов которой, их связь и взаимопереходы, весь ее динамический механизм в целом можно понять и объяснить лишь на основе теории развития, с позиции диалектической логики».

მსჯელობის შესახებ ავტორის მიერ გამოქვეყნებული შრომების სია

1. მსჯელობის განსაზღვრებისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის XVII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1960.
2. მსჯელობის განსაზღვრებისათვის. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. 1960, № 2.
3. საგანი და მიმართება. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1961.
4. მსჯელობა როგორც აზროვნების ლოგიკური ფორმა. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XI, 1962.
5. ბ. რასელი სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის შესახებ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის XIX სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1962.
6. Вопросы теории суждения. Изд-во АН Груз. ССР, Тб., 1968. 207 с.
7. მსჯელობა და წინადადება. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე, 1970. №3.
8. Вопросы теории суждения. Автореферат докторской диссертации. Тб., 1970.
9. О проблеме отрицательного суждения. тезисы. В сб. «Актуальные проблемы диалектической логики» (Материалы Всесоюзного симпозиума по диалектической логике 1968 г.). Алма-Ата, «Наука», 1971.
10. სუბიექტ-პრედიკატული მსჯელობის ტრადიციული გაგების შესახებ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1971.
11. ჰეგელი მსჯელობის ორსების შესახებ. კრებულში «ლოგიკის საკითხები». საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა «მეცნიერება». თბ., 1973.
12. Проблема суждения в диалектической логике. Автореферат докторской диссертации. Алма-Ата, 1975.

შინაარსი

შესავალი 3
თავი 1. მსჯელობა როგორც აზროვნების ლოგიკური ფორმა 8
თავი II. მსჯელობა და შინადადება. 30
თავი III. მსჯელობის განსაზღვრება. 60
თავი IV. მსჯელობის სტრუქტურის შესახებ 80
თავი V. დადებით და უარყოფით მსჯელობათა ურთიერთობის შესახებ. . . 96
თავი VI. მსჯელობის ფორმათა მრავალგვარობა და მათი] სუბორდინაციის პრობლემა. 154
თავი VII. მსჯელობის დიალექტიკისათვის 202
Вопросы теории суждения (резюме) 253

Давид Михайлович Кебурия

ВОПРОСЫ ТЕОРИИ СУЖДЕНИЯ

(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 876

რედაქტორი რ. კვიციანაძე
გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი ვ. ხმალაძე
კორექტორი ნ. ფიფია

გადაეცა წარმოებას 10.5.1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.1979;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 16,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.9;

უე 01296; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1742;

ფასი 1 მან. 65 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი ზემ.	სტრიქონი ქვემ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
51	12		მაქანიზციზმის	მექანიკიზმის
53	3		არაა მსჯელობა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მისი მნიშვნელობა	არაა წინადადების მპარე, ან ნაწილი. წინადადების მნიშვნელობა არაა მსჯელობა,
73	8		ცდილობენ ენების	ცდილობენ საგნის ენებს
89	3		ანუ Ax	ანუ ∀x
115		10	სპობს არეფერს, არ ჰქმნის:	სპობს, არაფერს არ ჰქმნის
163		23	„ფორმალური ლოგიკა“	რომლებიც „ფორმალური ლოგიკის“
166	2		(მაგ., „არსებობის ატომი“),	(მაგ., „არსებობს ტომი“).
219	13		ისეთი ჭეშ-მბა	მხამხარეული
255		20	отрицают	отрицаются
255		7	суждение	предложение
260	14		суждения и проблем	суждения и проблема

დ. ქებურია